გვ. 256. მოხაზულია: „ჰეჯაზი“, მიწერილია: „ჰიჯაზი. (ჰანგი ჰიჯაზიდან მოსული)“. ხაზგასმულია: „თრიაქ, თერიაქ, შხამის საწინააღმდეგო საშუალება“, არშიაზე წერია: „თერიაყი, თიახფარუხი, მუფარახი“.
- გვ. 258. ხაზგასმულია: „კურაზი“, მიწერილია: „ფიფინა, ქართ.“ ხაზგასმულია: „მუტრიბი-მესაკრავე“, მიწერილია: „მხოლოდ ქალები“.
- გვ. 259. ხაზგასმულია: „გუფთა-დანაყილი ხორცისაგან შემზადილი საჭამანდი“, მიწერილია: „თხევადი?“
სარჩევის მე-2 გვერდზე რედაქტორის შემდეგ ჩამატებულია: „თანარედაქტორი დ. გაჩეჩილაძე“.
- მეორე ცალის ფორზაცსა და ყდაზე: „ი. გრ. გვ. 10“.
- გვ. 27. ხაზგასმულია სიტყვები და მიწერილია: „იხ. „ფასკუნჯში“ ალ. სარაჯ. თარგმ“.
- გვ. 29. სქოლიოში მიწერილია: „გერმანულიდან თარგმნა! ი. გრ“.
- გვ. 31. ხაზგასმულია: „ლაზელის (თუ ყაზალის)“, მიწერილია: „ყაზალი ჩემია. ი. გრ.“
10529–10532. სპარსული ლირიკა. კლასიკოსები. თარგმ. ა. ჭელიძის. [თბ., 1934].
შმუცტიტულზე: „პოეტს და მეგობარს იოსებ გრიშაშვილს ავტორ-გამომცემელი ი. ლისაშვილი. 24/I 34 წ“. სიტყვა „ავტორ“-ისათვის ი. გრ. მიუწერია კითხვის ნიშანი.
- გვ. 13. ხაზგასმულია ადგილები და მიწერილია: „შენ როგორ მოიქეცი? ჟუკოვსკის გამოკვლევას იცნობ?“
- გვ. 20. ხაზგასმულია და მოხაზულია ადგილები, არშიაზე: „ცენზურა“.

გვ. 27. ხაზგასმულია: „თავად, სალოცავად, დასაცავად“, მიწერილია: „რუბაის ნამდვილი წყობა“.

გვ. 81. მოხაზულია საადის ერთი ღაზელი და მიწერილია: „ალ. სარაჯიშვილს პროზად აქვს ნათარგმნი იხ. „ფასკუნჯი“.

წიგნის ბოლოს სუპერზე მიწერილია: „1. გამოცემა თითქოს კარგია, მაგრამ შრიფტი, ქაღალდი და გაფორმება არ ვარგა. ო. რა ცუდათაა შეკრული-შტიკზე! ფუ! 2. არც სარჩევი აქვს. 3. ბოლო ცუდათ თავდება, თითქოს აკლია. 4. პირველ გვერდზე კი აუარებელი რედაქტორი შესევია ამ წიგნს. 5. ლექსთწყობა მოისუსტებს, ავტორების წყობის ფორმა არ არის დაცული (რუბაია... და სხვ.) 6. ქართული ენა მოიკოჭლებს, ზმნები არ არის“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „საქართველოს ჰაფიზს. ძველი მეგობარი. 1934. IX. 8“. „ძველ მეგობართან“ მიწერილია: „მარო ციციშვილი“.

10533–10534. სპარსული მოთხრობები. თბ., 1958.

10535. ფირდოუსი. პოემა ბეჟანიანისა. გამოც. 1. თბ., 1873.

10536. [ფირდოუსი]. ბეჟანიანი. მესამედ გამოცემული იაგორ ნერსესოვისაგან. თფ., 1880.

10537. ფირდოუსი. ბეჟანიანი, თქმული ფირდოუსისაგან მეათე საუკუნეში და „შაჰნამედ“ წოდებული. სპარსული ენიდამ ქართულად ნათარგმნი და „როსტომიანად“ წოდებული ხოსრო თურმანიძესაგან მეფის თეიმურაზის პირველის დროს XVII საუკ. გამოც. ს. მ... გან. მე-9 გამოცემაა ეს. ტფ., 1890.

10538–10539. [ფირდოუსი] ფირდუსი. ბეჟანიანი. თქმული ფირდუსისაგან მეათე საუკუნეში და „შაჰ-ნამედ“ წოდებული. სპარსულის ენიდამ ქართულად ნათარგმნი და „როსტომიანად“ წოდებული ხოსრო თურმანიძესაგან მეფის თეიმურაზის პირველის დროს XVII საუკ. მე-2 გამოც. ს. მდივანოვისაგან. მე-10 გამოცემაა ეს. ტფ., 1891.

კანზე და გვ. 5 ბეჭედი: „Тифлисской публичной библиотеки“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „არ არის თბილისში. ი. გრ.“

10540–10541. ფირდოუსი. ბეჟანიანი. თქმული ფირდუსისაგან მე-10 საუკუნეში და „შაჰნამედ“ წოდებული. სპარსული ენიდამ ქართ. ნათარგმნი და „როსტომიანად“ წოდებული. ხოსრო თურმანიძესაგან. მეფის თეიმურაზ პირველის დროს XVII საუკ. გამოც. ს. მ... გან. მე-9 გამოცემაა ეს. ტფ., 1899.

თავფურცელზე ბეჭედი: „Тифлисской публичной библиотеки“.

10542–10544. ფირდოუსი. ბეჟანიანი. თქმული. ფირდუსისაგან მეათე საუკუნეში და „შაჰნამედ“ წოდებული. მე-10 გამოც. ტფ., 1899.

კანზე: „არ არის თბილისის ბიბ-ში. ი. გრ.“

10545. ფირდოუსი. ბეჟანიანი. თქმული ფირდუსისაგან. მეათე საუკუნეში და „შაჰნამედ“ წოდებული. სპარსული ენიდამ ქართულად ნათარგმნი და როსტომიანად წოდებული ხოსრო თურმანიძესაგან. მეფის თეიმურაზის პირველის დროს XVII საუკ. გამოც. ფამბაკელისაგან. მე-12 გამოცემაა ეს. ტფ., 1900.

თავფურცელზე: წიგნი იოსებ მამულაშვილისა. წინად, 1906 წ. ასე ვაწერდი და ყუაზე დედიჩემის მაშინას ვატარებდი. ი. გრ“.

10546. ფირდოუსი. ბეჟანიანი. თქმული ფირდუსისაგან მეათე საუკუნეში და „შაჰ-ნამედ“ წოდებული. სპარსული ენიდამ ქართულად ნათარგმნი და „როსტომიანად“ წოდებული ხოსრო თურმანიძესაგან მეფის თეიმურაზ პირველის დროს XVII საუკ. ტფ., 1907.

10547–10550. ფირდოუსი. ბეჟანიანი. ფირდუსისაგან „შაჰ-ნამედ“ წოდებული სპარსულ ენაზე. ნათარგმნი ხოსრო თურმანიძისაგან. მეფის თეიმურაზის პირველის დროს XVII საუკ. ტფ., 1913.

გვ. 4. ხაზგასმულია: „ყორითა და ავაზითა“, მიწერილია: „ქორითა?“ ი. გრ“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „თბილისში არ არის. ი. გრ“.

მესამე ცალის კანზე: „არ არის არსად! ი. გრ“.

10551–10552. ფირდოუსი. ბეჟანიანი. ფირდოუსისაგან „შაჰ-ნამედ“ წოდებული სპარსულ ენაზე. ნათარგმნი ხოსრო თურმანიძისაგან მეფის თეიმურაზის პირველის დროს XVII საუკ., მე-4 გამოც. ქუთაისი, 1927.

10553. [ფირდოუსი] შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსცა და წინასიტყვ. და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ. [ტ. 1]. თბ., 1916.

კანზე: „ი. გრ. ურემი-არაბა, გვ. 793; როსტომ სთქვა, 613; ავლად, 615, 619, 622-ლექსიკონში გვ. 791. ვერ არის კარგად ახსნილი“.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილი. 1916 წ. 27 ნომბერი“.

წიგნში ქაღალდის ნაჭერი წარწერით: „როსტომ თქვა: „ჩემი სახელი ღრუბელთა ზედა წერია“, იხ. „შაჰნამე“ ი. აბულაძის რედაქციით. 1916 წ. გვ. 613“.

გვ. 793. ხაზგასმულია: „არაბა“ და მიწერილია: „რუს. Арба. ი. გრ“.

გვ. 808. ხაზგასმულია: „თურინჯი“ და მიწერილია: „მწარე ფორთოხალი, იხ. „ღვინის დაყენება“ პეტრიაშვილისა“.

10554. ფირდოუსი აბულ ყასიმ. შაჰ-ნამე. [ქართული ვერსიები]. ტ. 2. ტფ., 1934.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1934. 14. XI“.

გვ. VI. ხაზგასმულია: „ჩაჩიკაშვილთა ნუსხებში კი ძველი ორთოგრაფია უკვე აღარაა“, მიწერილია: „დაიყოს?“

გვ. 565. სათაურთან „ლექსიკონი“, წერია: „შედგ. იუსტ. აბულაძის-მიერ“.

გვ. 574. ხაზგასმულია სიტყვა: „გამყობილი“, მიწერილია: „დაიყოს“.

გვ. 588. სიტყვასთან: „თაბუნ-თაბუნად“, მიწერილია: „Табуи – აქედანაა“.

გვ. 590. „პომერანელი“ გასწორებულია: „პომერანეცი“.

გვ. 604. ხაზგასმულია: „ნუზლი“, არშიაზე: „საგზაო სურსათი“.

გვ. 609. ხაზგასმულია: „სათი“– განმარტებითურთ, მიწერილია: „სათი როდის შემოვიდა?“.

გვ. 622. ხაზგასმულია: „ქულბაქი“, წერია არშიაზე: „ბაზარი“.

გვ. 637. ხაზგასმულია: „მოლაყფე. მოლაპარაკე. ცრუ მოუბარი“. „ცრუ“ შემოხაზულია და მიწერილია: „ცუდათ მოუბარი“.

10555–10557. ქილილა და დამანა. სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები მეფისა ვახტანგისაგან. თ. გრ. გურიელის გამოც. ი. ჭყონიას რედაქციით. ტფ., 1886.

ფორზაცზე: „მაჯამა, მალალი, 82; ლექსი: „უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია“, გვ. 377; „თმანიც რომ ენად გადმექცეს“, გვ. 454; შეცდომაა: „საცერთ“, უნდა იყოს

„საცერეთ“, გვ. 46; „რამე“ ლიტერატურული ენაა, გვ. 84; „არვისა“-უნდა იყოს „არესა“, გვ. 218; დამატრევ-უნდა დამათვერ – 76; მოვავლახენია თუ მოგილხენია, 284; შიგ ჭასა თუ ქვე ჭასა? – გვ. 185 იხ. ილია, ჩემი ანდაზ.; მახესა თუ – ხესა; 586; გვ. 501. რითმა სად არის?“

ფორზაცის მე-2 გვერდზე: „ი. გრ. 1915 წ.“ იქვე: „ეგრე მტრისა არ მეშინის, გვ. 247; ჭარო, 428; მუნასიბი, გვ. 11; ჭავჭავი, გვ. 102, 304; ბოლო-კარკაზა, გვ. 282; თაგთირი, გვ. 6, 24; ლაშლაში, გვ. 154 („ლაში“-დან); ფათერაკი, გვ. 64; ბუსტული, გვ. 65; როჭიკი, გვ. 112; ღაზო, 422; გარეგანი (ილიას უყვარს ეს სიტყვა), გვ. 223; ნუზლი, 564; სვემღვიძარე, 563 („სამეგრელოს მთავარი ლევან“-ში); ჭალიკონი, („ნიავექარი“ მეგრულია) გვ. 192. გამსახურდიასთვის; დააფსა, 471; პელაგონი, 209; მეკოტომე, 99; კინტოური, 97; სასირცხო (?) გვ. 185“.

„1. „თვით ღრუბლამდე“, გვ. 216 (ღალატშიაც არის ეს შედარება). 2. ალიტერაცია, გვ. 189. 3. ასონანსი: გვ. 189. 4. ნეტამც აგურის ნატეხი, გვ. 301. 5. თმანიცა ენად გადმექცეს, 454. 6. შვების დილა, 490. 7. ხალი და კომშის კურკა, 530. 8. გველი-მათრახათ, გვ. 190. 9. ივანე მაჩაბელისთვის, გვ. 194. 10. მართლის თქმა და დუმილი, 196. 11. მოყვასსა უაუგოსა თუ ემებ, მარტო დარჩები, 433. 12. გალახულ მტერსა არ ენდო, 430. 13. სიცოცხლეს შენგან მოველი, გვ. 57. 14. ფარვანა და სანთელი, გვ. 62. 15. დამატრევ თუ დამათვერ? გვ. 76. 16. მაიმუნი და სასირცხო ასო, გვ. 80. 17. ილიას აღებული სტრიქონი, გვ. 81. 18. ფარშევანგის ბოლო, 133. 19. დათვი და ბუზი, 166. 20. განდეგილის აღებული სტრიქ. გვ. 11. 21. ბულბულის ყეფა, 135. 22. ნაზრახ სიცოცხლეს... გვ. 218, შოთას აზრი“.

„1. დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა „ქილილა და დამანა“, ვახტანგ მეფის მიერ თარგმნილი. წიგნი კარგა მოზრდილია, ლამაზად და ფაქიზად გამოცემული, ფასი სამი მანათია“. იხ. „ივერია“, 1886, წ. № 27, 27 თებერვალი – ახალ ამბად. 2. დიმიტრი ბაქრაძის ბიბლიოგრაფია ამ წიგნზე, იხ. „ივერია“, 1886, წ. № 27, 27 თებერვ. 3. ილია ოქრომჭედლიშვილის აზრი ამ „ქილილა და დამანაზე“, ავტორი საბას ლექსებს უწუნებს „უნდილი და უგემურიაო“. აფსუს! იხ. „ივერია“, 1886, წ. № 166. 4. დ. ბაქრაძე უპასუხებს ილია ოქრომ-ს და იცავს საბას (იხ...). 5. ა. ხახანაშვილი: „Килила и Дамана“, მოსკ., 1889 წ. 6. რიაზინინის თარგმანი: „Килила и Дамна“. მოსკ. 7. აკადემიის გამოცემა „Килила да Дамна“. მოსკ. 8. Басни из Килила მოსკ. 9. ილია ჭყონიას „ქილილა და დამანას“ კორექტორს, იხ. „კვალი“, 1894, № 36, გვ. 18. აქ გასწორებულია ამ წიგნის კორექტურა. 10. „ქილილა და დამანა“, წერილი მ. ჯანაშვილის, „თემი“, 1912 წ. № 88. 11. Грузинск. отрывок «Килилы и Дамны» იხ. «Новое обозрение», 1901 № 5666“. 12. „ქილილაზე“ – „კვალი“, 1894, № 36. 13. მ. ნასიძემ გამოსცა რჩეული არაკები „ქილილა“-დან, იხ. 1887 წ. გამოც. „ვახტანგ მეექვსე“. 14. ი. ჭყონია და „ქილილა და დამანა“, იხ. „კვალი“, 1894 წ. № 36, გვ. 18. 15. „ქილილა და დამანა“ XII საუკუნეში ითარგმნაო, იხ. „ქართ. მწ. XII საუკ.“ ზ. ჭ-სა, 1887, გვ. 34. 16. იხ. Сб. матер. уч. окр. ტ. 31, გვ. 42. სიტყვები, რომელნიც ამ ლექსიკონში არ არიან: „გლისპი– ჭინჭყლიანი, капризный, სახუნდარი; უგლიმი-გულქვა, შეუბრალებელი, სასტიკი; შაშარი – სისხლის გამოსაშვები; ლიზლი; მარაგიანი; გრუზვით; ხარხანჩო; ზარდახში; მუყრი; საოლავი; თაგთირი; სირა; ამარტა; დვლარჭნილოვნება (?);

ქარტითა; განლიგება; ჯადეგი; ღადო; ხონდრონი; შადი; არათი; მესპეკალე – საინტერესო ქართული გამოთქმა მე, მადნარი – ღამურა; ყიათა; ქაბრაწოანი; უნჯი – 580, 88; მადრანი, გვ. 37; გაროქვა, გვ. 78; კოლინდარი, 113; როჭიკი, 112; არიფი, გვ. 151; ფათერაკი, 152; ილინჭა, გვ. 220; ქვე ქასა, 185; იჩქითი, 178; გოლი, 191; ღუმელი, გვ. 442; სიყმილი; მუდრეგი, გვ. 215; მარზაპანი, გვ. 219; კვიპაროზი; ნიშატი, 566; ღუმბი (ნალი) 521; რიოში, 366; თხრემლი; არვეზი, 405; კირკიტა, 371; ცილი, 356; მეკოტომე, 93; რუდუნება, 349. უცხო სიტყვები: ეთიოპი, 554; ფაკელი, 546; ქიმი, 544; 392; ანგელი, 528 ხან ანგელოსია, 491; სინგური, 504; ალიზი, 247; ჯადეგი, გვ. 444; მაწაკი, 398; ყვავილების რაობა, 329; მაჯამა – „ღალი“; ექიმი, გვ. 410. აფორიზმები: 1. ენისა დანაკოდარი, ხრმლისაგან უარესია, 301. 2. გაღახულს მტერსა არ ენდო, 430. 3. მოყვასსა უაუგოსა თუ ეძებ, მარტო დარჩები. 4. თუ კაცი თვითონ არ ვარგა-ს ვარიანტი, 551“. ქალაღდის ნაჭრები წარწერებით: 1. „უაზრია, ნათელსა თუ ნათალსა, გვ. 118; გაჩემება თუ გაჩერება: სახელოვ. 2. ეს უნდა ვიპოვნო: „ვინც ჭიქაა, იგი არ ჰგავს, გრდემლსა მას ხელოვნებულსა „ქილილა და დამანადან“. 3. „ქილილა და დამანა“, წერილი მ. ჯანაშვილის. „თემი“, 1912 წ. № 88. 4. ყვავმა სიარულში მწყერს მიბაძაო და თავისი დაავიწყდაო და ვერც მისი ისწავლაო. შიშს ცხრა თვალი აზიაო. შიში შეიქს სიყვარულსო. იხ. „Сборник материалов. изд. учебн. округа“ 1882, წ. Кн. 2, გვ. 148. 5. «Семья и школа» – 1907, ივლ. 11 – აქ დაბეჭდილია „მაიმუნი და მედუზა“, თარგმანი ინგლისურით. ეს ზღაპარი ყოფილა „ქილილა და დამანაში“, გვ. 345. 6. 86) კაცი განკითხვას რას აქნევს, სოფლისა ზღვათა მცურავი? ვინცა დანთქმულა რა იცი, სად დაიღუპა რად თავი. (ქილილა) 76) თუმცა ანგარი ურიცხვთა, შეიკრებს უნჯთა ყოვლისა, მდღვერის მეტს ვერას დაჰხარჯავს (ქილილადან). 7. ალ. ბარამიძეს – „ქილილა და დამანა“ – არაბულად უთარგმნია იბნ-ალ-ფაკიხას, იხ. „Сб. мат. уч. окр.“ ტ. XXXI (31) გვ. 42.

კონვერტში წერილის ფრაგმენტი, №№ 9, 10 – იწყება: „გამოურკვეველია. მისი ავტორობა ვერ დავაზუსტეთ“... მთავრდება: „მე რაც შემეძლო ის გავაკეთე! თუ სხვა „დამეხმარება“, და მომიძებნის ავტორს, დიდის მოწიწებით მოვიხსენიებ ამ ჩემს მტერ-მოყვარე მეგობარს მეორე გამოცემისთვის“, ბოლოში მიწერილია: „როგორც იყო ვიპოვე ქილილაში ყოფილა, იხ. გვ. 247“.

გვ. 1. შენიშვნაში გახსნილია ინიციალი: „ალ. ს.-ალ. სარაჯიშვილი“.

გვ. 105. ხაზგასმულია სტრიქონი, მიწერილია: „აქვს ილიას“.

გვ. გვ.: 161, 235–237... ხაზგასმულია სტრიქონები, მიწერილია: „იხ. „საანდაზო ლექსები“.

გვ. 176. მოხაზულია და ხაზგასმულია სტრიქონები, მიწერილია: „ვინც საზღვარს გადასცდება“.

გვ. 181. მოხაზულია და ხაზგასმულია სტრიქონები, არშიაზე: „მარის 1921–1933. ი. გრ.“

გვ. 201. ხაზგასმულია: „აჯილა“, მიწერილია: „თვალი პატიოსანი“.

გვ. 211. სტრიქონშია „რაცა რით“, მიწერილია: „რაცრაცით“.

გვ. 424. ხაზგასმულია: „უგვანს ალერსსა გაყრა სჯობს არისტოტელის თქმულია“, გვერდზე წერია: „ილია, გვ. 138“.

გვ. 433. ხაზგასმულია: „მოყვასსა უაუგოსა თუ ეძებ მარტო დარჩები“, მიწერილია: „ეს ჩემზეა ნათქვამი“.

გვ. 449. ხაზგასმულია და მოხაზულია: „ნარდი ხუჭუჭი“, არშიაზე წერია: „ნარდიონი-ხუჭუჭი ყვავილი?“

გვ. 516. ხაზგასმულია: „ნახლებით“. მიწერილია: „ძვირფასი მატერია“.

გვ. 574. ხაზგასმულია სტრიქონი, მიწერილია: „იხ. გვ. 33. ილიას შეუცვლია“.

გვ. 588. მოხაზულია: „ისარნა“, აწერია: „შადრევანი“. ხაზგასმულია: „ილეკრო“, მიწერილია: „მეტალი“.

გვ. 589. ხაზგასმულია სიტყვები: „სირი-რიგი“, არშიაზე წერია: „გვ. 411, 443 (აქ ფრინველია)“.

გვ. 590. გაზეთიდან ამოჭრილი ა. ბარამიძის წერილი „სულხან-საბა ორბელიანი“, მინაწერით: „მუშა“, 1935, № 46, 24/II“.

10558–10559. ქილილა და დამანა. იგავ-არაკები. ქართულად გადმოღებული ვახტანგ VI-სა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედ. თბ., 1949.

ფორზაცზე: „ძვირფასს იოსებ გრიშაშვილს. ა. ბარამიძე. 14. VII. 49“.

ყდის მე-2 გვ.: „რეცენზიები. 1. დ. კობიძის „მნათობი“, 1950, № 2“.

თავფურცელზე: „ტექსტი შემოკლებით იბეჭდებო. (?) იხ. აქვე გვ. 623, ი. გრ“.

გვ. 6. ხაზგასმულია: „თვარა რა მოკვდება ტირილი ვედარ გააცოცხლებს“... და მიწერილია: „განდეგილი (დ. ერისთ.)“.

გვ. 49. „კაცი სახელის მძებნელი, უკვდავად შემირაცხია

მკვდრად იგი თქმულა, ვის კაი სახელი ზედა არ აცხია!“ მოხაზულია და მიწერილია: „ილია“.

გვ. 223. ხაზგასმულია: „ბუისგან ნუ გამოელი...“ და მიწერილია: „ბედებსა“.

გვ. 418. ხაზგასმულია: „და გული“, მიწერილია: „დახურული“.

გვ. 629. მოხაზულია ლექსიკონში „წამოსასხამი“, მიწერილია: „პირის ფანჯარა ჩადრისა“.

გვ. 630. ხაზგასმულია: „გოლი“, „დაბალთვა“, მიწერილია: „გოლეული“, „ბალთა“.

გვ. 632. სიტყვასთან „ისარნები“, მიწერილია: „შადრევანი“. სიტყვა „კერკეტონს“ მიწერილი აქვს: „ასასი“. ხაზგასმულია: „კორკოდილო“ და მიწერილია: „Крок“ [одил].

გვ. 633. მოხაზულია: „ლალანდარი“ და მიწერილია: „თავისუფლად“. ხაზგასმულია: „მდღევარი“, მიწერილია: „ა. ჭ.“

გვ. 634. ხაზგასმულია: „მდამიობი“, მიწერილია: „ლამურა“.

გვ. 635. ხაზგასმულია: „ნეგო“, მიწერილია: „თეთრი ყვავ.“

გვ. 638. მოხაზულია: „უგლიმი, გულქვა“, მიწერილია: „კაპასი“.

გვ. 639. ხაზგასმულია: „ხმელი კაჭაჭი“, მიწერილია: „შესაჭმელი მცენარე“. მოხაზულია: „შუკა“, მიწერილია: „შუკა? ტექსტის მიხედვით მოედანს ნიშნავს“. ხაზგასმულია: „ქონდაქარი“, მიწერილია: „ა. ჭ.“

გვ. 640. მოხაზულია: „ლადარი“, მიწერილია: „ცეცხლ-ნაცარი“.

გვ. 641. ხაზგასმულია: „ჭარო“, მიწერილია: „ჩაიკა“. „ხადუმი“ – მიწერილია: „ქალი“. „ხეზი“ – მიწერილია: „ხიზი“.

წიგნის ბოლო ფორზაცზე: „წინარე, 37; შური, 312“.

ყდის მე-3 გვ. მინაწერი: „ბედები? გვ. 223, 156; შაქრის ლერწამი, 612; ნარგიზი თუ ნარგიზე, 579“.

10560–10566. ყარამანიანი. ქართულად ნათარგმნი სახლთხუცის და სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან, საამოდ სასმენელი. თბ., 1875–1879.

კარი 1. 1875.

წიგნში ქალაქის ნაჭერი წარწერით: „ყარამანიანის პირველი გამოცემა. აკლია 3, 4, 7 და 13, 14, 15, 16.“

კარი 2. 1875.

კარი 5. 1876.

კარი 6. 1878.

კარი 8. 1879.

კარი 9. 1879.

10567–10569. ქუჩუგ ყარამანიანი. ქართულად ნათარგმნი სახლთ-ხუცის და სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან, საამოთ სასმენელი. ტფ., 1879–1880.

კარი 10. 1879.

კარი 11. 1880.

კარი 12. 1880.

გამომცემლის შენიშვნაში ხაზგასმულია: „თორმეტ წიგნათ“.

10570–10571. ყარამანიანი. სპარსულიდამ ქართულად ნათარგმნი, სახლთხუცის და სარდლის თავ. დავ. ორბელიანისაგან, „საამოთ სასმენელი“. გამოც. მე-2. თბ., 1903.

კარი 8. 1903. გამოცემის წლის 1903-ს გასწვრივ: „კიდევ გამოვიდა 1910 წ.“.

ფორზაცზე დაკრულია სურათები წარწერით: „ყარამანიანიდან (ძველი გამოცემიდან). ი. გრ. კარი VIII“.

კარი 9. 1903.

გვ. 37. პირველი აზვაცი მოხაზულია, მიწერილია: „ეს ადგილი გამომცემელს შეუცვლია და თავის მხრივ ჩაუმატებია კიდევ. ძველ დაბეჭდილში (1879) გამომცემელი ნ. კობალაძე იყო, წერია „წიგნი“ და არა „ქალაქი“, იხ. გვ. 751“.

გვ. 41. მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „ეს მოთქმა 1879 წლის გამოცემაში სხვანაირადაა. გვ. 754–5. ი. გრ.“.

გვ. 43. ხაზგასმულია: „გულში შეინახეთ“, მიწერილია: „ძველ 1879 წლის გამოცემაშია „ყურში შეინახე, გვ. 756“.

გვ. 55. მოხაზულია: „ხანი“, მიწერილია: „სიტყვა „ხანი“ არ არის ძველ გამოცემაში, იხ. 1879, გვ. 766“.

გვ. 75. მოხაზულია „პარუხი“, არშიაზე მინაწერი: „ფარუხი წერია 1879 წლის გამოცემაში, გვ. 785“.

10572–10582. ქუჩუგ ყარამანიანი. ქართულად ნათარგმნი, სახლთხუცის და სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან. „საამოთ სასმენელი“. გამოც. 2. ტფ., 1904–1912.

წიგნის მე-10–16 კარი, რომელიც სხვა და სხვა დროსაა დაბეჭდილი, აკინძულია და ყდაში ჩასმული ი. გრ. მიერ.

ფორზაცზე: „სრულია. ყარამანიანი, 11 წიგნი (9–16 კარი). ი. გრ“.
კარი 10. 1904.

თავფურცლის წინ ჩაკრულია 1-ლი გამოცემის კანი, რომელზედაც წერია: „ი. გრ. ეს პირველი გამოცემის ყდაა. გამოცემული ნ. კობალაძისაგან და დ. ლაზარევისაგან. შმუცტიტულზე ლაზარევი არ აწერია“.

გვ. 23. სათაურშია: „კოჭლი-დევის ამბავი მოიხსენიეთ“, მიწერილია: „მათუთ-დევისა მოიხსენიოთ“.

გვ. 31. ლექსის სტრიქონების გასწვრივ მიწერილია: „ეს ლექსი ასეა დაბეჭდილი ძველ გამოცემაში 1879. გვ. 930“. და შესწორებულია ლექსში ადგილები, გადახაზულია „ბევრი“, მიწერილია: „უცხოდ“, გადახაზულია: „არცა ფასით“, „ალმას, ბრილიანტ“, მიწერილია: „თავი თვისი“, „ლაჟვარდ-იაგუნდ“.

კარი 11. 1905.

თავფურცელზე ხაზგასმულია გამოცემის წელი და მიწერილია: „პირველი გამოცემა გამოვიდა 1880. აწერია „კობა და მე“.

კარი 12. 1908.

თავფურცელზე: „პირველი გამოცემა გამოვიდა 1880 წ“.

გვ. 100. ჩაკრულია ქალაქის ნაჭერი წარწერით: „1880 წელში გამოსულ ყარამანიანის ბოლო-თქმა: როდესაც „ყარამანიანის“ გამოცემა დავიწყეთ მაშინ გამოვაცხადეთ, რომ სულ თორმეტ წიგნათ გამოვაო. ესეც ეხლა მეთორმეტე წიგნი გამოგვიცია. მაგრამ ახლა კიდევ გამოჩნდა გაგრძელება ქუჩუკ-ყარამანიანისა. ამბავი ქუჩუკისა და სხვა გმირთა შვილებისა და შვილიშვილებისა. ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ, რომ ყარამანიანის გაგრძელება კიდევ გამოვა რამოდენიმე კარი იმ წესითვე, როგორც დღემდინ გამოდიოდა. გარდა ამისა მეცამეტე კარი გამოვა ამ თვის ბოლოს“.

კარი 13. 1910.

კარი 14. 1911.

კარი 15. 1911.

კარი 16. 1912.

თავფურცელზე: „ბოლოთქმით. ი. გრ“.

გვ. 62. ხაზგასმულია ადგილები, მიწერილია: „რატომ ნიკოლოზ კობალაძეს არ იხსენიებს? ი. გრ“.

10583–10590. ყარამანიანი. ქართულად ნათარგმნი, სახლთხუცის და სარდლის თავად დავით ორბელიანისაგან. „საამოთ სასმენელი“. გამოც. მე-3. თბ., 1901, 1909, 1914.

კარი 2. 1901.

კანის მე-4 გვ. მინაწერი: „თილიყამყამი – ყაფის მთა“.

კარი 4. 1909.

ხაზგასმულია: „გვ. გვ. 4, 20, 68, 92“, მიწერილია: „ეს ტექსტი (მოთხრობა) არ არის გადმობეჭდილი ძველი გამოცემიდან. ეს ნაწყვეტი სხვა გამოცემიდან (1876 წლის) ჩაუმატე ბოლოში“.

გვ. 80. პირველ აბზაცში: „მაშ ამ კარს შორს ჩამოეცალეთო“ – გადაშლილია და აწერია: „ამ კარიდან ჩამოდექითო“.

გვ. 96-ის შემდეგ ჩამატებულია 8 ფურც. 1875 წლის გამოცემიდან და გვერდები დანომრილია.

გვ. [97]. პირველი აბზაცი გადახაზულია და მიწერილია: „ეს თავი აკლდა, იხ. თავში სარჩევი. ი. გრ“.

კარი 5. 1914.

თავფურცელზე: „დუბლ. შევადარე. ეს წიგნი მხოლოდ საჯაროშია და ჩემთან. ი. გრ“.

კარი 6. 1914.

კარი 7. 1914.

10591–10594. ყარამანიანი. ქართულად ნათარგმნი სახლთხუცის და სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან. „საამოთ სასმენელი“. გამოც. მე-4. თბ., 1912.

კარი 1. 1912.

ფორზაცზე: „სრულია, ი. გრ. ყარამანიანი-სრული 16 კარი – (ორ წიგნად). 1 წიგნი (8 კარი). პირველი გამოცემა 1875. ნიკოლოზ კობალაძისაგან. ჯერ 12 კარი გამოვიდა. იხ. განცხადება „მოამბე“, 1904 წ. № IV“.

კანზე: „უნდა შედარებულ იქნას პირველ 1875 წლის გამოცემასთან – შემდეგ გამოცემებში გამომცემელს თვითნებურად ენა „შეუსწორებია“, ი. გრ. 1914 წ. 8/X“.

გვ. III. ხაზგასმულია: „პლატონ იოსელიანის“ გასწვრივ მიწერილია: „სად?“

გვ. 112. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ხელმწიფენი და დიდებულნი ლხინითა და ნადირობით შეექცეოდნენ“.

კანის მე-3 გვ.: „ეს ბოლო ფურცელი სხვა გამოცემიდანაა. ი. გრ.“

წიგნში დევს კანი წარწერით: „ეს ფურცელი 1912 წლის გამოცემიდანაა. ი. გრ“.

კარი 2. 1912.

გვ. 70. ხაზგასმულია: „ოკეანეს“, მიწერილია: „უკიანეს“.

გვ. 75. მოხაზულია: „ნეტარსა!“ მიწერილია: „ნეტარძი, იხ. 1875 წლის გამოცემა, გვ. 147, ტ. 11. ი. გრ“.

კარი 3. 1916.

10595. შვიდ-ვეზირიანი ანუ არაკნი შვიდი ბრძენისა. ნათარგმნი მ. ახპატელოვისაგან. ტფ., 1887.

ყდაზე: „მაჩუქა კოწია კაჭახიძემ. ი. გრ.“

ფორზაცის მე-2 გვერდზე: „ი. გრ. ეს წიგნი თბილისის ბიბ-ში არ არის. ი. გრ“.

10596. სრული შვიდ-ვეზირიანი ანუ არაკი შვიდ ბრძენისა. ტფ., 1912.

თავფურცელზე: „ეს გავასწორე და გადავეცი ალ. არაბიძეს. მან დ. საყვარელიძეს გადასცა... დაიკარგა?! 1928 წ. 1 მაისი, ი. გრ“.

კანზე: „ეს წიგნი თბილისში არ არის! ი. გრ“.

გვ. 30. ხაზგასმულია ადგილი, მიწერილია: „ეს ზღაპარი ტოლსტოის აქვს“.

გვ. 98. ხაზგასმულია: „ჩანგალის მოსატანათ გაიქცა“, მიწერილია: „ჩანგალი იყო ძველად?“

კანის მე-3 გვერდზე: „აქედან ბევრი ზღაპრები „თიმსარიანშია“.

10597. შვიდ-ვეზირიანი ანუ შვიდთა ბრძენთა მოთხრობა. თბ., 1916 წ.

თავფურცელზე: „1943 წ. 22/IX ი. გრ. სოლოლაკი“.

სათაურთან: „პ. შოთაძისაგან – ა. იმედაშვილის წიგნებიდანაა! 1943 წ. 22/IX. ი. გრ. ეს წიგნი თბილისში არ არის“.

10598. ჯემალ-ზადე. ნოველები. თარგმ. მ. ხუბუას მიერ. [თბ., 1935] – ამონაჭერი: „მნათობი“, 1935, № 5.

სპარსული ლიტერატურის ისტორია

10599. ახვლედიანი გ. ირანის ლიტერატურიდან. ამონაბეჭდი: „ჩვენი მეცნიერება“, 1924 წ. № 2.

10600. ბარამიძე ა. ფირდოუსი და მისი შაჰ-ნამე. მოკლე ისტ.-ლიტ. მიმოხილვა. ტფ., 1934.

თავფურცელზე: „ძვირფას სოსოს. ავტორისაგან. 25. X. 34“.

10601–10602. გამოფენა ფირდოუსი და ქართულ-ირანული ურთიერთობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ტფ., 1934–1935. პარალ. ტექსტი რუს. ენ.

10603–10604. კობიძე დ. ახალი სპარსული ლიტერატურა. 1. ფირდოუსის წინა პერიოდი. თბ., 1946.

თავფურცელზე: „სახელოვან პოეტსა და მეცნიერს ი. გრიშაშვილს – დიდი პატივისცემით დ. კობიძე. 1946“.

კანზე: „შესანიშნავი წიგნია. ი. გრ. 1946. 10/VII“.

კანის მე-4 გვ.: „ფირუზ მაშრიყელი“.

გვ. 67. ხაზგასმულია: „ბრმა და ცალი თვალით ელამი“, მიწერილია კითხვის ნიშანი.

10605–10606. კობიძე დ. სპარსული ლიტერატურა. ნაწ. 2. საგმირო ეპოსი. თბ., 1947.

10607. ომეგა. სპარსთა ლიტერატურა. – ამონაჭერი: „მნათობი“, 1925, № 2.

თავფურცელზე მ. გოგიბერიძის ხელით: „P. S.“ ჩემი მეხსიერებით „ომეგა“ იყო ფსევდონიმი ვინმე სმირნოვისა, ჩემი გაგებით ეს კაცი იყო ერთ-ერთი იმ რევოლუციის ეპოქაში ჩამოყალიბებული მოქალაქის, რომელიც სხვა დიდი საქმის უქონლობის გამო ახლა ძველ ცოდნას იყენებს და ლიტერატურის ამა თუ იმ ფორმას თავის ახალ ხელობათ იხდის. ასეთი ტიპები არსებობდნენ მანამდე, სანამ კულტურული რევოლუციის იდეოლოგიურმა სუსხმა ერთი ხელის მოსმით მოსპო მათი არსებობის უფლება. კიდევ ერთი: ხშირი იყო მოქალაქე მოსკოვში მწერლობას არ მისდევდა, ხოლო სარატოვში თუ ჩავიდოდა, უსათუოდ მწერალი იქნებოდა. მოსე გოგიბერიძე. 29/I. 1930“.

10608. რუდაქი. 1857–1957 [საიუბილეო კრებული]. თბ., 1957.

უნგრული ლიტერატურა

10609. გიდაში ა. კოლონიები ყვირიან. პოემა. თარგმ. ტ. ტაბიძის. ტფ., 1933.

10610–10612. ზალკა მ. მარადიული ზავი. [მოთხრობა]. თარგმ. რუს. ტფ., 1930.
ფორზაცზე: „ი. გრ. 1930–19–III“.

გვ. 5. ხაზგასმულია: „...პარალელები მორთული მელოდიის ქაშანური პწკალებით“, მიწერილია: „აბა გაიგეთ!!!“

10613. ილემ ბ. ტისა იწვის. რომანი. ბელა კუნის წინასიტყვ. თარგმ. რუს. ნ. მესხისა. ტფ., 1931.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1933. 19/X.“

10614. კარიკაში ფ. ომი-ომს! მოთხრობა. თარგმ. პ. აბრამიასი. ტფ., 1929.

10615. მიქსათი კ. უცნაური ქორწინება. რომანი. [თარგმნა რ. ორჯონიკიძემ]. თბ., 1962.

ფორზაცზე: „სახსოვრად ძვრიფას და საყვარელ პოეტს ჩვენი ეპოქის შესანიშნავ ადამიანს იოსებ გრიშაშვილს დავით იოსელიანისაგან. თბილისი. 19/I– 63 წ.“

10616. ნიკოლა ცრინი. [მოთხრობა]. თარგმ. ა. თ-წერეთლის მიერ. თბ., 1894.

10617. პეტეფი შ. იანოშ რაინდი. [პოემა]. თარგმ. გ. აბაშიძისა. [თბ.], 1952.

თავფურცელზე: „იხ. „მნათობი“, 1952 წ. ი. გრ. 1952. 3/XII“.

10618. პეტეფი შ. [ლექსები]. თარგმ. გ. აბაშიძისა. თბ., 1949.

ფორზაცზე: „ჩემს საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს მისი მარად პატივისმცემელი გრ. აბაშიძე. 8. VIII. 49“.

ყდის მე-2 გვერდზე: „I. უნგრული პოეტის არანის ლექსი „ნატვრა უნგრელისა“ თარგმნა ქართულად ილია ჭყონიამ [ა. ელანიძე] „ნიშადური“, 1907 წ. № 1. II. „ქართველები უნგრეთში“, ამ სათაურით იხ. ბ. ოქროპირიძის წერილი, ჟ. „ნიშადური“, 1908 წ., № 61, ი. გრ“.

გვ. 49. ლექსის „მიჰქრის, მიფრინავს ღრუბელი მალა“ სტრიქონებში ხაზგასმულია: „ღრუბელო“ და „მზევ“, არშიაზე: „მზე და ღრუბელი?“

გვ. 71. ლექსში „შავ-წითელი დროშა“ ხაზგასმულია: „ძირს ჩვენი დროშა სამფეროვანი“ და მიწერილია: „გვ. 95“.

გვ. 80. ლექსში „საბრძოლო სიმღერა“ ხაზგასმულია: „დაჰკრეს ნალარა, ისმის დაფდაფი“, გასწვრივ მინაწერი: „ნალარა და დაფდაფი იგივეა“.

გვ. 95. ლექსში „არის განა კაცი ვინმე?“ ხაზგასმულია: „სამფერია ჩვენი დროშა“ და მიწერილია: „გვ. 71“.

გაზეთებიდან ამონაჭრები: 1. ვ. ჭელიძის წერილი „პეტეფის ლექსები ქართულად“, მინაწერით: „კომ“, 1949, 20 აგვისტო, № 165“. 2. ერ. ქარელიშვილის წერილი „მანდორ პეტეფის ლექსები ქართულად“, მიწერილია: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 4 სექტ., 1949, № 35“.

10619. უნგრული მოთხრობები. [კრებული]. თარგმნა ეთ. კეჭაღმაძემ. თბ., 1955.

უნგრული ლიტერატურის ისტორია

10620. ჰიდაში ა. შანდორ პეტეფი. [თარგმ. ც. კახიანისა. თბ., 1961].

ფრანგული ლიტერატურა

10621. ბაიარი და ვანდერბურხი. პარიზელი ბიჭი. კომედია 2 მოქმ. თარგმ. მ. ჯორჯაძისა. – ამონაჭერი.

10622. ბალზაკი ო. გობსეკი. – შაგრენის ტყავი. – პოლკოვნიკი შაბერი. მოთხრობები. თბ., 1952.

10623. ბალზაკი ო. ეჟენი გრანდე. [რომანი]. თარგმ. თ. ქიქოძისა. [თბ.], 1948.
ყდაზე: „ი. გრ. 1948. 6. III“.

10624. ბალზაკი ო. ვენდეტა. – პიერ გრასუ. – წითელი სასტუმრო. – უცხო შედევრი. – ეჟენი გრანდე. – მამა გორიო. [მოთხრობები]. თბ., 1959.

10625. ბალზაკი ო. ორი ნოველა. თარგმ. ი. ქავჭარაძისა. თბ., 1949.

10626. ბალზაკი ო. პოლკოვნიკი შაბერი. თარგმ. ი. ქავჭარაძისა. თბ., 1947.

კანის მე-4 გვ.: „არ ვარგა კაცი უმტერო კარგია მუდამ მტრიანი (ვაჟა). ი. გრ. 1947. 20/VI“.

10627. ბალზაკი ჰ. შაგრენის ტყავი. ფილოსოფიური ეტიუდი. თარგმ. გ. ქიქოძისა. ტფ., 1931.

სუპერზე: „ი. გრ. 1931. 18. VI“.

ფორზაცის მე-2 გვ.: „P. S. ვის ეკუთვნის სხოლიოები ავტორს თუ მთარგმნელს?“
იქვე: „კაიროდან, გვ. 20. ქაირი?; ქორვაჭარი, გვ. 52. მიხარია, რომ ეს სიტყვა გადავიდა ლიტერატურაში. იხ. ჩემი „ბოჰემა“ გვ. 12; მიამიტი, 42, 59; დახლიდარი, 62“.

თავფურცელთან ფურცელი, რომელზედაც წერია: „ქიშმირი თუ კაშმირი. იხ. „შაგრენის ტყავი“, გვ. 89. რასაკვირველია ქიშმირი“.

გვ. IX. მოხაზულია ბოლო აზვაცი, მიწერილია: „შრომა“. ხაზგასმულია „ცეზარ“, მიწერილია: „კეისარს“. გვ. 7. სიტყვასთან: „უჯდა“, მიწერილია: „მისჯდომოდა“.

გვ. 9. ხაზგასმულია: „ღრმა გახდა“, მიწერილია: „გაღრმავდა“.

გვ. 20. ხაზგასმულია: „ქაიროდან“, არშიაზე: „ქაირო?“

გვ. 25. ხაზგასმულია: „გაჭრილი“, მიწერილია: „გაპობილ“.

გვ. 32. ხაზგასმულია: „თებენის“, მიწერილია: „(თებოს?)“.

გვ. 35. ხაზგასმულია: „მაგვარი“, არშიაზე: „მზგავსი“.

გვ. 42. ხაზგასმულია: „მეამიტი“, არშიაზე: „მიამიტი“.

გვ. გვ.: 59, 61, 63, 70, ხაზგასმულია სტრიქონები, სიტყვები, მიწერილია: „კარგია“.

გვ. 62. ხაზგასმულია: „დახლიდარის ეტლი“, წერია, არშიაზე: „რატომ ბედი არა?“

გვ. 63. ხაზგასმულია: „ჭაღებსა“, მიწერილია: „ხომლი“.

10628–10629. ბალზაკი ჰ. შაგრენის ტყავი. ფილოსოფიური ეტიუდი. თარგმ. გ. ქიქოძისა. გამოც. მე-2. ტფ., 1937.

- ფორზაცზე: „ი. გრ. 1938. 21/III“.
10630. ბარბიუსი ა. ბრალს ვდებ! ტფ., 1932.
10631. ბარბიუსი ა. მოუდრეკელნი. (თარგმ.) ტფ., 1928.
10632. ბარბიუსი ჰ. პატარა მოთხრობები. თარგმ. ა. ჭუმბაძის მიერ. ტფ., 1930.
10633. ბარბიუსი ა. ცეცხლი. რომანი. თარგმ. თ. სახოკიას მიერ. ტფ., 1923.
- გვ. 30. ხაზგასმულია: „სათილებს“, მიწერილია: „სათილილი – ведро“.
- გვ. 33. ხაზგასმულია: „ჯაყვის“, არშიაზე წერია: „ჯაყვა – ჯიბის დანა“.
- გვ. 45. ხაზგასმულია: „გვაბანაკები“, მიწერილია: „გვაბანაკი – пальто“.
- გვ. 59. ხაზგასმულია: „თუთიის“, მიწერილია: „თუთია – цинк“.
- წიგნის ბოლო კანზე: „1. შე რწყილის ნისკარტო. 2. გვ. 57“.
10634. ბელო. დედა. (მოთხრობა). თარგმ. ელ. მამულაშვილისა. – ამონაჭერი „მოამბე“-დან, 1896 წ. №№ X–XII.
- 10635–10637. ბერანჟე პ.-ჟ. [ლექსები]. ქართულად. თარგმანი [გ. გვაზავასი]. ტფ., 1898. სათაურის წინ: გიორგი გვაზავა.
- მეორე ცალის თავფურცელზე: „საჩუქრათ მ. გაჩეჩილაძის. ი. გრიშაშვილი. 1916 წ. ქ. ტფილისი. 29 ოქტომბერი. იხ. II გვ. აკაკიმ ეს ნათარგმნი აქო, იხ. მისი „კრებული“, 1899 წ., № 2“.
- თავფურცლის მე-2 გვ.: „ბერანჟე კვლავ დაიბეჭდა: 1. მტრედი და ყორანი, „ივერია“, 1909 წ., № 33. 2. აი მხედრები, გამოდი ნინო „ივერია“, 1909 წ. № 35“.
- 10638–10639. ბერლინის აღება. ფრანგული ნოველები. თარგმ. ირ. ქავჭარაძისა. თბ., 1942.
- ყდის მე-2 გვ.: „ჩვენს სოსო გრიშაშვილს. ირ. ქავჭარაძისაგან. 1942 წ. 27/XI. თბილისი“.
- 10640–10641. ბომარშე. სევილიელი დალაქი ანუ ამაო გაფრთხილება. ფრანცუზულიდამ გადმოთარგმნილი [დ. ყიფიანის მიერ. თბ., 1879]. – ამონაჭერი: „ივერია“, 1879, № 4.
- 10642–10643. ბრიე. ავი სენით შეპყრობილნი. პიესა 3 მოქმ. ფრანგ. გ. ჯაბადარის მიერ. ტფ., 1911.
- 10644–10645. ბრიე. დასჯილნი. პიესა სამ მოქმედებად, ბრიესი: (Brieux) თარგმ. ვ. საათაშვილისა. თბ., 1913.
10646. ბრიე ეჟ. წითელი მანტია. დრამა 4 მოქმ. თარგმ. ივ. პოლუმორდვინოვისა. ამონაჭერი: „ივერიის ბიბლიოთეკა“, 1905, № 3.
10647. ბუვიე. იზა. თარგმ. ი. ჭავჭავაძისა. – ამონაჭრები: „ივერია“, 1879, №№ 3–10. წიგნის ბოლოს გვ. 272: „გაგრძელება იხ. 1880 წლის „ივერიაში“. ი. გრ.“
10648. ბუვიე. იზა. რომანი, თარგმანი ი. ჭავჭავაძისა. თბ., 1892.
- შმუცტიტულზე: „იზა სრულია! ი. გრ“.
- გვ. 40. ხაზგასმულია: „ბრონზის“ მიწერილია: „ბრინჯაოს, გვ. 5“.
- გვ. 57. ხაზგასმულია: „მებრონზე“, არშიაზე წერია: „ბრინჯაოს ოსტატი ვარ. ი. გრ.“
- გვ. 62. მოხაზულია: „რუპმა“, არშიაზე: „რუბი-საათის მეოთხედი ანუ რუპი“.
- გვ. 69. ხაზგასმულია: „ცრემლი მკვდარს არ აღადგენს“, არშიაზე: „ქ-ნ განდგეილს ლექსი აქვს ამ თემაზე „მკვდარს ტირილი ვერ აღადგენს“. ი. გრ“.

გვ. 136. ხაზგასმულია: „ინანა, რომ წიგნი არ დასწვა“, მიწერილია: „ინანა თუ გაეხარდა?“

გვ. 141. აღნიშნულია: „უნდა დაგიჭიროთ“, მიწერილია: „დაპატიმრებული ხართ“.

გვ. 181. სიტყვაში: „ლელწამს“ (ტანსა) „ლ“ შეცვლილია „რ“-დ, გასწვრივ მინაწერი: „ლელწამიც სწორია, ეს ჩემი შენიშვნა არ არის“.

გვ. 294. ხაზგასმულია: „აქმო ჩემთან“, არშიაზე წერია: „კახური თქმა. ი. გრ“.

გვ. 363. ხაზგასმულია: „თანახმა“, მიწერილია: „ხან წერს „თანხმა“.

გვ. 390. 1-ლ სტრიქონში ჩამატებულია: „დამნაშავეს თუ ეძიებთ. ი. გრ.“

ბოლო ფორზაცზე: „კუტრობა, 6, 14, 44, 47 (Банкротство); იწყობა თუ იწყება?, გვ. 6; სადილს უკან, 8; თვითრჯული, 9, ე. ი. კერპი, თავის ნათქვამი; ყოველისფერი, 15; ტაბლა, 39; სტოლი, 146 და 23; პოვოსკა, 25; პარიკმახერი – ქალისა, დალაქი – კაცისა? გვ. 27; რაღა, 34, 176, 419; კუჩერი, 43; აინუნშია, აინუნში, 333–45; დოშაკი, 54, 287; რუპი-რუბი, 62, 77, 279; მკვდარს ტირილი ვერ აღადგენს, გვ. 69; ბიაბრუობა, 72, 576; აბრუ, 77; ბარაქალა, 84; ხანდისხან, 92, თუ ხანდახან?; ვიქმრეა, 110; ბაშკი, 36, 126, 137; დომლული, 136, 659; ჩორსო, 146; ოთხკუთხივ, 284; ბაყალი, 167, 165; ბიჭოს?, 165; სატანციოდ, 181; სელი ყველგან სკამის მნიშვნელობით აქვს ნახმარი; გეში, 186; დახლი, 195; ზარაფი, 197; საქმე დამშია, 198, 368; ეხტიბარი, 199, 200; ძალო, 223; უყიათი, 254; ლაზათიანი, 259; ეტლის მატარებელი კაცი, 278; ლუსკუმა, 372; 283 – ძეგლი? ბიუსტი?; ალაღმა? 462; მებელი – ორხუა, 284; „ბუშის“ თუ ბოშის, 285, 286, 403; ბოხჩა, 309; ბედოვლათი, 320; ამდენი „ეხლა“ (?) გვ. 360; სეკრეტარი, 399; ფრთა წამალში, 405; მიკიტანხანა, 468; ნამჯე თუ ნამჯა?, 507; მახლას, 525; მიჰქარავთ, 607; უცრუენია, 629; „ჯაგლაგა“ არ შეეფერება გუდარს. ნეტა დედანში როგორაა. ი. გრ.; ბალღამი – გულის; საბელი ყელისა; მოისწრაფა; მარქაფა მიჯნურობა, 337; უფსკრულის; გადამეტებით; მიეზიდება – დიდება; დალურსმა; ქართველმა; რუსმა; და სიყვარული დააზოგვინა; შეიფერა; ილიას ძალიან უყვარს სიტყვა „მადლი“, „მადლიანი ღამე“, „მადლიანი ნიჭი“.

გვ. 305–312 ჩამატებულია მანქანაზე ნაბეჭდი ფურცლები, გვერდები დანომრილია. ი. გრ. მიერ.

10649–10655. ბუვიე. იზა. რომანი. თარგმ. ი. ჭავჭავაძისა. თბ., 1959.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1959 წ. 10. II“.

10656. ბურჟე პ. ანდრე კორნელი. თარგმ. გრ. ყიფშიძისა. – ამონაჭრები: „მოამბე“, 1894, №№ 2–6.

10657. ბურჟე პ. ცოდვა სიყვარულისა. რომანი. ტფ., 1894.

ფორზაცზე: „ი. გრ. იბეჭდებოდა „ივერია“-ში, 1886 წ. ი. გრ.“

თავფურცელზე: „მე შევიძინე. ი. გრ. 1916 წ. 1/V“.

ეს წიგნი ვიყიდე და მეორე ეგზემპლარი ვაჩუქე ანის. ი. გრ“.

10658–10659. გერბიდან მ. მაღაროს უფროსი მუშა. დრამა 1 მოქმ. ნ. გოცირიძის თარგმ. ტფ., 1927.

10660. გმირი როლანდი. ძველი თქმულება 3 სურათით. ა. ჯავარიძის მიერ. ივანე როსტომაშვილის საფასით და რედაქციით გამოცემული. ტფ., 1896.

10661. გრაფ. მარსელელნი. მოთხრობა საფრანგეთის XVII საუკუნის რევოლუციის ისტორიიდან. თარგმ. ელ. ანტონოვსკისა. [ტფ.], 1911.

კანზე: „P. S. ფელიქს გრა იყო პროვანსალელი ბელეტრისტი. – ი. გრ. 1911 წ.“

თავფურცელზე მთარგმნელის გვართან: „ბოლოში წერილია ელ. ანტონოვსკიზე. ი. გრ“.

გვ. 3. ავტორის გვარში: „გრასი“ მოხაზულია: „სი“ და მიწერილია: „ამ წიგნის ავტორი არის გრა და არა გრასი, როგორც „ქართულ წიგნშია“ აღნიშნული. ი. გრ. 1943. 10/V“.

გვ. 23. ხაზგასმულია: „როშელსაც“, მიწერილია: „რომელსაც“.

გვ. 35. მოხაზულია: „ოჯახში“, მიწერილია: „ოთახში. ი. გრ“.

გვ. 40. ხაზგასმულია: „ყაწიბზე“, მიწერილია: „ყაწიმი“.

გვ. 63. ხაზგასმულია: „ამბონის“, მიწერილია: „ამბიონი (?) ი. გრ“.

კანის მე-4 გვ.: „შეცდომა – გვ. 9, 22, 23, 33, 35, 38, 63, 100. 107“.

დე-კურსელი პ. იხ. კურსელი პ. დე.

10662. დ’ერვილი ე. უძველეს დროის ბავშვის თავგადასავალი. თარგმ. მ. იაშვილისა. თბ., 1923.

10663. დ’ერვილი ე. უძველეს დროის ბავშვის თავგადასავალი. თარგმ. მ. იაშვილისა. თბ., 1929.

10664. დიდრო დ. რამოს ძმისწული. თარგმ. ფრანგ. ქ. ირემადისა. თბ., 1939.

გაზეთიდან ამონაჭერი რეცენზია ამ წიგნზე, მინაწერით: „კომ“, 1939 წ. № 106“.

10665–10667. დიუმა ა. (მამა). გრაფი მონტე კრისტო. თარგმნა თ. საჯაიამ. წ. 1–6. თბ., 1953–1958.

წ. 1–2. 1953.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1953. 3/XI“.

წ. 3–4. 1954.

ფორზაცზე: „გვ. 89. მეტრაქტორე თუ მეტრახტირე?“. იქვე: „1955, 19/III“.

წ. 5–6. 1958.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1958. 3/IX“.

10668–10669. დიუმა ა. (მამა). სამი მუშკეტერი. [რომანი]. თარგმ. ი. მაჭავარიანმა. [ორ ნაწილად]. ნაწ. 1–2. თბ., 1950–1951.

ნაწ. 1. 1950.

გვ. 15 და 21 ხაზგასმულია: „იმახდა“, მიწერილია: „ამბობდა“.

გვ. 29. ხაზგასმულია: „ესალმებოდა“, მიწერილია: „მიესალმებოდა ან სალამს აძლევდა. ი. გრ“.

გვ. 30. ხაზგასმულია და აღნიშნულია კითხვის ნიშნით „განჯინაში“, მიწერილია: „განჯინაში ტანსაცმელს არა ჰკიდავენ“.

ნაწ. 2. 1951.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1952. 21 იანვარი“.

10670. დიუმა ა. (შვილი). მარგარიტა გოტიე. თბ., 1895.

გვ. 7. ხაზგასმულია: „კაშმერის“, მიწერილია: „ქიშმირი“.

გვ. 8. ხაზგასმულია: „მეხელი“, მიწერილია: „ავეჯი. დგამი“.

- გვ. 115. ხაზგასმულია: „მერე“, მიწერილია: „მეორე“.
10671. დიუშენი ფ. თამილა. რომანი. თარგმ. პ. აბრამიასი. ტფ., 1929.
შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1929. 8/III“.
- გვ. 5. ხაზგასმულია: „ქ. ნ. ხადიდჟას“ და მიწერილია: „ხადიჯე“ – ს. ალბად რუსულად ასე იყო „Хадидже“.
- გვ. 25. ხაზგასმულია: „მკვდრული“, მიწერილია: „სამარისებური“.
10672–10673. დიუშენი ფ. თამილა. რომანი. თარგმ. პ. აბრამიასი. ბათუმი, 1958.
10674–10676. დოდე ა. ბერლინის გარემოცვა. თბ., 1889.
- მეორე ცალის გვ. 4. ხაზგასმულია: „მოსკოვს თითონ რუსებმა ცეცხლი წაუკიდეს და გადამწვარი დაუტოვეს“, მიწერილია: „როგორც ჩვენმა დედოფალმა“.
10677. დოდე ა. კაცუნა. ფრანგ. თარგმნა თ. ქიქოძემ. თბ., 1954.
10678. დოდე ა. [მსხვერპლი. კომედია 3 მოქმ. თარგმ. ინ-ანისა (ივ. ახალშენიშვილი) – ამონაჭრები: „მომბე“, 1903, №№ 9, 10, 11.
10679. დოდე ა. ტარტარენ ტარასკონელი. (მოთხ.). თარგმ. ივ. მაჭავარიანისა. – ამონაჭრები: „მომბე“, 1894, №№ 4–6.
10680. დოდე ა. ტარტარენ ტარასკონელი. თარგმ. ფრანგ. ივ. მაჭავარიანისა. [თბ.], 1931.
10681. დოდე ა. უფროსი ძმა. დრამა 1 მოქმ. – ამონაჭერი: „ცხოვრ. სარკე“, 1908, წ. II.
10682. დოდე ა. წერილები ჩემი წისქვილიდან. თარგმ. გ. ქიქოძისა. თბ., 1940.
- გვ. 81. ხაზგასმულია: „პატარა უფლისწული ავიდა“..., მიწერილია: „ა. შ-ლი“.
- გვ. 128. ხაზგასმულია: „მქარგავები“, მიწერილია: „ყაზაზები“. ხაზგასმულია: „მეუნაგირეები“, მიწერილია: „სარაჯები“.
- ყდის მე-2 გვ.: „მათ, გვ. 97; ჰაიდა, 99; თავზე 103, (ალბად „კოჭის ხე“ უნდა ეთქვას), თავზე არის დიდი ხე რომელზედაც კოჭები აწყვია. ი. გრ; მახლას, 124; 133, არღანი“.
- გაზეთიდან ამოჭრილი შ. კოხოდის რეცენზია ამ წიგნზე, მინაწერით: „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1941 წ. № 21, 26 იანვარი. გ. ქიქოძეს ი. გრ“.
- ყდის მე-3 გვ.: „გვ. 70, 71, შვენის, თუ შეშვენის 130; პოეტი მისტრალი, 98; ემილ ჟერარდენ, 92; დოდრიალა, 130; მიამიტ, 141; საკოჭე თუ დასტანგი, 131“.
10683. დოდე ა. წერილები ჩემი წისქვილიდან. თარგმ. გ. ქიქოძისა. თბ., 1952.
ყდაზე და ფორზაცზე: „ი. გრ. მისტრალი, გვ. 10, 95“.
10684. დოდე ა. წერილები ჩემი წისქვილიდან. მე-3 გამოც. თარგმ. ფრანგ. გ. ქიქოძისა. თბ., 1961.
10685. ეზი პ. ქუჩაში მოვაჭრე ქალი. თარგმ. მ. ქარცივაძისა. თბ., 1906.
10686. ერკმან-შატრიანი. გლეხი კაცის ისტორია. თარგმ. ი. მაჭავარიანისა. ტ. მე-2. 1789 წ. სამშობლოს განსაცდელი. ტფ., 1897.
- 10687–10688. ერკმან-შატრიანი. გლეხი კაცის ისტორია. თარგმ. ი. მაჭავარიანისა. მე-2 გამოც. თბ., 1910.
- ფორზაცზე დაკრულია ივ. მაჭავარიანის პორტრეტი და მიწერილია: „მთარგმნელი ივ. მაჭავარიანი (1863–1943)“. იქვე: „1. 1896, 1899. იხ. „მომბე“. 2. სამ ნაწილად ცალკე გამოვიდა 1897, 1899, წ. წ. 3. 1910 წ. (ეს გამოცემა). 4. სახელგამი, 1931 წ.“

თავფურცელზე მთარგმნელის გვარს მიწერილი აქვს: „გარდაიცვალა 80 წლისა, 1943. 10 მარტს. ი. გრ.“ გაზეთებიდან ამონაჭრები: 1. განცხადება ივ. მაჭავარიანის გარდაცვალების გამო, მინაწერთ: „კომუნისტი“, 1943, 12 მარტი. № 59. 2. Иван Мачавариани. [Некролог]. „Заря“, 1943, № 61. 14. III. 3. ნეკროლოგი „ივ. მაჭავარიანი“, „კომ.“, 1943, № 61, 14 მარტი“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „ი. გრ. 1952. 22. XI“.

10689. ერკმან-შატრიანი. გლეხი კაცის ისტორია. თარგმ. ფრანგ. ი. მაჭავარიანისა. ტფ., 1931.

ყდის მეორე გვერდსა და ფორზაცზე: „1. ბასტილიის ციხეში მხოლოდ მწერლებს ამწყვდევენ და რევოლუციის დროს პირველად ეს ციხე გაანთავისუფლეს აზრის თავისუფლების სიმბოლოდ, გვ. 252. 2. გილიოტინა გვარი ყოფილა, გვ. 292. 3. კორექტურული შეცდომა: გვ. 75, 77, 151, 229, 249, 466, 251, 327, 331, 345, 394, 518, 669, 673, 674. 4. იარაღქვეშ, გვ. 370. სასჯელში მისცა, 375; ლანძღვაში თუ ლანძღვასა, 595“.

ფორზაცზე: „თაბაუთი, 785; თინთლიბაზობა, 362, 368, 793, 827, 828; სალბაში, 8; ბედ-ილბალი, 389 (დუალიზმი); ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი, გვ. 99; რაზა-კოჭაკი, 153; ქუბა, 172; ჩასრულები, (?) 198; ჯარჩი, 226; გოგრობა, 261; იღმურძლება, 400; ფამფალი, 271; სამფერი დროშა, გვ. 291; გაჯიქლება, 347; ბაგირი, 561; ბუდბედი, 584; ლაზლანდარა თუ ლანძღადარა, 392; შოფელი-კალვინისტია, 509; მათუსალა, 812; იძახდა თუ ამბობდა, გვ. 251; ვარი თუ უარი, გვ. 331“.

10690. ერკმან-შატრიანი. გლეხკაცის ისტორია. [თარგმ. ი. მაჭავარიანისა]. თბ., 1956.

10691. ერკმან-შატრიანი. გლეხიკაცის ისტორია. [თარგმ. ი. მაჭავარიანისა]. თბ., 1959.

10692. ვერნი ჟ. კაპიტან გრანტის შვილები. თარგმ. ნ. კურდღელაშვილისა. თბ., 1949.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1949 წ. 8. VII“.

10693. ვერნი ჟ. ოთხმოცი ათასი კილომეტრი წყალქვეშ. მოთხრობა მოზრდილთათვის ორ ნაწილად. თარგმ. ნ. კურდღელაშვილის. ტფ., 1930.

ყდაზე: „ი. გრ. 1933-X-VIII“.

10694. ვერნი ჟ. ოთხმოციათასი კილომეტრი წყალქვეშ. მოთხრობა მოზრდილთათვის ორ ნაწილად. თარგმ. ნ. კურდღელაშვილისა. ტფ., 1937.

10695. ვერნი ჟ. საიდუმლო კუნძული. რომანი. თარგმ. ნ. კურდღელაშვილისა. ტფ., 1936.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1937. 28/I“.

10696. ვერჰარენ ე. რიჟრაჟი. რევოლიუციური ტრაგედია შვიდ სურათად. გადაკეთებული მეიერხოლდისა და ბებუთოვის მიერ. თარგ. ს. ფაშალიშვილისა. ტფ., 1921.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1921 წ. 12 დეკემბ“.

10697-10699. ვოლტერი. ზადიგი (მოთხრობა). თარგმ. ა. ახნაზაროვისა. ოზურგეთი, 1891.

10700–10702. ვოლტერი. უმანკო (მოთხრობა). ფრანგ. თარგმ. თ. სახოკიას მიერ. ტფ., 1892.

მეორე ცალის თავფურცელზე: „დუბლ. ი. გრ. ვიყიდე ბუკ. სუმბათასგან. 1923 წ. 10/II“.

10703. ვოლტერი. ფილოსოფიური მოთხრობები: ზადიგი. კანდიდი. ბაბილონის პრინცესა. თარგმ. რ. დოდაშვილის და ნ. ქადეიშვილის მიერ. თბ., 1949.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1949. 22. IV“.

10704–10705. ზანგი და თეთრი. მოთხრობა. ფრანგ. [თარგმ. ან. წერეთლისა]. (შვიდი სურათით). ტფ., 1896.

მეორე ცალის კანზე: „დუბლ. ეს წიგნი თბილისში არ არის. ი. გრ“.

10706. ზოლა ე. მალაროებში მომუშავენი. (ქვა-ნახშირის მთხრელები). ი. გ. ავალიშვილის ნათარგმნი. გორი, 1913.

თავფურცელზე: „ჩემს ძვირფასს იოსებს ვანოსაგან. 1913. 28/X. იქვე: „ი. გრ. მეორედ გამოვიდა 1927 წ. სახელგამმა დაბეჭდა“.

10707–10708. ზოლა ე. მალაროებში მომუშავენი. [რომანი]. ვ. ავალიშვილის თარგმ. [თბ., 1927].

10709–10710. ზოლა ე. ნანა. რომანი. [თარგმ. ნ. ქადეიშვილისა]. თბ., 1959.

ფორზაცზე: „იბეჭდებოდა. არ დასრულებულა! ჟ. „მოამბეში“, თ. სახოკიას თარგმნით“.

10711. ზოლა ე. სისხლი. (ნინოსათვის ნაამბობ ზღაპრებიდან). მოთხრობა. თარგმ. თ. სახოკიას მიერ. ტფ., 1927.

10712. ზოლა ე. ფული. რომანი. თარგმნა ნ. ქადეიშვილმა. თბ., 1952.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1952. 1/XII“.

წიგნში დევს: 1. ორი ფურცელი ამოღებული ჟურნ. „Вестник иностранной литературы“, გვ. 325–328, რომელშიაც დაბეჭდილია: „Смерть Эмиля Зола“. 2. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1953 წლის 27 აგვისტოს ნომერი რ. დოდაშვილის წერილით „ბურჟუაზიის ბოროტებათა მკაცრი მამხილებელი. ემილ ზოლას „ფული“ ქართულ ენაზე“, მინაწერით: „ფული“. აქ ორი რამეა: რა ქართულია“.

10713. ზოლა ე. წარღვნა. – ამონაჭერი: „მოამბე“, 1894, № 2.

კანზე: „ემილ ზოლა. წარღვნა. თარგმანი ფრანგულით ივ. მაჭავარიანის მიერ. ანის, რომელსაც მოეწონა. ი. გრ. 1941. 14/XI“.

10714. ზოლა ე. წისქვილის დარბევა. [მოთხრობა]. თარგმ. ირ. ქავჭარაძისა. – ამონაჭერი: „მნათობი, 1943, № 4–5.

თავფურცლის მე-2 გვ.: „ჩვენს სოსოს. იროდიონისაგან. 1943 წ. 11 ნოემბ“. იქვე: „რომანიდან „განადგურება“. ეს წიგნი საბლიტგამმა გამოსცა ცალკე 1944“.

10715–10716. ზოლა ე. ხაფანგი. [თარგმ. მ. ციციშვილისა]. თბ., 1956.

ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილის წიგნთსაცავს. მთარგმნელი. 19/IV. 1956“.

მეორე ცალის ყდაზე: „რეცენზიით. ი. გრ“.

გაზეთის ამონაჭრები: „1. ი. ალადაშვილი. ერთი ნაჩქარევი თარგმანის გამო“, მინაწერით: „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1956, № 83, 12 ივლისი. ი. გრ. 2. გერონტი

ქიქოძე „ერთი ნაჩქარევი რეცენზიის გამო“, მინაწერით: „შეუწონლად (გასწორება: „ლიტ. გაზ.“, 1956 № 31). „ლიტერატურული გაზეთი“, 1956 წ. № 30, 27 ივლის. ი. გრ“.

გვ. 67. მოხაზულია ადგილები და მიწერილია: „კარგია, იხ. რეცენზია“.

გვ. 225. მოხაზულია სიტყვები და მიწერილია: „აკლია, ღიმილი, გაშვერილი“.

ყდის მე-3 გვ. მინაწერები: „ხიწიწები (!), გვ. 225; საბაყლო? 231 თუ ბაყლის ბიჭები; მათ, 232; უნდა, 233; გაზეზილი გაყეყილი, ძალიან გამაძღარი, 234; გასცრა, 235“.

10717–10719. ისტრატი პ. ქოჩორა თურინჯი. თარგმ. მ. ჯავახიშვილისა. [თბ.], 1929.

ბოლო ფურცელზე მიწერილია: „არ არის აღნიშნული, შენიშვნები ვის ეკუთვნის მთარგმნელს თუ ავტორს“.

10720–10721. კონსტანი ბ. ადოლფი. ამონაჭერი: „მნათობი“, 1940, № 11–12.

კანზე: „ბენჟამენ კონსტან. ადოლფი. თარგმანი ქეთევან ირემადისა. ი. გრ“.

კანის მეოთხე გვერდზე: „შეცდომა გრამატიკული, 162; ხუსტურა, 164“.

10722. კონსტანი ბ. ადოლფი. თარგმ. ქ. ირემადისა. თბ., 1941.

10723. კოპპე ჭ. შენდობა. დრამა ერთ მოქმ. ბათომი, 1896.

10724–10725. კორნელი პ. სიდი. ტრაგედია 5 მოქმ. თარგმ. გ. სალუქვაძემ.

თავფურცელზე: „ჩემს გულით უსაზღვროდ საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს. გ. სალუქვაძე. 25/II 58 წ. თბილისი“.

მეორე ცალის კანზე: „ი. გრ. გვ. 7“.

10726. კრებიონი ჟ. დე. ფარსმან მეფე ივერიისა. [ტრაგედია. მთარგმნ. გ. გვაზავა]. პარიზი, 1929.

კანზე: „1946 წ. 2/XII – ი. გრ.“

წიგნში ჩადებულია: 1. ამონაჭერი გაზეთიდან „სახალხო მასწავლებელი“, 1947 წ. № 1. ა. გაწერელის სტატია. „ტაციტი, ჰენდელი და საქართველო“, სადაც მოხსენებულია კრებიონი და მისი ტრაგედია. 2. ქალაქი მინაწერით: „ამ თემის გარშემო იხ. ვ. გვახარიას წერილი „ჟ. პ. დე-კრებიონის ტრაგედია ქართულ ენაზე“, იხ. „ლიტ.-საქართველო“, 1955 წ. № 36. 9 სექტ.“

10727–10729. კურსელი პ. დე. ორი ჯიბგირი. პიესა 5 მოქმ. და 7 სურ. თარგმ. ვ. აბაშიძისა. თბ., 1904.

თავფურცელზე: „უძღვნი ამხანაგ ფირუზ მამულაშვილს მირველოვი. 1907 წ“.

კანზე: „ი. გრ. 1922. 8/XI“.

მეორე ცალის კანზე: „ი. გრიშაშვილი. მხოლოდ საჯაროშია. ი. გრ“.

10730–10731. ლაფონტენი. არაკები. გადმოთ. და გადმოკ. ექვთ. ჩიხელიძისაგან. ქუთაისი, 1911.

კანზე: „ეს წინი თბილისში არ არის! ი. გრ.“ იქვე: „ეს ხურჯინი დაიბეჭდა „ჯეჯილში“ და კარგად არის ნათარგმნი“.

10732–10733. მალარმე ს. ლექსები და პროზა. ქუთაისი, 1919.

კანზე: „არც საჯაროს და არც პალატას არ აქვს. ი. გრ“.

10734. მალო. უსახლკარო. მოთხრობა. თარგმ. თ. ხუსკივაძისა. ქუთაისი, 1904.

თავფურცელზე: „ი. გრ. მეორედ გამოსცა სახელგამმა 1936 წ. ი. გრ.“

10735. მალო გ. უსახლკარო. [მოთხრობა. თარგმ. თ. ხუსკივაძისა]. მე-2 გამოც. ახალი რედაქც. ტფ., 1935.

თავფურცელზე: „თარგმანი? თეოფილე ხუსკივაძისა“.

10736–10737. მალო ჰ. უსახლკარო. [მოთხრობა. თარგმ. თ. ხუსკივაძის]. თბ., 1959. ფორზაცზე: „ლეკვერთხი, გვ. 18“.

10738. მერიმე პ. გლეხთა აჯანყება. (ჟაკერია). [თარგმ. რუს. მ. აბრამიშვილისა და კ. გაგუასი. თბ., 1929]. – ამონაჭერი წიგნიდან.

თავფურცელზე: „შემოკლებით თარგმ. რუსულიდან მ. აბრამიშვილისა და კ. გაგუასი. 1929 წ.“

10739–10743. მერიმე პ. კარმენ. [ნოველა]. თარგმ. ა. არსენიშვილის. ტფ., 1928.

კანსა და ფორზაცზე: „ი. გრ. 1928 წ. 15. X“. იქვე: „1. კარლიკი, გვ. 75. 2. ტკბილი კვერცხი და ბუხები, გვ. 54. 3. ფეხმორთხმული იჯდა, გვ. 33“.

გვ. 7. ხაზგასმულია: „ხანდაზმულობისა“, წერია არშიაზე: „ხანდაზმული ნიშნავს მოხუცს“.

გვ. 11. ხაზგასმულია: „მაგრამ ამ მშვენიერ ადგილის აღმოჩენაში პირველობა მე არ მეკუთვნოდა“, არშიაზე: „ფრაზა ეს ზოგადად უნდა გაიმეორონ ც. ყანწელებმა“.

გვ. 24. ხაზგასმულია: „ცხენის თქარა-თქური“, წერია არშიაზე: „ფეხის“.

გვ. 33. ხაზგასმულია: „ოთახის კუთხეში თათრულად ფეხებ მორთხმული მიჯდა“, მიწერილია: „ე. ი. ჯერ მოიკეცა და მერე ისე გადახტა და მიჯდა“.

გვ. 54. ხაზგასმულია: „მოსალამურდა“, წერია არშიაზე: „ჩემი“.

გვ. 75. ხაზგასმულია: „პისტოლეტებიც“, მიწერილია: „ფიშტო“. ხაზგასმულია: „კარლიკს გეგხარ“ ... არშიაზე: „კარლიკ – ქონდრის კაცი“.

გვ. 80. მოხაზულია: „გამოვრჩი“, არშიაზე წერია: „გამოვკვეთდი“.

გვ. 87. ხაზგასმულია: „მუჭებით თეძოებზე დაყრდნობილი“, არშიაზე: „დოინჯ-შემოყრილი“.

10744–10745. მერიმე პ. ჟაკერია. პიესა. გადმოკ. ინ-ბანის მიერ. თბ., 1921.

10746. მერიმე პ. რჩეული ნოველები და კომედიები. თარგმ. გ. ქიქოძისა და არ. ცაგარელისა. თბ., 1949.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1950–23 II“. იქვე: „შეცდომაა, 390“.

10747–10748. მერიმე პ. სულნი სალხინებელისანი. თარგმ. გ. ქიქოძისა. ტფ., 1929.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1939. 24/IV“.

კანზე: „ი. გრ. დონჟუანების თავგადასავალი; ამფსონი, გვ. 15, 38, 57“.

გვ. 6. მოხაზულია: „ჩიჩერონე“ და მიწერილია: „ეთიკი ან ყულაოზი“.

გვ. 10. ხაზგასმულია: „ეს წმინდა ჭურჭელი პირთან მიჰქონდა“, მიწერილია: „ბარძიმი? პირთან?“

გვ. 24. ხაზგასმულია: „იგივე ჰქნა“, მიწერილია: „ასე მოიქცა“.

გვ. 33. ხაზგასმულია: „ხელზე გკოცნით“, მიწერილია: „გემთხვევით“.

გვ. 37. ხაზგასმულია: „საეჭვოა მართლა გაეცოცხლებია“, მიწერილია: „გააცოცხლებდა თუ არა“.

გვ. 61. ხაზგასმულია: „შაშხანა“, მიწერილია: „ცუდი თოფია, პატარა“.

გვ. 79. მოხაზულია: „უძრავ“, მიწერილია: „მოუკუპრავ“.

- გვ. 81. მოხაზულია: „სანამ“, მიწერილია: „ვიდრე“.
10749. მერიმე პ. ტამანგო [მოთხრობა. თარგმ. ჭ. ხუნდაძემ]. თბ., 1957.
- 10750–10751. მერიმე პ. შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა. თარგმნა და განმარტება დაურთო ჭ. ხუნდაძემ. თბ., 1960.
10752. მეტერლინკი მ. დაუპატიჟებელი. დრამა 1 მოქმ. თარგმ. მ. ადამაშვილისა. – ამონაბეჭდი: „ივერიის ბიბლიოთეკა“, 1905, № 2.
- 10753–10754. მეტერლინკი მ. ლურჯი ფრინველი. ფეერია 6 მოქმ. და 12 სურ. თარგმ. გ. ჯაბადრისა. თბ., 1922.
- 10755–10759. მირბო ო. ჟან და მადლენა. დრამა 5 მოქმ. თარგმ. თ. გოგოლაშვილისა. ტფ., [1906].
- მეორე ცალის კანზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ტრიფ. რამიშვილის წიგნებიდან“.
10760. მოლაღური. საყმაწვილო ამბები. ფრანგ. გადმოღ. ა. თუმანიშვილის მიერ. თბ., 1887.
- 10761–19762. მოლიერი. დრამატიული თხზულებანი. ტფ., [1909].
- კანზე გამოცემის ადგილთან: „1909. იხ. ყდის ზურგი“.
- წიგნში ამონაჭერი ჟურნალიდან, მინაწერით: „მოლიერი და ლიხაჩევი, იხ. „Историческ. Вестник“, 1888 წ. ტ. 34. ი. გრ“.
10763. მოლიერი. ეჭვით ავათმყოფი. კომედია 3 მოქმ. – ამონაჭერი: „ივერია“, 1879, № 5–6.
- თავფურცელზე: „ამ პიესის რეცენზია (წარმოდგენა) იხ. „ივ.“, 1879 წ. № 4, გვ. 161. ი. გრ. თარგმანი ივ. მაჩაბლისა“.
- კანზე: „ეჭვით ავადმყოფი“. კორექტ. 58“.
10764. მოლიერი. კომედიების კრებული. თარგმ. შედარებულია ორიგინალთან ი. ქავჭარაძის მიერ. თბ., 1937.
- ფორზაცზე: „ი. გრ. 1937–20–10“. იქვე: „გვ. 368-ზე არის შეცდომა. ასევე შეცდომით იყო დაბეჭდილი „ივერიაში“, 1879, № 5–6, გვ. 58. პ. კემელავას პირდაპირ გადმოუბეჭდია „ივერიიდან“. წინათქმაში კი ამბობს ფრანგულს შევადარეთო. ი. გრ“.
- გვ. VIII. ხაზგასმულია: „კომედია“ „პრანჭია ქალები“ ძველად გამოსცა „სორაპანმა“, მიწერილია: „ვასო აბაშიძის წინადადებით დაიბეჭდა“.
- გვ. 131. დაბეჭდილია: „ძუნწი“, მიწერილია: „კრიჟანგი“.
- გვ. 368. მოხაზულია: „ტუნეტი“, მიწერილია: „პიურგონი“, გვ. 438“.
- გვ. 425. ბოლოს, ცნობები დიმიტრი ყიფიანზე. მოხაზულია და მიწერილია: „დანარჩენი?“
- გვ. 426. ცნობას აკაკი წერეთლის შესახებ მიწერილი აქვს: „თავის თარგმანში თვითონაც თამაშობდა მოლიერის კომედიებში, ნიკო ავალიშვილიც თამაშობდა კარგად ვასოს გამოჩენამდე“. ხაზგასმულია: „ჟორჟ დანდენი“... მიწერილია: „იხ. აღმანახი. გ. თუმანიშვილი? ს. მესხი?“
- გვ. 434. „ხაზგასმულია: „ქართულად იგი რამდენჯერმე დაიბეჭდა, მიწერილია: „ივერია“. ხაზგასმულია: „1928 წელს იგი დაიბეჭდა სასკოლო სერიაში“, მიწერილია:

„მ. აბრამიშვილის რედ“. ხაზგასმულია: – „მაგრამ კომედიის ყველა ადგილის შევსება შეუძლებელი იყო“, მიწერილია: „რატომ?“

გვ. 437. ტექსტთან მიწერილია: „მაშ რატომ, კრიჟანგი არ დაუტოვებთ ძუნწს, როგორც ივანე მაჩაბელს ჰქონდა“.

გვ. 441. მოხაზულია პირველი აზვანი და მიწერილია: „ამაზე აკაკისაც აქვს წერილი“.

სარჩევში დაბეჭდილ კომედიების სათაურებთან მიწერილია მთარგმნელთა გვარები. ყდის მე-2 გვ. გაზეთიდან ამოჭრილი პ. კეშელავას სტატია „Мольер на грузинской сцене“, მინაწერით: „Заря Востока“, 1938, 18 იანვარი“.

10765. მოლიერი. სგანარელი ანუ ქმარი რომელსაც ჰგონია ცოლი მღალატობსო. კომ 1 მოქმ. თარგმნილი ფრანციულით ელ. ყიფიანისაგან. [თბ. 1871]. – ამონაბეჭდი ჟურნ. „მნათობიდან“, 1871, მაისი.

10766. მოლიერი. სკაპენის ცულუტობა. კომედია. [ა. წერეთლის თარგმანი]. – ამოღებულია წიგნიდან: აკაკი წერეთელი. თხზულებანი, ტ. 5. 1949.

10767. მოლიერი. ტარტიუფი ანუ მუზმუხელა. კომედია 5 მოქმ. [თარგმ. ივ. მაჭავარიანისა] – ამონაჭრები: „მომბე“, 1901, № 1, 2.

აკინძულია წიგნთან: ერვიე პ. „ბრწყალები“.

10768. მოლიერი. ტარტიუფი ანუ მუზმუხელა. კომედია 5 მოქმ. თარგმ. ივ. მაჭავარიანისა. – გადმობეჭდ. ჟურნალ „მომბედან“. ტფ., 1901.

10769. მოლიერი. ძალათ ექიმი. კომედია 2 მოქმ. [გადმოკეთებული ოქრო ერისთავისა].

თავფურცელზე: „მოლიერი“. შევადარე, მოლიერიდანაა გადმოკეთებული, თარგმნა გ. ერისთავის ძმამ. დაიბეჭდა იხ. „ცისკარი“, 1866 წ. ივლისი. იქ არ აწერია ვისია. გადმოკ. ოქრო ერისთავისა. იხ. გ. ერისთავის თხზ. გვ. LXIX. დ. ერისთავის სიტყვით ეს პიესა გადმოუკეთებია ივ. ერისთავს. იხ. „დროება“, 1874 წ. № 409. ივ. ერისთავი, იგივე ოქრო. ეს პიესა ხელმეორედ თარგმნა ფატი გოკიელმა და წარმოდგენილი იქნა მარჯ. თეატრში. 1936. დეკემბ“.

ბოლო ფურცლის მე-2 გვ.: „ამოღებულია გ. ერისთავის II ტომიდან. 1867 წ. გამოც“.

10770. მოლიერი. ძუნწი. – ამოღებულია წიგნიდან: მ. აბრამიშვილი და მ. გაგუა მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშები. წ. 1. თბ., 1929.

სათაურთან: „[კრიჟანგი] თარგმანი ქართველი სტუდენტებისა ფრანგულიდან. 1880 წ. (იხ. „ივერია“) – ი. გრ“.

10771. [მოლიერი. პიესები].

ი. გრიშაშვილის მიერ ჟურნ. „მომბე“ და „ივერიიდან“ ამოჭრილი და აკინძული ერთად.

ყოველ ამონაჭერს მიწერილი აქვს, თუ საიდან არის ამოჭრილი.

10772. მოპასანი გ. ლამაზი მეგობარი. რომანი თარგმ. მ. ჯავახიშვილისა. [თბ.], 1931.

ფორზაცის მე-2 გვერდზე: „ქართულ სიტყვის ოსტატს სოსო გრიშაშვილს. მ. ჯავახიშვილი. 14/XII-31“. იქვე გაზეთიდან ამოჭრილი გი დე მოპასანის სურათი.

თავფურცელზე: „ი. გრ. 15/XI შენიშვნები ბოლოში“.

სათაურის გვერდზე მიწერილია: „კარგი მეგობარი“. ხაზგასმულია: „თარგმანი ფრანგულით“ და მიწერილია: „მეექვება, იხ. შენიშვნები ბოლოში. ი. გრ“.

დასაწყისში ჩაკრულია ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „მწერალთა სახლში ამ თარგმანზე საჯაროთ ვეკამათე“.

გვ. 185. ხაზგასმულია: „1884 წელს პეტერბურგში გამოვიდა ბებურის თარგმანი“ და მიწერილია: „ბებურიშვილი“.

გვ. 186. ხაზგასმულია: „გულბათის“ და მიწერილია: „ოლგა გრუზინსკი“.

გვ. 429. ხაზგასმულია: „გურამიშვილი აფორიზმების შექმნის დროს ფოლკლორულ საგანძურს ემყარება“, მიწერილია: „პირიქით. ი. გრ“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „მე“ 64, 149, 156, 202, 429, 438“.

გაზეთიდან ამოჭრილი ბ. გვასალიას რეცენზია ამ წიგნზე, სათაურით „საინტერესო წიგნი“. მიწერილია: „საბჭოთა აფხაზეთი“, 1947, № 64, 1 აპრილი.“

11345. ჩიქოვანი მ. ქართული ხალხური პოეზიის კლასიფიკაციისა და გამოცემის პრინციპების შესახებ. თბ., 1962.

წიგნში მოსაწვევი ბარათი ი. გრ. სახელზე ხალხური შემოქმედების ჟანრების შემსწავლელი საპრობლემო-საკოორდინაციო საბჭოს მე-3 სამეცნ. კონფერენციაზე დასასწრებად.

11346–11347. ჩიქოვანი მ. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. თბ., 1952.

თავფურცელზე: „ჩვენი პოეზიის დამამშვენებელს, შესანიშნავ ადამიანს ბ-ნ იოსებ გრიშაშვილს, ღრმა პატივისცემით ავტორი. 12. III. 53 წ“.

11348. ჩიქოვანი მ. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. ახალი შეესებ. და შესწორ. გამოც. თბ., 1956.

11349. ჩიქოვანი მ. ხალხური ვეფხის ტყაოსანი. გამოკვლევა, ტექსტები და ლექსიკონი. პროფ. ა. დუდუჩავას რედ. და წინასიტყვ. ტფ., 1936.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1936. 19. IX. 1. შეცდომა, 129 და 277. 2. 280. 3. 376“.

გვ. XII. ხაზგასმულია: „დღემდე არც ერთ ავტორს არ მოუცია დასაბუთებული გამოკვლევა და ცალკე შრომა „ხალხური ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ“, მიწერილია: „ვ. კოტეტიშვილი, მ. კელენჯერიძე“.

გვ. 129. მოხაზულია: „ნეკნი, ფერცხალი“ და მიწერილია: „ფერცხალი – გვერდის წიბო. (საბა, დაბადებიდან)“.

გვ. 136. ხაზგასმულია: „პლატუქი“, მიწერილია: „რუსული“.

გვ. 181. მოხაზულია: „ყონალი-ღამის გასათევი თავშესაფარი“, მიწერილია კითხვის ნიშანი და „სტუმარი“.

გვ. 183. განყოფილება „პოეზია“-ს მიწერილი აქვს: „ზევით რაც არის ის პოეზია არ არის“.

გვ. 249. ხაზგასმულია: „იუნჯებდით“, მიწერილია: „უნჯი“.

გვ. 261. შენიშვნებში მოხაზულია პირველი ვარიანტი და მიწერილია: „აკლია: სად არის შოთას საფლავი, წავიდეთ სამეზნელადა“ და სხვ“.

გვ. 262. პირველ აბზაცს ეხება მინაწერი: „დაიბეჭდა აგრეთვე ეპ. კირ. და გ. ყიფშ. სიტყვ. თეორიაში“.

გვ. 263. შენიშვნებში მე-16 ვარიანტი მოხაზულია და მიწერილია: „იხ. ია კარგარეთელის წიგნი“.

გვ. 265. მოხაზულია მეორე აბზაცი, მიწერილია: „იხ. ასეთივე ლეგენდა ა. ხახანაშვილის ჩაწერილი: „თეატრსა და ცხოვრებაში“.

გვ. 266. ხაზგასმულია: „ამარი, 212 – მეტისმეტად თამამი ქალი, ავი, მოუსვენარი“, მოხაზულია „ქალი“ და მიწერილია: „ქალი რა შუაშია?“ იხ. გვ. 212“.

გვ. 270. ხაზგასმულია: „ზარიფი, 252“, ტანო, ზარიფად ნაზარდო“, მიწერილია: „ახსნაა“.

გვ. 276. ხაზგასმულია: „უნჯი“, 249 – უტყვი „საქონელი“ (საბა)“, მიწერილია კითხვის ნიშანი. იქვე: „მუნ იუჯებდით სად ღმერთი დასდგავს სიმართლის კარავსა. (249)“.

გვ. 277. ხაზგასმულია: „ფერცხალი, სწრაფი, მოუთმენელი, საჩქარო“. დასმულია კითხვის ნიშანი და მიწერილია: „ფერცხალი-გვერდის წიბო. იხ. საბა, გვ. 315. ძველი გამოც. ასევე აქვს გიორგი ერისთავს „დაუდგრომელი დედაკაცო კაცის ფერცხალო“, იხ. „დავა“ გამოსვლა მერვე. მოქ. III“.

გვ. 278. ხაზგასმულია: „ყონადი, 181-დამის გასათევი ბურული სოფლის გარეთ“. მოხაზულია „ბურული“ და მიწერილია: „ასახსნელია“. არშიაზე მიწერილია: „ყონადი-სტუმარი“.

გვ. 279. ხაზგასმულია: „ჩიყურთურმაჯება, 73-ხელი ჩავიყურთურმაჯე“, მიწერილია: „ახსნა?“

გვ. 281. ხაზგასმულია: „ხურუები, 185. გვ. – ხუროები, ოსტატები“, მიწერილია: „რის ოსტატები?“

გაზეთებიდან ამონაჭრები: „1. ცნობა ამ წიგნის გამოცემის შესახებ, მინაწერით: „მუშა“, 1936 წ. 4/IX“. იქვე მიწერილია: „კიდევ: „ლიტერატ. საქართველო“, 1936, № 15“. 2. ს. ყაჯარდუზოვის რეცენზია, მინაწერით: „ახალგ. კომ.“, 1936, 18 დეკემბ“. 3. მ. ჩხენკელის რეცენზია, მიწერილია: „კომუნისტი“, 1937, № 95, 26 აპრ“. 4. კოლექტიურ ავტორთა წერილი „შოთა რუსთაველი და ხალხური შემოქმედება“, მინაწერით: „კომ“, 4 ივლისი, 1937“. 5. მ. ჩიქოვანის „წერილი რედაქციის მიმართ“, მინაწერით: „მუშა“, 1937, № 25, 31. 1“.

11350. ჩიქოვანი მ. ხალხური ვეფხისტყაოსანი. გამოკვლევა, ტექსტები და ლექსიკონი. პროფ. ა. დუდუჩავას რედ. და წინასიტყვ. მე-2 გამოც. თბ., 1937.

11351. ჩიხელიძე ე. შაირი პოლიტიკურ ჭიდაობაზე ანუ მოძრაობის შაირი. (ძველი და ახალი თაობის დატაკება). ქუთაისი, 1911.

კანზე: „არ არის აწერილი „ქართულ წიგნში“. ი. გრ“.

11352. ცაიშვილი ს. ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში. თბ., 1942.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილს – გიყვარს ტფილისი – ირაკლივით მუდამ მშფოთარი“. ს. ცაიშვილი. 5. IV. 42“. და გაზეთიდან ამოჭრილი ცნობა ამ წიგნის გამოცემის შესახებ, მინაწერით: „კომ“, 1942, № 107, 17 ივლისი“.

11353. ცაიშვილი ს. თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში. თბ., 1943.

თავფურცელზე: „პოეტს-ოქროპირს ი. გრიშაშვილს, თამარს რომ ეტრფიალება მუდამ. ს. ცაიშვილი. 14. VI. 44“.

11354–11356. ცაიშვილი ს. თბილისი ხალხურ შემოქმედებაში. [რედ. ი. გრიშაშვილი]. თბ., 1958.

კანზე: „1958. 8 ოქტ“.

გვ. 59. ლექსის „თბილისის გაოხრებაზე“ ბოლოს მიწერილია: „ფერშანგიშვილი“.

11357. ცანავა ა. სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში. თბ., 1960.

ფორზაცზე: „საქართველოს ბულბულს ჩვენს საამაყო მეცნიერსა და მამულიშვილს ძვირფას სოსოს ავტორისაგან. 17–XI–60 წ“.

- 11358–11359. ცანავა ა. ქართული მესტვირული პოეზია. თბ., 1953.
ფორზაცზე: „დიდ პოეტსა და მოქალაქეს პატივცემულ იოსებ გრიშაშვილს მოწიწებით ავტორისაგან. 14. V. 54 წ“.
11360. ცანავა ა. ქართული მუშათა რევოლუციური პოეზია 1905–1907 წლებში. თბ., 1956.
კანზე: „ჯორჯიაშვილი, 24.“
გვ. 36. მოხაზულია ლექსის სტრიქონები, მიწერილია: „შ. მღვ.“
11361. წინასწარმეტყველება ბრძოლისიანისა. აღთქმის ქვეყნისაკენ. ტფ., 1917.
11362. წიქარა. ხალხური ზღაპარი. ი. ვ. ტოროტაძისა. თბ., 1952.
გვ. 8. მინაწერი ილუსტრაციაზე: „ეს ალვის ხეა?“. წიგნში დევს გაზეთიდან ამონაჭერი თ. იზაშვილის წერილი „უპასუხისმგებლობა საბავშვო ზღაპრების გამოცემის საქმეში“, მინაწერით: „კომუნისტი“, 1952, № 92, 22 აპრილი“.
11363. ჭემმარიტი დედა სალომე თავდგირიძის ქალი. Кутаис, 1896. [კანზე: 1897].
11364. ჭინჭრაქა. [ზღაპარი. თბ.], 1945.
- 11365–11368. ჭიჭინაძე ზ. თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთ ზეპირის ცნობებით. მე-4 გამოც. თფ., 1911.
კანზე სათაური: თამარ მეფე ზეპირის ამბებით.
- 11369–11372. [ჭიჭინაძე ზ.] ზ. ჭ. საქართველოს მეფე და ორი გლახა ანუ ბაგრატოვანთ გვირგვინი. [ლეგენდა]. მე-3 გამოც. ტფ., [1897].
11373. ჭიჭინაძე ზ. საქართველოს მეფე და ორი გლახა ანუ ბაგრატოვანთ გვირგვინი. ყვირილა, 1901.
- 11374–11375. ჭკუა სჯობია სიმდიდრესა ანუ საუკუნო სუფრა. (ზღაპარი). თბ., 1898.
თავფურცელზე: „თბილისში საჯაროშია მხოლოდ. ი. გრ“.
- 11376–11377. ხალხური აბრამის და იობის ლექსი. შეკრ. და გამოც. ს. მერკვილაძისაგან. ტფ., 1903.
- 11378–11380. ხალხური ვეფხისტყაოსანი შეკრებილი ს. მერკვილაძისაგან. თბ., 1905.
თავფურცელზე: „ჩვენს ძვირფასს მგოსანს სოსო გრიშაშვილს. უღრმესის პატივისცემით სოსიკო მერკვილაძისაგან. 23 თებერვალი 1930 წელი. დედაქალაქი ტფილისი“.
- კანზე ხაზგასმულია: „სოსიკო მერკვილაძისაგან“ და მიწერილი: „აქედან არის სიტყვიერების ისტორიაში დაბეჭდილი“.
- გვ. 3. ხაზგასმულია: „ჯოგოლა არაბელისაგან, ჩირდილში, ხევსურეთში“ და მიწერილია: „1889 წელს“.
- კანზე მერკვილაძის შენიშვნა: „პირველად დავბეჭდე გაზ. „ივერიაში“ დაახლოვებით ოთხმოცდაათიან წლებში. სოსიკო მერკვილაძე“.
- 11381–11382. ხალხური ანდაზები და გამოცანები. შეკრ. და გამოც. ს. მერკვილაძისაგან. თფ., 1898.

11383–11389. ხალხური ზღაპარი. შეკრ. და გამოც. ს. მერკვილაძის მიერ. გამოც. № 5, ქუთაისი, 1902.

11390–11398. ხალხური ზღაპრები: ორი ქოსა-ტყუილა. – ბიჭია მენახირე. – მეფე და სკვინჩა. შეკრ. და გამოც. ს. მერკვილაძის მიერ. ქუთაისი, გამოც. № 6, 1902.

კანზე: „ი. გრ. გასწორებულია. ცენზორის მიერ აკრძალული სტრიქონები, გვ. 28“.

გვ. 28. დაბეჭდილია: „ხანი“ ს. მერკვილაძის ხელით გასწორებულია: „მეფე“.

გვ. 28–29. ს. მერკვილაძის მინაწერი: „ცენზორმა ჟურნალმა წაშალა ზღაპრებში ზოგიერთი სიტყვები. ჩაუმატა თავისი. ზოგს ვასწორებ ისე, როგორც ხალხი ლაპარაკობდა“.

გვ. 31. შესწორებულია ოთხი სიტყვა, მიწერილია: „დედანთან სწორია. სოსიკო მერკვილაძე“.

11399. ხალხური ზღაპრები. შეკრ. აღნიაშვილის მიერ. წ. 1. თბ., 1891.

კანსა და თავფურცელზე: „იშვიათია! ი. გრ“.

11400. [ხალხური ლექსები. ამოჭრილია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულიდან „ძველი საქართველო“, ტ. 2. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1913].

11401. ხალხური ლექსები და ზღაპრები. შეკრ. გ. ნათაძის მიერ. ს. ხუციშვილის რედ. თბ., 1950.

წიგნის ბოლოს გაზეთიდან ამოჭრილი დ. ქუმსიაშვილის რეცენზია „Песни и сказки грузинского народа“, მინაწერით: „Заря Востока“, 1950, № 116, 3 ივნისი“.

11402. ხალხური ლექსების და შაირების კრებული. შედგ. პ. მ-ს მიერ. ტფ., 1928.

11403–11404. ხალხური მესხური ლექსები. შეკრ. და გამოც. (მესხი) კონსტანტინე გვარამაძისაგან. თბ., 1904.

11405. ხალხური პოეზია. რჩეული. შეადგინეს ა. გომიაშვილმა და რ. გვეტაძემ. თბ., 1950.

გვ. 4. ლექსის „სტალინ“ ბოლოს მიწერილია: „ქადაგიძე(?)“.

გვ. 15. ლექსს „იმ შენი მშობლის ჭირიმე“ მიწერილი აქვს: „ა. თევზაძე“.

გვ. 25. ლექსის „მოგესალმებით, ცის მნათხო“ უკანასკნელ სტროფს მიწერილი აქვს: „ეს ხალხური არ არის“.

გვ. 565. რედაქციის შენიშვნაში მესამე აბზაცს მიწერილი აქვს: „აკაკიმ ჟურნალიც კი დააარსა“.

11406. ხალხური საბავშვო ლექსები. შეკრ. ქ. სიხარულიძის მიერ. თბ., 1939.

კანზე: „ალიტერაცია, გვ. 5. ი. გრ“.

გვ. 5. ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „ნაღარია“, და „აღარა“, მიწერილია: „შინდი?“

11407–11410. ხალხური სიტყვიერება. მ. ჩიქოვანის რედ. ტ. 1–4. თბ., 1950–1954.

ტ. 1. თანამედროვე ქართული ხალხური პოეზია. 1950.

ტ. 2. ქართული ხალხური ზღაპრები. 1952.

ტ. 3. ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი. 1953.

ფორზაცზე: „ი. გრ. 20/V“.

ტ. 4. ეთერიანი. მ. ჩიქოვანის რედ., შესავალი წერილითა და შენიშვნებით. 1954.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1954. 20/V“.

11411–11412. ხალხური სიტყვიერება. ე. თაყაიშვილის რედ. წ. 1-ლექსები, ანდაზები, სიტყვის მასალა და გამოცანები. (ამოღებულია „ძველი საქართველოს“ I, II და III ტ.). 1 ფ. პორტრ. თბ., 1916.

თავფურცელზე: „რაჟბადინ და ირაკლი, 169. 1. ლევანი-მტევანი, 335. 2. ღოღო, 349. 3. დედავ-რაო, 343 და სხვ. 4. თავგ-კატის ომი, 336; 5. ციება და მანანა, 322. ნატო გაბუნის მამა, 263; პატარძალო-პატარძალო, (მესტ.) 251; სომხები და ქართ., 241; ყაჩაღები გორში, 237; სტალინის დედის ლექსი, 241; ინგლისი და რუსეთი, 9; ხალხური „ვ. ტყ“; მამულა, 419, 420; მახოხი, 143. 1. ბარიათინსკის ქება, გვ. 184. პასკევიჩის ქება, გვ. 445. 2. იავნანა პოეტებმა აიღეს აქედან, გვ. 95, 371, 374, 389, 276. 3. გორსა სჯობს, 222 (3), 369, 356, 355, 351. 4. გორი და ბეითალი, 343, 283“.

გვ. 2. ხაზგასმულია: „იზინდრითაო“, მიწერილია: „საზანდარი?“

გვ. 4. მოხაზულია: „მარშია“, მიწერილია: „უნდა იყოს მამია (წულა-მესტი) ი. გრ“.

გვ. 20. ხაზგასმულია: „ბურსოული“, მიწერილია: „ბურსეული. (ქ. ბრუსში ნაქსოვი)“.

გვ. 131. მოხაზულია სტრიქონი: „ნეტავი ერთი მანატრა“, მიწერილია: „მე გამიგია: „ნეტავი ნატვრა მანატრა. ი. გრ“.

გვ. 157. მოხაზულია სტრიქონი, მიწერილია: „ნავში მჯდომი მენავეს არ ეჩხუბებაო. ი. გრ“.

გვ. 190. შენიშვნა მოხაზულია, მიწერილია:

„ეს ციციშვილი ზაქარი,
ღმერთო მიეცი ზარალი,
ჯერ სამჯერ გაუყიდივარ
კიდევ დამეძებს: სად არი
ი. გრ. 1936“.

გვ. 285. ხაზგასმულია შენიშვნა, მიწერილია: „საბა, ჩუბ“.

გვ. 287. მოხაზულია № 681 სტროფი, მიწერილია: „ია კარგარეთელი“.

გვ. 305. მოხაზულია № 855 სტროფი, მიწერილია: „იხ. საიათნოვა“.

გვ. 345. № 1116 სტროფში ხაზგასმულია სიტყვები: „ლეკრი“ და „ბათალია“, მიწერილია: „ექიმი“ და „ბეითალი“.

გვ. 356. ხაზგასმულია 1–3 სტრიქონი, მიწერილია: „ალიტერაცია. ი. გრ.“

გვ. 364. მოხაზულია № 1258 სტროფი, მიწერილია: „საიათნ“.

გვ. 390. № 75 სტროფში მოხაზულია სტრიქონები, მიწერილია: „გ. გვაზავა“.

ლექსიკონში, გვ. 16. მიწერილია: „ვეფხისტყაოსანი, გვ. 361; ქართველი მოლა მასრადინა, გვ. 232“.

11413. ხალხური სიტყვიერება. ე. თაყაიშვილის რედ. წ. 2 – ზღაპრები. (ამოღებულია „ძველი საქართველოს“ I და IV ტომიდან). თბ., 1918.

11414. ხალხური სიტყვიერების მასალები. შუკრ. ჯ. სონღულაშვილის მიერ. თბ., 1955.

ფორზაცზე: „ამ წიგნის რეცენზია (გ. ჯიბლაძე). იხ. „ახალგაზრდა კომუნისტი“. 1956 წ. № 11, 26 იანვ“. იქვე: „ხვედა, გვ. 278; რაც გინახავს, ვედარ ნახავ, გვ. 125. 1.

პეტრე ბატონის ლექსები (ა. ცაგარელის), გვ. 125. 2. ანტ. განჯისკარელის ლექსი, გვ. 168“.

გვ. 271. ხაზგასმულია: „დავეხსნათ ჭორის კრეფასა“, მიწერილია: „ა. ჭ.“.

გვ. 275. ხაზგასმულია: „ზარაფი – ფულის მოსაჭრელი სახელოსნო“, მიწერილია კითხვის ნიშანი.

გვ. 277. ხაზგასმულია: „კული“, მიწერილია: „მონა“. ხაზგასმულია: „საქაშე“, მიწერილია: „შაქეშა“. ხაზგასმულია: „სვინა – შვილის მომნათლავი“, მიწერილია კითხვის ნიშანი. „ტახტარი“, მიწერილია: „ტახტა“. სიტყვა „ტოლადის“ – განმარტებაში: „მხედრის წვივსახვევი“. „მხედრის“ გადაშლილია. სიტყვა „ურწანას“-ს მიწერილი აქვს: „ბალახია“. „ჭარუმადათი – ერთადერთი შვილი“, მიწერილია: „დედისერთა“.

გვ. 279. ხაზგასმულია: „ხვედა – ხის კვერი“, მიწერილია კითხვის ნიშანი.

11415. ხალხური სიტყვიერების მასალები. შეკრ. ჯ. სონდულაშვილის მიერ. თბ., 1957.

ყდასა და ფორზაცზე: „ი. გრ. 1957. 31/VII“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ფუთლუხი, 212; მე-გვ. 231“.

11416. ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. – ამონაჭერი აკაკის „კრებულიდან“, 1899, № 2; 1900, № 3–4.

გვ. 45. ხაზგასმულია: „გამოცანები სოფ. არგვეთაში ჩაწერილი, (მისივე)“. მიწერილია: „ა. მერკვილაძის“.

11417–11421. ხალხური შემოქმედება. წ. 1–2. [თბ.], 1928.

წ. 1. მზისა და მთვარის კულტი. – ღვთაებათა უფროს-უნცროსობა. – ბრძოლა აქილესისა ჰექტორთან. მითი პრომეთეზე – ამირანი. – ბილინა სვიატოგორზე.

წ. 2. ხალხური ლირიკა. ზღაპრები და ნიმუშები მწერლობიდან. 1928.

11422–11423. ხელმწიფის ქალი და კარხმალაჯი. ზღაპრული მოთხრობა. თბ., 1901.

11424. ხინთიბიძე ა. ქალი, როგორც აღმზრდელი და მოქალაქე ქართული ფოლკლორის მიხედვით. თბ., 1956.

კანის მეორე გვერდზე: „საყვარელ ქართველ მწერალს, მკვლევარსა და მეცნიერს ი. გრიშაშვილს, უღრმესი პატივისცემით. ავტორი. 1957, 6. IV“.

11425. ხორველის ლექსი და სხვადასხვა მესტვირული ლექსები. არსენას ლექსი. მე-2 გამოც. შეკრ. მ. ახპატელოვისაგან. თბ., 1890.

11426. ხორველის ლექსი და სხვადასხვა მესტვირული ლექსები. არსენას ლექსი. გამოც. მე-6. შეკრ. მ. ახპატელოვისაგან. თფ., 1895.

კანზე: „ეს უფრო მჭირია. ი. გრ“

11427. ხორნაული ვ. ფშაური მილექსებანი. თბ., 1939.

11428. ხოსროვ შაჰი და მისი შვილი მირიანი. (ზღაპრული მოთხრობა). თბ., 1901.

კანზე: „მირიანიანი. 1900 წელს მეორედ გამოსცა ალექსანდრე ზარგაროვმა. 1896. გამოსცა თ. ტატიშვილმა“.

11429. ხოტენოვი ვ. და ოქოევი ს. ლექსები თამარ მეფისა, დავითისა, ზაგრატისა. ბრძოლა ზაგრატისა იმიერებთან, მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეთოთხმეტე

საუკუნეში, ახალი ლექსები იმიერებზედ, ობოლ უიღბლო ქალებზედ და ცრუ კაცებზედ. ტფ., 1880.

11430. ხრისტაგანი და ბელთაგანი ტარიელების არაკი (ხალხური ზღაპარი). [ჩაწერილი ი. ყიფშიძის მიერ]. – ამონაჭერი ჟურნ. „ნაკადული“-დან, 1915, № 9–10.

11431. ჯანელიძე დ. დიადი ოქტომბერი ქართულ ხალხურ შემოქმედებაში. – ამონაჭერი ჟურნ. „ჩვენი თაობა“-დან, № 10.

გვ. 89. დასაწყისში წარწერა: „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკას ავტორისაგან. 1938 წ.“.

11432–11433. ჯაფარიძე ტ. ხალხური სიტყვიერება. გამოცანები. ქუთაისი, 1936.

კანზე: „ი. გრ. 1936. 29/XII“.

გვ. II. ხაზგასმულია: „ცალკე კრებულად კი ჯერ არ გამოსულა“, მიწერილია: „ეეე! იხ. რაფ. ერისთ., ს. მერკვ“.

სხვადასხვა ხალხების ზეპირი სიტყვიერება

(გამოკვლევები და შენიშვნები)

11434. ავღანური ჰიქაიათები. [თარგ. ვ. ლაფერაშვილისა]. თბ., 1958.

11435–11437. აზიის მნათობი. ინდოელების თქმულება. რუსულიდან. ტფ., 1905.

11438. ალადინი. (ფრანგულიდან). თარგმ. ვ. ბარნოვის. – ამონაჭერი ჟ. „ჯეჯილიდან“, 1890, № 4.

11439–11440. ალიბაბა ანუ ორმოცი ყაჩაღი. (აღმოსავლური ზღაპარი). თარგმ. ი. გრიშაშვილისა. – ამონაჭერი ჟურნ. „ოქტომბრელი“-დან, 1937, № 9, 10.

11441–11443. ალი ბაბა და ორმოცი ყაჩაღი. (აღმოსავლური ზღაპარი). თარგ. ი. გრიშაშვილისა. თბ., 1940.

კანის მე-4 გვერდზე: „სახ. ძვირფასო თედორე (ხომასურიძე) ეს ჩემი კარგი წიგნი შეინახე სახსოვრათ. შენი ძმა ერასტი ხვედელიანი“.

წიგნში კონვერტი, რომელზედაც წერია: „ეს ჩემს მიერ ნათარგმნი წიგნი ვიყიდე საბურთალოს ბაზარზე. (კვირა. 1949. 30 ოქტომბერი).

– რა მოგცე? – ვკითხე გამყიდველს.

– ხუთი მანეთი.

– მანეთი რომ აწერია?

– მერე რა? სად იშოვი? კარგი წიგნია. ეს წიგნი, ფრონტზე რომ ვიყავი, მეგობარმა ჯარისკაცმა (ხვედელიანმა) მისახსოვრა.

– შენ რა გვარი ხარ?

– ხომასურიძე.

– ინებე ხუთი მანეთი. – მივეცი და ჩემს არხივს შევწირე. ი. გრ“.

11444. ამბავი ჩინეთის ხელმწიფისა. ტფ., 1896.

კანსა და თავფურცელზე: „მირიანი“. – ი. გრ.“

გვ. 19. ხაზგასმულია: „ამან“, მიწერილია: „ამან – სახელია“.

11445. ანეგდოტები და მოლა მასრადინა. ქუთაისი, 1926.

11446–11447. ანეგდოტები და მოლა მასრაძინა. ბათუმი, 1927.

11448–1449. აფხაზური ზღაპრები. შეადგ. და დაამუშავა ხ. ბლაჭბამ. [თარგმნა პ. წერეთელმა. თბ.], 1956.

ფორზაცზე: „გულადი ნაზარას“ მსგავსი ზღაპარი, 137“.

11450. აშულ-ყარიბი. ზღაპარი. ნათარგმნი ა. დ. კა-ვის მიერ. [ქ. ა., წ. ა.].

კანზე: „ეს წიგნი არ გამოსულა. ი. გრ. იბეჭდებოდა 1913 წელს“.

მე-2 ფურცელზე: „ეს მოთხრობა გასასყიდად აღარ გამოსულა, ომი დაიწყო და ქალაქი ვეღარ იშოვა მთარგმნელმა. ეს მოთხრობა ლერმონტოვის კალამს არ ეკუთვნის ნათარგმნია სომხურიდან. ი. გრ“.

11451. ბედის ჩიტი. სპარსული ხალხური ზღაპრები. [სპარ. თარგმ. კ. ტაბატაძემ]. თბ., 1960.

გვ. 10. ხაზგასმულია: „ხელისმომკიდედ“ და მიწერილია: „მდადე“.

11452. გასაცინარი ანეკდოტები ხოჯა მოლლა ნასრ-ედ-დინისა. ნათარგმ. და შედგ. გიორგი ი. სკანდარნოვას მიერ. ნაწ. 1-ლი. ტვ., 1913.

თავფურცელზე: „უძღვნი ამ წიგნს ჩემს მეგობარს ი. გრიშაშვილს. გ. სკანდარნოვა. 1913. აპრ. 27“.

კანის მე-2 გვერდზე: „ეს წიგნი. მართალია ავტორმა მიფეშქაშა, მაგრამ მაინც გავლანძღე გაზეთში, როგორც ქართული ენის გამრყენელი. იხ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წ. № 984, 4 სექტ. თვით ანეგდოტები კი მახვილგონიერად – სულ ორიოდეა კარგად ნათარგმნი. წერილი „გრი-გრი“-ს ფსევდონიმით მქონდა, გაეგო განსვენებულს, რომ გრიგრი მე ვიყავი და ერთ თავის წიგნში ლექსს მიძღვნის საპასუხოდ:

„მიტომ წიგნი მოგიძღვენი,
რომ გამიხადე საკბენი? და სხვ.“

გვ. 6. მესამე სტროფში მოხაზულია სტრიქონი და აწერია: „დონ-კიხოტისა?“.

კანის მე-4 გვ.: „1. ქოშებით ხეზე. 2. თევზი“.

11453. გვინჩიძე ო. ნ. წერეთელი – უკრაინული ზეპირსიტყვიერების მკვლევარი. თბ., 1954.

11454. გონიერი გოგონა. უკრაინული ხალხური ზღაპარი. [თარგმ. ქ. ქუჩუკაშვილისა]. თბ., 1954.

11455. დობილი – მელია და მგელი. [ზღაპარი]. თბ., 1938.

11456. თალგამი. ზღაპარი. თბ., 1945.

11457. ილია მურომეცი. რუსული ბილინა. თარგმ. დ. გაჩეჩილაძისა. თბ., 1944.

კანზე: „ი. გრ. 1944. 2 VII. რეცენზიით“. იქვე: „ყვრიმალი, 8“.

გვ. 8. მოხაზულია: „სცემონ“, მიწერილია: „ეომონ? (ოროლებით ცემა ვის გაუგონია?)“.

გაზეთიდან ამოჭრილი მ. ჩიქოვანის რეცენზია „ილია მურომეცი. ქართული თარგმანის გამო“, მინაწერით: „ლიტ. და ხელ“., 1944 წ., № 40, 1 დეკემბ. ი. გრ“.

11458. ინდიური და არაბული ლეგენდები ადამიანის გაჩენაზე და მისი ხანგრძლივობაზე. რუს. თარგმ. გურულ-მეგრელის მიერ. ქუთაისი, 1900.

11459. კავკასიური ხალხური პოეზია. თარგმ. წინასიტყვაობით და შენიშვნებით გ. კალანდაძისა. თბ., 1959.
11460. კატუნია ფისოს-ძე [ზღაპარი]. თბ., 1945.
11461. კაჭკაჭი. [ზღაპარი]. თბ., 1945.
- 11462–11463. კოკორი. – ხუხულა. – კოშკი. რუსული ხალხური ზღაპრები. გადმოაქართულა დავ. დონდუამ. თბ., 1956.
11464. კორეული ზღაპრები. [თარგმ. ვ. მიძიგურისა]. თბ., 1955.
11465. კოშკი. [ზღაპარი]. თბ., 1945.
11466. კურდღელი და მისი მტერ-მოყვარენი. ზანგური ხალხური ზღაპრები. [ინგლ. თარგმ. ა. გახოვიძემ]. თბ., 1956.
11467. ლატვიური ზღაპრები. თარგ. ნ. სამუკაშვილისა. თბ., 1954.
11468. მელია და მეწისქვილე. [ზღაპარი. თბ.], 1945.
11469. მელია და წერო. [ზღაპარი]. თბ., 1945.
11470. მელიას არაკები. თარგმ. ფრანგ. ლ. კაკაბაძისა. თბ., 1957.
11471. მკაცრი მეფე. [ზღაპარი. თბ., 1945].
11472. მოლა-მასრადინა. გალექსილი. თბ., 1913.
კანზე: „ბეგლარას გალექსილია მგონი. ი. გრ.“
11473. მოლამასრადინის მოქმედლება. დროების გასართობი საკითხავი წიგნი შედგ. მ. ახპატელოვისაგან. მე-2 გამოც. თბ., 1890.
11474. მოლამასრადინის მოქმედება. დროების გასართობი საკითხავი წიგნი. შედგ. მ. ახპატელოვისაგან. დამატებითი მე-3 გამოც. მხიარული მასპინძელი. თბ., 1899.
11475. მოლამასრადინის მოქმედება. დროების გასართობი საკითხავი წიგნი. შედგ. ა. ახპატელოვისაგან. დამატებით მე-4 გამოც. მხიარული მასპინძელი. თბ., 1901.
გვ. 15. ხაზგასმულია: „კრუშკა“ და მიწერილია: „ტოლჩა“.
კანის მე-4 გვ.: „შენში მოვტყუვდი თავი არ მომიკლავს“.
- 11476–11477. მოლამასრადინის მოქმედება. დროების გასართობი საკითხავი წიგნი. შედგ. ა. ახპატელოვისაგან. მხიარული მასპინძელი. ტფ., 1905, [კანზე: 1907].
11478. მოლა მასრადინას მოსწრებული სიტყვები. ოსმალურით გადმოთარგმ. ალექსანდრე იაკ. მირაქ-ს მიერ. გამოც. მე-2 – დამატებით. ტფ., 1902.
- 11479–11480. მოლა მასრადინას მოსწრებული სიტყვები. ოსმალურით გადმოთარგმ. ალექსანდრე იაკ მირაქოვის მიერ. გამოც. მე-3 დამატებით. ტფ., 1908.
- 11481–11482. მოლა მასრადინას ოხუნჯობანი. შეკრ. და გამართული თ. სახოკიას-მიერ. ტფ., 1927.
კანზე: „ი. გრ. 1927. 4/VI“.
თავფურცელზე: „ალ. არაბიძის გამოცემა“.
გვ. 47. ხაზგასმულია: „ცოტა იქით მიიწიე მოლა“ და მიწერილია: „გასწი გამეცალე“.
- კანის მე-4 გვერდზე: „წინასიტყვაობაში უნდა იყოს ის აზრი, რომ მოლა ყველაფერია, პატივმოყვარეც, ქურდიც. ზოგი მოთხრობასა ჰგავს“.
- 11483–11490. მოლა მასრადინას ამბები. ტფ., 1929.

11491–11493. მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი. თარგმ. ფარსულიდან ამბ. ჭელიძის მიერ. თბ., 1940.

კანსა და თავფურცელზე: „ჩემს ბიბლიოთეკას ი. გრ“.

მეორე ცალის თავფურცელთან ჟურნალიდან ამოჭრილი „მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი“, მინაწერით: „მებრძოლი ათეისტი“, 1941 წ. № 5“.

11494. მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი. თარგმ. ფარსულიდან ამბ. ჭელიძის მიერ. თბ., 1941.

11495–11496. მოლა ნასრედინი ოხუნჯობს. თბ., 1962.

ფორზაცზე: „სახსოვრად ძვირფას და საყვარელ პოეტს ჩვენი დროის აკაკის – იოსებ გრიშაშვილს დავით იოსელიანისა და ლევან ცქიტიშვილისაგან. 19/I–63 წ“.

11497–11498. მოლას ვირი. საოხუნჯო იგავ-არაკები. თბ., 1913.

კანზე: „ბეგლარას გალექსილია, გვ. 7 და 9 ი. გრ“. იქვე ბეჭედი: „Александр Аркадиевич Огана-Оганезашвили“. ბეჭედთან წერია: „ვიყიდე ბუკინისტ ყაზაროვთან“.

11499–11500. მოწონელიძე ლ. დობროვოლსკაია ტ. და გრიქოროვა პ. ფრანგული ანდაზები და თქმანი. (ქართულ-რუსული შესატყვისებით). თბ., 1955.

ფორზაცზე: „ი. გრ. გვ. 15“.

მეორე ცალის ფორზაცსა და ყდაზე: „ი. გრ. 1955. 28/IX“.

11501–11502. მოხუცი გერასიმეს ლომი. თარგმ. ნ. შარაშიძისა. ახალ-სენაკი, 1894.

11503–11504. ნატვრისთვალი. ბულგარული ხალხური ზღაპარები. თარგმ. ქ. ნადირაძისა. თბ., 1954.

თავფურცელზე: „სანუკვარ პოეტს, სოსო გრიშაშვილს დიდი პატივისცემითა და სიყვარულით. მთარგმნელისაგან. 14. 1. 55 წ“.

11505–11506. ოსური ზღაპრები და ლეგენდები. შეკრ. დ. ბეგიზოვის მიერ. რედ. შესავალი, შენიშვნები ალ. ღლონტისა. [თარგმ. მ. ცხოვრებოვისა. ცხინვალი]. 1957.

11507. ოსური ხალხური ზღაპრები. [შეადგ. ა. ბიაზროვმა. რედ. და შესავ. წერილი ალ. ღლონტისა. ცხინვალი], 1959.

11508. ოქროს თევზი. ზღაპარი. გადმოკ. თათრულიდან. ტფ., 1881.

თავფურცელზე: „დურგალი. მკერვალი და ბერი, გვ. 8“.

11509. რკინისთავიანი მგელი. იუგოსლ. ხალხ. ზღაპრები. [თარგმ. ე. ჩხენკელისა]. თბ., 1960.

11510–11511. როსტომ-ზურაბიანი. (აღმოსავლეთ გმირთა მოთხრობა). სურათებით. ნათარგმ. ვ. იედიგაროვისაგან. გამოც. მე-2. თბ., 1902.

კანზე: „ნაღარა, 25“.

გვ. 42. მოხაზულია აბზაცი: „ჰეი, ერანის და თურანის სარდალნო და ფალევანნო... და მიწერილია: „ოტელო“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „ჟუკოვსკიდან (?)“.

11512. როსტომაშვილი ი. თავისთვის თუ სხვისთვის?! (აღმოსავლეთური გადმოცემა). [თბ., 1914].

11513. სამი გოჭი. ტექსტი და სურათები ვალტერ დისნეის სტუდიისა. გადაამუშ. ს. მიხალკოვის მიერ. თავისუფალი თარგმ. მარიჯანისა. თბ., 1939.

კანზე: „ი. გრ. 1939. 20/V“.

11514. სასიამოვნო წალკოტი ყრმათათვის ანუ კრება სასიამოვნოთა და რჩეულთა ზღაპართა ცხადითა და ადვილთა ზნეობითისა სწავლითა გარდმოღებული რუსულით ენასა ზედა ტფილისის სემინარიის ღმრთის მეტყუწლების კლასის მოწაფის მღუდლის იოანეს-ძის ანდრია წიწვიანიძის მიერ. თფ., [1842].

კანზე: „სასიამოვნო წალკოტი. ი. გრ. 1919 წ. 20/II“

11515. უკრაინული ზღაპრები. თარგმ. ვ. ხაზალამ. [თბ.], 1957.

11516. ქურთული ზღაპრები, იგავები, პოემა. თბ., 1957.

11517. ყარაბოღლი, ზღაპრული მოთხრობა. გამოც. ა. აივაზოვისაგან. თფ., 1901.

11518. შილდ ბიურეგერთა თავგადასავალი. მხატვ. ფრიც კოხ-გოთა. [თარგმ. ვ. ქოჩორაძისა]. თბ., 1960.

11519. ჩიქოვანი მ. ნართული ეპოსი. (ოსური ხალხური ეპოსის ქართულად თარგმნის გამო). – ამონაბეჭდი – „ლიტერატ. ძიებანი“, ტ. V, 1949.

ტექსტის წინ წარწერა: „ქართული პოეზიის მშვენიერებას პატივცემულ იოსებ გრიშაშვილს, ავტორისაგან. 14/VI, 1949“.

11520. ჭროლა დედალი. [ზღაპარი]. თბ., 1945.

ხელოვნება ზოგადი საკითხები

11521. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. ნაწ. 1. თბ., 1944.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1945. 17/I“.

ამონაჭრები გაზეთებიდან: „1. ი. მაისურაძის წერილი წინამდებარე წიგნზე, მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1945 წ. № 11“. 2. ს. ჯანაშია „არქეოლოგიური გათხრები საქართველოში“, მინაწერით: „კომ“, 1945, 19 იანვ. № 13“. ჟურნალიდან ამოჭრილი ა. აფაქიძის „არქეოლოგიური გათხრები საქართველოს უძველეს დედაქალაქში“, მინაწერით: „ბოლშევიკი“, 1945, № 6“.

11522. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961.

11523–11524. გვაზავა-სანაძე ლ. ერმიტაჟი. წგ. 1–2. თბ., 1955–1958.

წგ. 1. 1955.

წგ. 2. 1958.

11525–11526. გროსი გ. და გერცფელდი ვ. ხელოვნება განსაცდელშია. სამი წერილი. თარგმ. ბ. გორდეზიანის. წინასიტყვ. შ. დუდუჩავასი. ტფ., 1926.

კანზე: „ი. გრ. 1926. 5/X“.

11527–11528. დუდუჩავა მ. ახალი ქართული ხელოვნება. თბ., 1950.

ყდაზე: „ა. ჭ-ძე, 17“.

ფრონტისპისზე წარწერა: „თანამედროვე ქართული პოეზიის მშვენიერებას, ქართული კულტურის წარსულის დიდ მოამაგესა და შესანიშნავ მკვლევარს ი. გრიშაშვილს, უღრმესი პატივისცემით და სიყვარულით. ავტორი. 11/XI 55“.

- 11529–11530. დუდუჩავა მ. წერილები ხელოვნებაზე. [თბ.], 1948.
ყდაზე: „ჩემდამი – 228. გავუსწორე, ი. გრ. 1948. 19/III“.
- გვ. 228. დანიშნულია: „პასუხის პასუხი“.
- გვ. 240. ხაზგასმულია: „ლამის თავი მოვიკლა და შევასკდე გულსა“, მიწერილია: „ლამის თავი მოვიკლა და შემოვასკდე გულსა“, გვ. 220. კრილოვი 1944 წ.“
- გვ. 231. ქალაქის ნაჭერი მინაწერებით: „დაბეჭდილია „დროებაში“ ასეთი ფრაზა: „იწუ რათთხებ თავსა“. უნდა იყოს: „რათ იწუხებ თავსა“ ი. დ. მოთხრ. „მეფე ირაკლის მასპინძელი“ – „დროება“, 1878 წ. № 149, ფელეტ. მ. დუდუჩავას ლოდიკით ი. დავითაშვილის კრებულში ეს მოთხრობა რომ შევიდეს, არ უნდა გავასწოროთ“.
11531. დუდუჩავა მ. ხელოვნების პრობლემები. ნარკვევები. წერილები. [თბ.], 1959.
ფორზაცზე: „158. 183. ი. გრ“.
- გვ. 158. არშიაზე მიწერილია: „და 183“.
11532. კაკაბაძე დ. პარიზი 1920–1923 წლები. პარიზი, 1924.
სუპერზე: „ი. გრ. 1935, 23/XI“.
- 11533–11534. კაკაბაძე დ. ხელოვნება და სივრცე. პარიზი. 1924–1925 წლები. პარიზი, 1926.
შმუცტიტულზე: „დიტო შევარდნაძეს გულითადი სახსოვრად ავტორისაგან. 18 ივნისი 1926 წ. პარიზი“. იქვე „იხ. ბოლო. ი. გრ.“
- მეორე ცალის სუპერზე: „ი. გრ. 1926, 23/IX“.
11535. ლიბკნეხტ კ. ხელოვნება. თარგმ. მარიჯანის და ცქვიტის. – ამონაბეჭდი: „ქართველ მწერალ ქალთა აღმანახი“, 1926, № 2.
11536. ორდენოსან საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ხელოვნება. [თბ.], 1937.
კანზე: „მწერლებიცაა. ი. გრ“.
11537. ფრიჩე ვ. ხელოვნების სოციოლოგია. თარგმ. რუს. გ. ქიქოძისა. ტფ., 1931.
თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილს. გერონტი ქიქოძისაგან. 13. 1. 1932“.
11538. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XI სამეცნიერო სესია 1956 წ. 6 და 7 ივნისი. მოხსენებათა თეზისები და მუშაობის გეგმა. თბ., 1956.
11539. ქართული ხელოვნების ისტორიის ინ-ტი, XIII სამეცნიერო სესია 1958 წ. 5, 6 ივნ. მოხსენებათა თეზისები და მუშაობის გეგმა. თბ., 1958.
11540. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესია. 1960 წლის 5–6 მაისი. მოხსენებათა თეზისები და მუშაობის გეგმა. თბ., 1960.
11541. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XVII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი 1961 წლის, 1, 2 ივნისი. მოხსენებათა თეზისები და მუშაობის გეგმა. თბ., 1961.
11542. ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში. თბ., 1960.
- 11543–11544. ჩუბინაშვილი გ. რამოდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან. თბ., 1926.
კანზე: „ი. გრ. 1927. 19/IV“.

11545. ჩუბინაშვილი გ. საბჭოთა საქართველოს მიღწევები ხელოვნების ისტორიის დარგში. თბ., 1952.

11546. ჩუბინაშვილი გ. ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. 1. ტფ., 1936.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1936, 15/XI“.

გაზეთიდან ამონაჭრები: 1. კ. ჯავ.-ის წერილი, მინაწერით: „Заря“, 1936, 17 ნომბ.“ 2. ე. ა-ს რეცენზია, მინაწერით: „მუშა“, 1936, 10/XII“. 3. მ. დუდუჩავას რეცენზია, მინაწერით: „18 ივლისი, „კომ.“ 1937“.

11547. ცამციშვილი ა. უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანი. თბ., 1962.

11548. ცამციშვილი ა. ხელოვნების ქართველი მოღვაწენი უცხოეთში. თბ., 1959.

11549. წესდება ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისა. Тифлис, 1916. კანი და ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე.

თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ვ. გუდიაშვილი“.

11550. ხელოვნების ცნობარი. თბ., 1960.

11551. ჯაში ნ. ხელოვნების საკითხები. [სტატიების კრებული]. თბ., 1957.

ქალაქთმშენებლობა

11552–11553. კანდელაკი ბ. მთაწმინდა. თბ., 1955.

თავფურცელზე: „პოეტ-აკადემიკოსს იოსებ გრიშაშვილს! პატივისცემით ავტორისაგან 20/VII 55 წ“.

მეორე ცალის კანზე: „ფუნქულორი. ჩემი ლექსი, გვ. 29. ი. გრ“.

11554. კანდელაკი ბ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი. თბ., 1958.

კანზე: „ავტორისაგან ლექსით. ი. გრ. 19/V, 1959 წ.“ იქვე: „სათარა, II“.

თავფურცლის მეორე გვ. წარწერა – ლექსად:

იოსებ გრიშაშვილს!

„მტკვრის პირას ბაღი შევაქე,
რა ვქნა რომ მიყვარს ძალიან.
თავი მწერლებთან არ მომაქვს
თქვენთან რა შესადარი ვარ.
ვიცი, რომ გიყვარს თბილისი,
მისი მთვარე და მისი მზე
და მიტომ ვბედავ მოგიძღვნა
მცირე ნაშრომი თბილისზე
დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ
ლექსი რომ წერო მრავალი
მე კი გპირდები ბეჯითად
თქვენ ლექსებს ბავშვებს ვასწავლი.“

ბორის კანდელაკი (47-ე საშ. სკოლის მასწავლებელი). 1959 წლის 19 სექტემბერი. თბილისი. ი. გრიშაშვილის 70 წლის იუბილეს გამო. 47-ე სკოლის ლიტწრეში“.

გვ. 5. მოხაზულია მე-3 აბზაცი, მიწერილია არშიაზე: „ტყე“.

გვ. 11. არშიაზე: „სათარა“.

გვ. 12. ხაზგასმულია: „ბ-ნი ბედე“, მიწერილია: „ბედე და ვირი“.

გვ. 13. არშიაზე: „1901 წ. მუშთაიდის ზემო ნაწილში იყო გამოფენა. ი. გრ“.

გვ. 16. ხაზგასმულია: „ელიზავეტოპოლში“, მიწერილია: „განჯა“.

გვ. 21. ხაზგასმულია: „ა. ბ.“, მიწერილია: „არშაკ ბაბოვი“.

გვ. 22. ხაზგასმულია: „ისროდნენ უწესრიგოდ“, არშიაზე: „რას?“ ი. გრ.“

ხუროთმოძღვრება

11555. ადამია ი. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება. აჭარა. თბ., 1956.

11556–11557. გაბაშვილი ც. ვარძია. გზამკვლევი. თბ., 1945.

11558. გაბაშვილი ც. ვარძია. გზამკვლევი. თბ., 1948.

11559. დოლიძე ვ. გარბანი. ქართული ხუროთმოძღვრების IX–X სს. ძეგლი ხევში. თბ., 1958.

11560–11561. ზაქარაია პ. ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი. თბ., 1953.

11562. ზაქარაია პ. ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი. [თბ.], 1956.

11563. თაყაიშვილი ექ. ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი. ტფ., 1924. კანი და თავფურცელი ფრანგულ და ქართულ ენებზე.

11564. კარბელაშვილი მ., კინწურაშვილი ს. და ჯანბერიძე ნ. თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. თბ., 1958.

თავფურცელზე: „ჩვენი თბილისის სიამაყეს, ტრუბადურს, დიდ მოქალაქეს – იოსებ გრიშაშვილს – ღრმა პატივისცემით და სიყვარულით! სოსო კინწურაშვილი, ნოდარ ჯანბერიძე, მერი კარბელაშვილი. 12. XI. 58“.

11565. კატალოგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენისა. ტფ., 1920 (საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზ-ბა).

11566. რჩეულიშვილი ლ. თიღვა. შარვანის დედოფლის თამარის აღმშენებლობა. (ნარკვევი XII ს. ქართული ხუროთმოძღვრებიდან). თბ., 1960.

11567. ქართლის დარბაზი. გ. ჩუბინაშვილის რედ. ტფ., 1926.

11568. ჩუბინაშვილი გ. და სევეროვი ნ. ქართული არქიტექტურის გზები. მოხსენება გ. ჩუბინაშვილისა და ნ. სევეროვის წაკითხული სრულიად საქ. საზბჭ. არქიტექტორების პირველ ყრილობაზე 1936 წლის 21 თებ. ირ. სონღულაშვილის თარგმანი. ტფ., 1936.

11569. ჯანბერიძე ნ. საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურა. [თბ.], 1957.

სახვითი ხელოვნება (ზოგადად)

11570. აბაკელია თ. ფერწერა. გრაფიკა. ქანდაკება. [თბ.], 1941.
თავფურცელზე: „სოსო გრიშაშვილს, ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს! პატივისცემით თამარ აბაკელია. 1942 წ.“
11571. 1953. რესპუბლიკური სამხატვრო გამოფენა. ფერწერა. ქანდაკება. გრაფიკა. კატალოგი. თბ., 1953.
ყდაზე: „ი. გრ. 1955 წ. 8 ივნისი. აქ ნელის სურათების ნუსხაა“.
ფორზაცზე: „ნელის ნამუშევარი, 124“.
11572. 1955. რესპუბლიკური სამხატვრო გამოფენა. ფერწერა. ქანდაკება. გრაფიკა. კერამიკა. კატალოგი. თბ., 1956.
- 11573–11574. საქართ. საბჭოთა სახვითი ხელოვნების ცამეტი (13) წელი. კატალოგი. [თბ.], 1934.
11575. უზნაძე ი. ქართული ხალხური სახვითი ხელოვნება. თბ., 1951.
11576. ფერწერის, ქანდაკების და გრაფიკის გამოფენის კატალოგი. [თბ.], 1935.
11577. ფირალიშვილი თ. თამარ აბაკელია. მონოგრაფია. [თბ.], 1956.
სუპერზე: „ი. გრ. 1956. 24/X“.

სკულპტურა (ოქრომჭედლობა, მხატვრული კერამიკა, გლიპტიკა)

11578. ამირანაშვილი შ. ბექა ოპიზარი. ტფ., 1937.
ფორზაცზე: „ი. გრ. 1938. 2. 1“.
წიგნში შ. ამირანაშვილის პორტრეტი ბიოგრაფიული ცნობებით თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული გაზეთში, მინაწერით: „კომ.“ 1939, № 273“.
11579. ბოჭორიშვილი ლ. ქართული კერამიკა. ნაწ. 1. კახური. თბ., 1949.
ყდაზე: „ი. გრ. 1949. 6/IX“.
11580. გუდიაშვილი ნ. იაკონ ნიკოლაძე. [მონოგრაფია. თბ.], 1948.
11581. დუდუჩავა მ. იაკობ ნიკოლაძე. [ნარკვევი]. თბ., 1953.
11582. კვასხვაძე შ. ნიკოლოზ კანდელაკი. [მონოგრაფია]. თბ., 1961.
11583. ლორთქიფანიძე მ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეგმები. წ. 2. თბ., 1958.
11584. მაისურაძე ზ. ოზაანის კერამიკა. თბ., 1959.
11585. ნიკოლაძე ი. რჩეულ ნაწარმოებთა ალბომი. მ. დუდუჩავას რედ. და შესავალი წერილით. თბ., 1955.
გვ. 102. გასწორებულია შეცდომა: „ა. შახნაზაროვის პორტრეტი“, გვარში „შ“ ამოგდებულია.
11586. ქიქოძე გ. კონსტანტენ მენიე და ხელოვნების რევოლუცია. – ამონაჭერი „მნათობი“-დან, 1925 წ., № 2.

11587. ქიქოძე გ. ოგიუსტ როდენი. კრიტიკულ ნარკვევი. – ამონაჭერი [„გრდემლიდან“. წ. I].

11588. ჩუბინაშვილი გ. ბედიის ოქროს ბარძიმი. – ამონაბეჭდი: საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე. X–B.

ტექსტი ქართ. და რუს. ენ.

11589–11590. წერეთელი ა. ქართული საბჭოთა პორტრეტული ქანდაკება. 1921–1941. თბ., 1959.

შმუცტიტულზე: „მვირფას ქეთევანს გულწრფელი სიყვარულით ავტორისაგან. 18 V. 60 წ.“ წიგნი ეძღვნება ქეთო ჯაფარიძეს.

გამოყენებითი ხელოვნება

11591–11592. ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებსა, მინიატურებსა და ჭედურ ხელოვნებაში. ნიმუშების კრებული. LXII ტაბულა. ნიმუშები შეაგროვა და ნახატები შეასრულა ტ. ხერხეულიძემ. ივ. ჯავახიშვილის რედ. [თბ., 1941].

11593. ბარნაველი ს. ქართული დროშები. თბ., 1953.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1953. 10/IX“.

11594. საქართველოს მუზეუმი. გზამკვლევი ქართული ხელსაქმის ნიმუშების გამოფენისა. ტფ., 1932.

11595. სონღულაშვილი ი. ილარები. ტფ., 1933. ამონაბეჭდი: საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VIII.

კანზე: „ჩემს სასურველს თანამემამულეს (დიღმელს) ფირუზას. იროდიონი. 19. 9/V. 34“. იქვე: „მიფეშქაშა მწერალმა და მეგობარმა ირ. სონღულაშვილმა. ი. გრ.“ სათაურის ქვეშ წერია: „ყურის საჩიქნი ილალი“.

გვ. 149. სქოლიოში მიწერილია: „ტანტრაბეჩი (საბა) – ყურის საწმენდი“.

ფერწერა

11596. ამირანაშვილი შ. უბისი. მასალები ქართული მხატვრობის ისტორიისათვის. ტფ., 1929.

კაბრის პირველ გვერდზე: „ი. გრ. 1948. 15/II“.

11597. აჭარის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. კატალოგი. [ბათუმი], 1937.

11598. ბაღდავაძე ე. [სურათების ალბომი]. ტექსტის ავტორი ლ. თაბუკაშვილი. თბ., 1958.

11599. გაბუნია გ. რემბრანდტ-ვან-რეინი. (ცხოვრება და შემოქმედება). [თბ.], 1938.

11600. გარდაცვალებულ მხატვარ შალვა ძნელაძის სურათების გამოფენა. კატალოგი. ტფ., 1925.

11601. გორდეზიანი ბ. ი. ა. შარლემანი. თბ., 1955.
11602. გორდეზიანი ბ. ნიკო ფიროსმანაშვილი. ტფ., 1930.
11603. დავით კაკაბაძის სურათების გამოფენა 1959 წ. [თბ., 1959].
- 11604–11605. დუდუჩავა მ. გიგო გაბაშვილი. მონოგრაფია. თბ., [1946].
ფორზაცზე: „ჩვენს სახელოვანსა და საყვარელ პოეტსა და მეცნიერს ი. გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემით. ავტორი. 4/X 46 წ“.
11606. დუდუჩავა მ. გიგო გაბაშვილი. მონოგრაფია. თბ., 1953.
11607. დუდუჩავა მ. გიგო გაბაშვილი. თბ., 1963.
11608. დუდუჩავა მ. ი. ე. რეპინი. ასი წელი დაბადებიდან. თბ., 1944.
11609. დუდუჩავა მ. ილია რეპინი. [ცხოვრება და შემოქმედება. თბ.], 1940.
11610. ელენე ახვლედიანი. კატალოგი. [შ. ამირანაშვილის შესავ. წერილით]. თბ., 1960.
თავფურცელზე: „საყვარელ ქეთოს და სოსოს. ელენე. 1960“.
- 11611–11612. თაბუკაშვილი ლ. ვალერიან სიდამონ-ერისთავი. [ნარკვევი]. თბ., 1958.
კანზე: „მე, გვ. 50. ი. გრ“.
11613. ი. გამრეკელი. კრებული. [შემდგ. ლ. ლომთათიძე. ე. გამრეკელი. თბ.], 1958.
11614. ი. ი. გაბაშვილის ნაწარმოებთა გამოფენის კატალოგი. თბ., 1951.
11615. კატალოგი ქართველ მხატვართა სურათების გამოფენისა. ტფ., 1919. (ქართვ. მხატვ. საზ-ბა). კანი ქართულ და ფრანგულ ენაზე.
11616. კატალოგი. ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწის მხატვარ ვალერიან სიდამონ-ერისთავის. 1943–1945. [თბ.], 1945.
კანზე: „ჩემი კარიკატურა, გვ. 28. ი. გრ“. იქვე: „პეპო, 296 (გვ. 34)“.
გვ. 7. „პორტრეტებსა“ და „კროკებს“ შორის ჩამატებულია: „მეგობრული შარჟები და კარიკატურები“.
გვ. 33. ხაზგასმულია: „ავგაროზი“ და მიწერილია: „პიესა შ. შარაშიძისა“.
გვ. 37. ხაზგასმულია: „ს. შანშიაშვილის ალმანახი“, მიწერილია: „გაზ. „საქართველოს“ დამატება „მერნისთვის“ გამოვ.“.
გვ. 39. მხატვრის ნამუშევართა სხვადასხვა კოლექციებს შორის მიწერილია: „აკლია: მარიჯანის საკუთრება: აბანო ძველს ოჯახში. ი. გრიშაშვილის საკუთრ. შავთელის ოჯახში“.
კანის ბოლო გვერდზე: „ძალიან კარგია ეტიუდები, მხატვარს უეჭველად მძლავრი ფანქარი აქვს. ბატალური სურათები მოისუსტებს. ი. გრ“.
11617. კვასხვაძე შ. ანტონ გოგიაშვილი. მონოგრაფია. თბ., 1947.
კანზე: „1. სარჯველაძე, 14. 2. მშიერი სტუდენტი (?), 142“.
- გვ. 11. პირველ აბზაცში: „ვაჟა-ფშაველას აქ ჰქონდა ხოლმე ბინა დაგდებული [ივანე გოგიაშვილის ოჯახში] და იქვე ცხოვრობდა მისი ვაჟიც“, ხაზგასმულია: „მისი ვაჟიც“, არშიაზე: „წელი?“

გვ. 22. ხაზგასმულია: „იგი მაინც რჩება ქართული ბეჭდვითი წიგნის დასურათების პიონერად“, არშიაზე კითხვის ნიშანი და მიწერილია: „ჯოსიას(?) მრევლ“.

გვ. 67. ხაზგასმულია: „სოგულიანცისა“, მიწერილია: „სოლომიანცი“. ხაზგასმულია: „ვანქის ქუჩაზე“, მინაწერი: „პოლიციის ქ“.

გვ. 127. ხაზგასმულია: „ვანდიკისა“ და მიწერილია: „ვ. კოტეტიშვილია. ი. გრ.“

გვ. 142. წინადადებაში: „მან გამოსცა იმდროინდელ ახალგაზრდა მწერლის ბარნაბ გოგიბერიძის წიგნი „მშვიერი სტუდენტი“, ხაზგასმულია ბოლო 6 სიტყვა, მიწერილია: „ლოლობერიძის (ჭომელი მოწაფე)“. იქვე: „კიდევ გამოსცა ან. გოგიაშვილმა: „მეფე ერეკლეს და აღ. მაჰმ. ომი“. 1895 წ. იხ. „ქართ. წიგნი“, 208“.

კანის მე-4 გვ.: „ი. გრ. 1947. 12/VI“.

11618. კვასხვაძე შ. გიორგი მაისურაძე. ქართული რეალისტური პორტრეტის სათავეებთან. თბ., 1958.

სუპერზე: „ი. გრ. 1958 წ. 12/III“.

11619. კვასხვაძე შ. დავით ციციშვილის კრებულის გამოფენა [რუსთავში]. კატალოგი ეძღვნება მხატვრის კვირეულს. [შესავალი წერილი, კატალოგი და რედ. შალვა კვასხვაძის]. თბ., 1962.

თავფურცელზე: „საყვარელ ბ-ნ სოსოს უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით. დ. ციციშვილი. 22. IV. 62 წელი“.

გვ. 5. პორტრეტის ქვემოთ: „შემგროვებელი“.

11620. კვასხვაძე შ. მოსე თოიძე. (მონოგრაფია). თბ., 1949.

კანზე: „ი. გრ. გვ. 4 და 6“.

გვ. 17. ხაზგასმულია: „ტ. მოცელიძე“, მიწერილია: „მომცემლიძე“.

გვ. 82. ხაზგასმულია: „ერთი კარგად, ევროპულ ტანსაცმელში ჩაცმული შავვკრემანი კაცი-ვეზირიშვილი“, მიწერილია: „ეს ვეზირიშვილი ნიკოს [ბარათაშვილის] დისშვილი იყო“.

11621. ლადო გუდიაშვილის სურათების გამოფენის კატალოგი. ტფ., 1926.

11622. ლეონიძე გ. ცხოვრება ფიროსმანისა. ამოჭრილი „მნათობი“-დან, 1931 წ., № 3.

11623. ლეონიძე გ. ცხოვრება ფიროსმანისა. ამოჭრილი „მნათობი“-დან, 1938 წ., № 6.

11624. XVIII–XIX ს. რუსული მხატვრობის გამოფენა. [თბ.], 1938.

11625. მელიქსეთ-ბეგი ლ. ძველი მხატვრობა გარეკახეთში. – გ. ჩუბინაშვილი – სამეზბის ტაძრის მხატვრობისათვის. – ამონაბეჭდი „ჩვენი მეცნიერება“-დან, 1924 წ. № 9–10.

11626. მხატვარ ელენე ახვლედიანის სურათების გამოფენა. კატალოგი. ტფ., 1927. (ქართვ. მხატვ. საზ-ბა).

11627. მხატვარ მიხეილ ჩიქოვანის ნაწარმოებთა გამოფენა. კატალოგი. თბ., 1955.

11628. მხატვარ ნათელა იანქოშვილის ნაწარმოებთა გამოფენის კატალოგი. [ო. ფირალიშვილის წინასიტყვ.]. თბ., 1960.

შმუცტიტულზე: „ძვირფასს ბ-ნ სოსოს მცირე ნაშრომი სიყვარულით. ო. ფირალიშვილი. 31/VIII. 60“.

11629–11630. ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენა. [თბ.], 1938.

11631. ნიკო ფიროსმანი. კირილ ზდანევიჩი. ირაკლი გამრეკელი. ბენო გორდეზიანი. თბ., [1923]. სურათების ფოტორეპროდუქცია.

კანზე: „23/III წ. ი. გრ“.

11632–11633. პროფესორ გიგო გაბაშვილის სურათების გამოფენა. კატალოგი. ტფ., 1927.

11634. პოლონელი მხატვრის სიგიზმუნდ ვალიშევსკის ნამუშევრების გამოფენის კატალოგი. თბილისის პერიოდი. თბ., 1957.

ფორზაცზე: „ჩემს ნამღზნეველს ლიტერატურაში პატივცემულ ი. გრიშაშვილს – ტარიელ იაშვილისაგან. 16/VII. 57 წ. თბილისი“.

გვ. 28. „შარჟს გოგიჩაიშვილზე“ მიწერილი აქვს: „გრ. რცხ“. „შარჟს ვეშაპელზე და ე. თაყაიშვილზე – ს. ფირცხ“.

11635. სსსრ სახალხო მხატვრის გიგო გაბაშვილის საიუბილეო გამოფენის კატალოგი. ტფ., 1934.

კანზე: „ი. გრ. 50 წ. იუბილე იყო 1934 წ. 28 იანვარს“.

11636–11639. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მხატვარ ლადო გუდიაშვილის ნაწარმოებთა გამოფენის კატალოგი. [შედგენილია ნინო გუდიაშვილის მიერ]. თბ., 1957.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1958. 20 იანვარი“.

წიგნში 1958 წლის 20 იანვარს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართული ლადო გუდიაშვილის დაბადებიდან 60 წლისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოს მოსაწვევი ბარათი გრიშაშვილისადმი. კონვერტში ამავე საღამოს პროგრამა და აფიშა.

11640. სახალხო სამხატვრო სტუდიის შემოქმედება. 1922–1928. [თბ., 1928].

11641. სურათების მე-2 საშემოდგომო გამოფენა. ტფ., 1919. (ქართველ ხელოვანთა საზ-ბა). კანი და ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე.

კანზე: „არ არის ბიბ-ში. ი. გრ“.

11642. სურათების მე-3 გამოფენა. ტფ., 1920. (ქართველ ხელოვნ. საზ-ბა). კანი და ტექსტი ქართულ-რუსულ ენებზე.

11643. ტურნე მ. ეჟენ დელაკრუა. თარგმ. ფრანგ. ნ. გუდიაშვილის. თბ., 1940.

ფორზაცზე: „სოსოს აჰა, ჩემს ეგზემპლარს გითმობ, ახლაც არ დაოკდები! შალვა დემეტრაძე. 4/III. 40 წ.“

11644. ფარმაცოვსკი ბ. თანამედროვე ქართველი მხატვარი. (ლადო გუდიაშვილი). – ამონაჭერი: „მნათობი“, 1926, № 5–6.

11645. ფირალიშვილი ო. ბობნევის მოხატულობა და რეალისტური ტენდენციის შესახებ XVII საუკუნის ქართულ მხატვრობაში. თბ., 1952.

ფორზაცზე: „მვირფას იოსებ გრიშაშვილს ავტორისაგან. 13. XII. 52“.

11646. ფირალიშვილი ო. მოსე თოიძე. თბ., 1953.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1953. 16/II“. იქვე „მოსე შემოქმედია დაუცხრომელი“.

წიგნში დევს: 1. ი. გრიშაშვილის სახელზე გამოგზავნილი მოსაწვევი ბარათი თოიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოზე. 2. საიუბილეო საღამოს დამთავრების შემდეგ კაფე თბილისში-მოსაწვევი ბარათი. 3.

გაზეთიდან ამოჭრილი ცნობა მ. ი. თოიძის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს შესახებ, მინაწერთ: „კომუნისტი“, 1953 წ. № 40, 17 თებ.“ 4. მ. ი. თოიძის საიუბილეო კონცერტის პროგრამა.

11647. ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები. შესავალი და ტაბულების თანმხლები ტექსტი რენე შმერლინგისა. პროფ. გ. ჩუბინაშვილის რედ-ით ტფ., 1940.

11648–11649. ქართული საბჭოთა ფერწერა. შემდგ. და შესავალი წერილის ავტორი მ. დუდუჩავა. [თბ.], 1959.

11650. ქეთევან მაღალაშვილის სურათების გამოფენა. კატალოგი. თბ., 1961.

11651. ქიქოძე გ. ქართული მხატვრობა და ფიროსმანაშვილი. – ამონაჭერი: „მნათობი“, 1925, № 3.

11652–11653. შალვა ქიქოძის სურათების გამოფენა. ტფ., 1928.

11654. ჩუკოვსკი კ. რეპინი. მოგონებები. [თარგმ. ნ. ლორთქიფანიძისა]. თბ., 1962.

11655. ჯანელიძე დ. ალექსანდრე მრევლიშვილი. მონოგრაფია. თბ., 1956.

ფორზაცზე: „ქართული მწერლობის დიდ მოამაგეს ბ-ნ სოსო გრიშაშვილს პატივისცემის, სიყვარულის და მადლობის ნიშნად – მაყვალა მრევლიშვილისაგან. 1957 იანვრის 16“.

ფორზაცზე: „მე, 51, 85“-გვ. 51 და 85 ხაზგასმულია ადგილები, სადაც ავტორი მადლობას უცხადებს ი. გრიშაშვილს ცნობების მიწოდებისათვის. იქვე: 1. „ვარშავის სტუდენტობა, გვ. 30“. ხაზგასმულია ცნობები ვარშავაში ქართველი სტუდენტების შესახებ და მიწერილია: „ილიამ გაუგზავნა თავისი თხზულება ვარშავაში სტუდენტობას“.

გვ. 17. ხაზგასმულია: „ვისრამიანიდან ამოკრებილ არაკებს“ და მიწერილია კითხვის ნიშანი.

გვ. 28. ხაზგასმულია: „ვარშავის წრის წევრები იყვნენ ფ. მახარაძე და შ. დედაბრიშვილი (არაგვისპირელი)“ და მიწერილია: „გოლა მრევლიშვილი“.

გვ. 83. სქოლიოში ხაზგასმულია: გაზ. „დროება“, 1909 წ. № 110, ა(ლექსანდრე) მ(რევლიშვილი) „მოსკოველ მხატვართა სურათების გამოფენა“, ინიციალებთან „ა. მ.“ მიწერილია: „ი-ი.“

გ რ ა ფ ი კ ა

11656–11657. გორდეზიანი ბ. გრიგოლ ტატიშვილი. [მონოგრაფია]. თბ., 1957.

გრ. ტატიშვილის პორტრეტზე მიწერილია: „ფიგაროს“ ემახდნენ ი. გრ“.

გვ. 55. შენიშვნასთან „1. არბო – უძვ. სალოცავი გორის რაიონში“, მიწერილია: „ნიკო ლომოურის სამშობლო“.

გვ. 64. ტექსტში ხაზგასმულია და მოხაზული: „ჯეჯილის“ სათაურების ორიგინალები“ და მიწერილია: „გ. ბაშინჯალიანი“.

მეორე ცალის შმუცტიტულზე: „იოსებ გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემით და სიყვარულით. ბ. გორდეზიანი. 8. VIII. 57“.

11658. გორდეზიანი ბ. მ. ა. ზიცი საქართველოში. თბ., 1960.

11659. გორდეზიანი ბ. ქართული საბჭოთა გრაფიკა. თბ., 1952.
11660. დონი. ფანქრის წვერზე. [სატირულ-ჰუმორული კრებული. წინასიტყვ. შ. კვასხვაძის. თბ.], 1957.
11661. დონი (დ. ნაცვლიშვილი) ხუმრობის გარეშე. სატირულ-ჰუმორული კრებული [ი. გრიშაშვილისა და ვ. წულუკიძის შესავალი წერილით „ქართული კარიკატურა და მხატვარი დონი“]. თბ., 1951.
11662. ზიჩი მ. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები. თბ., 1938.
11663. ზიჩი. [„ვეფხისტყაოსნის“ სურათები]. აკინძულია ი. გრ. მიერ.
11664. კოკოჩაშვილი გ. ქუთაისის მუზეუმის ოდიკის ხის კლიშე. ამონაბეჭდი „ჩვენი მეცნიერება“-დან, 1924 წ. № 2.
11665. მამალაძე შ. გრიგოლ პავლეს ძე ტატიშვილი. გრავიორი – ქსილოგრაფი. (1848–1911). [თბ., 1924]. ამონაჭერი ჟურნ. „მნათობი“-დან, 1924, № 4.
11666. ტატიშვილი გ. კანვაზედ საკერი ან-ბანი. ტფ., 1888.
11667. ტატიშვილი გ. ქართული ანბანის თაიგული. ვუძღვნი მომავალ ქართველ ქალთა სკოლას. ტფ., 1902.
11668. ტატიშვილი გ. ქართული ანბანი. შედგ. და ხეზე ამოჭრილი გ. ტატიშვილის მიერ. ტფ., 1894.
- 11669–11670. ურუშაძე მ. პირველი ქართველი გრავიორი გრიგოლ ტატიშვილი. თბ., 1958.
- გვ. 16. მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „ცირკი ერევნის მოედანზე“.
- გვ. 17. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „შკაფჩიკი“.
- გვ. 195. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „გლეხი“ გამოდიოდა ს. ფირცხალავას ფაქტიური რედაქტორობით. ი. გრ“.
- გვ. 204. ტექსტის ბოლოს: „ვ. კოტეტიშვილის წერილი ი. გრ“.
- გვ. 224. „ჟურნ. „ჯეჯილი“-1890 წლიდან“ ხაზგასმულია და მიწერილია: „ბაშინჯალიანის მხატვრობა“.
11671. ფირცხალავა გ. ლეგენდა თბილისის დაარსებისა. [იუმორისტ. ლეგენდა ნახატებში]. თბ., 1959.
11672. შამშინოვი ა. ხატვა-ხაზვის ელემენტარული კურსი. საშ. სასწავლებელთათვის. თარგმ. კირ. მოძუაშვილის მიერ. ქუთაისი, 1919.
- კანზე: „წიგნი თბილისში არ არის. ი. გრ“.

ფოტოგრაფია

11673. კანდელაკი დ. ჩვეულებრივი და ფერადი ფოტოგრაფია. (მოყვარულთათვის). თბ., 1953.
11674. ტაბიძე ბ. ალექსანდრე როინაშვილი. მონოგრაფია. თბ., 1962.

კ ი ნ ო

11675. ასათიანი ლ. და პიპინაშვილი კ. აკაკის აკვანი. მხატვრ. ბიოგრ. ფილმის სარეჟისორო სცენარი. [თბ.], 1946–47.

კანზე: „აკაკის ლირიკის ღირსეულ მემკვიდრეს და ჩემს საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს. კ. პიპინაშვილი. 15/XI. 1946 წ.“

11676. ბაგრატიონი ე. და უბილავა ე. ნიკოლოზ შენგელაია. მონოგრაფიული ნარკვევი. თბ., 1955.

11677. „ბელა“. ციკლიდან „ჩვენი დროის გმირი“ ლერმონტოვისა. [ლიბრეტო. თბ., 1937].

კანზე: „1937. თებერ. 20. ი. გრ“.

11678. „გაფლანგვა“. [ლიბრეტო. თბ., 1926].

კანზე: „1926. 5/XI. ი. გრ“.

11679. გოგოძე კ. ვასილ ამაშუკელი (კინოოპერატორი). თბ., 1954.

11680. გოგოძე კ. ი. ნ. პერესტიანი. [ნარკვევი]. თბ., 1957.

11681. გოგოძე კ. კოტე მარჯანიშვილი. (კინორეჟისორი). თბ., 1953.

11682. გოგოძე კ. ნარკვევები ქართული კინემატოგრაფიის ისტორიიდან. თბ., 1950.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1951. 22/V“.

გვ. 24. ხაზგასმულია: „ერთმა კერძო პირმა მომმართა წინადადებით გადამეღო სურათი „ქრისტინე“, მიწერილია: „გერმანე გოგიტიძე ხომ არ არის?“

11683. გოგოძე კ. ნატო ვაჩნაძე. (მოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფია). თბ., 1961.

11684. გოგოძე კ. ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის 40 წელი. თბ., 1961.

11685. „ვინ არის დამნაშავე?“ (უაილდ-ვესტის მხედარი). [ლიბრეტო. თბ., 1926].

კანზე: „1926. 7/I. ი. გრ“.

11686. თავადის ასული მერი. ციკლიდან „ჩვენი დროის გმირი“ ლერმონტოვის მიხედვით. [ლიბრეტო. თბ.], წ. ა.

11687. იუგოსლავიის კინოფილმების ფესტივალი. [კატალოგი. თბ., 1956].

11688. კანდელაკი დ. კინოხელოვნება. თბ., 1957.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1957. 29/XII.“

11689–11690. კონკურსი კინოსცენარზე. [კრებული. თარგმ.]. მოსკოვი. [თბ.], 1938.

თავფურცელზე: „მარიჯანს. ი. გრ. 1938. 17. X“ და გაზეთიდან ამონაჭერი თბილისის კინოსტუდიის განცხადება „კინო სცენარებზე კონკურსის ორგანიზაციის შესახებ“, მინაწერით: „კომ.“ 1938, № 209“.

11691–11692. კოპლატაძე ლ. მუსიკალური ფილმი „ჯურღაის ფარი“. (თბილ კინოსტუდიის ნაწარმოები). თბ., 1954.

კანზე: „ქეთოსია“.

11693. ლოლაძე ვ. დავით რონდელი. თბ., 1954.

11694–11695. მონიავა ა. კოტე მიქაბერიძე. თბ., 1954.

თავფურცელზე: „საყვარელ სოსოს! ავტორისაგან. 21/I. 54 წ.“

- 11696–11697. მონიავა ა. კოხტა ყარალაშვილი. თბ., 1954.
თავფურცელზე: „საყვარელ პოეტს და შესანიშნავ მოქალაქეს. ავტორისაგან. 21/1 56 წ“.
- 11698–11699. ნათელა (უტუ მიქავა) 7 ნაწილად. [ლიბრეტო. თბ., 1926].
კანზე: „30/III. 1926. ი. გრ“.
11700. ნარიმანიშვილი მ. ნორჩი კინემატოგრაფისტები. [კინომოყვარულთა სახელმძღვანელო]. თბ., 1947.
- 11701–11703. ნატა ვაჩნაძე. [კრებული]. ტფ., 1926.
კანზე: „ი. გრ. 1926. 8/V“.
- გვ. 20. ნ. ვაჩნაძის ავტობიოგრაფიული ხასიათის წერილზე მინაწერი: „დაუწერია გ. ცაგარელს“.
11704. ორი მონადირე. ტრადედია 7 ნაწ. ი. ელეფთერიძის მოთხრობიდან. დადგ. ა. რ. წუწუნავასი, ოპ. ს. კ. ზაბოზლაევი. [თბ., თ. ა.].
11705. რიშკოვი ი. ალექსანდრე დილმელი. [ცხოვრება და მოღვაწეობა]. თბ., 1959.
- 11706–11708. სადული ჟ. ჩარლის ცხოვრება. ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი, მისი ფილმები და დრო. თბ., 1957.
11709. სადული ჟ. ჩარლი ცხოვრება. თარგმ. გ. კარბელაშვილისა. თბ., 1959.
11710. საგურ-საფლავი. სახუმარო იმპროვიზაცია „წითელ ემბაკუნების“ თემაზე. ლიბრეტო. [თბ.], წ. ა.
11711. სეფიაშვილი ო. ნატო ვაჩნაძე. თბ., 1962.
თავფურცელზე: „პატივცემულ სოსო გრიშაშვილს, საყვარელ პოეტს ოთარ სეფიაშვილი. 17. IV. 1962.“
- 11712–11713. სურამის ციხე. კინო-ლეგენდა დ. ჭონქაძის მოთხრობიდან. [თბ., წ. ა.].
- 11714–11715. ფაჩულია ი. და წულეისკირი ნ. სპარტაკ ბაღაშვილი. თბ., 1954.
11716. ფეოდოროვი ა. და გრიგორიევი გ. როგორ ემსახურება კინო ადამიანს. თბ., 1952.
11717. შუქურას საიდუმლოება. [ლიბრეტო]. მხატვრული დრამა 7 ნაწილად. რეჟისორი ვ. ბარსკი. ოპერატორი ა. პოლიკვეიჩი. [თბ., 1925].
კანზე: „1925, 15/XI. ი. გრ“.
11718. „ხანუმა“ (ქეთო და კოტე). რეჟისორი ა. წუწუნავა. ოპერატორი ს. პ. ზაბოზლაევი. ტფ., [წ. ა.].

მ უ ს ი კ ა

11719. აბაშიძე ი. „თქმულება შოთა რუსთაველზე“. მუსიკა დ. არაყიშვილისა. ოპერა-ლეგენდა. [თბ., 1919].
თავფურცელზე: „ჩემს მეგობარ ალექსანდრე ბეშკენაძეს – სახსოვრად ავტორისაგან. 26/XI – 22. ქ. თბილისი“.
11720. აბაშიძე ი. პირველი ქართული ოპერა. [თბ., 1919].

კანზე: „შოთა რუსთაველზე. ი. გრ.“ იქვე: „ოპერის შინაარსი აღებულია: I-იხ. წიგნი „შოთა რუსთაველი და მისი ცოლი“ ანტონ ფურცელაძისა. II. „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „სახ. გაზეთის“ დამატ., № 163, 1913 წ. ი. მჭედლიძევილისა. – III. „შოთა“ – განათლება“, № II, 1912 წ. ა. შანშიაშვილის“.

11721–11723. „აბესალომ და ეთერი“. ორიგინალური ქართული ოპერა ლეგენდა 4 აქტად და 5 სურათად. მუსიკა ზ. ფალიაშვილისა. ლიბრეტო პ. მირიანაშვილისა. თბ., თ. ა.

თავფურცელზე: „ი. გრ., 1930 წ. 20 აპრილს (აღდგომა) ამ დღეს დაიდგა აკაკი ფაღავას რეჟისორობით ეს ოპერა“.

გვ. 13. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ცეკვა?“

11724–11726. აბესალომ და ეთერი. ხალხური თქმულება. ოპერა 5 მოქმედებად და 6 სურათად. ლიბრეტო პ. მირიანიშვილისა, მუსიკა ზაქ. ფალიაშვილისა. ტფ., 1918.

კანზე: „იხ. II გვ. ი. გრ.“

კანის მე-2 გვერდზე ქალაქი, რომელზედაც წერია: „ეთერიანი“ ხელთ. ცენტრ. – არხივი, № 396. ამ ხელთნაწერებშია დ. გურამიშვილის ლექსებიც“.

11727. აღმასტი. ოპერა ლეგენდა 4 მოქმ. [ტფ., წ. ა.].

11728. არაყიშვილი დ. დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერათა კილოს წყობა. თბ., 1954.

11729–11730. არაყიშვილი დ. რაჭული ხალხური სიმღერები. თბ., 1950.

11731–11735. არაყიშვილი დ. ქართული მუსიკა. (მოკლე ისტ. მიმოხილვა). [მ. იპოლიტოვ-ივანოვის წინასიტყვ., ქუთაისი, 1925.

კანზე: „ჩემი ხაზგასმა. ი. გრ“.

გვ. 33. ხაზგასმულია: „დუდუკი“, მიწერილია: „Дудка.“

გვ. 34. ხაზგასმულია: „კასტა“, მიწერილია: „დასტა? ი. გრ“.

გვ. 38. ხაზგასმულია სტრიქონი, მიწერილია: „ალ. ორბელიანის წერილი „ცისკარში“? ი. გრ“.

გვ. 39. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „უსინათლო აშუღები“.

გვ. 44. ხაზგასმულია: „ჟურნალ „მსახიობში“, მიწერილია: „Артист“.

გვ. 52. მოხაზულია ინიციალები: „ვ. დ. კ.“, მიწერილია: „ვ. ყორღანოვი“.

გვ. 59. ხაზგასმულია: „რ. გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინე“ დაიდგა თბილისის „საზაფხულო კლუბში“ 1914 წელს, მიწერილია: „იხ. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1957, № 11“.

11736–11737. არაყიშვილი დ. ე. ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა. თარგმ., რედ. და ლექსიკონი გრ. ჩხიკვაძისა. თბ., 1940.

თავფურცელზე: „ძვირფას მკვლევარს, დიდ პოეტს იოსებ გრიშაშვილს დ. არაყიშვილისაგან. თბილისი. 19. 8/VII. 41 წ.“

კანზე: „ლექსიკ., 59; ავილი, 62“.

გვ. 59. არშიაზე მიწერილია: „ფიფინა-უზალტუნები დაირაზე; იაია“.

გვ. 60. ხაზგასმულია: „ფანდირ-ი – фандыр“ და მიწერილია: „ფანდური“. „ჩალიკი“, მიწერილია: „ჩილიკი“. ხაზგასმულია: „ხემი“, მიწერილია: „ჩემი საიათ“.

11738. არშინ მალ-ალან. ოპერეტკა თათრ. ნათარგმ. ვ. გიგომვილისა. ბათომი, 1928.

11739–11740. არშინ მალ-ალან. ოპერეტკა. თათრულ. თარგმ. ვ. გიგომვილისა. [ქ. და წ. ა. ა.].

11741–11744. ასი ახალი და ძველი რევოლუციონური, თანამედროვე და საქართველოს ყველა კუთხის სახალხო, მუშურ-გლეხური სიმღერების ლექსთა კრებული. სახ. მომღერალთა გუნდებისათვის. მ. კავსადის სახ. მომღ. გუნდის მიერ გამოც. და დაბეჭდილი. ტფ., 1927.

გვ. 7. წარწერა: „ძღვნად ქართულ მუსიკის თანამგრძნობს ქართველს ივ. მაქს. ბოკერიას მიხ. კავსადისაგან. 23/VII – 1927 წ“. იქვე: „P. S. ვიყიდე ბაზარზე პიჩკოვთან (მამა). ი. გრ. 1928 3/1“.

გვ. 10. ლექსს „მარსელიოზი“ მიწერილი აქვს: „ი. ევდოშ“.

გვ. 16. ლექსს „მადლი შენს გამჩენს“ მიწერილი აქვს: „ნ. ბარათაშვილი თუ რაფ“.

გვ. 17. ლექსს „შარი-შური“ მიწერილი აქვს: „გ. ერისთავი“.

გვ. 26. ლექსში „მრავალ-ჟამიერ“ მოხაზულია ორი სტრიქონი და მიწერილია: „დ. გივიშვილის ლექსი“. ლექსში „პატარა საყვარელო“ ხაზგასმულია: „პატარა“... მიწერილია: „აკაკი“.

გვ. 36. ლექსს „მინდა გიყვარდე“ მიწერილი აქვს: „სილოვან“.

მეორე ცალის გვ. 3. წარწერა: „ჩემს კარგ მეგობარ და ნიჭიერ პოეტს ი. გრიშაშვილს. მ. კავსადისაგან. 10–III 1937 წ“.

11745–11746. ასლანიშვილი შ. ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ. წ. 1–2. თბ., 1954.

წ. 1.

წ. 2.

11747. ახვლედიანი ვ. ქართული ჰანგები ნილოსის ნაპირებზე. ბათუმი, 1961.

11748–11749. ბახუტაშვილი ნ. ნარკვევები ქართული ვოკალური განათლების ისტორიიდან. თბ., 1960.

11750–11752. ბეგიჯანოვი ა. დიმიტრი არაყიშვილი. [ცხოვრება და შემოქმედება]. თბ., 1955.

კანზე: „1955 წ. 1/X ი. გრ“.

თავფურცელზე: „მუსიკალური ხელოვნების უანგარო მოამაგეს, სახელოვან ქართველ პოეტ იოსებ გრიშაშვილს, ნიშნად დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა. არჩილ ბეგიჯანოვი. 1/X 55 წ.“

მეორე ცალის გვ. 192 მოხაზულია სათაური „სამშობლო და გამარჯვება“, მიწერილია: „ჩემი სიტყვებით, გვ. 190. ი. გრ.“

გვ. 193. მოხაზულია: „სადამოს ზარი“ ტექსტი გ. მთაწმინდელისა შერეული გუნდისათვის“, მიწერილია: „ძველი ლექსია. მ. ჯანაშვი“.

გვ. 195. ხაზგასმულია ლექსი „მინდოდა ცრემლი დამეპატიმრა“, მიწერილია: „ი. გრ“.

გვ. 198. დ. არაყიშვილის მიერ დამუშავებული სიმღერების ტექსტების სათაურებთან მიწერილია ავტორები: „აკ, მთვარე, მთვარე“ – გრ. რჩ. „ბუნდოვან გულსა“ – ბესიკი. „ჩემო თავო“ – აკაკი. „ორთავ თვალის სინათლევ“ – გ. სკან“.

გვ. 205. ხაზგასმულია: „დემონის ლიბრეტოები“ მიწერილია: „პ. მირიანაშვილმა თარგმნა“.

11753. გავაშელი ლ. ია კარგარეთელი. ძვირფას მასწავლებელს უძღვნა თბ. ყოფილი სახ. სემინარიის მოწაფეები. 1869–1923 წ. 5 მაისი. (35 წლის სამუსიკო და საზოგადო ასპარეზოზე მოღვაწეობის აღსანიშნავად). [თბ., 1923].

კანზე: „ი. გრ. 5/V-23 წ“.

გვ. 5. ხაზგასმულია „თეთრი ვარდი“, მიწერილია: „ჩემი ლექსია“.

გვ. 7. ტექსტის ბოლოს ავტორის გვართან მიწერილია: „შვილი?“

11754–11755. გავაშელი ლ. ია კარგარეთელი. მონოგრაფია. თბ., 1959.

11756. გეგეჭკორი ლ. ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. თბ., 1954.

თავფურცელზე: „სიყრმის მეგობარს, ჩემს საყვარელ პოეტ-აკადემიკოსს ი. გრიშაშვილს. ლადო გეგეჭკორი 28/IX–54. თბილისი“.

ფორზაცზე: „გვ. 38. ი. გრ“.

11757–11758. გეგეჭკორი ლ. ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. თბ., 1958.

ტ. 2.

ფორზაცზე: „ჩემს საყვარელ პოეტს სოსო გრიშაშვილს უღრმესი მეგობრობისა და პატივისცემის ნიშნად. ლადო გეგეჭკორი. 18/XI. 1958 წ. თბილისი“.

11759. დავით ანდღულაძე. (საიუბილეო გამოცემა). [წერილების კრებული დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით]. თბ., 1958.

11760–11762. დაისი. ლიბრეტო ოპერა „დაისი“-სა. მუსიკა ზ. ფალიაშვილისა, ლიტ. ტექსტი ვ. გუნიასი. ტფ., 1923.

კანზე: „ი. გრ. 1938“.

11763. დაფქვიაშვილი თ. მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი. თბ., 1955.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1955–1-VII“.

11764–11766. დემონი. ოპერა-ფანტაზია 3 მოქმედებად. (ლიბრეტო). მუსიკა ა. გ. რუბინშტეინისა. პოემა ლერმონტოვისებურად შედგენილი ა. ა. ვისკოვატოვის მიერ. თარგმ. კლდიასი. თბ., 1904.

კანზე ხაზგასმულია მთარგმნელის ფსევდონიმი „კლდიასი“ და მიწერილია: „პეტრე მირიანაშვილისა“.

11767. დემონი. ლიბრეტო დემონი. ფანტასტიკური ოპერა 3 მოქმედებად. მუსიკა ა. გ. რუბინშტეინისა, ლიბრეტო შედგენილია მ. ლერმონტოვის პოემიდან. თბ., 1918.

11768. დვალი ე. რაჭული სიმღერები. [თბ.], 1918.

11769. დონაძე ლ. შალვა მშველიძე. (მონოგრაფიული ნარკვევი). თბ., 1946.

კანზე: „ი. გრ. 1947. 13/II“.

წიგნის ბოლოს გაზეთიდან ამოჭრილი ცნობა „Литература о музыке“, მიწერილი: „Заря Востока“, 1947. 7 თებ.“

11770. ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის III-სამეცნიერო სამემსრულებლო სესია. 1954 წ. 27–28 მაისი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1954.

11771. ვანო სარაჯიშვილი. ოცი წლის იუბილეს გამო. [თბ.], 1923.

11772–11773. ვაჩნაძე მ. ვიქტორ დოლიძე. თბ., 1958.

თავფურცელზე: „ჩემი კუპლეტები. გვ. 14, გვ. 20. ჩემი, 72“.

11774. ვილჰელმ ტელი. ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ჯ. როსინის. მოკლე შინაარსი შედგ. ნ. რიადნოვას მიერ. ლიბრეტო შილერის დრამით, შედგ. იპპოლიტ ბი და ჟუს მიერ. [თბ., 1934].

11775. ზურაბიშვილი ი. ვანო სარაჯიშვილი. ოცი წლის იუბილეს გამო. [თბ.], 1923.

კანზე: „ეს ერთი წიგნი გადამრჩა გამოუშიგვნელი. ლექსი დაბეჭდილია – სხვა ეგზემპლიარებში ამოღებულია. წიგნს მე ვხელმძღვანელობდი. ი. გრ“.

წიგნში დევს: 1. განცხადება ვ. სარაჯიშვილის იუბილეს მომწყობი კომიტეტისაგან. 2. სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის მიერ გამოცემული პატარა წიგნი ვ. სარაჯიშვილის ბიოგრაფიით (გარდაცვალებასთან დაკავშირებით). 3. სახელმწიფო კონსერვატორიის 1925 წ. ოთხ გვერდიანი გამოცემა, მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით და ვ. სარაჯიშვილის მიერ განსახიერებული როლების სურათებით.

11776. ზურაბიშვილი ი. ვანო სარაჯიშვილი. (პორტრეტი). [თბ.], 1939.

თავფურცელზე: „გრძნეულ მიდასს ქართული ლიტერატურისას. ჩემს საყვარელ სოსოს. ილიკოსაგან 19. 12. VIII 39 წ. დედა-ქალაქი“.

გვ. X. შენიშვნას: „იხ. ვანო სარაჯიშვილი“, 1923 წლის გამოცემა, გვ. 12“, მიწერილი აქვს: „ი. ზურაბიშვილის წერილი“.

გვ. XV. ხაზგასმულია: „ერთი რეცენზენტი“, მიწერილია: „ი. ზურაბიშვილი“.

წიგნში დევს: „1. გაზეთიდან ამოჭრილი გ. ბუხნიკაშვილის წერილი „Вано Сараджишвили“, მინაწერით „Заря“, 1939, № 260, 2 ნომბ.“. 2. გაზეთიდან ამოჭრილი კოლექტიურ ავტორთა წერილი „ვანო სარაჯიშვილი“, მინაწერებით: „იუბილე ჰქონდა 1923. გარდაიც. 1924. ი. გრ. „კომუნისტი“, 1939, 12 ნომბ., № 260“. 3. ჟურნალიდან ამოჭრილი გ. მ.-ს რეცენზია ი. ზურაბიშვილის წიგნზე „ვანო სარაჯიშვილი (პორტრეტი)“, მინაწერით: „მნათ.“, 1939, № 8“.

11777–11779. ზურაბიშვილი ი. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ თბ., 1941.

თავფურცელზე: „მას, ვინც მიყვარს, ვით კაცურ კაცი, უკეთილშობილესი მოქალაქე-მამულიშვილი, უნიჭიერესი პოეტი და მწერალი, ყველაფერში თავისი საკუთარი სახის მქონე ადამიანი, მგზნებარე ტემპერამენტიანი შემოქმედი და სხვ. და სხვ. – ერთის სიტყვით, ჩემს სოსოს (იოსებ გრიშაშვილს) – ნიშნად უანგარო მეგობრობისა და პატივისცემისა. ავტორისაგან. 19. 1. VII. 41 წ. დედაქალაქი“.

ფორზაცზე: „1. მიიღო რეცენზენტის რჩევა, 73. 2. ფეხის ქება, 76. 3. ამბობენ ეს A. B–H დ. არაყიშვილი იყო, გვ. 21“. გაზეთიდან ამონაჭერი ცნობა ამ წიგნის გამოსვლის შესახებ, მინაწერით: „კომ“. 26 ივლისი, 1941 წ., № 175“.

გვ. 21. ხაზგასმულია: „II“, მიწერილია: „II. Бегутов“.

გვ. 23. პირველ სტრიქონთან ჩამატებულია: „განაგრძობს A. B.–H.“

გვ. 73. ხაზგასმულია: „რეცენზენტის რჩევა“, მიწერილია: „ეს რეცენზენტი თვით ილია ზურაბიშვილი იყო. ი. გრ“.

გვ. 74. ხაზგასმულია: „ცნობილი მუსიკოსის აზრი“, მიწერილია: „ვინ?“

გვ. 76. ხაზგასმულია: „სალოცავია კაცთაგან ფერფლიც შენ ფეხთა მტვერისა“, მიწერილია: „მე რაღაზე მლანძღავდნენ“.

11780. ზურაბიშვილი ი. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. თბ., ამონაჭერი ჟურნ. „მნათობი“-დან.

11781–11782. ზურაბიშვილი ი. ხალხის შემოქმედი გენია. ლეკური, კახური მრავალჟამიერი, ურმული. თბ., 1949.

თავფურცელზე: „ჩემს ერთადერთ სოსოს ილიკოსაგან. 15. VII. 1949 წ. თბილისი“. მეორე ცალის ყდასა და თავფურცელზე: „ცეკო, გვ. 14. ი. გრ“.

11783–11785. თამარ-ცბიერი. ოპერა 4 მოქ. [ლიბრეტო]. მუსიკა მ. ბალანჩივაძისა, პოეტი ა. წერეთლის დრამის მიხედვით. თარგმანი ვ. ლ. ველიჩკოსი. მოკლე შინაარსი და მუსიკალური მიმოხილვა შედგენილია ნ. ა. რიადნოვას და ვ. გავაშელის მიერ. [თბ., 1929].

კანზე: „კარგი ლიბრეტოა“. იქვე: „1897 პირველად პეტერბურგში. სრულად 1929 წელს დაიდგა პირველად“.

გვ. 9. მიწერილია: „ეხლა, 1936, მიდის „დარეჯან ცბიერის“ სახელით.

გაზეთიდან ამონაჭერი შ. ბ-ს წერილი „დარეჯან ცბიერი“, მინაწერით: „კომ.“, 1936, № 262, 12 ნოემბ“.

11786. თაქთაქიშვილი შ. დეპუტატი. ოპერა 4 მოქმ. 5 სურ. [ლიბრეტო]. თბ., 1940.

კანზე: „პრემიერა 1940 5 მაისი. ი. გრ“.

11787–11788. იმედაშვილი ი. ლადო აღნიაშვილი. 1860–1904. ცხოვრება-მოღვაწეობა. [თბ., 1929].

თავფურცელზე: „საამაყო მგოსანს, მკვლევარსა და მეგობარს – სოსო გრიშაშვილს. ავტორი“.

კანზე: „ა. ჭ-ძეზე ლექსი, გვ. 20“.

11789. კ. ფოცხვერაშვილის სიტყვა მუსიკობის პროგრამა. [თბ.].

კანზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „ანიკო ღვინიაშვილისა.“ იქვე: „ვიყიდე ბაზარზე 1935. 20/V. ვანიჩკასაგან. ი. გრ“.

11790. კამორა. (ნეაპოლიტანური ცხოვრებიდან). კომიკური ოპერა 3 მოქმ. მუსიკა ე. დ. ესპოზიტოსი. ლიბრეტო ს. ი. მამონტოვის. მოკლე შინაარსი შედგ. ნ. რიადნოვის მიერ. [თბ.].

11791. კაპანელი კ. მოცარტი, ბეთჰოვენი, ვაგნერი. [თბ.], 1937.

11792–11793. კარბელაშვილი პ. ქართული საერო და სასულიერო კილოები. ისტ. მიმოხილვა. ტფ., 1898.

კანზე: „P. S. ქართულ გალობაზედ იხ. „ცისკარში“ ფილიმონ კარბელოვის წერილი. „ცისკ.,“, 1864, № 5“.

მეორე ცალის კანზე: „პეიტარი, 97.“

11794–11795. კარგარეთელი ი. მოკლე პოპულარული სამუსიკო ენციკლოპედია. ტფ., 1933.

კანზე: „არაბული ჰანგები, გვ. 52–55“.

კანის მე-4 გვერდზე: „ხოლერით გარდაიცვალა აგრეთვე კომპ. ჩაიკოვსკი, 1893 წ; მსახ. ი. ივანიძე და ნინო ჭ-ძე“.

გვ. 31. სათაურთან: „მესტვირე“ მიწერილია: „და აშული“.

გვ. 33. ლექსის გასწვრივ მიწერილია: „ეს გალექსა დ. მაჩხანელმა“.

გვ. 36. ტექსტის ბოლოს წერია: „აშული?“

გვ. 49. ხაზგასმულია: „რაციფი“, მიწერილია: „იხ. საბა“.

გვ. 52. ხაზგასმულია: „ავაჯა“, მიწერილია: „აჯა“.

გვ. 156. მოხაზულია; „ამ ოპერის წერის დროს მან დაჰკარგა შვილი, ქალი, ცოლი“, მიწერილია: „ქალი? შვილი არ არის?“

მეორე ცალის კანზე: „1. ალ. რაზმაძე, 192. 2. ბოროდინი, 164. 3. შიოს ლექსი, 104“.

11796. კარგარეთელი ი. სიმღერა-მუსიკის სახელმძღვანელო სახალხო სკოლებში სახმარებლად. თბ., 1921.

გვ. 89. ხაზგასმულია: „დავრიშებს ხან სალოცველად, ხან დასაწველად“ და მიწერილია: „ნ. ბარათაშვილისა“.

11797. კარგარეთელი ი. „ქართული მუსიკა“ და უმიკაშვილი პ. „გასამრჯელო სალიტერატურო შრომისათვის“ ამონაჭერი: „მოამბე“, 1895, № 2.

11798. კარგარეთელი ი. ქართული ხალხური სიმღერები და ლექსები. შეკრებილი ი. გ. კარგარეთელის მიერ. ტფ., 1909.

თავფურცელზე: „ახალგაზრდა საიმედო მუშაკს – გრიშაშვილს ავტორისაგან. ი. კარგარეთელი. 1909 წ. 25 მაისი“.

ფორზაცზე: „1. გაზეთიდან ამონაჭერი გრ. ჩხიკვაძის წერილი „ია კარგარეთელი“, მინაწერით: „კომ.“, 1 აპრილი, 1939, № 76“. 2. ქალაქის ნაჭერი, რომელზედაც წერია: „ია კარგარეთელი 1939 წ. 1. აპრილს გარდაიც.“ ავტორის გვართან: „1867–1939“.

გვ. 49. მე-3 და მე-4 სტრიქონებს შორის ჩამატებულია:

„ან შენი ქოჩრის ბეწვი მქნა
რომ ნემსზედ აგეგებოდე,
ან შენი წარბის ფერფლი მქნა
წამწამზე დაგედებოდე“.

ი. გრ. ეს ლექსი დაბეჭდილია „ივერიაში“, 1886 წ. № 204 და ჩემს „ბოჰემაში“, იხ. თავი „ეთიმ-გურჯი.“ ამ წიგნის რეცენზია, იხ. „დროება“, 1909 წ. № 248. ამ გაზეთშია აგრეთვე „დროება“, 1910 წ. ია კარგარეთელის პასუხი თ. რაზიკაშვილისადმი, რომელიც ამბობდა თურმე, ზოგიერთი ლექსი ხალხური არ უნდა იყოსო, გრძელ ლექსს ხალხი არ დაიხსომებსო – ამ აზრს უპასუხებს ია კარგარეთელი თავისი წერილებით „დროებაში“, 1909, 1910, წ. წ. ი. გრ“.

11799. კარმენ. ლირიკული დრამა 4 მოქ., მუსიკა ჟ. ბიზესი. ლიბრეტო-დრამის მოკლე შინაარსი მთავარ არიების სიმღერების ნუმრების ტექსტის დაცვით. თბ., 1918.

კანზე: „1919 წ. 15/IV.“

11800. „კარმენი“. ოპერა 4 მოქ. მუსიკა ჟ. ბიზესი. ტექსტი მელიაკის და გალევის პ. მერიმეს რომანის მიხედვით. მოკლე შინაარსი და მუსიკალური მიმოხილვა ნ. რიადნოვასი. [თბ., 1934].

კანზე: „ი. გრ. 1931. 27/II“. იქვე: „ვ. გუნისას თარგმანი“.

11801–11802. კაშმაძე შ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი. (მასალები ისტორიისათვის). ნაწ. 1–2. თბ., 1950, 1955.

ნაწ. 1. 1851–1921. 1950.

ფორზაცის მე-2 გვ.: „სასიქადულო ქართველ მწერალს, საყვარელ იოსებ გრიშაშვილს შალვა კაშმაძისაგან 1953. 13/III“.

ყდასა და ფორზაცზე: „ი. გრ. 1951. 1. VII“.

ფორზაცზე: „1. ზარუნდნია და ი. გოგებაშ., 188. 2. შალიაპინი – ქართველი, 268. 3. ქართულ-რუსული პროგრამა, 100. 4. აბა, სად იყო პუშკ. თეატრი? 248“.

გვ. 335. პ. კაკაბაძის სურათს მიწერილი აქვს: „იხ. „ნიშადური““.

ყდის მესამე გვ.: „რეცენზია: 1. „ლიტ. და ხელ.“, 1951, 29 ივლის. 2. „მნათობი“ და გაზეთიდან ამონაჭრები: 1. ვლ. ჯიბუტის რეცენზია „წიგნი ქართული ოპერის ისტორიაზე“, მინაწერით: „ახალგ. კომ.“, 1951, № 140, 20 ნოემბ.“ 2. გ. ბედინეიშვილის წერილი „Неудачная книга“, მინაწერით: „Заря“, 1953, Заря, № 79“.

წ. 2. 1921–1951, 1955.

ყდის მეორე გვერდზე: „ჩემგან – 192“.

გვ. 192. მოხაზულია აბზაცი და მიწერილია: „ჩემგან. იხ. „ა. ჭ.““

11803. კაშმაძე შ. გადატეხილი სალამური. [ნარკვევი ვანო სარაჯიშვილზე]. – თბ., 1947.

თავფურცელზე: „ძვირფას პოეტსა და ადამიანს იოსებ გრიშაშვილს. შალვა კაშმაძე. 25. XII. 1947“.

11804. კაშმაძე შ. გადატეხილი სალამური. [ნარკვევი ვანო სარაჯიშვილზე]. თბ., 1957.

კანზე: „ი. გრ. გვ. 41. „გენაცვალე“. იქვე ავტორის გვარს მიწერილი აქვს: „გარდაიცვალა“.

გვ. 43. არშიაზე: „მე მაქვს – ი. გრ.“ გულისხმობს ფირფიტებს ვ. სარაჯიშვილის დამღერებით.

11805–11807. კაშმაძე შ. ვანო სარაჯიშვილი. მონოგრაფია. თბ., 1947.

თავფურცელზე: „ქართველი ერის საამაყო პოეტს – იოსებ გრიშაშვილს. ავტორისაგან. 25. XII. 1947“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „ილია ზურაბიშვილის წიგნი“.

11808. კაშმაძე შ. ვანო სარაჯიშვილი. მონოგრაფია. თბ., 1962.

11809–11810. კაშმაძე შ. ზაქარია ფალიაშვილი. [ცხოვრება და შემოქმედება]. თბ., 1947.

თავფურცელზე: „ძვირფას პოეტს და ქართული კულტურის გულმოდგინე ჭირისუფალს იოსებ გრიშაშვილს ნიშნად ღრმა პატივისცემისა. შალვა კაშმაძე. 5/I – 1948 წ.“

გვ. 7. ხაზგასმულია: „ილია ჭავჭავაძემ ორი მოწინავე სტატია მიუძღვნა“... მიწერილია: „ეს წერილები ეკუთვნის სპ. ჩიტორელიძეს“.

11811–11812. კაშმაძე შ. ზაქარია ფალიაშვილი. დოკუმენტურ-ბიოგრაფიული ნარკვევი. თბ., 1948.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1949. 30/VI. ზ. ფალიაშვილის მიერ გადად. ჩემი რომანსები, გვ. 151“.

ყდაზე: „რეცენზიით. ი. გრ“.

გვ. 159. მე-6 აზხაცი მოხაზულია, მიწერილია: „აკლია 1908 წლის თეატრის გახსნის დროს ფალიაშვილის დირიჟორობა. ნატროევის მუსიკა“.

გაზეთებიდან ამონაჭრები: 1. ა. ბურთიკაშვილის რეცენზია „წიგნი დიდ კომპოზიტორზე“, მინაწერით: „კომუნისტი“, 1949 წ. 30 ივნისი, № 152“. 2. Буачидзе III. «Книга об основоположнике грузинской оперной музыки», მინაწერით: «Заря».

11813–11814. კაშმაძე შ. სანდრო ინაშვილი. [მონოგრაფია]. თბ., 1948.

ყდაზე: „ავტორისაგან. ჩემი მოგონება, გვ. 37“.

ფორზაცზე: „ჩემი წერილი, გვ. 37. ი. გრ. 1948. 2. VII“.

თავფურცელზე: „საამაყო ქართველ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს იოსებ გრიშაშვილს. ავტორისაგან. 2. VII. 1948 წ. თბილისი“.

გვ. 5. სტრიქონთან: „ქართულ ოპერას საფუძველი ჩაუყარეს: მ. ბალანჩივაძემ, დ. არაყიშვილმა“... ჩამატებულია: „ია კარგარეთელი“.

გვ. 12. ხაზგასმულია: „1900-იან წლებში... იმართებოდა საოპერო სპექტაკლები...“ მიწერილია: „რა ენაზე?“

წიგნში დევს გაზეთიდან ამონაჭერი შ. ბუაჩიძის წერილი: „Монографии о Ване Сараджишвили и Сандро Инашвили“, მინაწერით: „Заря В.“, 1948 წ., № 187, 18 სექტ.“

11815–11817. კაშმაძე შ. სანდრო ინაშვილი. მონოგრაფია. თბ., 1957.

გვ. 30. დანიშნული ადგილი, სადაც დაბეჭდილია ი. გრ. მოგონება ს. ინაშვილზე.

მეორე ცალის შმუცტიტულზე: „ი. გრ. მე, გვ. 13. გვ. 29.“

11818. კემულარია გ. სიმფონიური ორკესტრი. საკრავთმცოდნეობა. თბ., 1957.

თავფურცელის მე-2 გვ.: „ქართული ლექსის ჯადოქარს, უნიჭიერეს მკვლევარს, მრავალმხრივ მოღვაწეს, ქართველი ერის უსაყვარლეს მგოსანს იოსებ გრიშაშვილს (სოსოს) მოკრძალებითა და ღრმა პატივისცემით. ავტორისაგან. 5/VII. – 57 წ. გ. კემულარია“.

11819–11820. კომპოზიტორი დიმიტრი ეგნ. არაყიშვილი რესპუბლიკის სახალხო არტისტი. ბიოგრაფია. ტფ., 1936.

გვ. 13. ხაზგასმულია ადგილი, მიწერილია: „ფალიაშვილმა 1910 დადგ. აბესალომი“.

11821. ლატავრა. ქართულო ოპერა 4 მოქმ. 6 სურ. მუსიკა ზ. ფალიაშვილის. ტექსტი ს. შანშიაშვილისა. მოკლე შინაარსი. თბ., 1937.

კანზე: „ი. გრ. 1938“.

11822. ლეკიშვილი ს. ი. რატილი საქართველოში. თბ., 1961.

11823–11824. მირიანიშვილი პ. ვეფხის-ტყაოსანი ხუთ სურათად. შოთა რუსთველ-ოქროპირ-ბატონიშვილისებურად. [ლიბრეტო]. ტფ., 1915.

გვ. 5. ხაზგასმულია: „ხალვათხანა“ და მიწერილია: „ზალა“.

11825. მონიავა ა. და ყუფარაძე ე. ლადო კავსაძე. მონოგრაფია. თბ., 1958.

თავფურცელზე: „ჩემი ლექსი, გვ. 64–65. ი. გრ.“

11826. მოსაშვილი ი. დიადი გზა. საოპერო ლიბრეტო 4 მოქმ. [შ. დადიანის შეს. წერილით]. თბ., 1954.

11827. მსოფლიო ხალხთა სიმღერები საფესტივალოდ. თბ., 1957.

11828. მუჯირი ჯ. მუსიკის სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლის I–II კლასებისათვის. თბ., 1958.

11829. მუჯირი ჯ. მუსიკის სახელმძღვანელო დაწყ. სკ. III კლასისათვის. თბ., 1958.

11830–11831. მჭედლიძე დ. მომღერლის გზა. [დამხმარე სახელმძღვანელო მომღერლებისათვის]. თბ., 1960.

11832. ნადირაძე გ. ნიკო სულხანიშვილი. მონოგრაფია. ტფ., 1937.

თავფურცელზე: „ჩემს უსაყვარლეს მგოსანს იოსებ გრიშაშვილს. გოგი ნადირაძე. 6. III. 38. ტფილისი“.

კანზე: „ნ. სულხანიშვილი (1871–1919). გ. ნატრაძე, 70; გვ. 72, შეცდომა, ნ. სულხანიშვილზე წერილი „სახალხო საქმე“, 1919 წ. 17 დეკემბ.; ი. გრ. ჩემზე, გვ. 6, 42, 112“.

გვ. გვ. 22–23 შორის დევს ქაღალდის ნაჭერი, რომელზეც წერია: „ივერიელი, გვ. 25. დ. ნახუცრიშვილის ფსევდ. იყო; ნადიკვრელი-ილია ზარაფიშვი., გვ. 25; ეს ლექსი ალ. ყაზბეგისაა, გვ. 31; ი. ბაქრაძე, გვ. 31; ბარბ. ჯორჯაძე, 34; „ნაპოლეონი“, 72“.

გვ. 25. ხაზგასმულია: „ივერიელი (ავტორი რამდენიმე წერილისა ქართული მუსიკის საკითხებზე)“, მიწერილია: „ილიაზე წერილი აქვს“.

გვ. 27. ზაქარია ჩხიკვაძის შესახებ მიწერილია: „დაბეჭდილი აქვს „სალამური“.

გვ. 31. მოხაზულია ლექსი „არ გეჯერებათ ქართველნო“, მიწერილია: „ეს ლექსი ა. ყაზბეგისაა“.

გვ. 34. ბარბარე ჯორჯაძის შესახებ არშიაზე: „რაფ. ერის. დაა“.

გვ. 72. მეხუთე აბზაცში ავტორი წერს სულხანიშვილის მეგობარ დ. პავლიაშვილზე. ხაზგასმულია: „1916 წელს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, № 33, ბეჭდავს წერილს ასეთი სათაურით: „ჩუმი მოღვაწენი-სცენის მოყვარე ნაპოლეონი“, არშიაზე მიწერილია: „ეს ნაპოლეონი სხვაა. ამის გვარი იყო ტერ-ასტვაცატუროვი. იმისი პავლიაშვილი იყო.“ აქვე დევს თელავიდან ი. ტორის მიერ გამოგზავნილი ღია ბარათი: „დ. პ-ო სოსო! მიღებისთანავე გიგზავნით პასუხს. ნაპოლეონის გვარი არის ტერ-ასტვაცატუროვი. ამ ოჯახ-დაქცეულს სამსართულიანი გვარი აქვს ძლივს დავწერე. თქვენი წერილის მიღება და დავალება ყოველთვის სასიამოვნოთ რჩება ჩემთვის. რაც ინახება – იყავით კარგად თქვენი ისაკ ტორი. 1938. 23. 3. თელავი.“

გვ. 117. ხაზგასმულია: „1892 წელს ნიკოს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ოპერის დაწერა,“ წერია: „ამას ადასტურებს დათა ნატრაძის კერძო წერილი, რომელიც მომცა მარიჯანის რძალმა თამარიმ. ი. გრ. 1940. 15. V“.

კანის 3–4 გვერდზე: „შეცდომა. 1. ილიასი არ არის, გვ. 53–58. 2. დ. არაყიშვილის წიგნი, 50. 3. ეს ნაპოლეონი სხვაა, გვ. 72“.

წიგნში გაზეთ „კომუნისტის“, 1939 წ. 3 დეკ., № 278, შ. კაშმაძის წერილით „ნიკო სულხანიშვილი“. გაზ. „დილა“ 1913, № 22, 30 მარტი, რომელშიც მოთავსებულია ცნობა ი. გრიშაშვილის სადამო-მეჯლისის გამართვის შესახებ ქუთაისში, გაზეთზე

მიწერილია: „ჩემი საღამო. ჩემი საღამო ქუთაისში. ჩემი საღამო და „მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე!“ ლექსის „მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე...“ ბოლოს: „ეს სიტყვები, რომელიც დაწერილია პოეტ ს. ფაშალიშვილის მიერ, – ამოვიღე ნ. სულხანიშვილის ნოტიდან. იხ. ნოტი „მაშ გამარჯვება,“ სახელგამი, 1935 წ.“

11833–11836. ნატურის თვალი. კომიკური ოპერეტტი სამ მოქმ. ა. დიუროს და გ. შილიოს ოპერეტტიდგან გადმოქართულებული ა. მ. ახნაზაროვის მიერ. მუსიკა ედ. ოდრანისა. ტფ., 1895.

კანზე: „ი. გრ. გვ. II“.

გვ. II. ხაზგასმულია: „კ. ს. ცხომელიძე (ივერიელი), მიწერილია: „კაზიმირ. ი. გრ“.

მეორე ცალის კანზე: „ეს წიგნი არ არის თბ. ბ-ში. ი. გრ. როდის დაიდგა პირველად, იხ. II გვ.“

11837–11838. ნიკულინი ლ. ფეოდორ შალიაპინი. ცხოვრებისა და შემოქმედების ნარკვევი. თარგმ. ე. უთურგაშვილისა. თბ., 1958.

11839. ნოტების ასოები და მისი ახსნა. ტფ., 1905.

კანის მე-2 გვერდზე: „საყვარელ ადამიანს, ქართველი ხალხის მესაიდუმლე ბულბულს საჩუქრად გიორგი გიორგიძე. (სულერთია, არ შემარჩენდი!) გ. გ. 1956 წ. 12/XII.“

11840. ოტელო. ლირიკული დრამა 4 მოქმ. [ლიბრეტო. თბ., წ. ა.].

11841. პეტრე ამირანაშვილი სსრ კავშირის სახალხო არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი. თბ., 1954.

11842. პირველი მოქმედება ოპერა-ბუფისა მშვენიერი ელენე. სიტყვები ჰ. მეიჰლაკისა და ლ. ჰალევისა. მუზიკა ჟ. ოფენბახისა. ქართულად გადმოღებული თ. დავით ერისთავის მიერ. თბ., 1878.

ფორზაცზე: „ი. გრ. ტასო აბაშიძემ მიბოძა – 1945. 17. X.“

ფორზაცის მე-2 გვერდზე: „იბეჭდებოდა ჟ. „კრებულში“. ი. გრ“.

11843. პირველი ქართული სასულიერო მხატვრულ საგალობელთა საღამო კინცერტი კ. ფოცხვერაშვილისა. ქუთაისი, 1915.

კანზე: „ეს გამოცემა მხოლოდ წიგნის პალატას აქვს. ი. გრ.“

11844. პროფ. რიადნოვის სახ. ვოკალური სტუდიის კონცერტი. [ტფ.], 1935.

11845. რესპუბლიკის სახალხო არტისტის კომპოზიტორ მელიტონ ანტონის-ძე ბალანჩივაძის 50 წლის სამუსიკო-შემოქმ. მოღვაწეობის იუბილე. [ტფ., 1934].

11846. [რუსიშვილი გ.] სიმღერა და მეტყველება. ტფ., 1928.

11847. საბავშვო ოპერები. ტფ., 1927.

11848. სვანიძე გ. ნოტების ანბანი. შრომის სკოლების მესამე-მეშვიდე ჯგუფებისათვის. ტფ., 1931.

11849. სვანიძე გ. ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი. [ე. ვირსალაძის რედაქ. და წინასიტყვ.]. თბ., 1957.

11850–11851. სხვიტარიძე ა. ძუკუ ლოლუა. პროფ. ი. აბულაძის წინასიტყვ. და ავტორის სურათით. ქუთაისი, 1928.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 27. XII. 29 წ“.

კანის მე-2 გვერდზე ბარათი: „სალამი იოსებ! თქვენი თხოვნის თანახმად თქვენს ბიბლიოთეკას, ხელთ ვიგდე თუ არა, უგზავნი ჩემს „ძუკუ ლოლუა“-ს. თქვენს სახელზე ჩემს მიერ გადმოგზავნილ ალ. პუმკინის „Узник“-ისა და „Золото и Булат“-ის ჩემს თარგმანებს რა ბედი ეწვია? ისინი თვით თქვენ დედანს თუ შეადარეთ? ნახვამდის. პატივისცემით: აკ. სხვიტარიძე. საჭამიასერი. 27. XII. 29 წ.“

მეორე ცალის ავტორის პორტრეტთან მიწერილია: „რატომ თვითონ ძუკუს სურათი არ არის?“

გვ. 5. წინასიტყვაობის სქოლიოში ხაზგასმულია: „ლირიკული ნაწყვეტები შევა შემდეგ წიგნაკში“ და მიწერილი: „ეს წინასიტყვაობაც რომ იქ შესულიყო – არ იქნებოდა?“

გვ. 11. ხაზგასმულია: „აქ გამართულ კონცერტის წინ ძუკუმ სამახსოვროდ გადაიღო სურათი ი. გრიშაშვილთან“, არშიაზე კითხვის ნიშანი.

11852. ტარიელი. ლიბრეტო ახალი ქართული ფეერიისა 3 მოქმ. და 8 სურათად. [თბ., 1888].

თავფურცელზე: „სანდროს ლადო“.

კანის პირველ გვერდზე: „ბ. ალექსანდრე გოცირიძეს სახსოვრად აღნიაშვილი ლადო. 88 წ. 25 დეკემბერს“. „ალექსანდრე გოცირიძე“-სთან წერია: „ნიკოს უფროსი ძმა. ი. გრ“.

კანის მე-4 გვერდზე: „ეს ლიბრეტო მივიღე ქ. ბაქოში. ბ. აღნიაშვილისაგან. 28. ქრისტეშობისთვის 88 წელს. სანდრო“.

11853. ტორაძე გ. იონა ტუსკია. მონოგრაფია. თბ., 1962.

11854. ტოსკა. ოპერა 4 მოქმ. დ. პუჩინის. ტექსტი ილიკკის და ჯიოკოზას. ვ. სარდუს დრამის მიხედვით. [ლიბრეტო. თბ., 1935].

11855. ტრავიატა. ლიბრეტო. 4 მოქმ. ოპერა, მუსიკა ვერდისა. თბ., 1919.

კანზე: „13 მარტი. 1920 წ.“

11856. ტრავიატა. ოპერა სამ მოქმედ. ჯ. ვერდის მუსიკა. ლიბრეტო ფ. პიავესი. მოკლე შინაარსი და მიმოხილვა ნ. რიადნოვის. [თბ.], სეზონი 1934–35.

11857. ტრუბადური. ოთხმ. ოპერა. [თბ.], თ. ა.

11858. ტრუბადური. ოპერა 4 მოქმ. თბ., 1938.

11859–11861. ფაუსტი. ოპერა ხუთს მოქმ. [ლიბრეტო]. მუსიკა შ. გუნოსი. ტექსტი ბარბიესი და კარესი. თარგმ. დავ. ნახუცრიშვილისა. თბ., 1906.

11862. ფაუსტი. ოპერა 5 მოქმ. [თბ., თ. ა.].

11863. ფერმანი ვ. დასავლეთ ოპერის მუსიკის ისტორია. თარგმ. პ. ხუჭუასი. თბ., 1956.

11864. ქეთო და კოტე. კომიკური ოპერა 3 მოქმ. მუსიკა ვ. დოლიძის. ლიბრეტო შედგ. ცაგარელის კომედიიდან „ხანუმა“. მოკლე შინაარსი, შედგ. ნ. რიადნოვას მიერ. [თბ., 1932].

კანზე: „პიესა დაიდგა 1919. ი. გრ.“

თავფურცელზე: „ი. გრ. 1932. 4. აპრილი. დაიდგა განახლებულად“. აქვე ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „აკლია ლიბრეტო „ლატავრა“, „ქრისტინე“ 1918 დაიდგა 2 მაისს ქართულ კლუბში, იხ. „თ. და ც.“, 1918, № 8. დასწერა „ჯადოსანიც“.

გვ. 1. ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „ქეთო და კოტე“ დაწერილი (იხ. „თ. და ც.“, 1919, № 3). დაიდგმის წრევანდელ სეზონში, იქვე № 11. დაიდგა 1919 წელს. იხ. „თ. და ც.“, 1920, № 1“.

11865. ქეთო და კოტე. კომიკური ოპერა 3 მოქმ. მუსიკა ვ. დოლიძის. ლიბრეტო შედგენილია ცაგარელის კომედიიდან „ხანუმა“. [თბ., წ. ა.].

კანზე: „1933–1934“.

11866. ქორელი მ. ფილიმონ ქორიძე. ბიოგრაფიული ნარკვევი. თბ., 1949.

კანზე: „ი. გრ. ა. ბერიძე-ტენორი, გვ. 56“.

გვ. 42. ხაზგასმულია: „ესალმებოდა“, მიწერილია: „ამლევდნენ სალამს“.

გვ. 46. ხაზგასმულია: „პიტოევი“, მიწერილია: „ფითოევი“.

გვ. 48–49-ს შორის მოთავსებულ ფ. ქორიძის სურათს აქვს მინაწერი: „გ. გაბაშვილის ნახატი“.

გვ. 57–58. ხაზგასმულია: „მასწავლებელმა მიხეილ მაჭავარიანმა, არქიელის გუნდის ლოტბარმა სცადა ქართულ სიმღერათა სანიმუშო კრებულის გამოცემა, მაგრამ ვეღარ მოახერხა“, მიწერილია: „ეს კრებული გამოვიდა“.

გვ. 65. ხაზგასმულია ადგილი, წერია: „აკაკიმ ოპერას თავი გაანება?“

გვ. 70. მოხაზულია აბზაცი და მიწერილია: „აკაკი“.

თავფურცელზე ა. ბურთიკაშვილის რეცენზია „საყურადღებო ნარკვევი“, ამოჭრილი გაზეთიდან „კომუნისტი“, 1950 წ. 22 მარტი, № 62“ და ფურცელი მინაწერებით: „ფილიმონ ქორიძე გარდაიც. 1911 წ. 19 ივლისს ბახმაროზე, იხ. „ბათომის გაზეთი“, 1911 წ. № 2“. მუსიკოსი და „ორი დარაჯის „მთარგმნელი“.

11867–11869. ქორიძე ფ. სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის. თბ., 1895.

მეორე ცალში კონვერტი, რომელშიც არის ქალაქის 15 ნაჭერი ბიბლიოგრაფიული ხასიათის შენიშვნებით ნოტების შესახებ.

11870. ღვინიაშვილი ა. მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული. [თბ.], 1959.

11871–11872. შარაბიძე ნ. ქართულ ეროვნულ სამხმოვან სიმღერათა კრებული. ნოტების მოკლე განმარტებით. ნაწ. 1. ქუთაისი, 1918.

თავფურცელზე: „დიდათ პატივცემულს სილოვან ხუნდაძეს ავტორისაგან“.

გვ. 18. სათაურში: „ერეკლე პამპულია“, შუაში ჩამატებულია: „და“.

11873. შარაბიძე ს. და პ. მუსიკის სახელმძღვანელო. VI ჯგუფისათვის. ტფ., 1931.

11874. შილაკაძე ვ. მეტყველება და მუსიკა. თბ., 1959.

11875. შილაკაძე ვ. ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის. თბ., 1949.

11876. შილაკაძე ვ. ხალხური მუსიკის მოამაგენი. თბ., 1961.

11877–11880. შოთა რუსთაველი. ოპერა-ლეგენდა 4 მოქმ. მუსიკა დ. არაყიშვილისა. ტექსტი ა. შანშიაშვილისა. მოკლე შინაარსი და მუსიკალური მიმოხილვა ნ. რიადნოვასი. ქართულად ნათარგმნი დ. ნ.-სა. [თბ., 1934].

თავფურცელზე: „ი. გრ. წარმოადგინეს 1930 წ. 7-ს მარტს“.

მთარგმნელის ინიციალები გახსნილია: „დ. ნახუცრიშვილისა“.

კანზე: „თარი, გვ. 9. ი. გრ“.

გვ. 9. მოხაზულია: „თარი“ და მიწერილია: „მე-12 საკ. თარი იყო?“

11881–11883. შოთა რუსთაველი. ოპერა-ლეგენდა 4 მოქმ. [ლიბრეტო]. მუსიკა დ. არაყიშვილისა, ტექსტი ა. შანშიაშვილისა. [თბ., თ. ა.].

თავფურცელზე: „ი. გრ. 1931, II/2“.

კანზე: „ინგოროყვაზე, ი. გრ. შევსებული“.

გვ. 11. ხაზგასმულია: „ინგოროყვას მეცნიერულ გამოკვლევას „რუსთაველიანა“-ში..., მიწერილია: „ეს არ არის წინანდელ, ამნაირივე ლიბრეტოში, ე. ი. შანშიაშვილის ლიბრეტო“.

11884. ჩიტალაძე ტ. სტვირის კვალდაკვალ. თბ., 1962.

11885–11887. ჩიხლაძე ნ. ქეთო ჯაფარიძე. [თბ.], 1961.

11888. ჩხიკვაძე გ. მუსიკის ელემენტარული თეორია. ტფ., 1925.

11889. ჩხიკვაძე გ. საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორები. [თბ.], 1956.

იქვე: „28. [IV]“.

„რატომ არ არის კომპოზიტორი ჩუბინაშვილი! ი. გრ“.

გვ. 80. ტექსტის ბოლოს წერია: „რა ვკარგი ხარ, რა კარგი,“ მუსიკა ა. ბუკიასი, სიტყვ. ი. გრ“.

გვ. 98. ტექსტის ბოლოს წერია: „სევდა“, სიტყვ. ი. გრ. მუსიკა ვ. გოკიელისა“.

გვ. 111. პორტრეტთან: „ო. თაქთაქიშვილი“, მიწერილია: „ჩაჩიბაია“.

გვ. 149. კომპოზიტორ გრ. კოკელაძის შესახებ მიწერილია: „ჩემი ლექსიც აქვს. ი. გრ.“

გვ. 171. კომპოზ. კ. მეღვინეთ-უხუცესის შესახებ წერია: „ჩემი ბევრი ლექსი აქვს გადაღებული. ი. გრ“.

გვ. 178. კომპოზიტორ ს. მირიანაშვილზე: „ამასაც აქვს ჩემს ლექსებზე სიმღერები. ი. გრ“.

გვ. 204. ი. ტუსკიას შესახებ მიწერილია: „ამასაც აქვს. ი. გრ.“

გვ. 210. მიწერილია ა. ფარცხალაძის შესახებ. „ამასაც აქვს. ი. გრ“.

გვ. 224. ტექსტის ბოლოს მიწერილია კომპოზ. ნ. შარაბიძის შესახებ: „ამასაც აქვს. ი. გრ.“

გვ. 241. ხაზგასმულია: „კომპოზ. გორდელი (ბუზოლლი) ოთარ მიხეილის-ძე“, მიწერილია: „ოთარ ზაქარიას-ძე ფალიაშვილი?“

11890. ჩხიკვაძე გ. ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა. თბ., 1948.

11891. ჩხიკვაძე გ. და კოკელაძე გ. მუსიკალური თვითმოქმედების ძირითადი ამოცანები. თბ., 1951.

წიგნში წერილი: „პატივცემულო სოსო! მე მინდა ამ ბროშურებმა თქვენს ბიბლიოთეკაში პატარა ადგილი იპოვნონ თქვენის საშუალებით. ლექსი არ გეგონოს – პროზაა. პატივისცემით ვ. ხატიაშვილი. 20/IX“.

11892–11893. „წყნარი დონი“. (ოპერა 4 მოქმ. 6 სურ.) მუსიკა ი. ი. ძერჟინსკის. ლ. ი. ძერჟინსკის ლიბრეტო. მ. შოლოხოვის მიხედვით. ლიბრეტოს მოკლე შინაარსი შედგენილია ნ. რიადნოვას მიერ. თბ., 1938.

კანზე: „ი. გრ. 1938, 12. VI“.

11894. ჭიაურელი ნ. საბჭოთა საქართველოს ჰიმნი. მასიური შესწავლის სახელმძღვ. (თვითმომქმ. წრეებისათვის). თბ., 1947.

11895. ხოლოპკა. [ოპერეტა. 3 მოქმ. მუსიკა ნ. სტრელნიკოვის, ტექსტი გერკენის. ლიბრეტო. თბ., წ. ა.].

11896. ხუჭუა პ. ანდრია ყარაშვილი. (პოპულ. მონოგრაფია). წინასიტყვ. და რედ. გრ. ჩხიკვაძისა. თბ., 1946.

კანზე: „ი. გრ. 1947 წ. 14/II“.

გვ. 6. ხაზგასმულია: „ი. სარაჯიშვილი“, მიწერილია: „რომელი სარაჯიშვილი? ი. გრ“.

გვ. 8. წერია: „როცა ჯერ კიდევ დრამა უმუსიკოდ იდგმებოდა ი. გედევანიშვილის „სინათლე“-ში რეჟისორმა ჩაურთო ა. ყარაშვილის „სამშობლო“, რომელმაც დიდი პოპულარობა მოუპოვა სინათლის ავტორს. ი. გრ“.

გვ. 27. ხაზგასმულია: „ვინმე ქართლ-იმერელი“, მიწერილია: „წერეთელი“.

გარეკანის მე-4 გვერდზე: „როდის რა დაწერა, თარიღები არა აქვს“.

11897. ხუჭუა პ. მელიტონ ბალანჩივაძე. მონოგრაფია. თბ., 1950.

კანზე: „მე-164, 166. ი. გრ“.

გვ. 149. სქოლიოში ხაზგასმულია: „მელიტონის ცნობილი რომანსი „ნუ შემიბრალებ...“ მიწერილია: „ეს ნოტი დაიბეჭდა „საქ. კალენდარში“.

გაზეთიდან ამოჭრილი ა. რჩეულიშვილის წერილი „Интересное исследование“, მინაწერით: „Заря“, 1951, № 189, 12 აგვ.“

11898–11899. ხუჭუა პ. მელიტონ ბალანჩივაძე. [ცხოვრება და შემოქმედება. თბ.], 1961.

გვ. 139. მე-4 აბზაცი მოხაზულია, მიწერილია: „ჩემგან“.

11900–11901. ხუჭუა პ. პ. ი. ჩაიკოვსკი. (ცხოვრების და შემოქმედების მოკლე მიმოხილვა). თბ., 1940.

11902. ხუჯაძე ა. სიმღერა-მუსიკის სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლისათვის. თბ., 1956.

11903–11905. ჯავახიშვილი ი. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბ., 1938.

ყდის მეორე გვერდზე: „ჩემი დახმარება, 162, 205, ი. გრ. 1938. 1/IX“. იქვე: „I. კილოს გამობმა, გვ. 242. კილოს გამობმა ივ. მაჩაბელსაც აქვს „ჰამლეტში“, თავს რომ აიღებს „სად არის შენი კილოს გამობმა“.

თავფურცელზე ავტორის გვართან: „გარდაიცვლა 1940 წ. 64 წლისა“.

წიგნის ბოლოს, ფორზაცზე: „აქედან პატარა ნაწილი დაიბეჭდა „მნათ“, 1938, № 6“, და გაზეთ „მუშა“-დან ამოჭრილი გ-ძის რეცენზია ი. ჯავახიშვილის წიგნზე.

თეატრი

11906. ალექსიძე დ. მსახიობის აღზრდის საკითხისათვის. თბ., 1950.

ფორზაცზე: „ჩემ სოსოს! ქართველი ხალხის უსაყვარლეს პოეტს – დიდ ხელოვანს პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად-უძღვნი ჩემს პირველ წიგნს. დ. ალექსიძე. 1951. 15. 1. ქ. ტფილისი“.

წიგნში დ. ალექსიძის სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი: „Д. А. Алексидзе. К вопросу воспитания актера. Тб., 1952“.

თეატრალური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიმართვა საბჭოს წევრის ი. გრ. სახელზე, რათა იგი გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომს და დაესწროს საბჭოს ღია სხდომას.

11907. ალექსიძე დ. მსახიობის აღზრდის საკითხისათვის. [თბ.], 1956.

11908. ალექსიძე დ. რეჟისორის მუშაობა სპექტაკლზე. თბ., 1961.

11909. ალხაზიშვილი შ. ელეონორა დუზე – ამონაჭერი „საბჭოთა ხელოვნება“-დან, 1939, № 10.

11910. ამადლობელი ს. თეატრისა და კინოს პრობლემები. ესთეტიურ-სოციოლოგიური ნარკვევი. ტფ., 1928.

11911. ბუხნიკაშვილი გ. მოსკოვის მცირე თეატრი საქართველოში. თბ., 1949.

11912. გარიკი ვ. თეატრი. IX, 220 გვ. – უკანო და უთავფურცლო.

11913–11914. გარიკი ვ. თეატრი. [ნარკვევები. ერ. ქარელიშვილის წინასიტყვ.]. თბ., 1958.

11915. გვარამე ნ. რუსი და უკრაინელი მსახიობები საქართველოში. თბ., 1958.

გვ. 12. მსახიობ დალსკის შესახებ არშიაზე: „დალსკი ლოთობდა. ი. გრ.“

გვ. 17. ხაზგასმულია: „კადრებდნენ“, მიწერილია: „კადრულობდნენ“.

გვ. 32. ხაზგასმულია: „ჩავსხედით ვაგონებში და ჩავედით ორთაჭალაში“, მიწერილია: „ორთაჭალაში მაშინ ტრამვაი არ იყო!“.

გვ. 34. ხაზგასმულია „ლიდია იავორსკაია 1908–9 წელს თბილისში ქართულ თეატრში ანტრეპრენიორი იყო“, მიწერილია: „მახსოვს! ი. გრ“.

გვ. 36. ხაზგასმულია პიესის სათაური: „სამეფოს ბჭესთან“, მიწერილია: „აღსავლის კარებთან“.

11916–11917. გიჟიმერელი მ. რეჟისურის საკითხები. თბ., 1960.

თავფურცელზე: „იოსებ გრიშაშვილს უებრო მგოსანს, ქართული თეატრის უებრო ტრუბადურს, ძვირფას მემატანეს უღრმესი მოკრძალებით. ავტორი. X, 62“.

11918. დიდრო დ. პარადოქსი აქტიორზე. თარგმ. ფრანგ. ივ. მაჭავარიანისა. თბ., 1939.

თავფურცელზე: „მე ამ წიგნის გამოცემაზე ბევრი ვიტანჯე. მოგიძღვნით თქვენ ძვირფასო სოსო ამ წიგნს საშა სიგუა. 10. VII. 39 წ.“

11919. დუდუჩავა ა. თეატრი და დრამატურგია. [თბ.], 1934.

კანზე: „ი. გრ. 1934. 19/VIII მოსკოვი“, იქვე: „ღამურა“ თუ „მფრინავი თავვი“, გვ. 100.

11920. დუდუჩავა ა. სახალხო არტისტი ა. წუწუნავა. ტფ., 1934.

კანზე: „ი. გრ. 1934. 23/V“.

გვ. 24. ხაზგასმულია: „ვასო აბაშიძე, რომელმაც შექმნა დაუვიწყარი ნიღაბი ტფილისის მოქალაქის“, მიწერილია: „მარტო ეს?“

11921–11923. ეული-ქურიძე ს. ხელოვნება და რევოლუცია. თეატრი. ტფ., 1923.

კანზე: „ი. გრ. 1923. 22/X“.

11924. ზაიავლინი გ. სადადგმო ნაწილი თეატრში. თბ., 1958.

11925. იმედაშვილი ი. არტისტი გედეონ ვასილის-ძე გედევანოვი. 1884–1909. [ბიოგრაფიული წერილი იუბილესთან დაკავშირებით]. Тифлис, 1910. ტექსტი ქართულ და სომხურ ენებზე.

გვ. 1. გედევანოვის სურათთან: „1859–1919 ი. გრ“.

11926–11927. ლაკერბაი მ. აფხაზური თეატრის ისტორიიდან. თბ., 1957.

11928. მანაგაძე შ. გრიმი. (თეატრი-კინო). [თბ.], 1926.

11929. „მოგზაურობა დედამიწის გარშემო ორმოცი დრის განმავლობაში“. ლიბრეტო 5 მოქმ. და 15 სურ. Тифлис, [1888].

თავფურცელზე: „გამოცემა ვ. ლ. ფორკატისა. თბილისი. სტამბა მიხელსონისა, 1888 წ. ი. გრ.“ იქვე: „თბილისში არ არის“.

11930. სტანისლავსკი კ. ს. თეატრალური ცხოვრება. კრებული შედგ. და თარგმ. შ. კილოსანიძისა და გ. ფრონისპირელის მიერ. თბ., 1950.

თავფურცელზე ხაზგასმულია: „შედგენილი“ და მიწერილია: „ამოკრეფილი“.

გვ. 190. ხაზგასმულია: „ჰერკულესი“ ხუმრობა 1 მოქმ. თარგმ. გერმ.“ მიწერილია: „ქართულად ჯორჯაძემ თარგმნა“. ხაზგასმულია: „ფერი ფერსა-მადლი ღმერთსა“ – ოპერეტა ფ. კაშკა და მოვისა“, მიწერილია: „ქართულადაც არის დაბეჭდილი“. ხაზგასმულია ვ. კრილოვის კომედიის სათაური: „სიცელქე“, მიწერილია: „ცელქები“, (?)“.

გვ. 191. ხაზგასმულია: „გამარჯვებულებს არ სჯიან“. – ვოდევილი სამოილოვისა, მიწერილია: „ქართულად“.

გვ. 195. გასწორებულია გვარი: „ბურტალოვი“. „ტ“-ს ნაცვლად მიწერილია „ჯ“.

11931. სტანისლავსკი კ. ს. მსახიობის მუშაობა თავის თავზე. მუშაობა თავის თავზე განცდის შემოქმედებით პროცესში. მოწაფის დღიური. თარგმ. გ. მუმლაძისა. თბ., 1949.

11932. ფრანგიშვილი პ. როგორ დავეუფლოთ სასცენო ხელოვნებას. თბ., 1955.

11933–11936. შიუკაშვილი ნ. დიქცია და მხატვრული მეტყველება. ტფ., 1926.

თავფურცელზე: „ეს მგონი დუბლიკატია. უნდა ამოვჭრა ჩემზე“. იქვე: „ჩემზე, გვ. 107. ი. გრ.; ა. ცაგარელზე, 25; ლექსი ნ. შიუკ., 96“.

11937. ცაბაევი ვ. კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო თეატრი. სტალინირი, 1957.

11938. ციცაგი ლ. თვითმოქმედი დრამატული წრეებისა და კოლექტივების შემოქმედებითი მუშაობისათვის. თბ., 1951.

11939–11941. ჯაბადარი გ. ალ. დიქცია. მსახიობთა და ორატორთათვის. [თბ., 1918].

თავფურცელზე: „ი. გრიშაშ. 1918 წ. 20/I“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „ქართული თეატრის ბურჯს, ბატონ ვალერიან გუნიას ავტორისაგან“.

კანზე ხელწერა: „ვალ. გუნია“.

ქართული თეატრი

11942. აბაშიძე ვ. სია სათამაშოთ ნებადართული პიესებისა. ამოდებულია წიგნიდან: „ცხოვრების სარკე“, ტ. 2.

გვ. 421. ბოლოში: „იხ. „ცხოვრების სარკე“, 1908, ტ. II. ი. გრ.“

11943–11949. აბრამიშვილი მ. ძველი ქართული თეატრი. (ისტორიული მიმოხილვა). ქუთაისი, 1925. დანართი: დ. ჩოლოყაშვილი. ეფილენია. ტრადედია. – გ. ავალიშვილი – უბნობა მკვდართა. – კორნელი. „სინნა“. ტრადედია კორნელისა. მონოლოგი 1 მოქმედებიდან. თარგმ. ფრანგ. ალ. ჭავჭავაძის მიერ.

კანზე: „ალ. ჭ-ძის პიესები, გვ. 41“.

გვ. 35. მოხაზულია შენიშვნა, რომელიც ეხება გ. ავალიშვილის პიესას: „დილოგი სატირა“ მიწერილია: „ეს მითხრა ა. ცაგარელმა და მე გადავეცი ამ წიგნის ავტორს“.

გვ. 41. ხაზგასმულია: „ეს ცნობა მოყვანილი აქვს გ. ლეონიძეს. „დროშა“, № 25“, არშიაზე წერია: „იხ. ჩუბინაშვილის „ქრესტომატია“. მოხაზულია შენიშვნა ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი „სინნას“ დაბეჭდვის შესახებ, არშიაზე წერია: „მე ვუთხარი“.

წიგნში დევს გაზეთიდან ამონაჭერი სოლ. ყუბანეიშვილის რეცენზია წინამდებარე წიგნზე, მინაწერით „კომ“, 1926 წ. № 1476, 28 იანვ“.

მეორე ცალის კანზე: „ხერხეულიძე რუსეთში, 40; ა. ჭ., 41“.

11950–11952. ავჩიანი ს. ქართულ-სომხური თეატრალური ურთიერთობანი. თბ., 1960.

კანის უკანასკნელ გვერდზე: „დავი არა მაქვს. დავი, დავა, დავიდარაბა. სადაო არ არის, დავას არ იწვევს“.

მეორე ცალის შმუცტიტულზე: „ქართული პოეზიის ბრწყინვალეობას, პოეტ-აკადემიკოსს, ჩემს თანაუბნელ მეგობარს და ჩემს პირის ზიარებას – იოსებ გრიშაშვილს. სიყვარულით სურენ ავჩიანი. 8. IV. 1961 წ. ქ. თბილისი“.

11953. 1925/6 წ. სეზონის გასტროლები. [რუსთაველის თეატრი. ქართული დრამა. თბ., 1925].

კანის მე-2 გვ. წარწერა: „სოსოს აკაკისაგან. 19/V. 26“.

11954. აკაკი წერეთელი. [კრებული შეადგ. და შესავ. წერილი დაურთეს ნ. ღვინეფაძემ და ვ. კიკნაძემ]. თბ., 1955.

ფორზაცზე: „1. ნ. ქართველიშვილი, 145, 2. სომეხი ქალი“.

გვ. 45. ხაზგასმულია: „მოხუცებულების ჭკუის სწავლება“, მიწერილია: „თუ ბებრების დარიგება?“ ი. გრ.“

წიგნში: „1. გაზეთიდან ამოჭრილი გ. მებუკეს წერილი „აკაკი წერეთელი თეატრის შესახებ“, მინაწერით: „ლიტერატურული გაზეთი“, № 43, 28 ოქტომბ.“ 2. ფურცელი მინაწერით: „შემოქმედებითი თანამეგობრობა. აკაკის მოგონება, ვარანცოვის თეატრის შემდეგ პირველი წარმოდგენა თბილისში. აკაკი – „ქართველი ქალი რომ ვერავინ გამოვიდა სცენაზე მაშინ სომხის ქალი ნინო ნაზაროვის ასული,

იზმიროვის მეუღლე გამოვიყვანეთ სცენაზე. წარმოვადგინეთ ჩემი პიესა „ძველსა და ახალს შუა“. იხ. აკაკი თეატრ. შეს. 1955, გვ. 145.“

11955–11957. ალექსი-მესხიშვილი ვ. ლადო ალექსი-მესხიშვილი. ტფ., თ. ა.

თავფურცელზე: „თარგმანი ტ. ტაბიძისა“.

გვ. 21. ხაზგასმულია: „აქვე ხდება ერთი ინციდენტი, რომელმაც გამოიწვია მამის წასვლა ტფილისში“, მიწერილია: „ივ.“, 1905.“

გვ. 25. ხაზგასმულია: „გრ. ჩარკვიანი“, მიწერილია: „დ. ჩარკვიანი იყო. შეცდომაა“.

11958–11961. ამირეჯიბი შ. ვასილ აბაშიძე. 50 წლის მოღვაწეობის გამო. თბ., 1922.

თავფურცელზე: „ძვირფას სოსოს შ. ამირეჯიბი“.

კანზე ვასო აბაშიძესთან წერია: „1855–1926. დაიბადა 1855 წელს 2 თებერვალს, გარდაიც. 1926 წ. 9 ოქტ. იუბილე იყო 14 იანვარს 1922 წ.“

11962. ანგარიში ქართული დრამატული საზოგადოების მოქმედებისა 1 ოქტომბრიდან 1900 წ. 29 მაისამდე 1901 წ. Тифлис, 1901.

11963–11964. [ანდრონიკაშვილი კ]. ანდრონი კონსტ. კ. მესხი. (ბიოგრ. ეტიუდი). თბ., 1910.

გვ. 6. ტექსტის წინ: „კ. მესხი დაიბადა 1859 წელს. იხ. „სახ. გაზ“. სურათ. დამატება, 1910, № 32“.

წიგნში გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“, 1940 წ. 23 ივნისის, № 143. ი. ზარდალიშვილის წერილით „კოტე მესხი. ქუთაისის თეატრის 60 წლისთავისათვის“.

11965–11966. არლუნელი ს. გიორგი დავითაშვილი. მონოგრაფია. [თბ.], 1956.

თავფურცლის მე-2 გვ.: „ჩემს საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს, უღრმესი პატივისცემით – ავტორი. 27. VII. 57“.

მეორე ცალის კანზე: „მე, გვ. 10“.

11967. ასათიანი მ. დოდო ანთაძე. [ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ.], 1962.

11968. აფხაიძე შ. აკაკი ხორავა. მონოგრაფია. თბ., 1948.

11969. აფხაიძე შ. აკაკი ხორავა. [მონოგრაფია]. თბ., 1962.

11970. აფხაიძე შ. ვერიკო ანჯაფარიძე. მონოგრაფია. [თბ., 1956].

კანზე: „მე, გვ. 44“.

11971. ბათუმის თეატრი. [ნარკვევი]. ბათუმი, 1957.

11972. ბაქრაძე დ. უ. რედაქტორო! [პიესა „გაყრა“-ს დადგმა ქუთაისში]. – ამონაჭერი: „ცისკარი“, 1861, № 3.

გვ. 445. დევს ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „იხ. კიდევ „ცისკარი“, 1862 წ., ივნისი, გვ. 68. ი. გრ“.

გვ. 449. ხაზგასმულია: „ლ. ფომინა“, მიწერილია: „ცაგარელი“.

გვ. 450. ხაზგასმულია ადგილი, მიწერილია „მეიფარიანი“. ხაზგასმულია ადგილი, მიწერილია: „პირველად დრამაში მუსიკა ამათ შეუტანიათ“.

11973–11974. ბურთიკაშვილი ა. ალექსანდრე იმედაშვილი. [ცხოვრება და შემოქმედება. თბ.], 1956.

ფორზაცზე: „ძველი თბილისის ტრუბადურს, სახელოვან პოეტს საყვარელ სოსო გრიშაშვილს ავტორისაგან. 7/II. 57 წ.“.

მეორე ცალის გვ. 123. იმედაშვილის სიტყვის გასწვრივ მიწერილია: „დაიბეჭდა „თ. და ცხოვ“.

წიგნში ქალაქის ნაჭერი მინაწერებით: „შეცდომა: 1. 122. 2. 123. 3. 115, 4. მე, 91. 5. გვ. 66. 6. გვ. 110.“

11975–11976. ბურთიკაშვილი ა. ალექსანდრე ყაზბეგი სცენაზე. [თბ.], 1955.

თავფურცელზე: „საუკეთესო ადამიანს, პოეტ-აკადემიკოსს სიყვარულით უძღვნის ამ შრომას სოსო გრიშაშვილს ავტორი. 1955 წ. 18/VII“.

გვ. 13. ხაზგასმულია: „სიცოცხლე გამჭირვებია“, მიწერილია: „გამმწარებია“.

გვ. 83. ლექსს „გუთნისდედა ვარ, მუდამ ვხნავ... მიწერილი აქვს: „ჩემგან“.

გვ. 85. „ქართულ“ ცეკვაზე, მიწერილია: „ლეკურს არა ცეკვავდა“.

გვ. 88. განდევილის ლექსს მიწერილი აქვს: „ეს ლექსი თარგმანია?“

გვ. 109. ხაზგასმულია: „კითხვის ოსტატი ნიკოლოზ ქართველიშვილი“, მიწერილია: „ერისთავი?“

11977. ბურთიკაშვილი ა. გიორგი არადელი-იშხნელი. მონოგრაფია. [თბ.], 1954.

ფორზაცზე: „ჩემს საყვარელ მეგობარს, ცნობილ, სახელოვან პოეტს, იშვიათ გულისხმიერ ადამიანს სოსო გრიშაშვილს ხარფუხელ ავტორისაგან. 1954 წ. 28. X.“ ქვემოთ მიწერილია: „ბოლოში რეცენზიაა. ი. გრ.“

ფორზაცზე: „იპ. ტატიშვილ, გვ. 10“.

გვ. 14. ხაზგასმულია: „ისტორიის მასწავლებელი გიორგი გეხტმანი“, მიწერილია: „რუსული ენის მასწავლებელი“.

გვ. 34. ხაზგასმულია ფსევდონიმი „მროველი“, მიწერილია: „დეკანოზიშვილი“.

გვ. 38. ხაზგასმულია მე-2 აბზაცის სტრიქონები, მიწერილია: „ვინ არ იყო მონაწილე!“

გვ. 42. არშიაზე: „ყანჩელი-კონფერანსიე“.

გაზეთიდან ამონაჭერი შ. გომელაურის და პ. კობახიძის წერილი „Книга о выдающемся грузинском актере“, მინაწერით: „Заря“, 1955, № 28, 3 თებერვ. ი. გრ.“

11978. ბურთიკაშვილი ა. თეატრალური პორტრეტები. თბ., 1958.

თავფურცელზე: „გვ. 180, გომელაური; გვ. 30, დვანაძე;

გვ. 32. მოხაზულია სტრიქონი „გ. დვანაძისაგან...“ და მიწერილია: „ჩემგ.“

გვ. 34. მოხაზულია ლექსი და მიწერილია: „ჩემგან“.

11979. ბურთიკაშვილი ა. თეატრალური პორტრეტები. თბ., 1962.

თავფურცელზე: „მთელი ქართველი ერის საყვარელ მგოსანს და პირადად ჩემთვის ხარფუხელ ფირუზას მოწიწებით უძღვნის ამ წიგნაკს სოსო გრიშაშვილს ავტორი. 1962. წ. 20/V“.

11980. ბურთიკაშვილი ა. ლადო მესხიშვილი. [მონოგრაფია]. თბ., 1962.

ფორზაცზე: „დიდად პატივცემულ ამხ. სერგი ჭილაიას ავტორისაგან. 1962 წ. 25/IV“.

11981–11982. ბურთიკაშვილი ა. ნატო გაბუნია. (მონოგრაფია). თბ., 1949.

კანზე: „ავტორისაგან. ბოლოში რეცენზიაა“.

თავფურცელზე: „ქართული თეატრის ღირსეულ მემკვიდრეს, სახელოვან მგოსანს, აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილს ავტორისაგან 1949 წ. 24/VI“.

- გვ. 6. ე. ჩერქეზიშვილის „მოგონებების“ გასწვრივ მიწერილია: „ი. გრ. რედ“.
- გვ. 10. ხაზგასმულია: „სოსიკოსი“, მიწერილია: „ი. ბაქრაძე“.
- გვ. 47. ხაზგასმულია: „გოჭი“, მიწერილია: „ჭოჭი(?)“.
- გვ. 52. ხაზგასმულია: „სახოკიას“ და მიწერილია: „თ“.
- გვ. 53. სქოლიოში ჩამოტანილია ცენზურის მიერ ამოღებული სტრიქონები: „[დაჩაგრული ჩვენი ერი]? ი. გრ“.
- გაზეთიდან ამონაჭრები: „1. კ. რატიშვილის რეც. „მონოგრაფია ნატო გაბუნიაზე“, მინაწერით: „ლიტ. და ხელ“. 1949 წ. № 35, 4 სექტ.“ 2. ბ. კეთილაძის რეც. „სასარგებლო წიგნი“, მინაწერით: „9 ივლისი, „კომ“. 1949, № 135“.
11983. ბურთიკაშვილი ა. სცენის ოსტატები. (პორტრეტები). თბ., 1951.
- ფორზაცზე: „ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ პოეტს და დიდ თეატრალს საყვარელ სოსო გრიშაშვილს. პატივისცემით ავტორისაგან. 1951. 11. VII“.
- გვ. 12. ხაზგასმულია: „დიდების მიმნიჭებელი“, მიწერილია: „გვ. 19, 20“.
- გვ. 14. ხაზგასმულია: „ერთერთი მემატიაზე“, მიწერილია: „ილია ზურაბიშვილი“.
- გვ. 15. ხაზგასმულია: „მაგონდება ავჭალის აუდიტორიაში...“ მიწერილია: „სირცხვილია: ეს მოგონება ილია ზურაბიშვილმა გვიამბო“.
- გვ. 17. ხაზგასმულია: „სტეფანე კუზნეცოვი“, მიწერილია: „სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა“.
- გვ. 19. ხაზგასმულია მოგონება ვასო აბაშიძის შესახებ, მიწერილია: „ეს ჩემი ნამბობიდან“.
- გვ. 20. ხაზგასმულია: „სიხარულის და სიამის მიმნიჭებელი“, მიწერილია: „ეს სიტყვა ამ სტატიაში სამჯერ აქვს, გვ. 12, 19, 57“.
- გვ. 26. ხაზგასმულია: „დიდი მოქანდაკის გამოძერწილი“, მიწერილია: „ეს სიტყვებიც ხშირად აქვს ნახმარი“.
- გვ. 29. ხაზგასმულია ბოლო სტრიქონი, მიწერილია: „გვ. 61“.
- გვ. 30. ხაზგასმულია სიტყვები: „კულმინაციურ წერტილს“, მიწერილია: „ორჯელ“.
- გვ. 40. ხაზგასმულია: „მისი შესანიშნავი, გულის სიღრმემდე ჩამწვდომი მელოდიური და ხავერდოვანი ხმა“, მიწერილია: „გვ. 68“. ხაზგასმულია: „დებიუტის შემდეგ კარგა ხანი აღარ მენახა“, მიწერილია: „დებიუტი იყო 1908 წ“.
- გვ. 51. ხაზგასმულია: „ქართველ გამომცემელთა ამხანაგობის სტამბაში მოეწყო ჩარხის მტრიალებლად“, მიწერილია: „ხელაძის“.
- გვ. 53. ხაზგასმულია: „მვირფასმა ბეგლარმა“, მიწერილია: „ბეგლარის აჩრდილმა“.
- გვ. 60. მთლიანად მოხაზულია, მიწერილია: „ილია ზურაბიშვილი“.
- გვ. 61. ხაზგასმულია: „42 წელმა“, მიწერილია: „1908 წელ. იუბილე ჰქონდა“.
- გვ. 63. მე-5 აბზაცში ჩამატებულია: „1910 წ.“
- გვ. 68-9. ხაზგასმულია: „ხავერდოვანი, გულის სამირკვლამდე გამტანი ხმით, მიწერილია: „ბევრჯერ აქვს. გვ. 40“.
- გვ. 82. პირველი აბზაცის ბოლოს: „ი. გრიშაშვი. რედაქც.“
- გვ. 121. ხაზგასმულია: „თეატრთან გაიმართებოდა...“ მიწერილია: „თეატრისკენ (?)“.

გვ. 154. მოხაზულია პირველი აზნაცის სტრიქონები, მიწერილია: „ყველა ამას იხსენებს“.

გვ. 157. ხაზგასმულია პიესები: „თამარ ბატონიშვილი“, „რუსთაველი“, „ბაგრატ მეოთხე“, მიწერილია: „არც ერთი ეს პიესა არ არის ორიგინალური“. ხაზგასმულია: „მაკო, ნატო, ვასო და ლადო“, მიწერილი: „ი. ზურაბ. თქმა“.

გვ. 160. მოხაზულია: „იროდიონ ევდომვილის“, მიწერილია: „თუ გრიშაშვილის“.

გვ. 205. ხაზგასმულია გარდაცვალების თარიღი სვინონ სვიმონიძისა: „1920“, მიწერილია კითხვის ნიშანი.

გვ. 237. პირველ აზნაცთან მიწერილია: „ჩემი წერილიდან“.

გვ. 240. ხაზგასმულია: „კოტეს რეჟისორობით“, მიწერილია: „თუ ალ. წ.?“

გვ. 259. ხაზგასმულია მეცხრე სტრიქონი, მიწერილია: „მსახიობი ოლღა ფეიქრიშვილი“.

გვ. 260. ტექსტის ბოლოს წერია: „არშინ-მალ-ალანში ასკარას თამაშობდა. კარგად მღეროდა და ლამაზიც იყო სცენიდან. ი. გრ“.

წიგნში ა. ბურთიკაშვილის წერილი „დირექტორი“ – გრიბოედოვის სახელობის თეატრის სპექტაკლი“, ამოჭრილი გაზეთიდან „კომუნისტი“, 1951 წ. 7 დეკემბ., № 286“ და გაზეთებიდან ამოჭრილი რეცენზიები: 1. ზ. გრემსკის „Мастера сцены“, მინაწერით: „Заря“, 1951, № 223, 21 სექტ.“ 2. ვ. ტყემალაძის, მინაწერით: „ლიტ. და ხელოვნ.“, 1951, № 33“. რეცენზენტის ხელწერის ქვეშ: „ერ. ქარელიშვილი“.

11984. ბურთიკაშვილი ა. შალვა დადიანი. თბ., 1952.

ფორზაცზე: „დიდი ჰანგებით მოუბარს, დიდ თეატრალს, საყვარელ ადამიანს, პოეტს სოსო გრიშაშვილს პატივისცემით ავტორისაგან. 1952 წ. 12–XII.“

ყდის ბოლო გვერდზე: „რეცენზია იხ. „საბჭოთა ოსეთი“, 1953, № 2“.

11985. ბურთიკაშვილი ა. შაქრო გომელაური. [მონოგრაფია]. თბ., 1959.

თავფურცელზე: „ჩემს საყვარელ მეგობარს სოსო გრიშაშვილს ავტორისაგან. 1959 წ. 10/VI“.

11986–11987. [ბუხნიკაშვილი, გ.] აკაკი ვასაძე (ბიოგრაფია). [თბ.], 1960.

11988. ბუხნიკაშვილი გ. ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი. თბ., 1948.

კანზე: „გვ. 94, ი. გრ“.

გვ. 30. მოხაზულია სტრიქონი და მიწერილია: „აკაკი“. ხაზგასმულია: „შევარდნები და ყვავები“ გადმოთარგმნა ვ. გუნიაძე,“ მიწერილია: „ოპ. თეატრში“.

11989–11990. ბუხნიკაშვილი გ. გაბრიელ სუნდუკიანი. (რევლუციამდელი სომხური და ქართული თეატრების ისტორიიდან). თბ., 1950.

თავფურცელზე: „შეცდომა, გვ. 22, 34. ი. გრ“.

გვ. 22. ხაზგასმულია: „არაქსიანის დრამა „სიმდიდრის მსხვერპლი“, თარგმ. ა. ბაჯიაშვილისა“, მიწერილია: „გად“.

გვ. 34. ფოტოსურათი: „ვ. აზაშიძე გიჟმოხეს როლში“ პიესიდან „დაქცეული ოჯახი“ აღნიშნულია კითხვის ნიშნით, მიწერილია: „ავეტიკა „რას ვეძებდი რა ვპოვე“.

გვ. 82. ხაზგასმულია: „საიუბილეო დღეს გაზეთ „კომუნისტი“, № 9 გამოქვეყნდა იოსებ გრიშაშვილის სტატია“, მიწერილია: „1926“.

11991–11992. ბუხნიკაშვილი გ. თამარ ჭავჭავაძე. თბ., 1961.

11993. ბუხნიკაშვილი გ. კოტე მარჯანიშვილი (ბიოგრაფია). თბ., 1947.

კანზე: „ი. გრ. 1947. 15/IX“.

გვ. 7. ხაზგასმულია: „თავის მოგონებათა ერთ-ერთ ჩანაწერში, რომელიც სათეატრო მუზეუმშია დაცული, მარჯანიშვილი აგვიწერს ამ წარმოდგენებს“, მიწერილია: „ცალკე წიგნად გამოვიდა?“

გვ. 10. ხაზგასმულია: „უნდა გავიყარნეთ“ ვ. აბაშიძისა“, წერია: „უნდა გავიყარნეთ“ სარდუს პიესაა, გადმოკ. ვ. ა.“.

გვ. 16. ხაზგასმულია: „თომა გორდეევი“, მიწერილია: „პიესა?“

გვ. 25. ხაზგასმულია: „1914“ და მიწერილია: „1908 წ. ქართულმა თეატრმა კ. მარჯანიშვილს წერილი მისწერა – იწვევდა რეჟისორად. კოტემ ბევრი ფული მოითხოვა. იხ. „მზე“.

გვ. 30. მოხაზულია მეორე აბზაცი, მიწერილია: „იხ. თაიროვის მოგონება“.

გვ. 42. ხაზგასმულია: „1922 წლის სექტემბრის თვეში თათბირზე კოტე მარჯანიშვილი მოიწვიეს“, მიწერილია: „არ მოუწვევიათ“.

გვ. 52. მოხაზულია მესამე აბზაცი, მიწერილია: „დურუჯი“.

11994–11995. ბუხნიკაშვილი გ. ნ. ვ. გოგოლი ქართულ სცენაზე. თბ., 1954.

გვ. 21. ხაზგასმულია: „თარგმანი მოგვყავს ი, გრიშაშვილის წიგნიდან „ლიტ. ნარკვევები“.

11996. ბუხნიკაშვილი გ. ქართული თეატრი ასი წლის მანძილზე. [თბ.], 1950.

11997–11998. ბუხნიკაშვილი გ. ქართული თეატრი რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. თბ., 1955.

კანზე: „სათავად. სიტყვა ლადოსი, 64; ლადოს სიტყვა და ჟანდარმ. 66; მ. გაჩ-ძე, 83, 84“.

11999–12000. გერსამია ს. აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი. თბ., 1949.

გვ. 62. ხაზგასმულია სტრიქონი პიესა „კუდურ-ხანუმის“ შესახებ. მიწერილია: „სწორია“.

გვ. 67. ხაზგასმულია: „ბ. ი. ზურაბოვი კარგი იყო მგოსნის როლში“, მიწერილია: „ი. ზურაბიშვილი“.

გვ. 69. მოხაზულია სტრიქონები, მიწერილია: „იხ. ჩემი III ტ“.

გვ. 73. მოხაზულია: „1896 წელს“, მიწერილია: „1898, 21 იანვარი“.

გვ. 86. მოხაზულია სტრიქონები, მიწერილია: „იხ. ჩემი წერილი“.

12001. გერსამია ს. აკაკი ხორავა. [თბ.], 1956.

კანზე: „ი. გრ. 1956. 30/I. იუბილე“.

გვ. 6. ხაზგასმულია: „გიმნაზიაში გაიმართა სასკოლო წარმოდგენა“, მიწერილია: „რა პიესა იყო“.

12002. გერსამია ს. ბათუმის თეატრი 70 წლის მანძილზე 1879–1949. ბათუმი, 1949.

ფორზაცზე: „ჩვენს ძვირფას თეატრალ პოეტს, ი. გრიშაშვილს, კ. რურუა. 10/XI. 49 წ. ბათუმი“.

კანზე: „რევიზორი“, 152“.

12003. გერსამია ს. გიორგი ერისთავის თეატრი. თბ., 1950, 220 გვ.

გვ. 131. ხაზგასმულია: „თავის ოსტატს გაასწრო“, მიწერილია: „ი. ჭ“.

გვ. 132. ხაზგასმულია: „გადმოაკეთა დრამა „მაიკო“, მიწერილია: „მეიფარიანმა გადმოაკეთა“. ხაზგასმულია: „დაფის დამრთველი ბაბაღე“, მიწერილია: „ბაბაღეს თითისტარი“ (თარგმანია). იხ. ავტოგრაფი, საქ. მუზეუმშია“.

გვ. 147. ლექსში ხაზგასმულია: „ვიხილეთ შენში ჩვენ დიდი გრძნობა,“ მიწერილია: „აკლია“. ხაზგასმულია: „მაგრამ ენითა ჩვენ ვერ დავხატეთ“, მიწერილია: „აკლია“.

12004. გერსამია ს. გიორგი ერისთავის თეატრი. თბ., 1950. 39 გვ.

12005. გერსამია ს. ვასო აბაშიძე. [ბიოგრაფიული ნარკვევი]. თბ., 1948.

კანზე: „რეცენზიით. ი. გრ.“

გვ. 92. ტექსტში ჩართულ კუპლეტებს მიწერილი აქვს: „იხ. „ჩანგი“.

გვ. 113. შენიშვნას: „ელისაბედ ჩერქეზიშვილი – მოგონებანი, გვ. 53–55“... მიწერილი აქვს: „ი. გრიშ. რედ. ჩემი გაკეთებულია“.

გაზეთიდან ამოჭრილი ე. გვენეტაძის წერილი „წიგნი დიდი ქართველი მსახიობის შესახებ“, მინაწერით: „საბჭ. აფხაზეთი“, 1950, № 92, 10 მაისი“.

წიგნის ბოლო კანზე: „გვ. 74. იხ. ჩემი წერილი ა. ყაზბეგზე“. იქვე: „ვაი-ვაი, 91“.

12006. გერსამია ს. თეატრი და სცენის-მოყვარე. [ნარკვევი]. გორი, 1927.

თავფურცელზე: „ჩემს სათაყვანებელ პოეტს ი. გრიშაშვილს. 19/III–27. სერ. გერსამია.“ იქვე: „ჩემი ლექსი, გვ. 106. ი. გრ.“

წიგნში ღია საფოსტო ბარათი ი. გრ. მისამართით: „ძვირფასო სოსო! მივიღე შენი ბარათი დიდათ მესიამოვნა. მე რა თქმა უნდა შენთვის მინდოდა წიგნის გამოგზავნა და დამზადებულიც მქონდა როგორც წარწერიდანაც შეხედავ, მაგრამ მისამართი არ ვიცოდი და მიტომ შემიჩერდა, ტფილისში კი ვერ გნახე. გიგზავნი დიდის სიამოვნებით... მაინტერესებ შენი აზრი. კარგი იქნება თუ მომწერ. შენი სერ. გერსამია. 16/IV-27“.

გვ. 105. მოხაზულია აბზაცი, მიწერილია: „ალიტერაცია?“

გვ. 106. ი. გრ. ლექსში „ხელთათმანის დილი“, ჩამატებულია ავტორის ხელით მე-6 სტრიქონი: „რომ ერთ მთაზე ნისლი დევსო ჩემსავითო ნაზფუნჩულა“.

გვ. 133. ხაზგასმულია: „ქართულ დასს ვორონცოვმა მისცა ორი ათასი მანეთი ერთ-დროული დახმარება“ და მიწერილია: „ილიასაც ორი ათასი მანეთი მიაჩნია თეატრის ხსნად“. გასწორებულია სიტყვა: „ხევსურებში“-ს ნაცვლად „ხევსურთა“. ჩამოთვლილ პიესებთან მიწერილია: „ქოროლი“. ხაზგასმულია: „ქმრები გავაბათ მახეში“ და მიწერილია: „მაქვს.“ პიესას: „მაიკო“ მიწერილი აქვს: „თარგმნა ბეკლემიშვიდან“.

გვ. 144. მოხაზულია აბზაცი და მიწერილია: „ზუგდიდი, სამტრედია“.

გვ. 145. ბოლო აბზაცთან მიწერილია: „ვ. გუნია, ვ. შალიკაშვილი, შანშიაშვილი“.

12007–12008. გერსამია ს. მაკო საფაროვი-აბაშიძისა. თბ., 1940.

კანზე: „ი. გრ. 1940 წ. 15/XII“.

ფორზაცზე: „იხ. რეცენზია „მნათობი“, 1941, № 10. იქ შეცდომით არეულია ავტორის სახელი, წერია ვანო გერსამია, უნდა იყოს სერგო გერსამია. ი. გრ.“

გვ. 53. ხაზგასმულია: „ალ. ყაზბეგმა მისთვის [მაკოსთვის] დაწერა რამდენიმე პიესა, მიწერილია: „რომელი? იხ. ჩემი ა. ც.“

12009–12010. გერსამია ს. შალვა დადიანი. [ბიოგრაფია]. თბ., 1954.

კანზე: „შალვას ფსევდონიმები, 22“.

გვ. 10. ხაზგასმულია: „იგი“, მიწერილია: „მამა თუ შვილი?“

გვ. 22. ხაზგასმულია შ. დადიანის ფსევდონიმები, მიწერილია: „რაც გამახსენდა“.

გვ. 27. ხაზგასმულია შენიშვნა, მიწერილია: „თვით შალვას დაწერილია“.

გვ. 30. სქოლიოში: „ელისაბედ ჩერქეზიშვილი. მოგონებანი“, მიწერილია: „ი. გრიშაშვილის რედაქციით“.

12011. გერსამია ს. სოხუმის თეატრი. სოხუმი, 1951.

გვ. 18. ხაზგასმულია: „ფრუ-ფრუ“ გადათარგმნა ივ. მაჩაბელმა და დაარქვა „ორ ცეცხლს შუა“, მიწერილია: „ფრუ-ფრუ – ქარაფშუტა“, თარგ. კ. მესხისა. სხვადასხვა პიესაა. ი. გრ. დაიბეჭდა „ივერიაში“.

წიგნში დევს გაზეთიდან ამოჭრილი ცნობა „ტასო აბაშიძის მოგონებათა“ გამოცემის შესახებ, მინაწერით „სტალინელი“ – ქუთაისის“.

უკანასკნელ გვერდზე მიწერილია: „ჩემი მოგონებანი: 1912 წ. მე და ტასო ბაქოში „უბედური დებიუტში“; 1911 წ. (მე დათო, ტასო გაიანე) ბათომში: სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა შედგა 1914. შეცდომაა (?): 1. „ფრუ-ფრუ“ და „ორ ცეცხლს შუა“ – სხვადასხვა პიესაა, გვ. 18. 2. „ნაკადული“, გამოვიდა 1904 წ. გვ. 21. გვ. 66. 3. სარაჯიშვილი ბავშვი იყო მაშინ, გვ. 43. 4. კოტე და გუნია, 80. 5. ვასოს დედა – შატკოვსკაია, 29. „სიცოცხლეს ესალმება“ (სწორი თქმია) 53. ელეონორა დუხეს ლამაზ ხელებს“.

12288–12289. აგიაშვილი ნ. ჭაბუკები დარჩენ მარად. (მოგონებები). თბ., 1961.

ფორზაცზე: „საყვარელ სოსოს, სახელოვან პოეტს იოსებ გრიშაშვილს – უმცროსძმური და მეგობრული პატივისცემით. იყავ დღეგრძელი, საქართველოს ბულბულო! დაგვლოცე ფირუზ! ნიკა აგიაშვილი. 15/V-62 წ. თბილისი“.

12290. ანთაძე დ. დღეები ახლო წარსულისა. თბ., 1962.

12291. ბოცვაძე ნ. ნორჩ მეგობრებთან ერთად. [მოგონებანი]. თბ., 1960.

ფორზაცზე: „ი. გრ. გვ. 118, 27 – ჩიხსაკრავი“.

12292–12293. გარიყული მ. განვლილი გზა. [მოგონებანი]. თბ., 1949, ყდაზე: „მოგონებანი“ 1–196. ი. გრ. რეცენზიები ბოლოში“.

ფორზაცზე: „შეცდომა გვ. 66, 110, 180, 171, 168, 166; გვ. 159 კ. ჯაფარიძე „ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში“, გვ. 66; გვ. 128. რა გვარებია? 78“.

თავფურცელზე ავტორის ფსევდონიმთან: „გვარად თათეიშვილია, ქმრით რატიანი. ი. გრ.“

გაზეთებიდან ამონაჭრები: 1. ვლ. ჯიბუტის რეცენზია „უფრო ახლოს ცხოვრებასთან“, მ. გარიყულის მოთხრობა „ტრაქტორისტების“ გამოცემის გამო, მინაწერით: „ახალგაზრდა კომ.“, № 75, 1952 წ. 19 ივნისი. 2. ლ. მარანელის რეცენზია „Из прошлого грузинского театра“ წინამდებარე წიგნზე, მინაწერით: „Заря“, 1949, № 179, 11 IX“. აქვე ავტორის ფსევდონიმთან წერია: „ლავროსია (?)“.

12294. გარიყული მ. განვლილი გზა. მოგონებანი. თბ., 1955.

ყდაზე: „ი. გრ. 1955 წ. 28. V“.

ფორზაცის პირველ გვერდზე: „ივ. მაჩაბელზე, 58“.

ფორზაცის მე-2 გვერდზე: „1. გ. კოკაშვილი (გიორგი მაქსიმძე), გვ. 226. 2. კ. ჯაფარიძე, გვ. 211. 3. „გული მიწუხს“ აკაკისააო, გვ. 178. 4. მ. გაჩეჩილაძე, მარიჯან, 243. 5. გრიშაშვილი, გვ. 236, 269, 288. 6. შეცდომა, ნიკო და არა გიორგი, 75. 7. ქართ. თეატრი დაიწვა 1914, გვ. 63. 8. გვ. 53. ქსილოგრაფი ტატიშვილი“.

გვ. 5. ხაზგასმულია: „კულულებით“, არშიაზე მიწერილია: „კულულები ქალსა აქვს“.

გვ. 53. ხაზგასმულია ლუკა თათეიშვილის წიგნის „სიყვარულის“ გამოცემის შესახებ, რომელიც დაუსურათებია მხატვარ ტატიშვილს. მიწერილია: „წიგნი ალექსანდრე მრეველიშვილს დაასურათებინეს და გრ. ტატიშვილს ამოაჭრევინეს“.

გვ. 54. ხაზგასმულია: „რაფიელი“, მიწერილია: „რაფიელი რომელი დამბეჭდავი იყო“.

გვ. 63. მოხაზულია: „1912“, მიწერილია: „1914 წ. ქართული თეატრის დაწვის თარიღია“.

გვ. 64. ხაზგასმულია: „გიორგი ერისთავის „სამშობლო“. მიწერილია: „დავით ერისთავის“.

გვ. 67. ხაზგასმულია: „ეკა ქართველიშვილი“, მიწერილია: „მაკა ქართველიშვილი“. მოხაზულია: „ვ. ნებიერიძე“, მიწერილია: „ზაზო“.

გვ. 68. მოხაზულია მე-3–4 აბზაცი ვ. აბაშიძის შესახებ, მიწერილია: „მართალია“.

გვ. 70. ხაზგასმულია: „საჩაიეს თეატრი“, მიწერილია: „ავჭ. აუდიტორია“.

გვ. 75. მოხაზულია: „გიორგი“, მიწერილია: „ნიკო“. (ქართველიშვილის შესახებ).

გვ. 76. ხაზგასმულია: „პლატონ ლეჟავა“, მიწერილია: „პლ. ლეჟავა (სევდიანი)“.

გვ. 230. ხაზგასმულია: „მე ეს ხმა მანამდე გრამაფონის ფირფიტაზე მქონდა მოსმენილი“, მიწერილია: „კაცო! აკაკიმ გრამაფონის ფირფიტაზე ლექსი ჩასძახა 1913 წელს. შენ კი 1908 წლის ამბავს იგონებ. ი. გრ.“

გვ. 231. ხაზგასმულია: „ცუგო, ცუგო, შე საწყალო მურია“... მიწერილია: „ეს ლექსი გრამაფონში არ არის! ი. გრ.“

გვ. 234. ხაზგასმულია: „დადიოდა ცხენის კონკა“, მიწერილია: „როდის“.

გვ. 237. ხაზგასმულია: „ჟურნალ „გრდემლში“, მიწერილია: „ალმანახ“.

გვ. 240. მოხაზულია: „მიხეილ ჯავახიშვილის რედაქტორობით“, მიწერილია: „პეტრე სურგულაძის“.

გვ. 241. მოხაზულია: „პირველი მან თარგმნა“. ავტორი წერს განდევილის მიერ გრიბოედოვის პიესის „ვაი ჭკუისაგან“ თარგმნის შესახებ, მიწერილია: „გ. ერისთავი, გ. წინამძღვრიშვილი“.

გვ. 243. მოხაზულია აბზაცი, მიწერილია: „მარიჯან“.

გვ. 267. ხაზგასმულია: „ეს ალმანახი, ცქვიტის (ა. ხახუტაშვილის) რედაქტორობით გამოდიოდა“, მიწერილია: „არ არის მართალი!“

12295. გარიყული მ. თეატრალური მოგონებანი. თბ., 1959.

შმუცტიტულზე: „ოლგა ლეჟავა, გვ. 88“.

გვ. 49. ხაზგასმულია: „ვალერიან გუნიას „აღლუმი“, მიწერილია: „ვასო აბაშიძის მიერ და გუნიასი“.

გვ. 91. ტექსტშია: „იუჟინმა მეორე „რევიზორი“ უწოდა“, მიწერილია: „კაკალ გულს“ უწოდა“.

გვ. 102. სტრიქონების: „წყალსა მიჰქონდა ნაფოტი, ალვის ხის ჩამონათალი“. გასწვრივ მიწერილია: „ჩაწერილი ელ. ჩერქეზიშვილის (დაბეჭდილი)“.

კანის მეოთხე გვ.: „გვ. 20. ი. ევდოშვილი მსახიობი“.

12296–12297. გეგეჭკორი კ. ლოტბარის მოგონებანი. [თბ.], 1961.

კანზე: „ი. გრ. გვ. 50. ნინო თურქია“.

გვ. 32–33. პორტრეტს: „მაშო დადიანი-ანჩაბაძისა“ მიწერილი აქვს: „შალვას და“.

12298–12299. გვარამე ნ. თეატრალური მემუარები. წგ. 1–2. [თბ.], 1949, 1952.

წ. 1. 1949.

ფორზაცზე: „პატივისცემით და სიყვარულით ვუძღვნი ჩემს პატარა წიგნს, ნიჭიერ და ხალხის საყვარელ პოეტს სოსო გრიშაშვილს. ავტორი. 1949 წ. მაისი 5“, მიწერილია: „ნიკო გვარამე, მე, გვ. 117. ი. გრ. 1949 8/VI“.

წ. 2. 1952.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1953–23-V.“ –

კანზე: „ჩემი შენიშვნები ი. გრ. – „მე“, გვ. 97. გვ. 153, გვ. 150; „მათრახის პანაშვიდი“, გვ. 91“.

გვ. 9. პირველი აბზაცი მოხაზულია და მიწერილია: „მაგ. ვასო აბაშიძე, გუნია და სხვა“ .

გვ. 11. ხაზგასმულია: „ივნისის 13-ს“... მიწერილია: „1920 წ. ვლ. მესხიშვილის დაბრუნების წელი“.

გვ. 13. „ვანო ზურაბიშვილის სასტუმროს“... მიწერილი აქვს: „სიღნაღში“.

გვ. 23. ხაზგასმულია: „გიორგი იშხნელი“... მიწერილია: „ვ. გამყრელიძე“.

გვ. 25. „თარგმანი კონსტანტინე ანდრონიკაშვილისა“ ხაზგასმულია და მიწერილია: „დანარჩენებს მთარგმნელი არა ჰყავთ?“

გვ. 28. ხაზგასმულია: „დასასრულს ლექსს ვკითხულობდი“, მიწერილია: „რა ლექსს? ლექსად დაწერილ ფინალს (ლოპე დე ვეგას ლექსს). მთელი პიესა ხომ ლექსათაა დაწერილი?“

გვ. 40–41 ვასო გომიაშვილზე მოხაზულია და მიწერილი: „სად ახმა სად ვასოს ამპლუა.“ ხაზგასმულია: „აკაკიმ“ და მიწერილია: „ხორავამ“.

გვ. 37. ხაზგასმულია: „ორივე რუსული დასის მსახიობები იყვნენ“ და მიწერილია: „მე რეცენზია მაქვს ამ წარმოდგენაზე“.

გვ. 39. ხაზგასმულია: „საპატარძლო აფიშით და მიწერილია: „დადგმა დ. ალექსიძისა“.

გვ. 43. ხაზგასმულია: „ღალატში“, მიწერილია: „თუ „ლაურენსია?“

გვ. 47. ხაზგასმულია: „წითელი თეატრის მაცურებელი“, მიწერილია: „აკი დაიხურა წითელი თეატრი?“.

გვ. 49. ხაზგასმულია: „მასთან პირველი შეხვედრა მომიხდა ქ. ბათუმში 1906 წელს, სადაც ჩვენი დასი გასტროლებზე იყო“, მიწერილია: „რომელი დასი“.

გვ. 50. მოხსენებულია ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, მიწერილია: „მსხვერპლი“ პირველად ვ. შალიკაშვილმა დადგა“.

გვ. 51. არშიაზე: „სიყვარული დაიმსახურა, დიდი ამაგი დასდო-სხვა ეპიტეტები არა აქვს?“

გვ. 54. ხაზგასმულია: „შმაგაზე ...უდანაშაულოდ დამნაშავენი“ და მიწერილია: „ნიკო – შმაგა? რომანიშვილი?“.

გვ. 57. სიტყვა „გალობა“, მოხაზულია და მიწერილია: „სიმღერა“.

გვ. 76. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „რამიშვილი კარგად თამაშობს მილიციელს. ი. გრ“.

გვ. 78. ხაზგასმულია: „აკაკი ფაღავა ძალიან კმაყოფილი იყო ჩვენი დადგმით, მით უმეტეს, რომ პიესის თარგმანი აკაკი ფაღავას ეკუთვნოდა“, მიწერილია: „მაგიტომ“.

გვ. 102. ხაზგასმულია: „დრონი მეფობენ“ და მიწერილია: „და მგონი ცხოვრება ბრძოლაა“. ხაზგასმულია: „უკვე მოხუცი იყო“, მიწერილია: „როგორც ხანდაზმული“.

გვ. 108. ხაზგასმულია: „ვლ. შალიკაშვილის შემდეგ დასის ხელმძღვანელად მუშაობდნენ კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, მიხეილ ქორელი, შალვა ხონელი და ვასო ურუშაძე“, მიწერილია: „წუწუნავა“. ხაზგასმულია: „ალქაჯის“ და მიწერილია: „თუ ჯადოსანი“.

გვ. 109. ტექსტის ბოლოს: „სარაული გარდაიცვალა 1953 წელს“.

გვ. 159. ხაზგასმულია: „1945 წლის 10 ივნისს გაიმართა საიუბილეო საღამო“, მიწერილია: „ამ საღამოს გამართვაში მეც დავებმარე“.

12300–12302. გომელაური შ. მოგონებანი. [თბ.], 1958.

თავფურცელზე: „საყვარელ სიყრმის მეგობარს ჩვენი ქვეყნის სახელოვან შვილს სოსო გრიშაშვილს. ავტორი. 25. X. 58 წ.“

მეორე ცალის კანზე: „გვ. 88, 99, 120. ი. გრ“.

გვ. 42. ჩამოთვლილია საპატრიმროში მყოფთა გვარები, დამატებულია: „ს. ფირცხალავა“.

გვ. 49. პიესა „მსხვერპლის“ დადგმის დღის გასწვრივ მიწერილია: „1914 წ“.

გვ. 57. ხაზგასმულია: „1918 წ. თბილისის საზოგადოებამ ვალერიან გუნიას იუბილე გაუმართა“ და მიწერილია: „ეს იყო 1917 წელს. ი. გრ“.

გვ. 83. ჩამოთვლილია პიესები ვასო აბაშიძის შესრულებით, დამატებულია: „სიმე-სიმამრი“?.

გვ. 99. სათაურის „ვალერიან შალიკაშვილი“ გასწვრივ მიწერილია: „ერთხელ ნიკო შიუკაშვილმა თქვა: ჩემი პირდაუბანელი პიესები ერთი-ორი რეპეტიციით იდგმება. მაგდენი რეპეტიციით (კოტეს საყურადღებოა) სილოვანის გრამატიკაც კარგი გამოვა სცენაზე“.

გვ. 101. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „მე „მსხვერპლში“, იხ. არეთა ლოლუას მოგონებანი. ი. გრ.“

გვ. 104. ხაზგასმულია: „სვიმონ სვიმონიძე“, მიწერილია: „მისი შვილია თამარ გოგოლაშვილი, რომელიც 1917 წ. აკაკი პაპავას გაჰყვა პარიზში ცოლად“.

გვ. 116. სათაურთან: „დათა მგალობლიშვილი“ მიწერილია: „პატარა ნეკროლოგი მხოლოდ მე დავუწერე“.

გვ. 119. ხაზგასმულია: „უშანგი ჩხეიძე, მიწერილია: „უშანგის ლექსი ჩემდამი“.

გვ. 120. სათაურთან: „შალვა ღამბაშიძე“ მიწერილია: „მაგისტრის, შალვასთვის ვთარგმნე გოროდნიჩის მონოლოგები, რა კარგად ვთარგმნე, წყალივით მოდის, ენა არ მეზბმევია – მითხრა. ი. გრ.“

12303. გომელაური შ. მოგონებანი. შევს. გამოც. მე-2. თბ., 1962.

გვ. 168. მოხაზულია: „ლევან მაღალაშვილი“, მიწერილია: „ბალაშვილი“.

12304–12307. გოცირიძე ნ. მოგონებანი. [ლიტერატურულად დაამუშავა ალ. ბურთიკაშვილმა. რედ. ი. გრიშაშვილი]. თბ., 1949.

12308–12309. დადიანი შ. აკაკი. მოგონებანი. თბ., 1948.

კანზე: „მხოლოდ შენ ერთს, გვ. 37“.

გვ. 38 ხაზგასმულია: „გრ. ვოლსკიმ თარგმნა ეს ლექსი ქართულიდან და დაბეჭდა გაზ. „Новое издание“-ში, მიწერილია: „ის საკუთარი ლექსია.“

12310–12311. დადიანი შ. რაც გამახსენდა. თბ., 1959.

ფორზაცზე: „ი. გრ. დამატუსაღეს, გვ. – 189; ბოლიწო, 44; სიმბორსკი, 115; ჩემი სუფლიორობა, 175; ჭიპი, 183“.

გვ. 122. მოხაზულია: „მეკვლეთ“, მიწერილია: „მეველეთ“. იგულისხმება დავით მიქელაძე (მეველე).

გვ. 131. ტექსტშია: „ნათიძე“, შესრულებულია „ნათაძე“ და მიწერილია: „გიორგი“.

გვ. 151. ხაზგასმულია: „პიპინია მიქელაძე და სერგია ერისთავი... დათიკო მიქელაძე, ბონდო მიქელაძე, ნიკო ფალავა...“ გვერდზე წერია: „დანიელა ურია“.

გვ. 161. ხაზგასმულია: „განსვენებულ ვახტანგს ძალიან დიდი გეგმები“... მიწერილია: „მჭედლიშვილს“.

გვ. 166. ხაზგასმულია: „მიხეილ თაქთაქიშვილი – მამა ჩვენი ცნობილი კომპოზიტორის ოთარ თაქთაქიშვილისა“... მიწერილია კითხვის ნიშანი.

გვ. 170. „ცნობის ფურცელში“ ხაზგასმულია და მიწერილია: „სახალხო ფურცელში“, ი. გრ.“

გვ. 172. ტექსტში ჩამოთვლილ ქართველ დრამატურგებთან მიწერილია: „პ. ირეთელი, ტრ. რამიშვილი, ვ. შალიკაშვილი, ნინო ნაკაშიძე“.

გვ. 177. მოხაზულია თუ როგორ აძლევდნენ გასამრჯელოს მსახიობებს, მიწერილია: „იხ. პეტრე ყიფიანის დავთარი“.

გვ. 187. „უბედური რუსი“ პირველად დაიბეჭდა „საქართველოში“, გვერდზე მიწერილია: „დამატებაში“.

12312. დადიანი შ. ჩემი მარაო. მოგონებანი. სიტყვები და წერილები. თბ., 1948.

ყდაზე: „ი. გრ. 1948 წ. 10. XII“.

ფორზაცზე: „ბუტიანობა, 49; მხოლოდ შენ ერთს, 34; შეცდომა, გვ. 129 და 50“.

გვ. 34. ხაზგასმულია: „ჩემ ლექსზე „მხოლოდ შენ ერთს“, იქვე მინაწერი: „თარგმნილი“. ხაზგასმულია: „გრ. ვოლსკიმ თარგმნა...“ მიწერილია: „არ უთარგმნა, საკუთარი ლექსია“.

გვ. 98. ხაზგასმულია ბოლო აბზაცი, მიწერილია: „იხ. ჩემი გამოც“.

გვ. 110. ხაზგასმულია: „ლევან ყიფიანს“, არშიაზე აწერია: „თაგუნა“.

გვ. 152. ხაზგასმულია პიესების სახელწოდებანი: „გადაჭრილი მუხა“, „უნიადგონი და არამზადები“ და „ოჯახი“, მიწერილია: „უპრეტენზიო კომედია“.

12313. დგებუაძე-ფულარია ფ. მოგონებები. სოხუმი, 1959.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1960 წ. 22, აპრილი“.

12314–12315. ვართაგავა ი. მოგონებანი. ნაწ. 1–2. თბ., 1956–1962.

ნაწ. 1. 1956.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1956. 10. VI“.

გაზეთიდან ამონაჭერი სოლ. ცაიშვილის წერილი „წარსულის ცოცხალი სურათები“, მინაწერით: „სახალხო განათლება“, 1956 წ. № 30, 25 ივლისი – ი. გრ“.

ნაწ. 2. 1962.

12316. ვაჩნაძე ნ. მოგონებები და შეხვედრები. სუხუმი, 1953.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1953. 10/XII“.

12317. ვაჩნაძე ნ. მოგონებანი და შეხვედრები. თბ., 1950.

გაზეთიდან ამონაჭერი ი. მჭედლიშვილის რეცენზია „წიგნი ქართული ხელოვნების წარსულისა და აწმყოს შესახებ“, მინაწერით: „საბჭოთა აფხაზეთი“, 1951, № 166, 23 ავგისტო“.

12318–12320. ვეფხვაძე ი. მოგონებანი და პორტრეტები. თბ., 1958.

კანის მე-2 გვ.: „ჩემს მეგობარს, დიდ პოეტს სოსო გრიშაშვილს ავტორისაგან! ი. ვეფხვაძე. 17. IV-59 წ“.

გვ. 38. ხაზგასმულია: „რევაზიანცმა“ და მიწერილია: „იოსებ რევაზოვი სცენის მოყვარე“.

გვ. 55. მოხაზულია, მიწერილია: „მოლას ანეგდოტი“.

გვ. 78. ხაზგასმულია: „სიონის უბანი“, მიწერილია კითხვის ნიშანი და „სვანეთის უბანი“.

კანის მე-3 გვ.: „ბედასლი, დაცუცქვა, გვ. 96; თათარიახნად; შუკი – „რიჟა“.

12321. თარხნიშვილი ს. დიმიტრი და ალექსანდრე ყაზბეგები. (მოგონებანი) – ამონაჭერი: „მნათობი“, 1927, №№ 7, 8–9.

გვ. 206. სათაურთან: „ელისაბედის მემუარების გადამღერება“.

გვ. 208. ხაზგასმულია: „ალექსანდრემ დასწვა ქალაღებო“, მიწერილია: „მიცვალების დღეს?“

გვ. 211. მოხაზულია აკაკის აზრი ალექსანდრეზე. მიწერილია: „ჩვეულებრივი ლაზღანდარობა“.

გვ. 216. ხაზგასმულია ადგილი და არშიაზე წერია: „Русская старина?“

12322. კასრაძე დ. ლიტერატურული პორტრეტები. თბ., 1962.

12323–12326. კლდიაშვილი დ. მემუარები. [თბ.], 1932.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1933. 27 იანვარს გამოვიდა“. იქვე: „ილიას საღამოზე, გვ. 333; ნ. ცაგარელი, 372“.

ფორზაცის მე-2 გვ.: „რეცენზია დასწერა: 1. ს. ხუნდაძემ, იხ. „სალიტ. გაზეთი“, 1933 წ. № 6. 2. იხ. „საბჭოთა მწერლობა“, 1933. 3. რაჟდ. კალაძემ, იხ. „წიგნი“, 1933 წ. № 2-3“.

გვ. 130. ხაზგასმულია სტრიქონები, მიწერილია: „1882 წ.“

გვ. 332. ხაზგასმულია სტრიქონები ქუთაისში ვაჟა-ფშაველას პირველი სტუმრობის შესახებ, არშიაზე წერია: „მეც ვიყავი – ერთად მიგვიწვიეს 1910 წ. 27 ოქტომბერი. ილიას საღამოზე“.

გვ. 333. ხაზგასმულია: „საღამოს მონაწილეთა შორის მოეწვიათ ვაჟაც“, მიწერილია: „ჩამოხტა „კოლხიდაში“ – შეწუხებული იყო, არ მოსწონდა“.

იქვე ქალაღდის ნაჭერი წარწერით: „ილიას საღამო. ქუთაისი. 1910. მე და ვაჟა ვიყავით. ღაღღამ გაგვღანძღა, იხ. „საქმე“, 1910, № 34. ვაჟამ უპასუხა, იხ. „სახალხო გაზ.“ 1910, № 151. ღაღღამ უპასუხა, „ახალი საქმე“, 1911 წ. № 23“.

გვ. 334. მოხაზულია აბზაცი საღაც ვაჟა საყვედურობს აკაკიმ ენა დამიწუნაო, მიწერილია: „ამ დროს დაწერილი არა ჰქონდა ლექსი. აკაკის ლექსი დაიბ. „თემში“, 1913, № XXX“.

გვ. 337. ხაზგასმულია: „ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა მოიპოვა სახსარი და შეუღდა გაზეთის გამოცემას. გაზეთს ერქვა „კოლხიდა“, მიწერილია: „ფედერალისტებმა. (1911–)“.

გვ. 341. აბზაცი მოხაზულია, მიწერილია: „კიტა და აკაკი“.

გვ. 343. ხაზგასმულია: „კიტა აბაშიძე განათლების კომისარი იყო“, მიწერილია: „განათლების?“

ფორზაცის მე-3 გვ.: „წიგნში კიდევ ბევრი თარიღული შეცდომებია. ზოგი უკვე აღნიშნა „ლიტ. გაზეთმა“, 1933, № 8 და ზოგსაც მეორე გამოცემისთვის შემოვინახავ, თუ შემეკითხა სახელგამი. ი. გრ“.

სუპერის ბოლო გვერდზე: „ეგ. ნინოშ; გვ. 130 და ილიას საღამო, გვ. 333“.

12327. კლდიაშვილი დ. ჩემი ცხოვრების გზაზე. (მემუარები). ამონაჭრები: „მნათობი“, 1935, №№ 4-12; 1926, № 1.

თავფურცელზე: „კულა გლდანელის ძმა, გვ. 221. № 8-9, 1925; აკაკის იუბილე ქუთაისში, გვ. 201. 1926 წ. № 1; ვოლსკი, გვ. 153. № 7; ვ. აბაშიძე, 125 – (10); პეტრე უმიკაშვილი, 223, 1926, № 1“.

გვ. 112. ხაზგასმულია: „მწუხარებამ გულის გაგანიერება გამოიწვია“, მიწერილია: „მართალია, ი. გრ.“

გვ. 127. მოხაზულია: „ჩხუბი“, მიწერილია: „თუ ომი? ი. გრ.“

გვ. 160. ხაზგასმულია: „ეფრო. იგი ქვიშხეთელი ყიფიანის გვარის ქალი“, მიწერილია: „ეფროსინე კლდიაშვილი“.

გვ. 180. მოხაზულია მე-3 და მე-4 აბზაცი და მიწერილია: „ქალები“.

გვ. 189. 1-3 აბზაცების გასწვრივ არშიაზე: „ამ საღამოზე მეც ვიყავი“.

გვ. 202. მოხაზულია აბზაცი და მიწერილია: „პეტრე უმიკაშვილი“.

წიგნში ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „უნდა გადავწერო ეს ნატეხი, გვ. 77-78“.

12328-12331. ლასხიშვილი გ. მემუარები. (1885-1911). ტფ., 1934.

შმუცტიტულზე: „ნიშნად დიდი მადლობისა პატივცემულ სოსო გრიშაშვილს გიორგი ლასხიშვილის შვილებისაგან. 24. VI. 34 წ“.

შმუცტიტულზე: „ჩემი ამონაწერი. იხ. ბოლო ფურც. (ყდა) ი. გრ.“

სუპერზე: „იუმორზე, 136“.

სუპერის მე-4 გვ.: „მარიფათი, გვ. XIII და ჯამათი, XV. 1. რ. ერისთ. იუბილე, 97. 2. სახალხო თეატ., 123. 3. ნ. ხუდადოვი, 135. 4. სათეატრო კურიოზი, 128. 5. ველიჩკო და ეპიგრამი, 113. 6. მარის ლექსი, 4. 7. ივანოვიჩი – ფსევდ. 26. 8. ნადსონი (ორ კუბოში), 28. 9. ზდანოვიჩის ფსევდ., 67. 10. ქართ. ცენზორები, 77. 11. ჩემი ტალანტი – სუსტიაო, 76, 87, 12. ა. ახნაზაროვზე, 84 და 87. 13. ნ. ურბნელი პარტიამ არ მოჰკლავ, 86. 14. გრ. ვოლსკი, 88. 15. ესიკელა კვაჭანტირაძე, 88. 16. შრომანა – გრ. აბაშიძის ფსევდ., 89. 17. ილია მღეროდა „მუმლი მუხასა“, გვ. 92. 18. „ივერია“ 1896 წელს და იხ. დროებით, 106 19. თეატრზე, გვ. 119, 120. 20. ჩემი იუმორის ისტორიისათვის, გვ. 136-137 და 218 – („ცნ. ფურც.“ დამატების ისტორია). 21. ბოთლები და უნივ. შენობა, გვ. 15. 22. ნინო ნაკაშიძე, გვ. 224. 23. დ. ავალიანი, 226. 24. ვლ. მიქელაძის ფსევდონიმები. გვ. 286, 25. აბესალომ ეთერზე რეცენზია მე დავწერეო, გვ. 220. 26. ლასხიშვილის ფსევდ.; 88. 1. „მუმლი მუხასა“ უყვარდა ილიას, გვ. 92. II. გ. ლასხიშვილი ველიჩკოზე (ეპიგრამი), გვ. 112-113. III. პოეტ ჭანტურიაზე, გვ. 4.“

გვ. X. მოხაზულია: „-რატომ, რატომ მარგუნეს ასეთი მძიმე სასჯელიო?“ და მიწერილია: „ორიგინალში მოკლედია: „და მერე რისთვის?“ გვ. 57“.

გვ. XII. ხაზგასმულია: „ძველს“ და შეცვლილია სიტყვით: „წინაპართ“.

გვ. XIX წინასიტყვაობაში სიტყვებს: „თითქმის არაფერი“ მიწერილი აქვს: „გვ. 292“.

გვ. XIX წინასიტყვაობის ბოლოს მიწერილია: „პ. მ. საყვარელიძე“.

გვ. 4. ხაზგასმულია: „ჭანტურია“ და მიწერილია: „ამის ლექსების წიგნი მაქვს მგონი“.

გვ. 65. ბოლოს: „აქამდე დაბეჭდილია 1913 წ. „სახალხო ფურცელში“, იხ. ავტორის წინათქმა“.

გვ. 71. მოხაზულია: „ავჭალის ქუჩის ბოლოს“ და მიწერილი: „თუ დასაწყისში?“ ხაზგასმულია: „რადგან ილიას, როგორც პუბლიცისტს, მაშინაც კრიტიკულად ვუცქერდი“ და მიწერილი აქვს კითხვის ნიშანი.

გვ. 83. მოხაზულია: „ილია ჭავჭავაძემ მე-90 წლებში“... და მიწერილი არშიაზე: „ესეც „კავკაზის“ და ი. ხონელის წინააღმდეგ. ი. გრ“.

გვ. 85. ხაზგასმულია: „მათ შორის წინათ რაღაც უსიამოვნო ისტორიას ჰქონდა ადგილი“, მიწერილია: „ამ დროს იაკობი ეკამათებოდა „კვალს“ „აღვიარების“ შესახებ“.

გვ. 89. ხაზგასმულია ცნობები პოეტ გრიშა აბაშიძის შესახებ და მიწერილია არშიაზე: „შრომანა“.

გვ. 92. ხაზგასმულია: „ანტონ ფურცელაძეს არ უყვარდა შექსპირი, არ სწამდა მისი არა თუ გენიოსობა, უბრალო მხატვრულ ნიჭსაც ართმევდა“, მიწერილია: „ლ. ტოლსტოიც ამ აზრისა იყო“.

გვ. 94. ხაზგასმულია: „ანონიმურ ბროშურაში „ილია ჭავჭავაძე და მის მოღვაწეობა“-ში“ მიწერილია: „ივ. მაჩაბლისა იყო“.

გვ. 107. ხაზგასმულია: „1897 წლის თებერვლიდან“, მიწერილია: „1903 წ.“

გვ. 109. „Характеристики и воспоминания“ წინ ჩამატებულია: „წიგნები“.

გვ. 112. მოხაზულია რუსული ექსპრომტი და მიწერილი: „პუშკინის მიბაძვა“.

გვ. 151. პირველი აბზაცი მოხაზულია და მიწერილი არშიაზე: „ს. ეთნოგ. მუზ.“

გვ. 225. სამი უკანასკნელი აბზაცის გასწვრივ არშიაზე წერია: „იხ. „მნათ.“, 1934, № 4, გვ. 191“.

გვ. 226. ბოლო აბზაცი და გვ. 227 მოხაზულია და მიწერილია: „იხ. „მნათობი“, 1934, № 4, გვ. 192.“

გვ. 229. ხაზგასმულია: „ალ. ჯაბადარმა გენერალ ტიმოფეევს ჩააბარა“ და მიწერილია: „მართალია, იხ. „მნათ., 1934, № 4, გვ. 195“.

გვ. 257. ხაზგასმულია გაზეთის სახელწოდება „შრომა“ და მიწერილია: „შრომა“ ესერების გაზეთი იყო“.

გვ. 260. ბოლო აბზაცის გასწვრივ მიწერილია: „აკაკი“.

გვ. 286–287. ხაზგასმულია: „მე ეს გახლავარ“ თუ „ვინა ვარ მეო“ და მიწერილია: „ვინ ვარ მე?“

გვ. 297. აღნიშნულ ცნობებში ლადოს შესახებ მოხაზულია: „მუსიკოსი“ და კითხვის ნიშანია მიწერილი.

გვ. 298. ჩამატებულია: „გელეიშვილი“.

გვ. 299. ჩამატებულია: „დავრიშვილი, 197; ერისთავი ანდრია, გვ. 157; ერისთავი ნიკ. რევ-ძე, 214“.

გვ. 300. ჩამატებულია: „ივ. კოლეიშვილი (კომუნა). გვ. 217; მ. კლიმიაშვილი, 81“.

გვ. 301. ჩამატებულია: „დ. ნახუცრიშვილი, 223“.

გვ. 302. გ. ჟურულის შესახებ ცნობებში. გვ. 75 გადაკეთებულია 77-ად და მიწერილი: „ემიგრაციაშია“. იქვე, ასო „ს“-თან ჩამატებულია: „საღარაძე, მიხ. გვ. 80“.

გვ. 303. ჩამატებულია: „ფალავანდიშვილი, თამარ, 199; ქუთათელაძე, ი. 136“.

გვ. 304. ჩამატებულია: „კ. ჩხეიძე“.

გვ. 306. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ქრ. რაჭველიშვილი“.

12332–12340. ლოლუა ა. მოგონებები. თბ., 1954.

კანზე: „დასაბრუნებელია. ი. გრ. 1955-8/1.“ იქვე: „აკ. შანიძე, 74“.

კანის ბოლო გვერდზე: „მე“ გვ. 56, 57, 59, 60“.

12341. მაზნიაშვილი გ. მოგონებანი. 1917–1925. ტფ., 1927.

კანზე: „ი. გრ. 1927. 1/III.“ სათაურთან: „თარგ. სვ. ყიფიანისაგან. პოეტებზე, გვ. 176“.

ფორზაცზე: „ი. გრ. პოეტებზე, გვ. 176–7 (?)“.

უკანასკნელ გვერდზე: „ბიბლიოგრაფია: 1. „ახალი სოფელი“, № 119, 1927, გვ. 8“ და ამოჭრილი გაზეთიდან „კომ.“, 1925, 10 დეკ. № 284 – შ. ბ-ს წერილი „საუბარი გენერალ მაზნიაშვილთან. ემიგრაციის ჭაობში“.

12342. მანსვეტაშვილი ი. მოგონებანი. ნახული და გაგონილი. ლ. ასათიანის რედ. წინასიტვ. და შენიშვნ. თბ., 1936.

გამლილი თავფურცლის ბოლო გვერდზე წარწერა: „ქართული მწერლობის დაუღალავ მუშაკს, ქართველების ანაკრეონს, იოსებ გრიშაშვილს გულითადის პატივისცემით ავტორისაგან“.

ფორზაცზე: „1. აკაკიზე ლანძღვა, გვ. 206“. – გვ. 206. ხაზგასმულ-მოხაზულია და მიწერილია: „აკაკი? 2. ილიას მოკვლას უპირებდნენ გვ. 12“, – გვ. 12 ხაზგასმულია: „ჯერ იყო და კახეთის თავადაზნაურობამ მოკვლა დაუპირა ილია ჭავჭავაძეს“ და მიწერილია: „იხ. ნადიკვრელის წიგნიც. 3. მენავეები რა საჭიროა თავს ამოჰყოფსო, 201 (ივ. მაჩაბელზე). 4. ილია ხონელზე, 76. 5. დ. კეზელზე, 238“.

ფორზაცის მეორე გვერდზე: „1. გუნიბის მოედანი, გვ. 2. 2. ამქრების აჯანყება, 13. 3. ივანოვის ბიბლიოთეკა, 16. ღოროტოტო, 19, 22, 4. წურბელების დაჭერა, 21. 5. ვლადიკავკაზ-ვლადეი კავკაზ, 26. 6. ბეკეტოვი, გვ. 36. 7. იზიუმინკა – (თუზუმი). 70. 8. ვასო მაჩაბელი უფროსი იყო ივ. მაჩაბელზე, 72. 9. ა. ცაგარელი და სტუდენტები, 74. 10. „მზის დაბნელება“ პეტერბურგში და ივ. მაჩაბელი. 11. შახიანი, 74. 12. ილია და პაპიროსი. 86. 13. ფეხი, 86. 14. ფაშარი, 88. ილია და ნარდი, გვ. 86. დამატება: ელ. ჩერქეზიშვილის თქმა: წვიმა მოდიოდა ილია კიდევ ნარდს თამაშობდა კ. მესხთანაო; დიომიდე კილაძე, გვ. 90; ჩოლახ-ჩოლახ – 91; ივ. ჯაბადარის წერილი „სვერნი ვესტნიკში“ ვ.-ტყაოსანზე, გვ. 93, 94 და 237; დ. ნადირაძე, ლ. აღნიაშვილი, 96; ბაჩანა, 104; ხევსურების ახსნა, 104; ვაჟაზე, 108“.

შმუცტიტულზე: „ჩემს ბიბლიოთეკას. ი. გრ. 1936. 4. VIII. სურათები უწესრიგოდ არის განაწილებული“. იქვე: „გლდანელი“, 179. „მეფე ლირი“ – 167“ – გვ. 167. ხაზგასმულია: „ილიამ მხოლოდ შალაშინი გაჰკრა, თავისებური შნოთი გაალამაზა“, მიწერილია: „არ არის მართალი, იხ. ილიას ავტოგრაფი; ილია და ბანქო, 143“. გვ. 143 ხაზგასმულია: „ილიას ძალიან უყვარდა ბანქოს, ქალაქის თამაშობა... თუმცა ილია ძალიან ფრთხილი და ჩაკვირვებული მოთამაშე იყო, მაგრამ ხშირად ამასაც ჯიბეებს გამოუბერტყავდნენ ხოლმე“, მიწერილია: „იხ. ილიას კერძო წერილი კ. ერისთავისადმი. (მე მაქვს ასლი)“.

გამლილი თავფურცლის ბოლო გვერდზე: „1936. 10. VIII. იაკ. მანსვეტაშვილი გარდაიცვალა 1944 წ. 22 მაისს“.

გვ. 14. ხაზგასმულია: „მგონი კუკიაში“ და მიწერილია: „ველიამინოვის ქუჩაზე“.

გვ. 17. მოხაზულია ადგილი ივანოვის ბიბლიოთეკაში აკაკისა და არწრუნის შორის მომხდარი შელაპარაკების შესახებ, მიწერილია: „არწრუნის კუზი“ , სიტყვა „ბიბლიოთეკაში“ აღნიშნულია და მიწერილია: „ბიბლიოთეკაში ვინ ბაასობს?“

გვ. 23. ხაზგასმულია: „ერთი მხარე საქართველოსკენ გადაიხრება, მეორე კავკავისაკენ“, მიწერილია: „ყაზბეგიც კავკავში მოაქციეთ?“

გვ. 27. ხაზგასმულია: „ბემტაუ“ და მიწერილია: „ბემ-თაუ-ხუთთავიანი“.

გვ. 32. ხაზგასმულია: „მზე უკვე“... და მიწერილი: „სად არის მზე პეტერბურგში“. ხაზგასმულია: „მზე“ და მიწერილია: „ნათელი“.

გვ. 50. წინადადებაში: „...საპყრობილეში დაიჭირეს“ სიტყვა „დაიჭირეს“ გადახაზულია და მის მაგივრად წერია: „ამყოფეს“.

გვ. 52. ხაზგასმულია: „პირველად ვნახე კუბოში ნეკრასოვი, მისი ცოტა მოგრძო, მრავალტანჯული სახე“ და მიწერილია: „აქ ნეკრასოვის სურათი რატომ არ არის?“

გვ. 55. ხაზგასმულია: „ითვლება“ და მიწერილია: „ითვლებოდა“.

გვ. 62. მოხაზულია გვერდი და მიწერილია: „ტერორი“.

გვ. 77. ხაზგასმულია: „რა ენა წახდეს, ერიც „დაეცეს“... და შემდეგ „რუსეთუმეების“, მიწერილია: „ილია ამ რედაქციით არ იტყოდა. „რუსეთუმე“ აკაკისაა. აბზაცი მოხაზულია და მიწერილია: „ილია ხონელი“.

გვ. 78. ხაზგასმულია: „შჩედრინი გავაქართველოთ, ქართული სული ჩავუდგათ და ქართული ხორციტ შევმოსოთ, თორემ ჩვენი მკითხველისათვის გაუგებარი დარჩება“, მიწერილია: „გადმოკეთება?“

გვ. 79. პ. უმიკაშვილის პორტრეტს მიწერილი აქვს: „ჰგავს“.

გვ. 84. მოხაზულია გვერდი და მიწერილია: „ილია“.

გვ. 87. თავის დასაწყისზე მიწერილია: „ცენზურა“.

გვ. 89. ხაზგასმულია: „გადაგვარებულ დიდ მოხელეს“, [ლევან მელიქიშვილი]. მიწერილია: „ნ. ბარათაშვილის მეგობარი“.

გვ. 91. ხაზგასმულია: „ჭიის ფერი“ და მიწერილი: „ჭიაფერი?“

გვ. 99. რკალშემოვლებულია: „სპარსეთიდან“ და მიწერილია: „ირანიდან“. აბზაცს მიწერილი აქვს: „ნ. ავალიშვილი?“

გვ. 105. ხაზგასმულია: „თამარიანი“ და მიწერილია: „თუ ეთერიანი?“

გვ. 106. ხაზგასმულია: „მოვათავსე „ივერიაში“ რეცენზია“, მიწერილია: „რომელ წელს? რედაქტორო?“

გვ. 107. ხაზგასმულია მეორე აბზაცი და მიწერილი: „გ. ყ-მე მედავითნე“.

გვ. 109. სერგეი მესხის პორტრეტს მიწერილი აქვს: „კარგია“.

გვ. 123. დავით ერისთავის პორტრეტს მიწერილი აქვს კითხვის ნიშანი.

გვ. 143. მოხაზულია ბოლო აბზაცი და მიწერილი: „იხ. ელ. ჩერქეზ. მოგონება“.

გვ. 169. პორტრეტთან „ი. მაჩხანელი“ – „ი“ გადასწორებულია „დ“-ად და პორტრეტს მიწერილი აქვს: „ამას აქ რა უნდა?“

გვ. 205. ხაზგასმულია: „იმ წერილიდან“ და მიწერილი: „164“.

- გვ. 224. ბოლო აბზაცს მიწერილი აქვს „ვ. აბაშიძე“.
- გვ. 233. ხაზგასმულია: „ჰკონდა!“ და მიწერილი: „აქვს?“
- გვ. 242. შენიშვნაში, № 14-ს მიწერილი აქვს „ცუკია ფილოსოფოსი“.
- გვ. 243. მოხაზულია შენიშვნა № 16 და მიწერილია: „? მე?“.
- გვ. 245. შენიშვნაში № 23 ხაზგასმულია: „პოტტო გადმოგვცემს“ და მიწერილია: „სად?“
- გვ. 256. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „იხ. გრ. ყიფშიძე“.
- გვ. 258. ქვემოდან მეორე აბზაცთან მიწერილია: „იბეჭდება“.
- გვ. 262. შენიშვნას № 70 მიწერილი აქვს: „პიესები?“, შენიშვნა № 71 პირველ აბზაცზე მიწერილია: „იხ. ს. ხუნდაძე“.
- გვ. 263. პ. უმიკაშვილის შესახებ ცნობებს მიწერილი აქვს: „არსენა ამას რომ არ ჩაეწერა – დაიკარგებოდა“.
- გვ. 264. გრ. ვოლსკის შესახებ ცნობებში ხაზგასმულია: „ლექსები: „შენ გეტრფი მარად“, „ოდეს მეწვევა სევდა დამწველი“ და მიწერილია: „ეს ერთი და იგივე ლექსია. ჩეხოვის პრედლოჟენიე და დათვი სთარგმნა“.
- გვ. 266. შენიშვნას № 83 „შვლის ნუკრის ნაამბობზე“ მიწერილი აქვს: „გაგრძელება სხვ“.
- გვ. 267. შენიშვნას № 86 „ბაზალეთის ტბის“ შესახებ მიწერილი აქვს: „ამით გაიხსნა „ჯეჯილის“ გამოცემა“.
- გვ. 268. შენიშვნას დ. მიქელაძის შესახებ № 93 მიწერილი აქვს: „ს. ხუნდაძე“ და არშიაზე: „სთარგმნა ტოლსტოის პიესა“.
- გვ. 269. ხაზგასმულია: „სარდუს ფრანგული პიესიდან“ და მიწერილია: „ისე გამოდის, თითქოს სარდუს არა ფრანგული პიესაც აქვს“. ხაზგასმულია: „პარიზელი ბიჭი“ ჟოზეფისა“ და მიწერილია: „ხახანაშვილის (326) აზრს იმეორებს – ჟოზეფი პარიზელი ბიჭის სახელია. პარიზელი ბიჭის ავტორი?“
- გვ. 269. ალ. ყიფშიძის შესახებ ცნობებში ჩამოთვლილ პერიოდულ გამოცემებს მიწერილი აქვს: „მომბე“.
- გვ. 271. ხაზგასმულია: „მათიკო“ და მიწერილია: „დრამაა, კომედია კი არაა“. ხაზგასმულია პიესების სახელწოდებები და მიწერილია: „ესენი ყველა გადმოკეთ.“
- გვ. 272. ცნობებში შესწორებულია ვ. აბაშიძის დაბადების თარიღი 1854–1855-ად და ქართული მუდმივი თეატრის დაარსების თარიღი 1878 – 1879-ად.
- გვ. 273. ელენე ყიფიანის შესახებ ცნობებს მიწერილი აქვს: „იხ. ს. ხუნდაძე“. ამავე გვერდზე წერია: „არ არის ახსნილი: 1. სიმბორსკი. თავი მოიკლა გარდაიცვალა 1881 წ. 164, საინტერესო პიროვნება იყო. იხ. „Teatr“, კობიაკოვი. 2. აკაკის ცოლის გვარი იყო ბაზილევსკი და არა ბელოსერსკი-ბელოზერსკი“.
- შემდეგ დაუნომრავ გვ.: „გრ. არწრუნია? გვ. 25; შვლის ნუკრის ნაამბობი წამიკითხავს, – გვ. 105; პორნოგრაფია, 212; ილია და თეატრი, 145; შჩედრინი, 77; ილიას გარეგნობა, 84“.
- გაზეთებიდან ამონაჭრები: 1. ა. ჯ.-ს რეცენზია „საინტერესო მემუარები“, მინაწერებით: „ლიტ. საქართველო“, 1936, № 18“. სტატიის ბოლოს გახსნილია ავტორის ინიციალები: „ა. ჯაჯანაშვილი“. ხაზგასმულია რეცენზენტის კრიტიკა

მანსვეტაშვილის შეხედულების აკაკის პოეზიაზე და მიწერილია: „ესევე აზრი გაიმეორა კ. იაშვილმა 1937 წ. 9 მაისს ხელ. სასახლეში, ე. ი. მანსვეტაშვილი გაჰკენწლა“. 2. ვ. ჯიბუტის რეცენზია „იაკ. მანსვეტაშვილის „მოგონებანი“, მინაწერით: „კომ. განათლება“, 24 სექტ. 1936 წ. № 40“. 3. გაზეთის ერთი გვერდი ნაწყვეტებით. ი. მანსვეტაშვილის „მოგონებიდან“, მინაწერით: „ახალგაზრდა კომუნისტი“ 1936 წ. № 174“. 4. ი. მანსვეტაშვილზე ნეკროლოგი, მინაწერით: „1944 წ. „კომ.“, 1944 წ. 24 მაისი, № 104“. 5. ვ. ხ.-ძის რეცენზია „საინტერესო წიგნი. მოგონებანი იაკობ მანსვეტაშვილის, მინაწერით: „მუშა“, № 217, 20 სექტ. „ქალაქის ნაჭრები წარწერებით: „დაიბეჭდა მოგონებანი: 1. დ. კლდიაშვილი. 2. ს. მგალობლიშვილი. 3. ი. მანსვეტაშვილი. 4. დ. მესხი. 5. დ. ყიფიანი. 6. გ. ლასხიშვილი. 7. ელ. ჩერქეზიშვილი. 8. ნატო მესხი (იხ. „მნათობი“, 1943 წ. № 11–12. ვინ იყო არტისტი ქალი მანდენოვისა? ენჟენი-უააო? ჯიბერტი – იაკობ მანსვეტაშვილი – (გუნიას კალენდრის რეცენზ.)? ეგრი? ერმილე სოფრომის ძე ნაწერი 1891“. ღია ბარათი მიღებული ლენინგრადიდან ი. გრ. მიერ 6 X 1936 წ. აღ. არაბიძისაგან: „ჩემო სოსო! გიგზავნი ორ წიგნს: გ. წერეთელს და ახუნდოვს. რუსთაველი ძნელი საშოვარია, სპეკულაცია დაიწყო. 60 მან. თხოულობენ ცალში და უნდა გამოგიტყდე, რომ როგორც უმუშევარი მიჭირს მივსცე 60 მანეთი. შენი წიგნები მომდის. ვერ წარმოიდგენ რა მასიამოვნა ამ წიგნებმა. ეცადე, ნუ დამაკლებ ასეთ გამოცემებს და როცა მოვეწყობი სადმე ერთად გადაგიხდი. იაკობის მოგონებები მეორეთ გადავიკითხე, საგანგებოთ დაწერილი წიგნია. ერთი შეცდომა ვიპოვნე. აკაკის ცოლი ბელოსელსკი-ბელოზერსკის ქალი კი არ იყო, არამედ ბაზილევსკის, ძალიან მდიდარი-მილიონერი. იყავი კარგათ. შენი აღ. არაბიძე“.

12343. მარჯანიშვილი კ. მემუარები და წერილები. [დ. ჯანელიძის წინასიტყვ.]. თბ., 1947.

ფორზაცზე: „ჩემს ძველს და ნამდვილ მეგობარს სოსოს. 1947 წ. 28/V. აკაკისაგან“. მიწერილია ი. გრ. ხელით: „ხორავა“. მარჯანიშვილის საღამო (ოპერის თეატრი)“.

ფორზაცზე: „1. ნ. გოცირიძის საიუბილეო წიგნისთვის კოტეს დავაწერინე ეს წერილი. გვ. 119“.

გვ. 106. ხაზგასმულია: „წყვდიადის სამეფო“ და მიწერილია: „მეუფება წყვდიადისა“.

გვ. 107. ხაზგასმულია: „ევგ. ჩირიკოვის... „კოლდუნია“ და მიწერილია: „ჯადოსანი (კ. ანდრ.)“.

გვ. 120. ხაზგასმულია: „ლავრენევის პიესა „რღვევა“, მიწერილია: „თარგ. აკაკი ფალავასი“.

გაზეთიდან ამოჭრილი გრ. ჩიქოვანის წერილი „ყვარელში“, მინაწერებით: „კომ.“, 1947, 9 ივლისი, № 136“. წერილის მეორე აზვაცში „დადგით“ ხაზგასმულია და მიწერილია: „გადადგით“.

12344–12346. მგალობლიშვილი ს. მოგონებანი. ლ. ასათიანის წინასიტყვ. რედ. და შენიშვნ. ტფ., 1938.

შმუცტიტულზე წარწერა: „ყველასათვის საყვარელ მგოსანს იოსებ გრიშაშვილს პატივისცემის აღსანიშნავად. მ. თალა... 5. IV. 38“.

ფორზაცზე: „ჩემზე – გვ. XII, გვ. 254, 264 (მაქებს); გვ. 249, გვ. 267, გვ. 195. (გ. ყიფში.), გვ. 185; სოფ. მაგლობლიშვილის ფსევდონიმები (დასადასტურებელია!!): 1. ს. ზაქარაძე. 2. ია. ერაძე. 3. ს. გუმცაძე (ჯორჯაქარა ფსევდ. დაიბეჭდა). 4. წაკოლა (?). 5. კიკია. 6. ილია ზაქარიაშვილი. იხ. „თემი“. 1915. № 2. ი. გრ. მგონი (?) გამოტოვებულია: 1. მოგონება ილია ჭ-ძის შესახებ – „ფასკ.“, 1908, № 1. (ეს წერილი სხვა ვარიანტით, გვ. 129). 2. ...ცაგარ., 219“.

შმუცტიტულზე: „ამ წიგნზე რეცენზია: 1. იხ. „მნათობი“, № 3, გვ. 201“.

ბოლო ფორზაცზე: „გვ. 236. გ. წყალტუბელი გარდ. 1921 წ., გვ. 237, 207, 180 იოსებ ბაქრაძე – ი. ელაქაძე, ოქრუაშვილი. ოქრუაშვილი იოსებ. ფსევდ. გვ. გვ. 108, ელაქაძე, გვ. 107; გვ. 237. იონა მეუნარგია (1850–1919); 253. საღამოს ერთი ცხვირი ხეირია; 258. დ. კეზელი – არაგველი (1854–1906); 261. დ. მიქელაძე-მეველე (1844–1918) დ. ყულაშვილი, დ. ზურაბიშვილი; გვ. 51. ი. ალეველი (იასონ ნათაძე); გვ. 186. გრ. ვოლსკი გარდაიც. 1909, 5 დეკ.; 208. ეკ. ღვინიაშვილი-ფურცელაძე; 209. ქართ. წარმოდგ. და ანტ. ფურც.; 214. მიხ. ჩოდრიშვილი ანტ. ფურცელაძეს. 1. თეთრი კბილი, შავი გული. 1. სანდუა ბიჭი, გვ. 121. 2. განკიცხული ცალკე წიგნად, 117. 3. ტატო წ-ძე, 88, 89. 4. გორის ციხის უფრ. ზაზა ყიფ. 86. 5. თეატრი იარმუკაზე, გვ. 51. 6. შეცდომა, 55, 58, 57, 59, 174. ანეგდოტები აკაკიზე, 183; ა. ხახანაშვილის დაბადების ნამდვილი თარიღი, 229; ალ. ციმაკურიძე, ფსევდ. „სა“-176; შიო მღვიმელზე, 93; შიო ჩიტაძე, 248; „იორდანე ტუსალი“ გვ. 108; მიხ. ყიფიანი“.

გვ. V. ს. მაგლობლიშვილის პორტრეტს მიწერილი აქვს: „1851–1925“.

გვ. XII. ხაზგასმულია: „სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზ.-ზეზის გამო ჩვენ აგრეთვე საშუალება არ მოგვეცა გვესარგებლნა მწერალთა მუზეუმის არქივითაც“ მიწერილია: „რატომ?“

გვ. 1. ქართველ ხალხოსანთა ჯგუფურ პორტრეტზე, ფეხზე მდგომ მარჯვნიდან მეორე პიროვნებას მიწერილი აქვს: „ს. გოგლიჩიძე“.

გვ. 55. ხაზგასმულია: „ნ. დ. ერისთავი (კოლა)... გორელის ფსევდონიმით“ და მიწერილია: „ტყვიაველის“ ფსევდ“.

გვ. 57. მესამე აბზაცში „1880“ გადასწორებულია „1879“-ად. ხაზგასმულია: „ერთს კვირამდე დარჩნენ გორში“ და მიწერილია: „იხ. ა. ცაგარლის მოგონებანი, გვ. 367“.

გვ. 58. მოხაზულია: „ნიკო ავალიშვილის რედაქტორობით“... მიწერილია: „ივერია“ და „მნათობი“ ერთი ფორმატისა იყო და ურევს“. ხაზგასმულია: „მნათობში“ დაიბეჭდა აკაკის შესანიშნავი „ზღაპარი: „შვილო ალექსი, მსურს გითხრა ლექსი“... მიწერილია: „არ არის მართალი, დაიბეჭდა „ივერიაში“, 1880 წ. იხ. 174“.

გვ. 59. ხაზგასმულია: „ჩაილდ-ჰაროლდი“, მიწერილია: „დაიბეჭდა „ივერიაში“, 1880 წ. № 111, ხოლო „ვირგინია“ – „მნათობში“. ხაზგასმულია: „დაიბეჭდა 1872 წ. „მნათობის“ მეორე ნომერში“, მიწერილია: „როსსელი“.

გვ. 61. რკალშემოვლებულია „საგურამოში“ და მიწერილია: „ცოლი შეირთო 1863 წელს“. ხაზგასმულია: „სამკითხველო გაიხსნა ივანოვის სახელზე“, მიწერილია: „ივანოვის ბიბლ. ფომტის ქუჩა. იხ. ამ ივანოვზე აპ. მახარაძის წერილი, „ლიტ. საქართ.“, 1938, № 8, გვ. 4“.

გვ. 100. ხაზგასმულია: „ლომკირიძის ფსევდონიმით“ და მიწერილია: „კ. ფავლენიშვილი“.

გვ. 104. ხაზგასმულია: „გიორგი უთურგაული“ და მიწერილია: „პედაგოგი“.

გვ. 123. ხაზგასმულია: „დღიური ბიძია თომასი“ და მიწერილია: „იბეჭდებოდა „კვალში“, 1904 წ.“

გვ. 125. ხაზგასმულია: „ამ წერილში მოხსენებული პოლტაველი ერისთავი“ და მიწერილია: „ს. მგ. ეს წერილი დაიბეჭდა „კვალში“ 1894, № 5. ი. გრ“.

გვ. 127. ხაზგასმულია: „ჭურულის შვილი“ და მიწერილია: „დურმიშხან ჭურულის შვილი გიორგი. ი. გრ“.

გვ. 174. ხაზგასმულია: „დაიბეჭდა „მნათობში“ აკაკის ზღაპარი „შვილო ალექსი“ და მიწერილია: „ივერიაში“, იხ. გვ. 58“.

გვ. 176. ხაზგასმულია: „სანდრო ნათაძე, – უებრო მასწავლებელი და მწერალი“, მიწერილია: „ჩემი მასწავ.“

გვ. 177. მოხაზულია: „ეს დოსტაქარი იმიერ საქართველო იქნებაო“ და მიწერილია: „აკაკი და ბელადი“.

გვ. 183. მოხაზულია გვერდი და მიწერილია: „ანეგდოტები“.

გვ. 185. მოხაზულია აბზაცი, მიწერილია: „მართალია. ი. გრ.“

გვ. 202. მოხაზულია: „ბ. პანის“... და მიწერილია: „პავლე საყვარელიძე, გუნიას სიძე“.

გვ. 207. ხაზგასმულია: „აქვე იბეჭდებოდა სოსიკო ბაქრაძის თარგმანები ბაირონის ლექსებისა ელაქაბის ფსევდონიმით“ და „ელაქაბის“ გადასწორებულია: „ელაქაძის“.

გვ. 208. ხაზგასმულია: „თამაშაად“ და მიწერილია: „სანახავად“.

გვ. 237. იონა მეუნარგიას შესახებ ცნობებში, მის მიერ შედგენილ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს დამატებული აქვს: „მამიასი, ქოჩაკიძის“.

გვ. 257. მოხაზულია 104-ე შენიშვნა და მიწერილია: „უფრო ადრე ილიაზე „ფასკ.“, 1908, № 1“.

გვ. 258. შენიშვნაში № 117 რკალშემოვლებულია „ევგენი მარკოვი“, მიწერილია: „ეს არ იყო რეაქციონერი“.

გვ. 262. შენიშვნა № 142-ს ბოლოს მიწერილია: „მგალობლიშვილი ხარფუხის კლუბის მამასახლისი იყო“.

გვ. 264. შენიშვნაში № 146 ხაზგასმულია: „მისი კომედიების კრებული“... მიწერილია: „მალადეც!“

გვ. 265. პირველ სტრიქონს მიწერილი აქვს: „იხ. ამის მოგონებანი“. [დათიკო მესხის].

გვ. 268. ხაზგასმულია: „ვალიკოს ფსევდონიმით“ და მიწერილია: „ვალიკო – ია“-ს ფსევდონიმით“. 181 შენიშვნაში რკალშემოვლებულია: „მოქალაქე ბაქრაძე... მისი შვილი ექიმი ბადრიძე“ და კითხვის ნიშანია მიწერილი.

გვ. [270]. სარჩევს ბოლოს მიწერილია: „შენიშვნაში აკლია: ჟურნ. კოტე ხერხეულიძე, უსინათლო გარდაიცვ. გვ. 127“.

წიგნის ბოლოს ცარიელ ფურცელზე წერია: „ლექსიკონი: 1. მიიბიზებდა. 2. მაკვილატი, გვ. 118. 3. სანჭრაქი, (შანჭრაქი). 111. ბელეში, 182“.

გაზეთიდან ამოჭრილი ვლ. ზამბახიძის რეცენზია: „სოფრომ მაგალობლიშვილის მოგონებანი“, მინაწერით: „ახალგაზრდა კომ.“, 1938, № 87, 16 აპრილი“. რეცენზიაში ხაზგასმულია: „დროება“ და მიწერილია: „მოამბე“.

წიგნში ქაღალდის ნაჭრები შენიშვნებით: „1. ს. მაგალობლიშვილის „მზეთუნახავი გული“, გაზ. „დილა“-ში, 1911, № 24. 2. სოფ. მაგალობლიშვილი. „მზეთუნახავი გული“ (ლეგენდა), ილ. ზაქარიაშვილის ფსევდონიმით, იხ. „თემი“, 1911 წ., № 2, 3. 3. ს. მაგალობლიშვილი „ქართ. ეკლესია და სამღვდელოება“ იხ. „თ. და ც.“ 1917, № 8, 9. 4. გორის თეატრზე. ს. მაგალობლიშვილს უპასუხებენ გ. თუმანიშვილი, „თემი“, 1911, № 6. (გორის როტონდა ჩვენ გადავაკეთეთ). 4^ე. ალალო თუთაევი იცავს სოფრომს, „თემი“, 1911, № 11. 5. „მაგრად გულზე დაიჭდიე“ (ნაწყვეტი მოთხრობისა ბატონყმობის ცხოვრებიდან). იხ. „დროების კალენდარი“ 1908 წ. გვ. 127. რედ. ივანე მჭედლიშვილი. 6. სოფ. მაგალობლიშვილის მეგობრის მარიამ კერესელიძის (მაშო, მათეს ცოლი) ნეკროლოგი „ივერია“, 1904, № 245, გვ. 2. თ. ხუსკივაძის. 7. ბატონყმობის გადავარდნის შესახებ იხ. მოგონება ს. მაგალობლიშვილისა „თემი“, 1911 წ. № 6. 8. ს. მაგალობლიშვილის წერილი ა. ხახანაშვილზე „თემი“, 1912 წ. № 84. ა. ხახანაშვილის ანდერძი კი იბეჭდებოდა „თემი“, 1912 წ. № 83. 9. ხელმოუწერელი წერილი გორიდან (ფელეტონი) ეკუთვნის ს. მაგალობლიშვილს. იხ. კომპლექტი „დროება“ 1884 წ. № 33. აწერია ს. მაგალობლიშვილის ხელით „ს. მაგალობლ.“, კომპლექტი საჯარო ბიბლიოთეკისა. 10. ერთს ფსევდონიმზე: „ს. ზაქარაძე“, ვიღაცას მიუწერია ს. მაგალობლიშვილი. იხ. „დროება“, 1875, № 27. წ. კ. საზ. კომპლექტი, ინახება საჯაროში, № 892/ბ. 11 ს. მაგალობლიშვილი. მოთხრობა „ერთი ათასთაგანი“, იხ. „თ. და ც.“, 1920 წ., № 29, (გაგრძ.) 12. ს. მაგალობლიშვილის წერილი „სესილ როდსი“, „ივ.“, 1900, № 140, 141, 142, 143. 13. ს. მაგალობლიშვილი. „თინიას გიშერა“, „ჯეჯილი“, 1890 წ., № V, გვ. 18. 14. ს. მაგალობლიშვილი „გუტენბერგი“, „ჯეჯილი“, 1890, № 2. 15. ს. მაგალობლიშვილმა თავის ხელით დაწერა თავის ბიოგრაფია. ეს კარგად მახსოვს. მხოლოდ გუნამ გადააკეთა, „მე“ ყველგან ამოშალა, რომ წერილი რედაქციისა ყოფილიყო, ასე, რომ ამ დაბადების თარიღს უნდა ერწმუნოთ, იხ. ჟ. „საქართ.“, 1908, № 4, გვ. 8. 16. ს. მაგალობ. „მეკვლე“, (საახალწლო ამბავი), „კვალი“, 1893, № 1. 17. ს. მაგალობლიშვილი „საწყენი თვალი“, მოთხრ. „ივერია“, 1899, № 1. 18. ს. მაგალობ. (წაკოლა). „წყაროსთან“, (ამბავი) „დროება“, 1880, № 260. 19. წაკოლა (ს. მაგალობლიშვილი) „ტატე“ , ამბავი ხალხის ცხოვრებიდან, „დროება“, 1880, № 213. 20. ივ. მაჩაბ. „როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს, რეცენზია, იხ. „დროება“, 1880 წ., № 233. მოქმედი პირები იაკინთე. ლათ.“ 21. სოფ. მაგალობლიშვილი „დედა მათა“, „ივ.“, 1881, № 2; „ცვრევაზე“, „ივ.“, 1885, № 9. ი. გრ. 22. „ყაყიტას ქურდი“. პირველად დაიბეჭდა „ნობათ“-ში 1884. № 7-8-9. მე მაქვს ეგზემპლარი, სადაც მგონი იაკობ გოგებაშვილის ხელით ჩასწორებულია. 23. ს. მაგალობლიშვილი „მოცარტი“ (ისტ. მოთხრ). „ნობათი“, 1885, № 1. 24. ს. მაგალობლიშვილი „ღარიბების შემწე“, (რუს. გადმოკ.) „ნობათი“, 1885 წ. № 2, გვ. 70. 25. ს. მაგალობ. „გმირისეული ქალი“, „ივერია“, 1886 წ., № 63, 64, 67, 68, 69, 70. 26. ს.

მგალობლიშვილი „ქართველები პოლტავაში“, „კვალი“, 1894 წ., № 5. 27. „დღიურები ბიძია თომასი“ ფსევდ. კიკია. მგონი ს. მგალობლიშვილია. იხ. „კვალი“, 1894, № 8. 28. ს. მგალობლიშვილი „მეფე ურიათა“, (მოთხრ., „ივერია“, 1902, № 277. 29. ს. მგალობ... „ს. ფლავში ჩამოსახლ.“, „ივერია“, 1903, № 76. 30. ს. მგალობლ. „სიყმაწვილის მოგონებანი“, „ნაკადული“ (მოზრდ.) 1905, № III, IV, V. 31. ს. მგალობლიშვილი. მოთხრობა „მზეთუნახავი გული“. იხ. გაზ. „დილა“, 1911, № 22, 24 და სხვ. 32. ილია ზაქარიაშვილი (ს. მგალობლიშვილის ფსევდ.), იხ. „თემი“, 1915, № 2 – აქ დაბეჭდილია მოთხრობა „მზეთუნახავი გული“, რომელიც მოთავსებულია მჭედლიძის ქუთ. ჟურნალში. 33. ს. მგალობლიშვილი „და შეჰფიცეს“ დაიბეჭდა „გრდემლი“, 1923 წ., № 6. 34. ს. მგალობლიშვილი „ქართული დასის მოგზაურობა ქართლში“, „თ. და ცხ.“ 1924, № 1. აქ იასონ ნანამეხეა. 35. იორდანე ტუსადი მიხ. ქაიხ. ყიფიანის ფსევდონიმიაო, გვ. 108. 36. სოფ. მგალობლიშვილის (ხელთნაწერი) იხ. – № 3129–H“.

12347. მესხი დ. მოგონებანი. თბ., 1940.

თავფურცელზე: „ქართული სიტყვის ოსტატს, ჩემს ტკბილ მეგობარს სოსოს“. [დავით მესხი]. იქვე: „გარდაიც. 1943 წ. დეკემბ. 1944?“

ფორზაცზე: „ი. გრ. მარრი, 68; ისარლოვი, 81; აკაკის უხამსი ანეგდოტი, 74; აკაკის „არაბი ფაშა“, 84; „სიკოია დენშიკი“, 102; მე ვცდები, (?) 96; აკაკის „ბუტიაობა“ 108; ვ. გუნამ წაილო, 93; „არა, არ არის დამნაშავე“ ანა მესხმა სთარგმ., 40“.

გვ. 40. მოხაზულია მოგონება ავტორის დაზე ანა მესხზე, არშიაზე მინაწერი: „ანა მესხი. ვეფხის-ტყაოსნის კომისია“.

გვ. 73. ხაზგასმულია: „ნესტორი“, მიწერილია: ნესტორ მესხი“ .

გვ. 74. ხაზგასმულია: „იალონზე“, მიწერილია: „განთიადი“.

გვ. 78. ბოლო აბზაცთან: „ეს მაიმუნი მერე შეიძინა. ი. გრ“.

გვ. 93. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „წაილო და დაბეჭდა კიდეც, იხ. „ნიშადური“, 1908, № ი. გრ“.

გვ. 102. ხაზგასმულია: „სიკოია დენჩიკი“ ეს მხიარული კომედია შევჩენკოს „Шельменко денщик“-იდან გადმოვაქართულე“, მიწერილია: „ამის ავტორია არა შევჩენკო, არამედ კვიტკა-ოსნოვიანენკო, იხ. ლიტ. საქ.“, 1939, № 14“.

გვ. 109. ბოლო აბზაცთან წერია: „იხ. ჩემი ცაგარელი“.

გვ. 111. ხაზგასმულია: „გრიგოლ ჩარკვიანი“, წერია: „არტისტი, თორემ გრიგოლი სხვაც იყო“.

ამონაჭერები ჟურნალ-გაზეთებიდან: 1. გ. სარდიონიძის რეცენზია, მინაწერით: „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1941 წ., № 24, 30 იანვ.“ 2. რ. მდივანის რეცენზია, მინაწერით: „მნათობი“, 1940, № 2“. 3. ს. კლდიაშვილის წერილი „შვილი სასახელო ოჯახისა“, მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1944, № 1 იანვ.“ 4. ნეკროლოგი დ. მესხის გარდაცვალების გამო, მინაწერით: „1943, № 266, „კომუნისტი“, 26 დეკემბ.“

წიგნში ბანდეროლი წარწერით: „თბილისი. ხარფუხი, ალგეთის შესახევი № 1. სოსოს გრიშაშვილს. ქუთაისი. სოფ. რიონი დავ. მესხისაგან“.

12348. მეუნარგია ი. აკაკის ცხოვრებიდან. – ამონაჭერი: „ლიტ. მატთანე“, 1942, № 3–4.

12349–12350. მეუნარგია ი. ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდამ. თბ., 1937.
თავფურცელზე: „საყვარელ მგოსანს და ძვირფას მეგობარს ი. გრიშაშვილს. ს.
ცაიშვილი. 15. IX. 37“.

ფორზაცზე: „ფარინა–28. შეცდომა; ათადან-ბაბადამ, 37, 38“.

გვ. 15. შენიშვნასთან მიწერილია: „წელი? ვისი შენიშვნაა“.

გვ. 20. ხაზგასმულია: „კონსტ. მამაცაშვილისა“. მიწერილია: „ეს კონსტანტინე ვინ არის?“

გვ. 24. გასწორებულია თარიღი; 1874-ის ნაცვლად: „1873“.

გვ. 32. პლ. იოსელიანის „მეფე გიორგის ცხოვრების“ შესახებ წერია: „1879 წელს დაიბეჭდა“. მეორე აბზაცთან: „იხ. ჩემ მიერ გამოქვეყნებული ილიას წერილი. „ლიტ. საქართ“.

გვ. 33. მოხაზულია: „მრეწველი ოქრომჭედლიშვილი“, მიწერილია: „პროფ.“

გვ. 42. მოხაზულია: „რუსი პოეტი ნ. სიმბორსკი“, მიწერილია: „ჟურნალისტი“.

გვ. 49. ხაზგასმულია ადგილი და მიწერილია: „ქალაქის თამაში“.

გაზეთებიდან ამონაჭრები: 1. ნ. ჯიბლაძის წერილი მინაწერით: „ახალგაზრდა კომ.“, 1938 წ., 6 იანვარი, № 5“. 2. ე. ა.-ს წერილი მინაწერით: „კომ. განათლება“, 1937, № 98, 21 ოქტ.“ ინიციალებთან: „ე. ა.“ მიწერილია: „ს. აბულაძე“.

12351. ნაკაშიძე ნ. მოგონებანი. თბ., 1946.

ყდაზე: „ი. გრ. გვ. 274“.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1947. 20/I. იხ. ბოლო გვერდი“. იქვე გაზეთიდან ამოჭრილი ლ. ჭიჭინაძის წერილი, მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1947, № 9, 2 მარტი“.

წიგნის ბოლო ფორზაცზე: „დეკეტნიკს“ რამდენიმე ათი წელია აღარ ამბობენ თბილისში, გვ. 362, 365, 374; 1. კიკნა – ფშაველა, 284. 2. ოლია ლეჟავა, 219, 300. 3. აკაკის პენსია, 308“.

წიგნში გაზეთიდან ამოჭრილი ნინო ნაკაშიძის წერილი „ფიქრები საბავშვო მწერლობაზე“, მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1947, № 10“.

12352–12353. ნაკაშიძე ნ. მოგონებანი. თბ., 1956.

ფორზაცზე: „მე, გვ. 42; ვაკელი, გვ. 32; ოლ. ლეჟავა, 39; დ. ყიფიანის წერილი ჩუდეც. სიტ. გამო, გვ. 200“.

გვ. 50. მოხაზულია აბზაცი და მიწერილია: „ტაშის კარი“.

გვ. 61. ხაზგასმულია: „დონ-ღანი“ და მიწერილია: „დათიკო ღოღობერიძე“.

გვ. 124. მესამე აბზაცში „ბაბილინა იყო“ – შესწორებულია: „იყო“ სიტყვით: „არის“.

გვ. 127. ხაზგასმულია: „პარტენაშვილმა“ და მიწერილია: „იოსებ ირემაშვილმა“.

გვ. 165. ხაზგასმულია: „ეფემიას როლს ვთამაშობდი სუნდუკიანცის პიესაში“ და მიწერილია: „პეპო“.

გვ. 173. ხაზგასმულია: „მარიამ გარიყული (რატიანი)“ და მიწერილია: „თათეიშვილი“.

გვ. 174. ხაზგასმულია: „Меблир. комнаты... მე-4 სართულში“ და მიწერილია: „ბრისტოლ“.

გვ. 213. შესწორებულია: „კორინთელი“ „კორიშელად“.

მეორე ცალის ყდაზე: „ი. გრ. 1956. 22/VII“.

ყდის მეორე გვერდზე: „შმერლინგი, 156; გიორგი მათეიშვილი „ნაკადულში მხოლოდ „გიორგის“ აწერდა, გვ. 167; 171 – დ. თურდოსპირელი; ნინო ორბელიანი, 174; დუტუ მეგრელი, გვ. 176“.

ფორზაცზე: „ი. გრ. ბათუმში, 101; მე და ოლოლი, გვ. 91; სიხმარა, 125; სტალინი – 103. ბოლოში ამ წიგნის რეცენზიები ჩავაკერე. ი. გრ. 1956 წ., 20. VIII“.

გვ. 64. „შიო მღვიმელი“ ხაზგასმულია და მიწერილია: „შიო დიდებისათვის უფრო საინტერესო მწერალია. ი. გრ.“

გვ. 90. მოხაზულია აბზაცი და მიწერილია: „არჩილ ჯორჯაძე“.

გვ. 100. მოხაზულია: „ივანე“ და მიწერილია: „ილარიონ“.

გვ. 103. ხაზგასმულია: „მეც“ და მიწერილია: „სხვები?“

გვ. 120. მოხაზულია: „ნაკადულში“ და მიწერილია: „სინათლე“, „ჯეჯილი“.

გვ. 126. ხაზგასმულია ადგილი, მიწერილია: „ორსულობის კასა?“.

გვ. 127. ხაზგასმულია: „პართენაშვილი“ და მიწერილია: „სოსო ირემაშვილი, სოსო პართენაშვილი“.

გვ. 175. აბზაცთან მიწერილია: „ანეგდოტი“.

გვ. 177. მოხაზულია: „ამბობდა, რომ აკაკიმ კი არა, მე აღმოვაჩინე ტასოს ნიჭი“, მიწერილია: „არ არის მართალი“.

გვ. 194. მოხაზულია: „გელა“, მიწერილია: „გელაზანია“.

გვ. 202. მეორე აბზაცი მოხაზულია და მიწერილია: „მიხ. ლელაშვილი“. მოხაზულია: „ი. ბელიაშვილი“, მიწერილია: „იონა თლუღელი“

გვ. 206. მოხაზულია სიტყვა: „ბნელა“ და მიწერილია: „ისევ. ი. გრ.“

გაზეთიდან ამონაჭრები: 1. წერილი მინაწერით: „საბჭ. აჭარა“, 1956 წ. № 160, 12 აგვისტო“. 2. სოლ. ცაიშვილის რეცენზია „საბავშვო ჟურნალისტიკის სათავეებთან“, მინაწერით: „ლიტერატურული გაზეთი“, 1956, № 33, 17 აგვისტო“.

12354–12357. ნიკოლაძე ი. ერთი წელიწადი როდენთან. თბ., 1930.

12358–12359. სახოკია თ. როგორ ვიზრდებოდით ძველად. (მოგონებანი) თბ., 1955.

თავფურცელზე ავტორის გვართან: „გარდაიცვალა 17/I–56“.

12360. სულიაშვილი დ. ბავშვობა [ავტობიოგრაფიიდან]. – ამონაჭერი: „მნათობი“, 1940, № 2.

12361. სულიაშვილი დ. უცხო მხარეში. [მოგონებანი]. თბ., 1959.

12362. სულიაშვილი დ. წარსულიდან. თბ., 1948.

12363. ტალახაძე ი. აკაკი. მოგონებანი. თბ., 1948.

12364–12365. ურუშაძე ვ. მოგონებანი. თბ., 1951.

თავფურცელზე: „ამხ. სოსო გრიშაშვილს ნიშნათ ურღმესი პატივისცემისა. ვ. ურუშაძე. 14. II. 1952 წ“.

ფორზაცზე: „გარდაიცვალა 1952 წ. მარტში“.

მეორე ცალის კანზე: „ი. გრ. 60, 67, 72; კონ. ოცხანელი, გვ. 16 (კ. თავართქ.)“.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1952 წ. 31/I“ და ვასო ურუშაძის ნეკროლოგი ამოჭრილი გაზეთიდან, მინაწერით: „ლიტ. და ხელოვნება“, 1952, № 13, 28 მარტი“.

წიგნში ქალაქის ნაჭერი მინაწერებით: „ვასო ურუშაძე 3–80–38; ვასო ურუშაძის მოგონებიდან: ვინ იყო: 1. კონ. ოცხანელი, ფსევდონიმი კ. თავართქილაძის. 2. „ცნ. ფურც.“, რა ფსევდონ. „ბიჭი-ბიჭი“. 3. ბებურ ბებურიძე., ატატო ბებურიძე. მსახიობი იყო. ვ. ურუშაძის „გურული სცენები“ და ლექსები, იხ. „ცხოვრების სარკე“, წ. II“.

12366–12367. ფაშალიშვილი ს. შეხვედრები დაუვიწყარ ადამიანებთან. [თბ.], 1961.

ფორზაცზე: „იოსებ გრიშაშვილს ისევ შენ, ისევ პოეტს, ისევ მეგობარს! სიკო ფაშალიშვილი. 31/X 1961 წ“.

მეორე ცალის გვ. 45. ხაზგასმულია: „დროების“ რედაქცია“. მიწერილია: „ა. შ.“

გვ. 48. ხაზგასმულია: „კულტ. ძალებმა ითავეს აკაკის იუბილის მოწყობა“, მიწერილია: „1908“.

გვ. 51. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „კიტა?“

გვ. 54. ხაზგასმულია: „დაბალ კლასში“, მიწერილია: „უნივერსიტეტი“.

გვ. 78. დანიშნულია ადგილი, მიწერილია: „მელიტონ გობეჩია“.

გვ. 87. ხაზგასმულია: „ვაჟა მიიწვიეს იოსებ გრიშაშვილთან ერთად“, მიწერილია: „ილიას საღამო“.

გვ. 90. ხაზგასმულია: „ივერიისაკენ“, მიწერილია: „კოლხიდა“.

12368. ფრონელი ა. დღიურები ერთი სემინარელისა. – ამონაჭერი: „ლიტ. მატეანე“, 1942, № 3–4.

12369–12371. ქიქოძე გ. მოგონებები. განთიადიდან შუადღემდე. სიტყვები და წერილები. თბ., 1956.

ყდაზე: „ჩემს ბიბლ-ს. ი. გრ“.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1956. 10/IX. გვ. 60 (?)“.

გვ. 56. ხაზგასმულია: „ანტიკვართან“ და მიწერილია: „ქუთაისში?“ იქვე: „მაშინ წიგნები იაფი იყო და 140 კ. ძვირია“.

გვ. 57. მოხაზულია აბზაცი, მიწერილია: „წელი. განა მაშინ ლადოს თეთრი თმა ჰქონდა?“

გვ. 59. ხაზგასმულია: „კაი გრაქის“ და მიწერილია: „რომელ წელს? 1905 წ“.

გვ. 60. ხაზგასმულია: „ქართული კალენდარი“ და მიწერილია: „საქართველოს კალენდარი“.

გვ. 62. სადაც მოხსენებულია ვლ. მესხიშვილი, მიწერილია: „წელი? ამ დროს სად იყო?“.

გვ. 63. სტრიქონთან მიწერილია: „1920 წ. გარდ“.

12372. ყაზბეგი ე. მემუარები ყაზბეგებზე. – ამონაჭრები: „მნათობი“, 1924, №№ 5, 7–8. 1925, №№ 1, 3, 4, 8–12, 1926, № 1.

კანზე ქალაქის ნაჭერი წარწერით: „ელისაბედ ყაზბეგის მემუარები. ი. გრ. იბეჭდებოდა: „მნათობი“, 1924 წ. № 5, 7–8. 1925 წ. № 1, 3, 4, 8–9, 10, 11, 12; 1926 წ. № 1. სულ ცხრა ნომერში იყო. გავმართე და ავკინძე. ი. გრ. 1932, 19/V“.

გვ. 2. დანიშნულია სათაური: „დიმიტრი ყაზბეგის და ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიის მასალები“ მიწერილია: „საინტერესოა ის გარემოება, რომ ელ. ყაზბეგის

ამ მემუარების ხელთნაწერს ასეთი სთაური ჰქვია „მოჩუბარიძის ბიოგრაფიის მასალა“ (შავი ინახება ნიკო მესხიშვილის ქალთან)“.

გვ. 189. წერილის ბოლოს ახსნილია ავტორის ფსევდონიმი: „მოსული – ს. ხუნდაძე“.

გვ. 197. ხაზგასმულია: „დიმიტრის ხელნაწერი სცენა“ და მიწერილია: „ერთად ერთ საბუთად სულ დიმიტრის ამ სცენას ახსენებენ“.

გვ. 198. სადაც პ. უმიკაშვილი წერს, რომ „დიმიტრის ხელნაწერი სცენა ჩემთან შევიჩინა“, მიწერილია: „იქნება ფ. გოგიჩაიშვილს აქვს“.

გვ. 200. დანიშნულია სათაური: „მოჩუბარიძის ბიოგრაფიის მასალა“ მიწერილია: „მოჩუბარიძის ბიოგრაფიის მასალა რატომ ჰქვია. ი. გრ“.

12373–12376. ყიფიანი დ. მემუარები. ს. ხუნდაძის რედ., შენიშვნ. და წინასიტყვ. ტფ., 1930.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1930, 20. V“. იქვე: „გადასახლება. ა. ჭ-ძე, 164, 133, ტამბოვში თუ კოსტრომის გუბ.“ – გვ. 133. ხაზგასმულია: „7. გენერალ-მაიორი თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე, შემდეგში გენერალ-ლეიტენანტი და წევრი კავკასიის უზენაესი მართველობისა, გაიგზავნა ქალ. ტამბოვში“ და რედაქტორის შენიშვნებში, გვ. 164, მოხაზულია შენიშვნა № 59, აღ. ჭავჭავაძის შესახებ. ბიბლიოგრაფიულ წყაროს „იხ. „Кавказ“, 1846 წ.“ მიწერილი აქვს: „№-რი? მე ვიცი...“

ფორზაცზე: „1. ა. ჭ-ძე, გვ. 127, 139, 144. ნ. ჭ-ძე, გვ. 9; აღ. ჭ-ძე, გვ. 87 (სენატი); მარიამ დედოფალი და ლაზარევი, 121“.

გვ. 121. მოხაზულია გვერდი და მიწერილია: „მარიამ დედოფ.“

ფორზაცის მეორე გვერდზე: „ნაწილი აქედან დაიბეჭდა ჟურნ. „განათლება“, 1912, № IX, გვ. 704“.

თავფურცელზე: „დიმ. ყიფიანმა სთარგმნა ალფრედ დე-მიუსეს თხზულება (პიესა) „ბაბალეს თითისტარი“ (ხელთ.№ 1430–H) ი. გრ“.

გვ. III. ხაზგასმულია: „ამ პერიოდში დაიწყო ჩვენში მემუარების წერა და მისი გავრცელება“, მიწერილია: „აღ. ორბელიანი, იონა ქართველიშვილი, იონა მიტროპოლიტი“. იქვე რკალშემოვლებულია სიძველეთა მუზეუმის დასახელებულ ნომრების შემდეგ სიტყვა „სხვ.“ მიწერილია: „ასე არ შეიძლება“.

გვ. IV. მეორე აბზაცს მიწერილი აქვს: „იხ. მ. ქ. ყიფიანის კერძო წერილი“.

გვ. VI. გადახაზულია: „შავი ხალხის“ და მიწერილია: „მდაბიო“.

გვ. 2. თავისუფალ გვერდზე წერია: „P. S. აქედან (ამ მემუარიდან) პირველი ორი თავი გადაითარგმნა „Руск. старина“-დან, № 3 და დაიბეჭდა დ. ყ-ძის მკვლელობის წელს „ივერიაში“, 1887 წ., № 228“.

გვ. 6. აბზაცში: „თავად ბაგრატიონს“ მიწერილი აქვს: „რომან ივანეს-ძე. ეს გამოტოვებულია. იხ. ივერიის თარგმანი, „ივ.“, 1887, № 228.“

გვ. 137. ხაზგასმულია: „ხოლერით მოჰკვდა“ და მიწერილია: „გიორგი ერისთავის მამა ხოლერით მომკვდარა“.

გვ. 140. ხაზგასმულია: „ვიდაც კახელ ბერის მიერ“ და მიწერილია: „ფილადელოფოს“. ხაზგასმულია: „დიმიტრი“, მიწერილია: „ერისთავი“.

გვ. 141. ხაზგასმულია: „თავისი „ოსური მოთხრობიდან“, მიწერილია: „ოსურად გაგიძარცვამს ლექსიკონია. გ. ერისთავი“.

გვ. 143. პირველ სტრიქონში ხაზგასმულია: „უთუოდ უნდა მოვკლათ“ და მიწერილია: „ჭილაშვილი“.

გვ. 146. მოხაზულია: „მისნები“ და მიწერილია: „ქადაგები“.

გვ. 151. ხაზგასმულია: „კიზლიარში“, მიწერილია: „ყიზლ“.

გვ. 153. ხაზგასმულია: „მეორე პ. ბ-ი“ და მიწერილია: „რომან ბაგრატიონი? ამის სახლში გაიმართა „ვაი ჭკუისაგან“. ი. გრ“.

გვ. 155. შენიშვნას ბარ. განის შესახებ მიწერილი აქვს: „განოვის ქ.“

გვ. 157. ხაზგასმულია: „Кавказский календарь“, 1865 წ.“ მიწერილია: „გვ.?“

გვ. 158. ხაზგასმულია: „Историческая записка об управлении кавказом“ და მიწერილია: „გვ.?“ ხაზგასმულია: „ისტორიული ხასიათის წერილებიც“ და მიწერილია: „რა?“.

გვ. 159. ხაზგასმულია: „ს. კოლხიდელი“ და მიწერილია: „მანწკავა“.

გვ. 163. ხაზგასმულია: „ერთგვარი ხერხი“, მიწერილია: „შენი ამ წიგნის რედაქტორობაც ხერხია“.

გვ. 166. 74-ე შენიშვნაში ხაზგასმულია: „იხ. „დროება“, № 222, 1883 წ.“ და მიწერილია: „ეს თარიღი თვით წიგნშია“.

გვ. 167. ხაზგასმულია: „რომეო და ჯულიეტა“ შემდეგში „ცისკარში“ დაიბეჭდა“... და მიწერილია: „რომელ წელს? №-რი?“.

გვ. 171. მე-7 შენიშვნას მიწერილი აქვს: „ივერია“. ხაზგასმულია: „ელიზბარ ერისთავი – იყო ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი შეთქმულებისა“ და მიწერილია: „მეტი არაფერი?“.

12702. ქიქოძე გ. ერეკლე მეორე. თბ., 1942.

12703–12706. ქიქოძე გ. ერეკლე მეორე. თბ., 1947.

12707. ქიქოძე გ. ერეკლე მეორე. მე-3 გამოც. თბ., 1958.

12708. ქიქოძე გ. ერეკლე მეფის ომები. თბ., 1943.

კანზე: „3. ი. გრ.“

გვ. 4. ხაზგასმულია: „ერმრავალს“, მიწერილია: „ეს სიტყვა მ. ჯანაშვილმა შემოიტანა, იხ. მისი „თამარ მეფე“.

გვ. 5. ხაზგასმულია: „მოაოხრა“, მიწერილია: „მ. ჯან“.

12709. ქორიძე დ. თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ქალები. თბ., 1961.

თავფურცელზე: „დიდათ პატივცემულ აკადემიკოსს იოსებ გრიშაშვილს უძღვნის ავტორი ამ მცირე ნაშრომს. დ. ქორიძე 24/VIII-62 წ.“

12710–12713. ქუთათელაძე ა. კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან. რვეული 1–2. ტფ., 1900.

რვეული 1.

კანსა და წიგნის მესამე გვ. ყოფილი პატრონის ხელწერა: „ს. თ. ხუნდაძე“.

რვეული 2.

კანზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ს. თ. ხუნდაძე“. იქვე: „ყველგანაა ი. გრ“.

12714. ღამბაშიძე დ. გაენათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით III აღმაშენებლისა. ქუთაისი, 1888.

ფორზაცზე: „ი. გრ. დ. ღამბაშიძე გარდაიცვალა 1910 წ. 22 დეკემბ. ი. გრ.“

12715–12719. ღამბაშიძე დ. გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით III აღმაშენებლისა. გამოც. მე-2. ქუთაისი, 1893.

12720. შაიშმელაშვილი ი. კრწანისის ომი. სამხედრო-ისტ. ნარკვევი. – ამონაჭრები „მნათობი“-დან, 1940, № 9, 10.

კანის მე-3 გვ. ამონაჭერი გაზეთიდან „ახალგაზ. კომ.“, 1941, № 80, 5 აპრილი – ივ. შაიშმელაშვილის წერილი „მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენაო“.

12721. ცაგარელი ა. ქართველთა ძველი ცხოვრების კვალი წმ. ქვეყანაში და სინაის მთაზე. – ამონაჭერი: „ივერია“, 1884, № 4.

12722. ცამცივეი რ. შემოკლებული საქართველოს ისტორია. ტფ., 1882.

12723. ცინცაძე ი. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბ., 1960.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1960 წ. 19/II“.

12724. ცინცაძე ი. მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები (XII–XIII სს.) თბ., 1960.

ფორზაცზე: „მვ. სოსოს სგანძურს ეს ჩემი წიგნიც უღრმესი პატივისცემით. „გლახაკთა შორის უნარჩევესი“ იასე. 1960 წელი“.

12725. ცინცაძე ი. უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1954.

12726–12727. ცინცაძე ი. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X–XVI სს). თბ., 1956.

ფორზაცზე: „მგოსანს და მეცნიერს განუმეორებელს სოსოს სახსოვრად მოგიძღვნის წიგნსა ამას ფრიად ცოდვილი ავტორი იასე. 1957 წელი“.

12728. ცხვედაძე ნ. მისვლა-მოსვლა რუსეთს და საქართველოს შორის 1494 წ-გან 1664 წ-მდე. (დასასრული) – ამოჭრილი ჟურნ. „მნათობი“-დან, 1871, № 6.

12729. ძველი ეკალი. მეფე ერეკლე II. ამონაჭერი: „მოამბე“, 1898, № 3.

კანზე: „ძველი ეკალი ნ. ურბნელი ხომ არ არის?“.

- გვ. 51. მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „რუსეთის ვაკე“.
12730. ძიმისტარიშვილი ს. არაბები საქართველოში. თბ, 1941.
- 12731–12732. ძიმისტარიშვილი ს. და უჩანეიშვილი დ. საქართველოს ისტორია. 1-ლი ნაწილი. მე-2 შესწ. გამოც. სახელმძღვ. შრომის სკოლებისათვის. [თბ.], 1927.
- 12733–12734. [წერეთელი]. ა. თამარ მეფე. ტფ., გამოც. მ. ლაღიძისა, 1903.
- კანზე წარწერა: „საყვარელ პოეტს მეგობარ სოსოს. ი. ასლანიშვილი“.
- 12735–12744. [წერეთელი] ა. თამარ მეფე. ტფ., გამოც. ს. მერკვილაძის მიერ. 1903.
- კანზე: „ი. გრ. – ეს წიგნი არ არის აწერილი წიგნის პალატაში“.
12745. წერეთელი გ. საქართველოს ისტორიის სურათები. მეოთხე საუკუნე. – ამონაჭერი: „კრებული“, 1872, № 7“.
12746. წერეთელი გ. ჩვენი ძველი გმირები. ტფ., 1897. აკინძულია ორი წიგნი.
- 12747–12749. ჭიჭინაძე ნ. რუსეთის პოლიტიკა და იმერეთის მეფე სოლომონ II. ისტ. მონოგრაფია. ქუთაისი, 1919.
- მეორე ცალის კანზე: „გვ. 61.“
- 12750–12752. ჭიჭინაძე ზ. ასპინძის ომის ისტორიის სიყალბე და რუსის გენერალ ტოტლებენის დალატის სინამდვილე. თბ., 1920.
- 12753–12758. ჭიჭინაძე ზ. აღმაჰმად ხანის თავის მკვეთელი მცხეთელი ანდრია (სადიხა) და მორჩილი რაჟდენ ბარამიძე. ტფ., 1901.
- თავფურცელზე: „ახალგაზრდა ქართველ მწერალს დათიკო ნახუცრიშვილს პატივისცემით ეძღვნის ავტორისაგან“.
- თავფურცელზე: „იხ. ბოლო გვერდი (გარეკანი) ი. გრ.“
- კანის ბოლო გვ.: „ვიყიდე ბუკინისტან ი. გრ. 1942 5/IV.“
- მეორე ცალის კანზე: „ვერ ვიპოვე „ქართულ წიგნში“ ი. გრ.“
- მესამე ცალის კანზე: „ი. გრ. ეს წიგნი თბილისში არ არის“.
- თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ი. ფანცხავა“.
- 12759–12762. ჭიჭინაძე ზ. აღ-მაჰმადხანის მეორეთ შემოსევა და მისი წამქეზებელი 1797 წ. ტფ., 1920. კანზე სათაური: „აღ მაჰმადხანის მეორეთ შემოსევა საქართველოში 1797 წ. და მისი წამქეზებელი რუსეთის გენერლები“.
- მეორე ცალის თავფურცელსა და კანზე: „გვ. 11. ი. გრ“.
12763. ჭიჭინაძე ზ. გერმანელი დოკტორ იაკობ რეინგესი მეფე ერეკლეს კარზედ რუსთაგან კომისრათ და მინისტრათ დანიშნული საქართველოში. ტფ., 1920.
- კანზე: „ეს წიგნი საჯაროში არ არის. ი. გრ.“
- 12764–12765. ჭიჭინაძე ზ. თამარ მეფე. მე-2 შვეს. გამოც. თფ., 1899.
- კანზე: „ველიჩკოს ლეგენდა, გვ. 30. ი. გრ.“
- 12766–12770. ჭიჭინაძე ზ. ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი. ბათუმი, 1911.
- თავფურცელზე: „ეს წიგნი თბილისში არ არის. ი. გრ.“ და ბეჭედი: „საქ. სახ. წიგნის პალატა“.
- წიგნში ქალაქის ნაჭერი წარწერით: „1954, 17/XII. სულ 14-ია დარჩენილი ჩემი. 1954. 17 დეკ. პალატის წიგნებია – ვალად მეთვლება. უნდა მივცე სხვა წიგნები (დუბლ.) ი. გრ. ჩავაბარე სხვა წიგნები, 1955, 19 აპრილი“.

- მესამე ცალის კანზე: „ი. გრ. ფსევდონიმები, 265, 266“.
- 12771–12773. ჭიჭინაძე ზ. ისტორია ხურსიდის (ისარლოვი) გვარისა და შოთა (შიო) რუსთაველი. ტფ., 1904.
- კანზე: „ი. გრ. გვ. 35“. მითითებულ გვერდზე ხაზგასმულია: „შოთა რუსთაველს დაუხატვინებია“... და მიწერილია: „შოთა რუსთაველის სურათი?“
- 12774–12775. ჭიჭინაძე ზ. კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში. ტფ., 1903.
- თავფურცელზე: ყოფილი პატრონის ხელწერა: „მიხეილ კინწურაშვილი. 1904“.
- მეორე ცალის თავფურცელზე: „მვირფასს მეგობარს ნიკოლოზ ივანეს-ძე ვაჟიკაშვილს პატივისცემით ეძღვნის ავტორისაგან“.
12776. ჭიჭინაძე ზ. მარიამ დედოფალმა რა მიზნით მოკლა რუსის გენერალი ლაზარევი და კრწანისის ომის ამბავი 1795 წ. თბ., 1920.
- 12777–12779. ჭიჭინაძე ზ. მესხეთ-ჯავახეთის გათათრება. ტფ., 1906.
- თავფურცელზე საქ. სახ. წიგნის პალატის ბეჭედი, მიწერილია: „ეს წიგნი ჰქონდათ გასაცვლელ ფონდში. ი. გრ. 1943 წ. 4/II“.
- კანზე: „დუბლ. მაჭახელა სოფელია, სადაც საომარ იარაღს აკეთებდნენ, გვ. 12“.
- 12780–12781. [ჭიჭინაძე ზ.] მეფე ერეკლეს და ალა მაჰმადხანის ომი და ამ ომში იმერლების ღალატი მართალია თუ არა? ტფ., 1895. ტექსტის ბოლოს ავტორი: „ზ. ჭ.“
- კანზე: „არ არის თბილისში. ი. გრ.“
12782. ჭიჭინაძე ზ. მეფე ირაკლის გლეხი გმირები. ბათომი, 1902.
- 12783–12784. ჭიჭინაძე ზ. ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზედ. ისტ. მიმოხილვა. ტფ., 1916.
- 12785–12786. ჭიჭინაძე ზ. ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის კონსპექტი. 1452–1926 წლებში. ტფ., 1927.
- კანზე: „ალ. ჭ-ძის სტრიქონი (?) გვ. 29. ი. გრ. 1927. 7/IX“.
12787. ჭიჭინაძე ზ. ოსმალეთის ყოფილ საქართველოს და ქართველ მაჰმადიანთ ნაწილი ლაზისტანი ისტ. და ეთნოგრ. მხრით. წ. 1. ტფ., 1927.
- თავფურცელზე: „ქართველ მგოსანს და სამწერლო მოღვაწეს სოსო მამულაშვილს პატივისცემით დამწერისაგან. 12 ივლისი 1927 წ.“
12788. ჭიჭინაძე ზ. პავლე იმპერატორმა როგორ ჩამოართვა გიორგი მეფეს საქართველო. თბ., [1920].
- 12789–12791. [ჭიჭინაძე ზ.] პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მის დროს ქართველ კათოლიკენი საქართველოში. ზ. ჭ. ტფ, 1896.
- თავფურცელზე: „ნიჭიერს ქართველ მგოსან ქალს განდეგილს პატივისცემით დამწერისაგან“.
- მეორე ცალის კანზე: „გვ. 47. ბარაზანი დაჰკრესა, ი. გრ.“
- 12792–12793. ჭიჭინაძე ზ. პეტრე დიდმა როგორ მოატყვილა ვახტანგ მეექვსე და 300 ოჯახი ქართველთა. თბ., 1920.
12794. ჭიჭინაძე ზ. რუსეთის გენერალ სოხოტინმა როგორ მოატყუა იმერეთის მეფე სოლომონ მეორე. თბ., 1920.
12795. [ჭიჭინაძე ზ.] საქართველოს ერის მიმართვა საფრანგეთს და ინგლისთან. წ. I. მე-3 გამოც. ტფ., 1916.

12796–12798. ჭიჭინაძე ზ. საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან (XII საუკ.) ვუძღვნი განსვ. მისს მარჯორი უორდროპის ასულის ხსოვნას. [თბ., 1920].

კანსა და გვ. 13 ბეჭედი: „მიტროპოლიტი კალისტრატე“.

12799. ჭიჭინაძე ზ. სოლომონ ლეონიძე. მსაჯული ანუ ვიცე-კანცლერი მეფე ერეკლე და სოლომონ იმერთა მეფისა. თფ., 1910.

კანზე: „ა. ჭ-ძე, გვ. 27. ი. გრ.“

12800–12803. [ჭიჭინაძე ზ.]. უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა. ტფ., 1898. კანზე: „უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი ტულუკაანთ დავითა. – ტექსტის ბოლოს ავტორი: ზ. ჭ.“

კანზე: „ყველგან არის“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „ყველა ქართველთაგან პატივცემულს თავადს იასონ დავითის ძე ციციშვილს უღრმესი პატივისცემით ეძღვნის დამწერისაგან“.

კანის მე-2 გვ. ყოფილი პატრონის ხელწერა: „ეკუთვნის იასონ დავითის ძეს ციციშვილს.“

კანზე: „ი. გრ. იხ. II გვ.; ზაქარია, 89; იხ. ბოლო განცხადება; ალექსანდრე ჩიქოვანი, გვ. 37; სომხ. ლოცვანი ქართ. ასოებით, გვ. 63“.

12804. ჭიჭინაძე ზ. ქართველების გათათრება ანუ ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ქართველებში. (XVII და XVIII საუკ.) ისტორიულის და ზეპირგარდმოცემულის ცნობებითგან დაწერილი. თბ., 1901.

თავფურცელზე: „დიდად პატივცემულს ედვარდ კარლის-ძე ლიოზენს პატივისცემით ეძღვნის დამწერისაგან“.

12805. ჭიჭინაძე ქ. ქართველების გამაჰმადიანება. აღწერილი და მეორედ დაბეჭდილი. თბ., 1907.

12806–12808. ჭიჭინაძე ზ. ქართველების გამაჰმადიანება ანუ ქართველთა გათათრება. აღწერილი და გამოც. ზ. ჭიჭინაძისაგან. თბ., 1915.

12809–12811. ჭიჭინაძე ზ. ქართველთა მეფეთ დროის ქართველ რესპუბლიკანელები და მეფე ერეკლეს წერილები ვენეციის რესპუბლიკური მთავრობის წინაშე. თბ., 1917.

12812. ჭყონია ა. ისტორიული ნარკვევი ანუ ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის უძველეს დროიდან ბაგრატიონთ გამეფებამდე. ტფ., 1890.

კანზე: „ამირანზე, 152“.

12813. ხახანაშვილი ა. ბატონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის. ისტ. გამოკვლევა. ტფ., 1890.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1919. 10/III“.

კანზე: „ი. გრ. არის მეორე გამოცემაც. ი. გრ.“

12814. ხახანაშვილი ა. ბიზანტიის გავლენა საქართველოზე. ბიზანტიური შეხედულება ჩვენს კანონმდებლობაზე. ამონაჭერი: „მომბე“, 1901 წ., № 12.

12815–12822. ხახანაშვილი ა. მეფე იმერეთისა სოლომონ II (1810–1890). ისტ. წერილი. ტფ., 1910.

წიგნის ბოლოს: „სოლომონი იმერეთისა“, იხ. „კვალი“, 1895 წ., № 23, 24 და სხვ.“

12823. ხუსკივაძე თ. კონსტანტინე ბატონიშვილი. (ისტ. ამბავი). ქუთაისი, 1902.
- 12824–12825. ხუსკივაძე თ. უკანასკნელი მეფე იმერეთისა სოლომონ მეორე. ისტ. ამბავი. ყვირილა, 1902 [კანზე: 1903].
კანზე: „არსად არ არის! ი. გრ.“
12826. ჯავახიშვილი ი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-
XVIII საუკუნეში. თბ., 1919.
- 12827–12828. ჯავახიშვილი ი. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. ტფ.,
1938.
12829. ჯავახიშვილი ი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი 1. ტფ., 1907.
- 12830–12832. ჯავახიშვილი ი. საქართველოს ისტორია. მეორე, ახლად დაწერილი
გამოცემა. წ. 1–2. თბ., 1930, 1934.
წ. 1. 1930.
- გვ. 344. ხაზგასმულია: „კორკოტი“ და მიწერილია: „კორკოტი-დაფქულია,
(ჩაფლავებული საჭმელია). კორკოტს – წანდილიც ჰქვია. წანდილი – მოხარშული,
ხორხომელად, მარცვლობა ეტყობა“.
- გვ. 357. ხაზგასმულია: „სიმინდი“ და 363-ე გვ. მიწერილია: „სიმინდი შოპენსაც
აქვს“.
- გვ. 389. ხაზგასმულია: „ვაფუკ ცორენ, რბილი ხორბლის“, მიწერილია:
„ფლიაკსბერგოვი, გვ. 50“.
- გვ. 396. ხაზგასმულია: „დოლი“ და მიწერილია: „დოლი დ. გურამიშვილსაც აქვს
ნახმარი“.
- წიგნში ქაღალდის ნაჭერი მინაწერით: „აჯილდა. „შენ ისეთი აჯილდა ხარ“, იხ. ნ.
შიუკაშვილის პიესა „სიმახინჯე“, ჟურ. „ერი“, 1910 წ., № 17, გვ. 6. თამამ. თავაწყვეტილ
ქალებზე იტყვიან ხოლმე: „აი, შე აჯილდა, შენ!“.
- წ. 2. 1934.
- თავფურცელზე: „ღრმად პატივცემულს მგოსანს იოს. გრიშაშვილს ავტორისაგან.
1935. 15 III“.
- ფორზაცზე: „მე-439. ი. გრ. 20/V; რიშ-ბაბა, 563; ბუერა, გვ. 407. ბუერა, იხ. საბა, იქ
ღრუბ.“.
12833. ჯავახიშვილი ი. საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია. ტფ.,
1905.
- 12834–12835. ჯავახიშვილი ი. საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები –
მეფის ძე დავით და ბატონიშვილი იულონ – ამონაჭერი: „მომბე“, 1900, № 4.
- გვ. 1. დასაწყისში: „ალ. ჭავჭ., გვ. 6. ი. გრ“.
- გვ. 6. ხაზგასმულია: „ემიკადასბაშს ალექსანდრე ჭავჭავაძეს უბრძანებენ“...
მიწერილია: „ემიკადაბაში – გენერალ-ადიუდანტი, (ჩუბ. ლექ.); კახეთის ამბოხება, გვ.
158 და ა. ჭ-ძე“.
- 12836–12837. ჯავახიშვილი ი. სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში
IX–XIII საუკუნეებში. ტფ., 1934.
- თავფურცელზე: „ღრმად პატივცემულს იოს. გრიშაშვილს ავტორისაგან“.

12838. ჯავახიშვილი ი. ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII–XVIII სს. – ამონაჭერი: „პრომეთე“, 1918, № 1.

გვ. 56. ხაზგასმულია: „მასწავლებელი“, მიწერილია: „ოსტატი“.

12839. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. წ. 1. ტფ., 1908.

12840–12845. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. წ. 1–2. ტფ., 1913. აკინძულია ერთად.

ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილი. ქ. ტფილისი. 25 აგვისტო 1916 წ.“ იქვე: „1. წმ. გიორგი და ელია წინასწარმეტყვე., 94“.

გვ. IV. ხაზგასმულია: „ქრონოლოგიურ ცნობების გამოანგარიშების დროს ასე მსჯელობდნენ“... და მიწერილია: „ვინ მსჯელობდა? საბუთი?“.

გვ. 94. ხაზგასმულია: „თქმულება: იესო ქრისტესი, ელია წინასწარმეტყველისა და წმინდა გიორგის შესახებ“, მიწერილია: „ქართ. ერის ისტ. I ნ. 1928 გამოც. გვ. 37“.

გვ. 248–249. ჩანიშნულია ქალაქის ნაჭრით, რომელზედაც წერია: „ივ. ჯავახიშვილი. აქ აკლია I. „ქართველი ერის ცხოვრება“, მაქვს ყდაში ცალკე. II. „საქართველოს და რუსეთის ხელშეკრულება“, მაქვს ცალკე. III. „წმინდა ნინო“, „მოამბედან“, ი. გრ.“

წ. 2.

გვ. 249. მიწერილია: „1914 წელს დაიბეჭდა. ი. გრ.“

წიგნში გაზეთიდან ამოჭრილი ივ. ჯავახიშვილის „ბესარაბიის მოსახლე ხალხთა ცხოვრების ახალი ერა“, მინაწერით: „კომუნისტი“, 1940, № 149, 30 ივლისი“.

12846. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. წ. 1. მე-3 შვეს. და გადამუშ. გამოც. ტფ., 1928.

წიგნში ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „ივ. ჯავახიშვილისათვის. მ. გედევანიშვილის მიერ გამოცემულ ილია ჭავჭავაძის თხზულებაში მოთავსებული კლიშეები იბეჭდებოდა პეტერბურგში. ამ კლიშეების გაკეთებას მეთვალყურეობდა ივ. ჯავახიშვილი. იხ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. № 723, 14 ოქ. „ახალ ამბებში“. ი. გრ.“

12847. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. წ. 3. XIII–XVI სს. თბ., 1941.

12848. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. წ. 4. ნაწ. 1. (XV საუკუნე) ტფ., 1924.

თავფურცელზე: „ნიჭიერ მგოსანს ავტორისაგან. 1925. 26. II“.

წიგნში ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „ივ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორია. I–II წიგნი ცალკე მაქვს ყდაში. ი. გრ.“

12849. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. წ. მე-3. (XIII–XIV საუკ.) თბ., 1949.

ფორზაცზე: „წარწერა ძვირფასი ნათელასი ლექსად. ი. გრ. 1950–1–VII“.

ფორზაცზე ნ. ჯავახიშვილის ხელით:

„ათ ცალს ვღებულობ საავტოროს,
შენზე უკეთესს, მითხარ, ვის მივცემ?
აბა-იქნებ დამისახელო?!“
– მართლაც, ძვირფასო
უკეთესი, ღირსი ამ წიგნის

არავინ არ გვყავს
ქართველთაგან, დღეს,
სასახელო! ნ. ჯ. 1950 წ. მარტს შეხვედრა აკადემიაში“.

12850. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. წ. 4. (XV–XVI საუკუნეები).
თბ., 1948.

შმუცტიტულზე: „საყვარელი პოეტის ბიბლიოთეკას. ვ. მიქაძისაგან. 9/XI 48“.
ფორზაცზე: „მხატვრები საქართველოში, 293“.

12851. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. წ. 5. თბ., 1953.

12852–12854. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის მოკლე ისტორია. წ. 1–2. ქუთაისი,
1917–1918.

წ. 1. 1917.

წ. 2. 1918.

12855. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წგ. 1.
საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-
ეთნოლოგიური პრობლემები. თბ., 1950.

12856–12858. ჯავახიშვილი ი. ბერძენიშვილი ნ. და ჯანაშია ს. საქართველოს
ისტორია. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. აკად. ს. ჯანაშიას
რედაქციით. სახელმძღვ. საშ. სკოლის უფროსი კლასებისათვის. თბ., 1943.

თავფურცელზე: „მვირფასს სოსო გრიშაშვილს კეთილ სახსოვრად.
ავტორებისაგან. 27. XII. 1943.“ მიწერილია: „ს. ჯანაშია“.

ფორზაცზე: „ჩემი ბიბლიოთეკიდან. გამოცემის პირველი ვარიანტი. ი. გრ. 1943
27/XII“

წიგნში ნ. ბერძენიშვილის სადისერტაციო ნაშრომის თეზისები: „რუსეთ-
საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI–XVII საუკუნეთა მიჯნაზე“,
მინაწერით: „ი. გრ. 1943, 27/XII“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „ი. გრ. გამოვიდა 1943. 15/XI. მიფეშქაშა ნიკო კიკნაძემ
და 1. გაზეთიდან ამოჭრილი „К выходу в свет учебника „История Грузии с
древнейших времен до начала XIX века“, მინაწერით: „Заря“, 1943, № 243, 23 ნოემბ. ი.
გრ.“ 2. ჟურნალიდან ამოჭრილი ვ. მაჭავარიანის წერილი, მინაწერით: „ბოლშევიკი“,
1943, № 10–11“.

ჯამბაკურ-ორბელიანი

ნახე

ორბელიანი.

12859. ჯამბურია გ. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან.
(სომხით-საბარათიანოს სათავადოები) თბ., 1955.

12860–12862. ჯანაშვილი დ. ისტორიული სურათები. ქართული ეკლესიის
გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან და ქართველი ქალი. გორი, 1914.

ფორზაცზე: „65, ქართველი ქალი; გვ. 265, მაიაზე; ზ. ჭ-ქემ სთქვა: „მასალები
ხელთნაწ. მე მივეციო“.

გვ. 278. მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „ინგილო ქალი“ იაკობ
გოგებაშვილისა“.

მეორე ცალის კანზე: „მარიჯანს – ი. გრ. 1928 3/3“.

12863–12864. ჯანაშვილი მ. გიორგი სააკაძე და მისი დრო. ტფ., 1914.

12865. ჯანაშვილი მ. ვახტანგ გორგასალი. ამონაჭერი „მოამბე“-დან, 1899, № III.

12866. ჯანაშვილი მ. თამარ მეფე, ტფ., 1917.

კანზე: „ი. გრიშაშვილს ავტორისაგან“, იქვე: „თამარის სიტყვა, 53“.

12867. ჯანაშვილი მ. მეფე ერეკლე. ტფ., 1898.

კანზე სათაურთან: „1718–1798“.

გვ. 4. ხაზგასმულია ადგილი, მიწერილია: „სამი ცოლი. ერეკლეს 15 შვილი ჰყავდა“.

გვ. 5. ხაზგასმულია ადგილები და მიწერილია: „გიორგის 16 შვილი“.

12868–12870. ჯანაშვილი მ. საქართველოს ისტორია. შემუშავებული და შევსებული ავტორისაგან. მეორე გამოც. ზ. ჭიჭინაძისა. თბ., 1894.

თავფურცელზე: „გარსევანზე, 482, 497; ფარნაოზი, 492; აკლია 162-დან 197-მდე, (სულ 35 გვერდ); ერეკლეს აწერა, 457“.

კანზე: „რუსეთი 257; გარს. ჭავჭავაძე, 482; ქართვე. ქალი, გვ. 462; წინანდალი, 502“.

გვ. 414. ხაზგასმულია: „ამ ბრძოლაში ერეკლე ლომივით იბრძოდაო, ამბობს პაპუნა ორბელიანი“, მიწერილია: „იხ. ქვარიანი, 78“.

გვ. 417. ხაზგასმულია: „თელავის ტარულობა“, მიწერილია: „იხ. „საიათნოვა, ლექსიკონი“.

გვ. 424. ხაზგასმულია და მოხაზული ადგილები, მიწერილია: „ერეკლე“.

გვ. 429. ხაზგასმულია: „ვარჯნი თხემთა დაშლოდეს...“ მიწერილია: „ვარჯი-კაცთა ქოჩორი გინა ხეთა მშვენიერი რტო. საბა“.

გვ. 438. ხაზგასმულია: „და აპატია მეფემაც“, მიწერილია: „ირაკლის ჰქონდა დიდი ავტორიტეტი“.

გვ. 446. ხაზგასმულია: „ერეკლემ აცნობა თავის მამას“, მიწერილია: „მამა და შვილი (თეიმურაზი-ერეკლე).“

გვ. 447. ხაზგასმულია: „სიყმილი“, მიწერილია: „სიყმილი“.

გვ. 448. მოხაზულია ადგილები, მიწერილია: „ს. ქვარიანი“.

გვ. 450. მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „თეიმურაზ“.

გვ. 452. ხაზგასმულია სტრიქონები და მიწერილია: „იმპერატრიცამ ითხოვა პირველად ჯარი ქართველებისგან მოსაშველებლად ოსმალეთის წინააღმდეგ“.

გვ. 457. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „ირაკლის აწერა“.

გვ. 458. აბზაცის გასწვრივ მიწერილია: „ხარკი“.

გვ. 462. ხაზგასმულია აბზაცი და მიწერილია: „ქართველი ქალის აღწერა – მჭირია ნინო გრიბოედოვისთვის“.

გვ. 464. ხაზგასმულია: „არა არს-რა ესრეთ ტკბილი, ვით მამული სიყვარული“, მიწერილია: „აფორიზმი სამშობლოზე“.

გვ. 466. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „რუსნი რუსეთსავე დაბრუნდნენ“.

გვ. 467. ხაზგასმულია: „სნეულმა მეფემ მოინდომა რუსეთის მფარველობა ეთხოვნა, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა“, მიწერილია: „რუსეთის მფარველობა აღარ დასცალდა!“.

- გვ. 470. მოხაზულია სტრიქონი, მიწერილია: „ЕВНУХ ყვერულსა ჰქვიან“.
- გვ. 474. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „შვილი ჰყავდა გიორგის.“
- გვ. 475. ხაზგასმულია: „ფარნაოზი“, მიწერილია: „ირაკლის შვილია დარეჯანისგან“.
- გვ. 477. მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „საქართველო რუსეთთან“.
- გვ. 478–479. ჩადებულია ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „ირაკლის ერთგულებასა ზედა ესრეთ ვიდრე წვეთამდე სისხლისა“.
- გვ. 482. მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „გარს. ჭ-მე. ბუტკ.“
- გვ. 483. ხაზგასმულია: „ლიონიძე მიდის პეტერბურღს“, მიწერილია: „ლეონიძე“.
- გვ. 484. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „ოსმალეთს ებრძოდნენ წინათ და ეხლა ოსმალეთის შემწეობით ცდილობენ რუსების გარეკვას“.
- გვ. 485. ხაზგასმულია: „გამართა „მარინობა“, მიწერილია: „თეატრის დასაწყისი“.
- გვ. 488. ხაზგასმულია ადგილი, მიწერილია: „პავლე ციციშვილი“.
- გვ. 492. ხაზგასმულია: „ადესრულა პეტერბურღს 13 მაისს 1819 წ.“, მიწერილია: „დავით ბატონიშვილი“.
- გვ. 497. დანიშნულია ადგილი და მიწერილია: „გარს. ჭავჭავაძე“.
- წიგნის დასასრულს მიწერილია: „მთიელმა რომ ნახა ტანმორჩილი, ჩიკორა კაცი ერეკლე მეფე, სთქვა: – „ქება სჯობდა ნახვასაო“. 9/VIII, ტბა, 1925.“
- მეორე ცალის თავფურცელზე გამოცემის წელს მიწერილი აქვს: „ყდაზე ეწერა 1895. წ. ი. გრ“.
12871. ჯანაშვილი მ. საქართველოს ისტორია. ტ. 1. უძველეს დროითგან 985 წ. ქრ. შ. ტფ., 1906.
- თავფურცელზე: „ღრმად პატივცემულს მღ. თეოფილაკტე სიმონის ძე ლაფერაშვილს ავტორისაგან. 2 ქრ. 1906 წ.“.
- კანზე: „ი. გრ. აკლია: 57–60; მესამე გამოცემა. ვიყიდე ბაზარზე. ი. გრ. 1929. 21/XII“.
12872. ჯანაშვილი მ. საქართველოს მოკლე ისტორია. ტფ., 1884.
- თავფურცელზე: „პირველი გამოცემა. მეორე გამოვიდა 1895 წ.“.
- 12873–12875. ჯანაშვილი მ. საქართველოს საეკლესიო ისტორია. ტფ., 1886.
- ფორზაცზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „მღვდლის ლუკა ბახტაძისა“, იქვე: „ვიყიდე ბაზარზე. ი. გრ. 1928 წ. 11/II; რუსეთის მფარველობა, 128; მოდელი-ნახჭი. ი. გრ“.
- ჩადებულ ფურცელზე ჩამოწერილია ლათინური ტერმინები, გასწვრივ მიწერილია: „მ. ჯანაშვილის ხელია. ი. გრ.“
- მესამე ცალის ფორზაცსა და თავფურცელზე ბეჭედი: „დეკანოზი დავით ღამბაშიძე“.
12876. ჯანაშვილი მ. ქართველთა მატთანე – ამონაჭრები: „მოამბე“, 1903, №№ 2–6.
- კანზე: „ი. გრ. საღამოს ზარი“, გვ. 26“.
- გვ. 26. მოხაზულია ლექსი:
- „რეკა მწუხრისა, რეკა მწუხრისა
რამდენს აღგვიძრავს საგონებელსა“...

სქოლიოში ხაზგასმულია: „ეს ლექსი კალინოვსკის ცნობით, სიტყვასიტყვით კაზლოვს უთარგმნია ინგლისურიდან“, მიწერილია: „ეს ლექსი ინგლისურად დაუწერია ირლანდიელ პოეტს ტომას მურს. უთარგმნია რუს კაზლოვს. იხ. ტომას მურის ნაწერები“.

კანის მე-4 გვ.: „ბაშმაკი, № IV, გვ. 79; ყორჩი, № IV, გვ. 79. ი. გრ.“

12877–12878. ჯანაშია ს. არაბობა საქართველოში. ტფ., 1936.

12879. ჯანაშია ს. იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში. – ამონაჭერი საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბიდან, ტ. III, № 7, 1942.

ტექსტის დასაწყისში: „ი. გრ. 13/XI, 1942“.

12880–12881. ჯანაშია ს. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. ტფ., 1937.

12882. ჯანაშია ს. საქართველოს ისტორია. VII ს. ძვ. წ. X ს. ახ. წ. თბ., 1940.

კანზე: „ი. გრ. სულ ასი ცალი გამოვიდა, 1940“. სათაურის ქვემოთ: „1. ტფილისი, გვ. 47. 2. ვახტანგ გორგასლანი“.

12883–12884. ჯანაშია ს. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. ნარკვევი ფეოდალიზმის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში. ტფ., 1935.

თავფურცელზე: „დიდად პატივცემულს სოსო გრიშაშვილს ავტორისაგან. 1936. 31/1“.

12885–12887. ჯანაშია ს. ქართლის ცხოვრების ძველი და ახალი ფურცლები. ნაკვ. 1. თბ., 1942.

თავფურცელზე: „სოსო გრიშაშვილს, გულწრფელი პატივისცემით, ავტორისაგან. 13. XI. 1942.“

კანზე: „გორგასალი, 24; აფორიზმი, 14“.

12888–12891. ჯანაშია ს. შრომები. ტ. 1–3. თბ., 1948–1959.

ტ. 1. 1948.

ტ. 2. 1952.

ფორზაცზე: ი. გრ. 1952. 10. XI. გვ. 482, მე“.

გაზეთიდან ამონაჭრები: 1. გ. ლომთათიძისა და გ. მელიქიშვილის წერილი „Выдающийся ученый – историк“, მინაწერით: „Заря“, 1952, № 270. 2. გ. პაიჭაძის წერილი „Академик С. Н. Джанашиа“, მინაწერით: „Молодой сталинец“, 1952, 15 ნოემბ. 3. გ. მელიქიშვილისა და გ. ლომთათიძის წერილი „აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია“, მინაწერით: „კომ.“, 1952, 16 ნოემბ.“

ტ. 3. 1959.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1960. 28/1“.

12892–12893. ჯობინაშვილი ნ. ლანგ-თემურისა და ჯალალედინისაგან საქართველოს აოხრება. გამოც. ზ. ჭიჭინაძისაგან. თბ., 1883.

12894. ავალიანი ს. რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თბ., 1955.

კანზე: „ი. გრ. ჭალადიდელი და ნეკრასოვი, გვ. 98“.

12895–12899. ავალიშვილი ზ. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918–1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებანი, ნარკვევები. პარიზი 1924 წ. თარგმანი შ. ელიავას წინასიტყვაობით. ტფ., 1929.

თავფურცელზე: „ჩვენს სოსოს. 17/I 30 წ.“ გვარი გაურკვეველია. იქვე: „თარგმანი ნიკო ლორთქიფანიძისა, მეორე გამოც. ი. გრ“.

მეორე ცალის კანზე: „ი. გრ. 1926. 20/I“.

ფორზაცზე: „გვ. 298. გ. ჭ-ძე.“

გაზეთიდან ამოჭრილი გ. მუშიშვილის წერილი „უვიცობა თუ გულცივობა“, მიწერილია: „კომ.“, 5 თებ., 1926, № 28“. უცნობ ჟურნალიდან ამოჭრილი ს. მელგუნოვის სტატია „Независимость Грузии“. 2. ავ. ჭყონიას წერილი „ყოფილი დიპლომატის ნაამბობი“, ამონაჭერი გაზეთიდან, მინაწერით: „კომ.“, 3. თებ., 1926 წ.

12900–12901. 1905 წელი. ბარიკადები ბათომში. (მოგონებათა კრებული). ბათომი, 1925.

12902. 1905–1907 წლების რევოლუცია საქართველოში. სტატიების კრებული. თბ., 1955.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1955 წ. 25/XI იმელი“. იქვე: „1. I, ჩემი ლექსი, გვ. 519. II. ჩემი ლექსი, 506. 2. ეს ლექსი მგონი მიმინოსია (ვანო ხანდამაშვილისა) იხ. იუმორისტული ჟურნალი, გვ. 521“.

გვ. 518. მარსელიოზას ქართული ტექსტის გასწვრივ: „ი. ევდოშვ.“

გვ. 519. მოხაზულია სიმღერის ტექსტი, მიწერილია: „ლექსი ჩემია. იხ. „ერთტომეული“, გვ. 258. ი. გრ.“

გვ. 521. მოხაზულია ლექსი და მიწერილია: „იხ. იუმორისტული გაზეთი, მიმინოს ლექსი“.

გვ. 527. მოხაზულია ლექსი და მიწერილია: „აკაკი“.

12903. არჯევანიძე ი. იოსებ წილოსანის (ალიამედი-ეფენდის) საბიოგრაფიო მასალა. – ამონაჭერი: „მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის“, 1946, ნაკვ. I.

თავფურცელზე: „საქართველოს გულის – ძველი თბილისის ყარაჩოდულ წარსულის შეუდარებელ მკვლევარ-მემატიანეს და ბრწყინვალე-მზიურ აწმყოს მგოსან მეცნიერს იოსებ გრიშაშვილს ნიშნად ჩემი დიდი პატივისცემისა – ავტორისაგან. 27/VI 1947 წ. დედაქალაქი“.

იქვე: „ი. გრ. საქ. მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა. 1947 წ.“.

12904. ბაბილოძე კ. აგრარული ურთიერთობა დასავლეთ საქართველოში XIX–XX სს. მიჯნაზე წ. 1. ბათუმი, 1952.

12905. ბათუმის დემონსტრაცია 1902 წელს. [თბ.], 1939.

12906. ბალახაშვილი ი. არსენას ცხოვრება. დოკუმენტალური მონოგრაფია. [თბ.], 1941.

თავფურცელზე: „პატივისცემით პოეტსა და მკვლევარს იოსებ გრიშაშვილს. ავტორისაგან. 1941 წ. 2. 4. ქ. თბილისი.“

გაზეთიდან ამოჭრილი გ. გაბუნიას წერილი „Народный герой Арсен Одзелашвили“, მინაწერით: „Заря Вост.“, 1941, № 93, 20 აპრილი“.

12907. ბალახაშვილი ი. ქართველი მხედრები 1812 წლის სამამულო ომში. თბ., 1942.

თავფურცელზე: „უღრმეს პატივისცემით საყვარელ პოეტს, მკვლევარს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 1942 წ. 23. VI. ქ. თბილისი“.

კანზე: „ჩემიდან, გვ. 19–21. ი. გრ.“

გვ. 13. სქოლიოში შესწორებულია შენიშვნა, იკითხება: „ეს სია პირველად გამოაქვეყნა სამ. ცომაიაძე. ი. გრ.“

გვ. 19–21. მოხაზულია და მიწერილია: „იხ. ი. გრიშაშვილის ნარკვევი. (ა. ჭავჭავაძის „თხზ“ ი. გრიშაშვილის რედაქციით, გვ. XXV)“.

გვ. 34. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „Огонек“-იდან თარგმ. „კომ-ში“.

გვ. 45. სტრიქონთან: „ჟურნ. „მნათობი“, 1941 წ. № 6–7“, მიწერილია: „Огонек“.

12908–12910. ბარნოვი ვ. არსენა. მონოგრაფია. ტფ., 1921.

12911–12912. ბატონ-ყმობის გაუქმება (1861–1911). თფ., 1911.

გვ. 9. ინიციალებთან: „ა. ფ.“, მიწერილია: „ალ. ფრონელი“.

გვ. 21. ხაზგასმულია: „დედაჩემმა დაირქო სომხობა“, მიწერილია: „სომხებს ყმად არ იყვანდნენ“.

12913. ბერიძე ს. 1917–1921 წლები საქართველოში. (მნიშვნელოვან ამბავთა ქრონიკა) [თბ.], 1941.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1943. 30 III“.

ყდაზე: „ნაბატ“, 232“.

12914. ბოროზდინი ვ. ა. ომერ-ფაშა სამეგრელოში. (მოგონებანი). ამონაჭერი: „მოამბე“, 1899, № 4–6.

თავფურცელზე: „ვ. ა. ბოროზდინი. ომერ-ფაშა სამეგრელოში. (მოგონებანი). თ. ს.-კიას ნათარგმნი“.

თავფურცელის მე-2 გვ.: „ბოროზდინი აღმზრდელი იყო ეკატერინეს ვაჟის ნიკოსი. უნდა წავიკითხო დასტურლამა“.

გვ. 17. მოხაზულია და ხაზგასმულია ადგილები და მიწერილია: „გვ. 6–7 რუსულისა“.

გვ. 18. ხაზგასმულია: „ეს იყო ნინო გრიბოედოვისა“, მიწერილია: „გვ. 8.“

გვ. 22. მოხაზულია გვერდი და მიწერილია: „ხორბლისფერი სახისა (Матовый), გრიბოედოვზე, იხ. რუს. გვ. 14–18“.

12915. ბოროზდინი ვ. ა. სამეგრელო-სვანეთის სამთავროთა გაუქმება. – ამონაჭრები: „მოამბე“, 1898, № 10, 12, 1899, № 2, 3.

კანის მე-2 გვ.: „სამეგრელო გუშინ, იხ. „დროება“, 1885 წ., № 49, 50, 52, 55, 57, 58, 72, 74, 76–78, 102, 104, 105. სვანეთის სამთავროს გაუქმება, იხ.: „დროება“, 1885 წ. № 110, 115, 118, 120“.

თავფურცელზე მოხაზულია: „ერთი ნაწილი ამ წერილებისა უკვე ითარგმნა“... მიწერილია: „ივ. მაჩაბლისაგან“.

12916–12918. ბოროზდინი ვ. ა. სამეგრელოდა სვანეთი. 1854–1861. მოგონებანი. თარგმ. თ. სახოკიას მიერ. [თბ.], 1934.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1934. 15/V“. იქვე: „ა. ჭ-ძე, 5; ევ. ჭ-ძე, 6; ნ. ჭ-ძე, 7, 14–51“.

გაზეთიდან ამოჭრილი ვ. მ-ს წერილი წინამდებარე წიგნზე, მინაწერით „კომ.“, 1934, № 270, 23 ნომბ. კიდევ იყო რეცენზია „მნათობი“, 1934, № 8–9“.

12919. ბურჭულაძე გ. გერმანელთა ახალშენები ამიერ-კავკასიაში. გრ. ყიფშიძის რედ. ტფ., 1911.

12920. ბურჭულაძე ე. საქართველოს დაყოფისა და დამონების ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლა. (ყირიმის ომის პერიოდი). [თბ.], 1953.

12921. გაგრის საქმე. (საბრალმდებლო ოქმის მიხედვით). [1905 წელს კლიმატური სადგურის უფროსის მოკვლა]. ტფ., 1933.

12922–12923. გეგეშიძე ზ. ბათუმის მუშათა დემონსტრაცია 1902 წლის 9 მარტს. (50 წლისთავი) თბ., 1952.

12924. გერსამია ს. მემედ აბაშიძე. ნარკვევი. ბათუმი, 1960.

12925. გვარამაძე ი. „მშაკის“ მზა პასუხი. კონსტანტინეპოლი, 1880.

გვ. 24. ტექსტის ბოლოს წარწერა: „სახსოვრად ძვირფას ი. გრიშაშვილს. ი. მაისურაძე“.

12926. გიორგაძე გ. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში. ბატონ-ყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე. 1864–1905. [თბ.], 1928.

კანზე: „ი. გრ. 1929. 8/I“. იქვე: „ზ. ჭ-ძეს ფსევდონიმი, გვ. 515, 516; დუმბაძე, 514; ს. ფირცხალავა, გვ. 478; ხიზანიშვილი, 286; ბაჩანა, 287; პირველი მაისი, 531; რუსთაველის ძეგლისთვის ფული გროვდებოდა, გვ. 321; ილია და მაჩაბელი, 321–326; დაიკარგა 1898 წ.“

ფორზაცზე: „ი. გრ. 1929 8/I“. იქვე: „ცენზურა, 277; ივ. მაჩაბელი 321; დანოს ჩიკი, (!) გვ. 324; ლადო მესხიშვილზე, 344; წ. კ. საზ. დაარსება, 355“.

გვ. 321. მოხაზულია აბზაცი და მიწერილია: „ივ. მაჩაბელი“.

გვ. 322. მე-2 აბზაცთან: „საბუთი?“.

გვ. 325. მე-3 აბზაცთან მიწერილია: „ილიას იუბილეზე 1897 წელს დაიწყეს ლაპარაკი. აშკარაა ილიას არ ემხრობა“.

გვ. 513. ხაზგასმულია: „მამალი“ ო. უჩინარისა“, მიწერილია: „გ. ჩარხიშვილის ფსევდონიმი იყო უჩინარიძე ვ. გუნიას „ნიშადურში“. ი. გრ“.

გვ. 515. ხაზგასმულია: „ზ. ახალსოფლელი“, მიწერილია: „ზ. ჭ-ძე“.

გვ. 516. მოხაზულია ზ. ახალსოფლელის ლექსი, მიწერილია: „ზ. ჭ-ძე. ეს ლექსი სხვაგანაც დაიბეჭდა. იქ აწერია „ზ. ჭ.“.

გვ. 520. მოხაზულია ლექსი „ხანჯალს“ და მიწერილია: „აკაკის ლექსი“.

გვ. 523. ხაზგასმულია: „სანდრო ბაქრაძე“, მიწერილია: „დრამატურგი?“.

გვ. 539. ხაზგასმულია: „პოლიევქტ. კალანდაძე“, მიწერილია: „ირეთელი“. ხაზგასმულია: „პავლე კალანდაძე“, მიწერილია: „ბელეტრისტი“.

გვ. 546. ხაზგასმულია: „როტმილდი“, მიწერილია: „ერთ დროს ამასთან მსახურობდა დ. ერისთავი. ი. გრ.“

12927–12928. გიორგაძე გ. საქართველო, ანტანტა და რუსეთი. თბ., 1921.

12929. გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტფ., 1935.

თავფურცელზე: „სპეტაკი გრძნობით ანთებულ პოეტს, უანგარობით სავსე მეგობარს, ქართველი ერის საამაყო შვილს, ყველას საყვარელის – სოსო გრიშაშვილს. გ. გოზალიშვილი. 20. V. 35“.

ყდის მეორე გვ.: „გვ. 41-დან ჩვენებანი, ა. ჭ. – 1. 272. 2. 278. 3. 308. 4. 489. 5. ლიტ. მემკვიდრეობა. ა. ჭ-ძეზე, 136; 215, რუსები ისევ თავადებს მოისყიდიან. (უარი); გლეხები, 387, 486; იასე ფალავანდოვი, 199, 202, 389, შპიონი, 429; ევსევი, 454, 457, 486“.

ფორზაცზე: „დიმ. ორბ., გვ. 51; აქტი გონივრული 111; ალექსანდრე ჭ-ძე ტამბოვში, გვ. 509; დიმიტრი ერისთავის შენიშვნები მანიფესტზე, გვ. 117; ა. ჭ. – 41, 44; რევოლუციის ბაირახი, 123; ალ. ორბ. მოგონება, 127; შეცდ. სურათი, 248“.

ფორზაცის მე-2 გვ.: „1. დათვი და ცხვარი, გვ. 98. 2. ფილადელფოსი და ა. ჭ-ძე, გვ. 275. 3. სპარსელები და ტყე, 278. 4. შექცევითვის, 275. 5. მემამულე კახს ქართლი არ უნახავს, 311. 6. ნეკით შუბლის მოფხანა, 285. 7. გ. ერისთ. ბიძა, 285. 8. ეფრემ ალექსი-მესხიშვილი, „ქილილა და დამანა“ და ქართული „სტიხები“, 294“.

გვ. 99. ხაზგასმულია: „წუწკის შვილებსა“, მიწერილია: „Сволочь и. გრ.“

გვ. 125. ხაზგასმულია: „მიქაიჩი“, მიწერილია: „მიქაძე“.

გვ. 211. მოხაზულია აბზაცი და მიწერილია: „რუსები და თეკლა“.

გვ. 248. ჩართულ ფოტოსურათის წარწერაში ხაზგასმულია: „1830 წლ“. არშიაზე კითხვის ნიშანი და მიწერილია: „ეს სურათი სულ ბოლო ხნისაა. ნახეთ ტრამვაის ხაზი? ი. გრ.“

გვ. 275. ალ. ჭავჭავაძის ჩვენებაში ხაზგასმულია: „ჩემგან წაიღო მან რამოდენიმე ლექსი გადასაწერად“, მიწერილია: „ეს არის ის სამი ლექსი. 1. დიმ. ვ. 2. კავკასია. 3. შექცევათათვის“.

გვ. 295. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ა. ჭ-ძეს“.

გვ. 489. ხაზგასმულია: „ლექსი“, მიწერილია: „სიტყვა“. ბოლო აბზაცის გასწვრივ წერია: „ეს ამოწერილი მაქვს“.

ბოლო ფორზაცზე: „დოდაევის ავადობა და გარდაცვალება, 513, 517“. ეს წიგნი გაარჩია შ. ჩხეტიამ, იხ. „მნათობი“, 1935 წ. № 11–12, გვ. 240“.

ყდის მე-3 გვ.: „ლექსები, სიტყვა შეთქმულების: 442, 440, 429, 489“. და გაზეთიდან ამოჭრილი ზაქ. რამიშვილის რეცენზია, მინაწერით: „კომუნისტი“, 1935 წ. № 284“.

წიგნში ქალაქის ნაჭერი ჩანაწერით: „1830 წლის შეთქმულები. ელიზბარ შანშეს-ძე ერისთავი გადასახლებული იყო გელსეფორსში. მანამდე კი ორი წელი აქ ტფილისში იყო დაპატიმრებული. 9 წელი გაატარა გელსეფორსში. ელიზბარ ერისთავი გარდაიცვალა 1871 წელს. იანვარში. დაბ. 63 წლისა. ელიზბარ ერისთავმა სამოციან წლებში შუშის ქარხანა გახსნა თავის სოფ. ღვარებში, გორის მაზრა. ოსტატების მოსაყვანად გაემგზავრა ბავარიაში და ჩეხები მოიყვანა. ქარხანა იმ ფულით გახსნა, რომელიც ერგო ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს, თავის მამულებიდან. მისი ქალი ეხლაც ცოცხალია, გენო ქობულოვის მეუღლეა. ივანე

ელიზბარის ძე ერისთავს ლექსი ეძღვნება [უავტორო], „დროება“, 1868, № 43. (ვინ არის?)“.

12930. გუგუშვილი პ. ბატონყმობის გაუქმება საქართველოში. (რეფორმის 75 წლისთავისათვის). – ამონაჭერი: „ბოლშევიკი“, 1939, № 9–10.

გვ. 90. მოხაზულია აზნაცი და მიწერილია: „საბუთი?“.

12931. გუგუშვილი პ. გერმანელი კოლონისტები და ადგილობრივი გლეხობა ამიერკავკასიაში. ამონაჭერი – საქ. სსრ მეცნ. აკად. – ეკონომიკის ინ-ტის შრომები. ტ. 1, 1946.

12932. გუგუშვილი პ. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. თბ., 1941.

ფორზაცზე: „ჩემს ძვირფას პოეტს სოსო გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემით ავტორისაგან. 1943. V. 11. პაატა გუგუშვილი“.

იქვე: „ჩემი ლექსები. გვ. 380. შევასწორე, შეცდომით გადაუბეჭდია. ი. გრ“.

გვ. 380. ხაზგასმულია: „ესტერი“ და მიწერილია: „ვმლერი“. შესწორებულია სტროფი, მიწერილია:

„2. თუთუნს ვახვევ სიფრიფანა
თხელ ქაღალდის სამოსელში
და ვიგონებ ჩემს წარსულსა...
მეზღინება ცრემლი ყელში
და თქვენ და თქვენ, სვემღვიძარნო,
როს იკავებთ თუთუნს პირში,
გრძნობთ, რომ იმის მკეთებელი,
ჰკვდება ტანჯვა გასაჭირში? ი. გრ.“

გვ. 451. ხაზგასმულია: „К. А. Бороздин. Об амкарствах в Закавказье...“ მიწერილია: „ი. გრიშაშვილი: „ძვ. თბილ. ბოჰემა“ და „საიათნოვა“.

12933–12934. გუგუშვილი პ. საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX–XX საუკუნეებში. მონოგრაფიები. თბ., 1956–1957.

ტ. 2. 1956.

ფორზაცზე: „იოსებ გრიშაშვილს ქართველი ხალხის სასიქადულო პოეტს და მკვლევარს მეგობრული სიყვარულით. ავტორისაგან. 10. 1. 57. თბილისი“.

ტ. 3. 1959.

შმუცტიტულზე: „აკად. ი. გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემით ავტორისაგან 29. 9. 59“.

12935–12936. გუგუშვილი პ. შეღავათიანი ტრანზიტი და ვაჭრობა საქართველოსა და ა.-კავკასიაში. 1822–1831 წწ. ტფ., 1936. (თბილისის სახელმწ. უნ-ტის შრომები ტ. 3) ცალკე ამონაბეჭდი.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილს. უღრმესი პატივისცემით ავტორი. 1937–1–27“.

იქვე: „ხელოსნები და ვაჭრები, გვ. 115. 1. დიმი ანუ ნაშური. გვ. 112. 2. ლაინი, 112“.

12937. გულბანი გ. რუსი სოციალ-დემოკრატები საქართველოში. (1890–1904 წწ.) თბ., 1959.

12938. გურიის ამბები. გურიის უკანასკნელი მთავარი მამია გურიელი და კნენა ეკატერინე მამია გურიელის ასული ჩიჩუასი. ამბები კონსტანტინეპოლ და საქართველოში. ჟურნ. 1900 წ. „მოგზაურიდან“. ეს წერილი დაწერილია 1840 წელს. თფ., 1919.

12939. დავით სარაჯიშვილის სახსოვრად [კრებული]. თბ., 1911.

კანზე: „1848–1911. ი. გრ.“

12940. დავითაშვილი ს. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში. თბ., 1933.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილს – პოლიტკატორღელთა სექტორი. 9. VI. 33“. იქვე ავტორთან მიწერილია: „დაიბ. 1857 წ. გარდაიც. 1933 წ. 24 მაისს. ი. გრ.“

გაზეთიდან ამოჭრილი ნეკროლოგი შ. დავითაშვილის გარდაცვალების გამო, მინაწერით: „კომუნისტი“, 1933 წ., № 120, 27 მაისი“.

ფორზაცის მეორე გვ.: „ვასო დეკანოზიშვ.; 72; ამქრობა, 64; ივანოვის სამკითხველო, 13; დ. კეზელი და დიდი მთავარი, 14. 1. რევაზ ერისთავი, 82. 2. გორი რუკაზე არ არის? 82. 3. ანტ. ფურც., 104. 4. გ. ჩიჩუა, გვ. 11. 5. შალვა ერისთავი თუ რევაზ ერისთავი? 82 და 119. 6. შიო მღვიმელი, 77–78. 7. ზ. გულისაშვილი, 79“.

გვ. 75. ხაზგასმულია: „მაშო ივანიშვილი (შემდეგ დემურია)“, მიწერილია: „მარიამ ივანიშვილი (დემურია)“.

გვ. 104. ხაზგასმულია: „ვუყურებ კრწანისის სალ-კლდეებს“ – წერს, მეტეხის ციხიდან“, მიწერილია: „იხ. 103. მეტეხთან რა უნდოდა კრწანისს“.

გვ. 119. ხაზგასმულია: „შალვა ერისთავი.“, მიწერილია: „ზევით აქვს გვ. 82“. 82 გვ. ხაზგასმულია: „რევაზ ერისთავის სახლში“... მიწერილია: „იხ. გვ. 119“.

12941. დგებუაძე-ფულარია ფ. მოღვაწე ქალები რევოლუციამდე საქართველოში. სოხუმი, 1957.

12942. დუბეცკი ი. პ. ამბოხება იმერეთში 1820 წელს. თარგმანი ალ. სოლოლაშვილისა. – ამონაჭერი: „მომბე“, 1896, № 9.

გვ. 27. სქოლიოში: „ეს რუსულადაც მაქვს. ი. გრ.“

12943. დუმბაძე მ. აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან. (XIX ს. რეფორმამდე პერიოდი). თბ., 1953.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1953. 13. IX“. იქვე: „მე-152, გვ. 280“.

12944. დუმბაძე მ. გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი. თბ., 1943.

კანზე: „ი. გრ. 5“.

12945. ვაჩნაძე დ. მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია. თბ., 1918.

12946–12948. ვეშაპელი გ. სიტყვები. ნათქვამი პარლამენტში. [ეროვნულ საბჭოში]. თფ., 1919.

სარჩევში მოხაზულია წერილების სათაური: „მთავრობის საპასუხო დეკლარაცია“ და „საქართველოს ღერბი“, მიწერილია: „ვიღაცას ამოუხევია“.

12949–12950. ვოლკონსკი ნ. ისტორია მათი იმპერატორობითი უმაღლესობის დიდი მთავრის გიორგი მიხეილის-მის ქართველთ ქვეითის დრუჟინისა 1831–1881 წ. შედგ., რუს. ენაზე ჩერნიავსკის რედ. თარგმნ. ქართ. გაზ. „დროების“ რედ. თ. ი. მაჩაბლის რედაქციით. თბ., 1884.

წიგნში დევს ქალაქის ნაჭერი მინაწერებით: „დუბლ. ი. გრ. 1. ნ. ბარათაშვ. 2. ამირან-დარეჯანიანი. 3. დასტურლამა. 4. ანტ. კათალ. წყობ. 5. დავით ერისთავი. 6. ისტ. დრუჟინ. 7. თამარიანი, 1912. 8. ქართ. პრესა. 10. ვასო აბაშიძის სახსოვ. 11. დ. ვედრებისელი რუს. ენ. 12. ვაჟა, 1890. 13. ივ. ჯა. 14. ჰამლეტ!“.

მეორე ცალის კანზე: „ი. გრ. შამილი, გვ. 259“.

12951. თოდრია ვ. მაღაროელის მოგონებანი [ჭიათურა 1904–1921 წწ.]. თფ., 1930.

12952. იმედაძე ვ. რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიული ფესვები. თბ., 1953.

კანზე: „ჩემზე, გვ. 35“.

12953. იოსელიანი ა. რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან. (XIX საუკუნის რეფორმამდელი პერიოდი). თბ., 1955.

12954. იოსელიანი ა. ქართველი ხალხის ბრძოლა შამილის რეაქციული მოძრაობის წინააღმდეგ. თბ., 1953.

კანზე: „ი. გრ. 1953. 28. VI“.

12955. [იოსელიანი გ.] წყალტუბელი. იმერლები თფილისში. ამონაჭერი: „მნათობი“, 1872, № 1.

12956. [იოსელიანი გ.] იმერლები თფილისში. გ. წყალტუბელისა. თფ., 1878.

12957. იტრიევი ნ. (მკერვალი) საქართველოს მკერვალთა მოკლე ისტორია. 1860–1929 წწ. ტფ., 1930.

კანზე: „ი. გრ. 1930. 22/IX“. იქვე: „ჩემი „ბოჰემა“-დან, გვ. 13; ხაზარდა, გვ. 14“.

თავფურცელზე: „ამხ. ს. გრიშაშვილს ავტორისაგან. 22/IX 30 წ.“

გვ. 61. ხაზგასმულია: „მიექანება“ და მიწერილია: „რა ეჩქარება?“.

12958–12959. იტრიევი ნ. საქართველოს მკერავი მუშების რევოლუციური წარსულიდან. [თბ.], 1954.

ფორზაცზე: „სახსოვრად უხსოვარდროინდელ მეგობარს აკადემიკოსს იოსებ გრიგორის-ძეს ავტორისაგან. 18/XII 54 წ“.

ყდაზე: ავტორისაგან ჩემზე, გვ. 21“.

წიგნის ბოლოს ნ. იტრიევის წერილი ი. გრიშაშვილისადმი: „პატივცემულო იოსებ, ამ ორ დღეში გამოვა ბაზარზე ეს ბროშურა და მე აღმზარდა გაზ. კომუნისტმა. ჩემი ნაწერები მეტი წილი პუბლიცისტურია. ავტობიოგრაფია ამოვიღე. ეს ახლა აღარ არისო. პატივისცემით ნ. იტრიევი. 18/XII. 54 წ.“

12960. კაუცკი კ. სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. თარგმ. გერმ. ხელთნაწერიდან. თბ., 1920.

12961–12962. კიკვიძე ა. გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წ. თბ., 1941.

კანზე: „ი. გრ. 1941. 22/IV“. იქვე: „მე, გვ. 5“.

12963–12966. კიკვიძე ა. საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე). თბ., 1954.

ფორზაცზე: „ეს წიგნი მე უნდა მეყიდა და სოსომ დამასწრო, ჰალალ იყოს!!! პოკო [მურღულია] 1955 წელი გაზაფხული“.

12967–12968. კიკვიძე ა. საქართველოს ისტორია. XIX–XX სს. წ. 2. (1861–1921 წწ.). თბ., 1959.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1959 წ. 20/VIII. ბორჯომი“.

ყდის მესამე გვ.: „მ. არაგვისპირელი, 332; ძველი მწერლობა, 189; ნ. სულხანიშვილი, 333“.

ბოლო ფორზაცზე: „სამეგრელოს განაპირა ფოთია და ჭალადიდი ამ მეგრელებს ვინ ასწავლა ქურდობა და ჭამა დიდი. (გრიგოლის ჩაწერილი)“.

გვ. 333. ხაზგასმულია: „ეს იყო ქუთაისში, სადაც ლ. მესხიშვილი დგამდა „გაიუს გრაკსს“ და მიწერილია: „ჟან და მადლენ“ ო. მირბოსი“. ხაზგასმულია: „ამ ხანაში“, მიწერილია: „1913 წ.“.

გვ. 334. ხაზგასმულია: „1913 წ. ვანო სარაჯიშვილი“, მიწერილია: „1918“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „კატკოვის საპასუხოდ, 161; მწერლები, 332“.

12969. კიკვიძე ა. და მახარაძე ნ. საქართველოს ისტორია. ნაწ. 2. ნაკვ.2-3. (1861-1941 წწ.) ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ., 1950. – ხელნაწერის უფლებით.

ფორზაცზე ისტორიის ინ-ტის მოსაწვევი ბარათი ი. გრ. სახელზე საქ. ისტ. მე-2 ნაწ. მაკეტის განხილვაზე დასასწრებლად.

12970. კოლხიდელი მ. გლეხების აჯანყება სამეგრელოში 1857 წ. და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა. (ისტ. მონოგრაფია). ტფ., 1926.

კანზე: „ი. გრ. 1926 წ. 19/II“. და ავტორის ფსევდონიმთან: „სტუდენტი კანკავა“.

გაზეთიდან ამონაჭერი „ალფას“ რეცენზია, მიწერილია: „ახალ. კომ.“, № 45, 1926 წ. 25 თებერ.“

12971. კონტრიკაძე. ცხრა მარტი ბათომში. დამუშ. გ. სოლორამვილის მიერ. ტფ., 1933.

12972. [კოჩლავაშვილი ა.] ა. კ-ლი. შეიარაღებული აჯანყება სვანეთში. (1875-1876 წწ.) – ამონაბეჭდი: „საისტორიო მოამბე“ 1945, I.

გვ. 129. წარწერა: „სოსოს. ნიშნად უღრმესი პატივისცემისა. ავტორი. 3 იანვარი, 1950 წელი“.

კანზე ინიციალებთან: „ა. კ-ლი“. მიწერილია: „საშა კოჩლავაშვილი“.

12973. ლასხიშვილი გ. შინაური მიმოხილვა – ამონაჭერი; „მოამბე“, 1900, № 6.

გვ. 79. „მაქვს – ეს დუბლიკატია“.

12974. ლემონჯავა დ. გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856-1857 (მიძღვნ. აჯანყების ასი წლის თავისადმი). თბ., 1957.

ფორზაცზე: „ი. გრ. 206, 209.“

გვ. 205. ხაზგასმულია: „მ. კოლხიდელი“, მიწერილია: „კანკავა“.

გვ. 206. ხაზგასმულია: „კ. წუთისოფლეელი“, მიწერილია: „ჯავახია“.

გვ. 209. ხაზგასმულია: „Рионели“. მიწერილია: „ნ. ნიკოლაძე“.

12975. ლომინაძე ბ. ეკლესიის რეაქციული როლი 1905-1907 წლების რევოლუციაში. თბ, 1959.

12976-12977. მამრაძე გ. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. თბ., 1918.

კანზე: „ი. გრ. 1921 წ. 30/VI“.

ხაზგასმულია: „ქართულ ლირიკის რომანტიზმი და გრიშაშვილის გამონაკლისობა“, მიწერილია: „გვ. 26-27“.

12978. მახარაძე ფ. 1832 წლის შეთქმულების მასალების დამუშავების და შესწავლის შესახებ – ამონაჭერი: „მნათობი“, 1932, № 10–12.

ფორზაცზე: „ფილიპე მახარაძე 1832 წლის შეთქმულება. გ. გოზალიშვილის წიგნის წინათქმისათვის. ი. გრ“.

12979. მეუნარგია ი. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი. მასალები და დოკუმენტები სოლ. ცაიშვილის რედ. თბ., 1939.

შმუცტიტულზე: „ღრმა პატივისცემით ი. გრიშაშვილს – ი. მეუნარგიას ხსოვნას რომ ეფაქიზება. ს. ცაიშვილი. 2/VII. 39 წ.“

ყდის მეორე გვ.: „დ. დადიანის ფაქსიმილე, 121“.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1. ა. ჭ-ძეს ქალი მეორე და არა მესამე, 13. 2. გიორგი ერისთავს უყვარდა ეკატ. ჭ-ძე, 14. 3. გორდის სასახლე, 60. 4. ჯვრის წერა 18 მაისს 1839, გვ. 15“.

შმუცტიტულზე: „გრ. დადიანი გარდაიცვ. 1853 წ“.

გვ. 13. ხაზგასმულია ცნობები „ალ. ჭავჭავაძის ოჯახის“ შესახებ. მოხაზულია „მესამე ქალს“ და მიწერილია: „ეს იყო მეორე, მესამე – სოფიო“.

მკითხველის რეცენზია ამ წიგნზე, ამოჭრილი ჟურნალიდან „ჩვენი თაობა“, 1939, № 9“ და ბარათი მინაწერით: „სამეგრელოს მუზეუმში ვნახე 1927 15/II:

„ვნახე მთოვარე შუქით მოარე და
კუთხე ჩემი მან განაშვენა,
ვკითხე ვით მოდი ნათლისა მდენა,
შენ დედოფალი ცისა მის ზენა
მისგან მომესმა ქართული ენა,
მრქვა მომეწყინა ცაშიგან რბენა,
მეჩვენა რომე შენს სახლშიც ბნელა
და თუ არა მე ვინ გამითენა“.

5 სექტემბერს 1845. პეტერბურდი. სმოლნის მონასტერი. გრიგოლ დადიანისაა (დავითის ძმა უმცროსი)“.

12980. მინას. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა მოძრაობის მოკლე მიმოხილვა. 1900–1921. ტფ., 1925.

12981–12982. მუშა-გლეხის იობა ისაკაძის ხსოვნას. გაზეთ „თემის“ რედ. გამოც. თბ., 1913.

12983. პაპავა თ. დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. პარიზი, 1937.

ფორზაცზე: „მვირფას მეგობარს სამსონს. ავტორი. 1937“ და სამსონ ფირცხალავას წერილი აკაკი მეუნარგიასადმი: „აკაკი, გიტოვებ რამდენიმე ქართულ წიგნს – უცხოეთში გამოცემულს. უჩვენე წიგნის პალატას, ეგებ შეიძინონ. ფასი თვითონ გადაჭრან. შენი სამსონი. 49. VI–25.“

წიგნში 1918 წლის გაზეთიდან ამოჭრილი კარიკატურა: „სამსონ ფირცხალავა და გრიგოლ რცხილაძე“.

გვ. 324. ზემოთ: „150 მ. 1949. 26/VI. აკაკი მეუნარგიასაგან – სახელგამი. ი. გრ“.

12984. პარკაძე გ. მასალები ქართლის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ (1905–1907 წწ.) [თბ.], 1954.

12985. ჟორდანიას გ. აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია. (მცირე ისტ. იურიდ. მიმოხილვა). თბ., 1917.

თავფურცელზე: „ჩვენის პოეზიის სიამაყეს ი. გრიშაშვილს. ავტორისაგან. 25/VI 922 წ“.

12986. როტიერი. საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამ. ამონაჭერი: „მოამბე“, 1894 წ., № 4.

ავტორის გვართან ფანქრით: „ფრანგულიდან ნათარგმნი ალ. ჭყონიასი. ი. გრ.“ ტექსტის ბოლოს ხაზგასმულია: „ოსელიანმა“, მიწერილია: „პლატონის მამა?“.

12987–12991. რუსეთის დამყარება საქართველოში. თბ., 1905.

კანზე ავტორის ადგილზე: „ვ. ნ. ივანენკო. ი. გრ“.

გვ. 15. ხაზგასმულია: „В. Н. Иваненко. Тифл. 1920 г.“, მიწერილია: „1902 წ? ი. გრ.“

12992–12993. რცხილაძე გ. საეროთო თვითმმართველობა და საეროთო დებულება 1864 წლისა. ამონაჭერი: „ივერიის პრემია“, [1905], № 5.

12994. საბახტარიშვილი ვ. გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში 1905–1907 წწ. (სენაკისა და ზუგდიდის მაზრები). თბ., 1959.

12995. სანადირაძე ა. ცხრასხუთელი პარტიზანები. თბ., 1957.

12996. სანდრო მაისურაძე. 1884–1918 წ. თბ., 1920.

12997. საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს. [თბ.], 1939.

ფორზაცის მე-2 გვ.: „ქართულია? გვ. 74; „კინტოები“, 40; ორთაჭალა, 84“.

გვ. 84. ხაზგასმულია: „კალანდაძე“, მიწერილია: „ირეთელი“. ხაზგასმულია: „პავლე კალანდაძე“. მიწერილია: „ხიდისთაველი“.

12998. საქართველოს ავტონომია. [თბ.], თ. ა.

12999–13001. საქართველოს ეკლესიის აკლება. თფ., 1907.

მეორე ცალის კანზე: „ყველგან არის“.

13002. სიჭინავა ვ. ბათუმის ისტორიიდან. (რუსეთთან შეერთება და სოც.-ეკონომ. განვითარება 1878–1907 წლებში). ბათუმი, 1958.

13003. სიხარულიძე ი. გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს. ბათუმი, 1956.

13004–13005. სტაროსელსკი ვ. ა. გლეხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში. ტფ., 1928.

მეორე ცალის თავფურცელზე: „Д. Кафу от В. А. Старосельского. Тифлис, 20/III–1928“. მიწერილია: „ვიყიდე ბაზარზე – ი. გრ. 1931. 26/XII. P. S. იხ. Затерянный-ის (პალმის) წერილი სტაროსელსკიზე. იგი ერთ ადგილას ამბობს: „თუ კი შეიძლება ქუთაისში იყოს რევოლუციონერი გუბერნატორი, რატომ არ შეიძლება ტფილისში იყოს რევოლუციონერი ცენზორი“.

13006. სურგულაძე ა. ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან. (1917–1921 წწ.) თბ., 1954.

13007–13008. ტოგონიძე ვ. ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.) თბ., 1951.

ფორზაცზე: „გარდაიც. 1952 წ. ი. გრ“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „ი. გრ. 1952. გვ. 173“. და გაზეთიდან ამონაჭერი შ. მესხიას და დ. გვრიტიშვილის რეცენზია, მინაწერთ: „კომ“.“, 1952 წ., № 74, 27 მარტი.“

13009. უწყება საქართველოს სოც-დემ. მუშათა პარტიის მე-2 ყრილობისა [თბ.], 1920.

კანზე: „მხოლოდ საჯაროს აქვს“.

13010. ფირცხალაიშვილი ა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1955.

13011. ფრენკელი ა. ყაჩაღი ტატო წულუკიძე. ისტორია ყაჩაღობისა კავკასიაში. თარგმ. თორელისა. თფ., 1911.

თავფურცელზე გამომცემელს მიწერილი აქვს: „ბეგუა ფილინოვი ასოთამწყობი იყო“.

გვ. 130. მოხაზულია: „ქართულმა გაზეთმა „დროება“ მოათავსა შემდეგი აღწერა წულუკიძის დასჯისა“, მიწერილია: „1880 წ. 28 იანვ. ეს წერილი ეკუთვნის ს. მესხს. ი. გრ.“

13012–13014. ფრონელი ა. ამბოხება კახეთისა. (1812 წ.) ისტ. ამბავი. ტფ., 1907.

13015. ფრონელი ა. ბატონ-ყმობის გადავარდნა საქართველოში. (საისტ. ცნობა). – ამონაჭერი „მოამბე“-დან, 1898, № 12.

დასაწყისში: „ბარონ ნიკოლაი, 37, 50; გვ. 48, დ. ჭ-ძე“.

13016–13022. ფრონელი ა. მთიულეთი 1804 წ. ტფ., 1896.

ყდის მეორე გვერდზე: „ი. გრ. აღ. ფრონელის ნაწერები: 1. „მთიულეთი“. 2. „კახეთის ამბოხება“. 3. „მთის არწივი შამილი“. 4. „დიდებული მესხეთი“. (ცალკე მაქვს). ამ წიგნზე რეცენზია „ბატონისა“, იხ. „განათლება“, 1908 წ., № 3–4, გვ. 77–87“.

ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილი. 1914 წ.“

იქვე: „იარალ შანშიაშვილი, 316; დიმ. ორბ., 172; „მთიულეთში“; კოვალენსკი და არაყი, გვ. 26; ისპრავნიკების ცუდი საქციელი, გვ. 45–57; გარსევანზე ჭ-ძე, 68; ციციშვილის დამახასიათებელი სასტიკობა ლეკებთან, 91; ფარნაოზი და ალექსანდრე ბატონიშვილები, 183; ალექსანდრე ჭ-ძე ფარნაოზთან, 255; ფარნაოზის მოწოდებას ხელს აწერს ა. ჭ-ძეც, გვ. 265; აღ. ჭავჭავაძის დაჭერა, 313; ბაირალი და ა. ჭ-ძე, გვ. 347; ა. ჭ-ძეს დაპატიმრება, 356; ა. ჭ-ძე ლენერალ-ლეიტენანტი, 357. (სქოლიო). „კახ. აჯანყება“: აღ. ჭავჭავაძე, გვ. 13, 18, 24; ა. ჭ-ძის სიტყვა, 24; დაიჭრა, 161, 162, 163; IV ბოლო; მოაჯანყენი, 216. „შამილში“ დავით ჭავჭავაძე, 11; ხინკალი და დრანსი, 11“.

თავფურცელზე ავტორის გვართან: „1862–1916“ და ქალაქი მინაწერით: „აღ. ფრონელი. „ნახული და გაგონილი“, კარგი წერილები, იხ. „ივ.“ 1903 წ., № 137 და № 103“.

გვ. 18. ხაზგასმულია: „სანდო რომ არ ყოფილიყო ორბელიანი, ერეკლე ელჩად არ გაგზავნიდა რუსეთში“ და მიწერილია: „ელჩი ზაალ ორბელიანი, ტ. 1. გრამოტებისა“.

გვ. 20. მოხაზულია: „კნორინგისავე ბრძანებით მთელი ქალაქი 8 მაისს გაჩირადდნებული იყო“ და მიწერილია: „მანიფესტი ან უნდობლობა“.

გვ. 23. ხაზგასმულია: „კოვალენსკიმ მთლად გააწყო ქალაქში ვერცხლისა და ოქროს ფული“... და მიწერილია: „ვ. კ-შვილი. გვ. 42“.

გვ. 26. ხაზგასმულია: „თუ ოდესმე ჩვენსა და თქვენ შორის უთანხმოება და უსიამოვნება ყოფილა“... და მიწერილია: „ფარნაოზის წერილი, ხელს აწერს ა. ჭ-ძეც.“

გაზეთიდან ამოჭრილი ი. იმედაშვილის წერილი „ალექსანდრე ფრონელი (გარდაცვალებიდან 30 წლისთავის გამო)“. „ლიტ. და ხელ.“, 1947, № 2, 11 იანვ.“

13023. ფრონელი ა. უცხოელების დაბინავება საქართველოში. (ისტ. წერილი) – ამონაჭერი: „მომბე“, 1892, № IV, VI.

გვ. 15. ტექსტის დასასრულს წერია: „ა. ყ-მე. ალ. ყიფშიძე, ფრონელი“.

13024. შველიძე ზ. რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში. თბ., 1960.

13025. შინაური მიმოხილვა. – ამონაჭერი: „ივერია“, 1881, № V, გვ. 107–114.

13026. [შინაური მიმოხილვა. წერილების კრებული „მომბედან“].

1-ლ წერილზე მიწერილია: „უავტორო წერილები. 1896 წ. № 1“. მე-2 წერილზე: „1896, № 11“. მე-3 წერილზე: „1896 წ. № VIII.“ მე-4 წერილზე: „1899, № 1“. მე-5 წერილზე: „1901 წ. № 1“. მე-6 წერილზე: „1901 წ. № VI“. მე-7 წერილზე: „1904 წ. № VII“. მე-8 წერილზე: „1902, № VI“. მე-9 წერილზე: „1904, № 1“. მე-10 წერილზე: „1904, № II“. მე-11 წერილზე: „1904 წ. № V“. მე-12 წერილზე: „1904 წ. № VI“. მე-13 წერილზე: „1904 წ. № VIII“. მე-14 წერილზე: „1904 წ. № XI“. მე-15 წერილზე: „1904, XII“. მე-16 წერილზე: „1905 წ. № III“. მე-17 წერილზე: „1905, № II“.

13027–13030. [ჩიქოვანი ი.] პონტელი. მოგონებანი. თბ., 1958.

კანზე: „ივ. მაჩაბელი, გვ. 43. ი. გრ. 1959. 15/III“.

თავფურცელზე: „ქუთაისის ქალაქის თავი. ლექსებს სწერდა ილია პონტელის ფსევდ. ი. გრ“.

გვ. 46. ტექსტში: „თბილისის ქართულ თეატრში გადახდილი რაფიელ ერისთავის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეზე“, მიწერილია: „პირველი იუბილე“.

გვ. 47. კომიკური კუბლეტების შემსრულებელი მსახიობების სიას მიმატებული აქვს: „გ. გედევანოვი“.

გვ. 65. ხაზგასმულია: „1913 წელში მე არ დავსწრებივარ აკაკის საუცხოო იუბილეს ქუთაისში“ და შესწორებულია: „1908 წ. ი. გრ. 1913 წ. ლადო მესხიშვილის იუბილე იყო“.

13031. ჩოლოყაშვილი-ყარაბულახელი ნ. ჩემი ავტობიოგრაფია. ტფ., 1903.

კანზე: „ი. გრ. ამ კიკო ჩოლოყაშვილს ჰყავდა ჯიუტი ყმა გვარად პაატაშვილი, რომელიც არ ემორჩილებოდა. დ. ნახუცრიშვილის მოთხრ. ამ სათაურით“.

გვ. 15. ხაზგასმულია: „აბაძეების“, მიწერილია: „აფხაზების“.

წიგნში გახეთიდან ამოჭრილი „პატარა ფელეტონი. „გახუნებული თავადის აღსარება“, მინაწერით: „1904, „ცნ. ფურც.“. № 2635, 10 ოქტ.“

13032–13033. ჩხარის საქმე. ტფ., 1933.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილს. პოლიტ-კატორღელთა სექტორი. 9/VI–33.“
იქვე: „ავტორია: კოწია ჯაფარიძე, პოეტი, მთარგმნელი“.

13034. ჩხარტიშვილი ს. რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში. (1914–1917 წ. მარტი). თბ., 1957.

13035. ჩხეტია შ. ყარამანიძე შ. თვითმპყრობელობის რეპრესიები 1905 წელს სამეგრელოში. ტფ., 1930. ცალკე ამონაბეჭდი: ჟურნ. „რევოლუციის მატთანე“, № 1, (23).

წიგნის დასაწყისში: „ი. გრ. 1931. 6/I.“

კანზე ავტორის ფსევდონიმთან: „შ. ჩხეტია“.

13036–13037. ჩხეტია შ. რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში. (1840–1864) – ამონაბეჭდი: საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII–B, 1944.

კანზე: „სოსო გრიშაშვილს ღრმა პატივისცემით და სიყვარულით ავტორისაგან 19. II-45“.

კანზე: „გაგარინი და დადეშკ., 97“.

მეორე ცალის კანზე: „კ. დადეშკელ. მკვლევლობა, 97; აფხაზეთი, 98; ვორონცოვი, გვ. 112. ი. გრ.“

13038. ჩხეტია შ. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბ., 1950.

თავფურცელზე: „ძვირფას სოსოს მეგობრული სალმით. 12.11.57 ავტორი“.

13039–13040. ცაგარელი ა. მოხსენება. ნათარგმნი სინოდის ორგანოს „Церковные ведомости“-დან 1906 წლ. მოწმობანი მე-17–18 საუკ. ოფიციალურ მიწერმოწერებისა საქართველოს (ივერიის) ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ქუთაისი, 1911.

13041. ცაგარელი ა. პასუხი ბ. ბ. კანონისტ-პროფ. ალმაზოვს და ბერდნიკოვს. – ამონაჭერი: „განთიადი“, 1913, № 1.

კანზე მიწერილია: „გვ. 245. ილია; გვ. 214. ანტ. ფურცელაძე, „ვაი მართალთა“; გვ. 214. რჩეულოვზე; გვ. 118. ნ. ნიკოლაძის წერილი პარიზის კომუნაზე; უყვარდა ილიას ეს მუხამბაზი „მეც შემთხვევის გამო სხვისა და სხვისა“, 182“.

გვ. 245. ხაზგასმულია: „მაგრამ ნუ გშურს ღარიბო“, მიწერილია: „ალ. ჭ-ძეს ჰგავს.“

ტ. 2. ნაროდნიკული და მარქსისტული სოციალიზმი საქართველოში.

შმუცტიტულზე: „სოსოს – მეგობრობისათვის. ავტორი. 6/IX–27 წ.“ იქვე: „გოლა ჩიტაძე, გვ. 109“.

გვ. 61. მესამე აბზაცში წერია, რომ „იმედში“ უმთავრეს მონაწილეობას იღებდნენ“... დამატების მიზნით მიწერილია: „ჭრელაშვილი“.

გვ. 70. ხაზგასმულია შენიშვნა: „1. ნ. ხ-ის (ალბათ ნ. ხუდადოვის) წერილი“, მიწერილია: „ნ. ხიზანაშვილი?“

გვ. 114. ხაზგასმულია: „აი მაგ. რას წერს ზემოთ დასახელებული მუშა“... და მიწერილია: „სად?“

14903–14905. ჯავახიშვილი ი. მამულიშვილობა და მეცნიერება. ტფ., 1904.

კანზე: „იხ. შინაგვერდი – თავფურცელი ი. გრ.“

თავფურცელზე: „1. იბეჭდებოდა ფელეტონებად „ცნობის ფურცელში“, 1904 წ. № 2453, 1 აპრილი და სხვ. ნომრები. 2. ამ წერილს უპასუხა მოსე ჯანაშვილმა, იხ. „ცნ. ფურც.“, 1904 წ. №№ 2472 და 2473. 3. უპასუხა ამ წერილს ი. გოგებაშვილმა, იხ. „ცნ. ფურც.“, 1904 წ. №№ 2481, 29 აპრ. ი. გრ.“

14906–14908. [ჯანელიძე ა.] ა. ჯ. ეროვნული შემოქმედება. სახალხო ლექციები. ქუთაისი, 1914.

კანზე: „თბილისის ბიბლ. არ არის! ი. გრ.“ იქვე: „გაუგიჟებინარ ხატო, გვ. 64; ვაჟაზე, 80; ჩემზე, (?) 82“.

წიგნის უკანასკნელ გვ. მიწერილია: „P. S. გაუგიჟებინარ და ის არისო, გვ. 64. ეს ლეგენდა გაზ. „საქართველო“-შიც არის 1918 წ. № 54. ი. გრ.“

მესამე ცალის კანზე: „არ არის „ქართულ წიგნში“ ი. გრ.“

14909–14918. ჯორჯაძე ა. თხზულებანი. წიგ. 1–5. ტფ., 1911, 1914.

წ. 1. ეროვნული პრობლემების გარშემო. (პოლემიკური წერილები). 1911.

კანზე: „ფადეევზე, გვ. 166“.

წ. 2. ჩვენი საზოგადოებრივობა. 1911.

გვ. 84. მოხაზულია: „მამულის სიყვარული ემსგავსება“... და მიწერილია: „იხ. იაკობ გოგებაშვილის „თხზულებანი“, გვ. 21. (ეს ამონაწერი ეკუთვნის იაკობს)“.

წ. 3. ნააზრევი. ხელოვნება. ფილოსოფია. რელიგია. 1911.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილი. 1917 წ. 20 XII“.

კანზე: „გვ. 5, 41, 188“.

წ. 4. წერილები „ცნობის – ფურცელ-მოამბიდან“ 1901–1902 წ. 1911.

გვ. 222. მიწერილია არშიაზე: „რა დიდსულოვანი ადამიანია!“

წ. 5. [მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის. – წერილები 1911 წლის საქალაქო არჩევნების გამო]. 1914.

კანზე: „ალ. ჭ-ძე, გვ. 53, 55; გვ. 149“.

თავფურცელზე: „მე-VI ტომში, რომელიც დაამზადა არჩილ ჯაჯანაშვილმა, უნდა მოთავსებულიყო დიმიტრი ყიფიანზე ფელეტონები, იხ., 1913 წ. № 794, „სახალხო საქმე“ იანვრიდან 2 თებერვლამდე“.

გვ. 10. ხაზგასმულია „მოლანურ, ამაღათ-ბეგ“ და მიწერილია: „მარლინსკი“.

გვ. 20. ხაზგასმულია: „ნოტა-ბენე“, მიწერილია: „ნ. ბერძნიშვილი (?)“

გვ. 58. ხაზგასმულია: „სახეში გამოსთქვამენ“, მიწერილია: „რუსულია“.

გვ. 129. ხაზგასმულია: „თორელი“, მიწერილია: „გამრეკელი“. ხაზგასმულია: „ხალხისათვის გამოცა იმ ხანებში რამდენიმე სიმღერა „გამო მზეო“, „თვალეზო, თვალეზო“ და მიწერილია: „გ. სკანდარნოვისაა“.

გვ. 153. ხაზგასმულია: „მისი [ანტ. ფურცელაძე] კორესპონდენციები სამეგრელოდან და ქართლიდან არ არიან მოკლებულნი ინტერესს“, არშიაზე კითხვის ნიშანი.

გვ. 154. მოხაზულია: „ერთი თავის, ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკურ წერილში მოსე ქიქოძე...“, მიწერილია: „სოციალიზმი“.

წიგნის ბოლოს მინაწერი: „არჩილ ჯორჯაძის მე-VI ტომისთვის უნდა დაბეჭდილიყო შემდეგი წერილი „დიმიტრი ყიფიანი“, იხ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წ. № 794 და სხვ. 794, 813 (10 იანვრიდან – 2 თებერვლამდე). ი. გრ“.

კანის მე-3 გვ. გრ. ვემ-ლის რეცენზია არჩ. ჯორჯაძის მეხუთე წიგნზე, მინაწერით: „ამოღებულია „ცხოვრება და მეცნიერება“ (ოდესა), 1914 წ. № 1“.

14919. ჯორჯაძე ა. არჩილის ნაწერებიდან. (გარდაცვალების 10 წლის შესრულების გამო). ტფ., 1923.

გვ. 8–9 შორის დევს ქაღალდის ნაჭერი, რომელზედაც წერია: „აკლია ერთი ბრომდურა საბუელის ფსევდ. მაქვს ქაღალ. ა. ჭ.“

14920. ჯორჯაძე ა. საბუელი ა. სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში. თბ., 1907.

კანზე ავტორის ფსევდონიმთან: „არჩ. ჯორჯაძე. ი. გრ.“

14921. ჯორჯაძე ა. ძველი და ახალი. ტფ., 1906.

14922. ჯორჯაძე ა. ძველი თაობა. ნ. ნიკოლაძე. ამონაჭერი. „მოამბე“, 1901, № 11. დასაწყისში წერია: „მოამბე“, იხ. 62. ტ. II. გვ. 134.

საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია რუსეთსა და ევროპაში

14923. ამხანაგო, ნუ გვალატობ! თარგმ. პ. ჯიჯავაძისა, თფ., 1906.

კანზე: „Подлежит запрещению 9/X“.

14924–14925. ანარქიზმი და მუშათა კლასი. თარგმ. ნ-სა, თბ., 1901.

14926. [არნუ] თავისუფლებისათვის მებრძოლნი. თარგმ. ა. ლომთათიძისა. თფ., 1906.

14927–14930. ახალი ქადაგება. თარგმ. პ. მარტყოფელისა. თბ., 1906.

კანის მეორე გვ.: „აქ რამდენიმე წიგნია: შინაარსი: 1. ახალი ქადაგება. 2. გზა სოციალიზმისაკენ. 3. სამეურნეო ცხოვრების განვითარება. 4. ეროვნული საკითხი. 5. გლეხთა საკითხი საფრანგეთში. 6. კოოპერაციული მოძრაობა ბელგიაში. 7. ფ. ლასალი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა. 8. მიწით სარგებლობის უფლება. 9. საფრანგეთის დიდი რევოლუცია. 10. შვეიცარიის ძირითადი კანონები. ი. გრ.“

14931. ბაკურცევი (ა. ნედროვი). როგორ უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენელთა არჩევა. ტფ., [1906].
კანზე: „ეს წიგნი აიკრძალა. ი. გრ.“
- 14932–14935. ბებელი ა. კაცობრიობის იდეალი. თარგმანი კ. ნინიძისა. თბ., 1906.
თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილის ბიბლ-კა“.
მეორე ცალის კანზე: „გვ. 78. ი. გრ.“
მესამე ცალის თავფურცელზე: „არის ყველგან. ი. გრ.“
14936. ბებელი ა. რანი არიან ლიბერალები? ბათუმი, 1906.
- 14937–14938. ბელოკონსკი ი. ერობა და თვით-მართველობა. თარგმ. [კოტე ყიფიანისა]. ტფ., 1905.
14939. ბლიუმი ა. როგორი თავისუფლებაა საჭირო მუშა ხალხისათვის. სახალხო წარმომადგენლობა. თარგმ. კ. ნ.-ძისა. II. – ნ. ჟორდანიას. რა არის ბასტილია? ქუთაისი, 1906.
14940. ბრადიაგა. ვირი და მუშა კაპიტალისტურ წყობილებაში. ტფ., [1907].
- 14941–14942. ბრადიაგა და შურა. სრულიად რუსეთის მუშათა სიეზდი და „ბოლშევიკები“. თბ., 1907.
14943. ბრაკე ვ. ძირს სოციალ-დემოკრატები! ქუთაისი, 1906.
- 14944–14946. ბრაკე ვ. ძირს სოციალ-დემოკრატები! თარგმ. ს. რ-სა. II. ს. ნემეზიდაშვილი. შეგნებული პროლეტარიატი და რევოლუცია. ქუთაისი, 1906.
14947. ბრაკე ვ. „ძირს სოციალ-დემოკრატები!“ ქუთაისი, 1917.
- 14948–14949. ბურშე ა. საყოველთაო გაფიცვის მეორე დღეს. მომავალი საზოგადოება. თბ., 1906.
14850. განი. რა უნდა იცოდეს ყველამ (კითხვა-პასუხი). თბ., 1920.
- 14951–14952. გორკი მ. ოთხი წერილი. ტფ., 1931.
წიგნის ბოლოს ნაწყვეტი მ. გორკის წერილიდან „ბურჟუაზიული ცილისწამება და საბჭოთა კავშირის სინამდვილე“, ამოჭრილი გაზ. „მუშის“ 1931 წლ. 7 თებ. ნომრიდან.
14953. გორკი მ. ომის საწინააღმდეგო კონგრესის დელეგატებს. სიტყვა რომელიც არ წარმოთქმულა. ტფ., 1932.
- 14954–14957. დელინიერი ლ. სოციალისტური საუბრები. თარგმ. რუს. დიმ.-კალისა. თბ., 1906.
თავფურცელზე მთარგმნელის ფსევდონიმთან მიწერილია: „დიმ. კალანდარიშვილი“.
მეორე ცალის თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „მ. კინწურაშვილი“.
14958. დერევენსკი სტ. და მასლოვი პ. რა აზრისა არიან მიწის შესახებ სოც.-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები? თარგმ. მ. ჯიბლაძისა და მოსკოველისა. ბათუმი, 1917.
თავფურცელზე: „ბიბლიოთეკა ი. გრ-სა“.
14959. [დიკშტეინი]. ლუკმა პურის ამბავი ანუ ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან. თარგმ. კ. ნინიძისა. თფ., 1906.
14960. ვატინი. რა არის კომუნა. ტფ., 1922.

14961. ვინ არიან კომუნისტები (ბალშევიკები)? ქუთაისი, 1920.
14962. ვინ რისთვის იბრძვის. პარტიები და მათი პროგრამები. თბ., 1907.
14963. ვინ ჩაგრავს გლეხს. მართალი ზღაპარი. თ. თ. [თავისუფალი თარგ.] დ. მესხისა. ქუთაისი, გამოც. ბ. კურცხალიასი, 1906.
თავფურცელზე გამომცემლის გვარს მიწერილი აქვს: „შემის ვაჭარი იყო. ი. გრ“.
14964. ვრჟოსევი ს. პოლიტიკური წესწყობილება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა. ტფ., 1906.
14965. ივანოვიჩი. ს. ანარქისტები და ანარქიზმი რუსეთში. თარგმ. რუსულიდან ვინ-დანისა. ფოთი. 1909.
14966. ილინსკი ნ. ნ. გ. ჩერნიშევსკი (პიროვნება, ცხოვრება, მოღვაწეობა, თანადროულობა). ტფ., 1928.
14967. იმედაძე ვ. ნ. გ. ჩერნიშევსკი. ნ. გ. ჩერნიშევსკის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის გამო. [თბ., 1939] 100–III გვ. – ამონაჭერი ჟურნ. „ბოლშევიკი“, 1939, № 9–10.
14968. ინტელიგენცია და სოციალ-დემოკრატია. თარგმ. იროდიონ ხანთაძისა. ყვირილა, 1918.
14969. კ-ი. დ. ლასსალი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., 1906.
14970. კაპანაძე ვ. ეკონომიური მატერიალიზმი. ქუთაისი, 1918.
14971. კაუცკი კ. ერფრუტის პროგრამა. ავტორის წინასიტყვ. და მოკლე ბიოგრაფიით. თარგმ. კ. და მ. ნინიძეებისა. თფ., 1906.
14972. კაუცკი კ. ინტელიგენცია და პროლეტარიატი. თარგმ. პოლ. კალანდაძისა. ტფ., 1906.
14973. კაუცკი კ. რა გზას ადგია საზოგადოებრივი განვითარება? თარგმ. კ-სა. თფ., 1906.
14974. კაუტსკი კ. ჩვენი დროის ეროვნება. თარგმ. დ. კალ-ლისა. ახალ-სენაკი, 1896.
14975. კითხვა? რა არის მონარქია?... [ქ. და წ. ა.]
გვ. 3. მიწერილია: „ვიყიდე ბაზარზე. ი. გრ. 1944. 1/VIII.“
14976. კონი ფ. ათი სიკვდილმისჯილის ციხიდან გატაცება. თარგმ. ი. ჩაჩანიძის. ტფ., 1933.
14977. კრაპოტკინი პ. თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმი. თბ., 1908.
თავფურცელზე ბეჭედი: „Иван Тимофеевич Полумордвинов“.
- 14978–14979. კრაპოტკინი პ. კომუნიზმი და ანარქია. ტფ., 1906.
კანსა და თავფურცელზე: „ი. გრ. 1930. 12 XII.“
14980. [კრაპოტკინი პ.] კ-ი. პ. მართლმსაჯულება. თარგმ. ა. ფ-ვასი. თფ., 1906.
14981. კრაპოტკინი პ. მეამბოხის წერილები. Речи бунтовщика. 1. დღევანდელი ვითარება. 2. სახელმწიფოთა გახრწნა-დარღვევა. თარგმ. სინდიკატისა. ტფ., 1906.
თავფურცელზე: „აუცადია“, გვ. 16.“
14982. კრაპოტკინი პ. რევოლუციონური უმცირესობა. თბ., 1906.
14983. ლავროვი პ. ცოდნა და რევოლუცია. გადმოლ. დ. მთაგორელისაგან. თბ., 1907.

კანზე გადმომღებლის ფსევდონიმთან მიწერილია: „დომენტი ოყროშიძე-თომაშვილი“.

14984. ლაფარგი პ. მანქანის მნიშვნელობა. ნათარგმნი მ. ცხაკაიას მიერ. ქუთაისი, 1897.

14985–14987. ლიბკნეხტი ვ. რა ბრალსა გვდებენ... თარგმ. ტ. საამიშვილისა. თფ., 1906.

14988–14989. ლიბკნეხტი ვ. ჩვენი მიზანი. თარგმ. პოლ. კალანდაძისა. გამომცემელი ივანე ცინცაძე. თფ., 1906.

კანზე გამომცემლის გვართან მიწერილია: „შემის ვაჭარი იყო“.

მეორე ცალში ხაზგასმულია მთარგმნელის გვარი და მიწერილია ფსევდონიმი: „ირეთელი, ი. გრ. ფასი 15 კ“.

14990. ლიბკნეხტი ვ. ჩვენი მიზანი. ბათუმი, 1917.

14991. ლიპპერტი. „კულტურა“ ანუ კაცობრიობის გონებრივი და ზნეობრივი განათლება. გადმოქართ. კ. დ. ყიფიანისა. [წ. 1]. ტფ., 1895.

14992. ლიუქსემბურგი რ. გერმანიის მუშათა კლასი და რუსეთის რევოლუცია. თარგმ. რაჭკალისა. ქუთაისი, 1907.

თავფურცელზე: „იშვიათი წიგნია“. მთარგმნელის ფსევდონიმთან მიწერილია: „რაჟდ. კალაძე“.

14993. ლუნაჩარსკი ა. კულტურა ჩვენში და დასავლეთში. [თბ.], 1928.

14994. მარტოვი ლ. „კლასი კლასის წინააღმდეგ“. ქუთაისი, 1917.

14995. მაქსიმოვი ნ. მარქსიზმის შესახებ. თარგ. რ. ჯ-დრისა. თბ., 1906.

14996–14998. მიხაილოვიჩი ს. რა არის მუშათა პარტია? თარგმ. პ. ირეთელისა. თბ., 1917.

14999. მონტეგაცი. სამშობლოს სიყვარული. გადმოღებული სამსონ ყიფიანის მიერ. ახალ-სენაკი, 1893.

15000–15002. მუმის სიტყვა მსაჯულების წინაშე. თარგმ. ა. ლომთათიძისა. თფ., 1906.

კანზე: „ეს წიგნი ყველგან არის საჯაროს და იმელის გარდა“.

მეორე ცალის კანზე: „დუბ. აიკრძალა. მეფის ცენზურამ აკრძალა“.

15003. ნეიმანი ა. რუსი მწერლები კარლ მარქსის ნაწარმოებებსა და მიმოწერაში. ამონაბეჭდი: თბილ. უნ-ტის შრომები, ტ. 25, 1942.

კანზე: „1. ფლოროვსკი, 36“.

გვ. 14. სათაურთან: „ძვირფას სოსოს! სამასაგან. 28–IV–44. თფილისი.“

15004. ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკი. 1828–1928. [ბიოგრაფია]. თბ.

თავფურცელზე: „ვიყიდე ბაზარზე – ი. გრ.“

15005. ნოვიცკი ე. ნოქართა კითხვა. თარგმ. პ. კალანდაძისა. თფ., 1906.

15006. ორი არსება. (თარგმანი). [თბ., 1906].

„ქართ. წიგნში“ ავტ.: კ. ლიკბნეხტი, მთარგმ.: შ. შარაშიძე. – უკანო და უთავფურცლო.

სათაურის წინ: „აკრძალული იყო. ი. გრ.“

15007. პარვუსი. დღევანდელი მდგომარეობა და მომავლის იმედები. თარგმანი რ. რაჟდენიძისა. თფ., 1906.

თავფურცელზე ადრინდელი პატრონის ხელწერა: „მ. კინწურაშვილი.“

15008–15010. პერნერსტორფერი ე. ეროვნული საკითხი და ავსტრიის სოციალ-დემოკრატია. ქუთაისი, 1907.

15011–15013. პლახანოვი გ. პატრიოტიზმი და სოციალიზმი. თარგმ. მ. დავიდოვისა. თფ., 1917.

კანზე: „აქ მთარგმნელის ბიოგრაფიაა. ი. გრ. ამის რუსულიც მაქვს „Дневник“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „წინათქმით. ეს წიგნი მხოლოდ უნივერსიტეტში“.

მესამე ცალის წინასიტყვაობაში მოხაზულია: „გ. გირსანოვი“, მიწერილია: „ა. კირსანოვი. ი. გრ.“

15014. პლახანოვი გ. რევოლუციონური ავანტიურიზმი. ს.-პეტერბურგი, 1906.

კანზე: „იშვიათია. ი. გრ.“

15015–15016. პლახანოვი გ. როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს. წერილი „კვალის“ რედაქციას. თბ., 1943.

კანზე: „ი. გრ. 1943. 10. V. იხ. გვ. 10“.

15017. პოლიტიკურ ცოდნათა ანბანი. თარგმ. ის. თალაკვაძესი. თფ., 1918.

15018. პოლიტიკური ბრძოლა. [ქ. და წ. ა.].

15019–15020. პოსსე ვ. ნაციონალური ავტონომია და მსოფლიო ფედერაცია. თარგმ. სიტყვისა [ს. ფიცხალავასი]. ტფ., 1907.

15021–15022. რა უნდათ სოციალისტებს? თარგმ. გლახიშვილისა. ტფ., 1907.

15023. რეკლიუ ე. ანარქია. თბ., 1906.

15024–15025. რეკლიუ ე. ჩემ ძმა გლახს. თბ., 1906.

15026. რიაზანოვი ნ. შრომის განმათავისუფლებელი ჯგუფი. პლახანოვის, ზასულიჩის, აქსელროდის და დეიჩის ბიოგრაფიებით. თარგმ. ილია ბახტაძისა. ბათუმი, 1908.

კანზე: „ენა არ ვარგა! გვ. 32. ი. გრ.“

15027. როგორ მოატყუილეს და გაჰყიდეს მენშევიკებმა ღარიბი გლახობა? კავკავი [წ. ა.].

თავფურცელზე: „ი. გრ. 1928. 21/VI“.

15028. როგორ უნდა მოეწყოს მიწის საქმე (თარგმანი). ტფ., 1906.

კანზე: „თბილისში არაა, იშვიათია. ი. გრ. ს. ფიცხალავას რედაქციით.

15029–15030. საზანოვის აღსარება. ქუთაისი, 1917.

თავფურცელზე: „გაზეთ „სახალხო გაზეთის“ რედაქციას გამომცემლობისაგან“.

15031. საქარელი ნ. სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფოებრივი წესწყობილება. ტფ., 1920. (დამფუძნებელ კრების საპროპ. კომისიის გამოც.).

კანზე ავტორის ფსევდონიმთან მიწერილია: „პ. საყვარელიძე. გუნთას სიმე.“

15032. სახოკია თ. კლარა ცეტკინი. (მოგონება). – ამონაჭერი: „მნათობი“, 1933, № 6–7.

15033. სიბირსკი თ. აგრარული პროგრამები. თარგმანი ა. ჯ-შვილისა. თბ., 1906.

15034. სორსკი პ. გზა სოციალიზმისაკენ. თარგმ. პ. ქ-ძისა. თბ., 1906.
15035. სპენსერი ჰ. მიწით სარგებლობის უფლება. თავისუფალი თარგმ. ინგლ. ი. ნაკაშიძისა. თბ., 1906.
15036. სტალინი ი. ნაციონალური საკითხი. თფ., 1923.
- 15037–15038. სტალინი ი. წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ. თბ., 1923.
15039. ქუთელია ა. ჩერნიშევსკი – მარქსიზმის გამოჩენილი წინამორბედი რუსეთში. – ამონაჭერი: „ბოლშევიკი“. 1944, № 12.
15040. შავი პატრიოტები. თარგ. ჩიტო კაპანაძისა. თფ., [წ. ა.].
15041. შვარც შ. შეველი. პირდაპირი თავისუფალი (სტერეოტიპური) თარგმ. ებრაულიდან ქართულათ იცკა ცხინვალების მიერ. თბ., 1909.
15042. შტრებელი გ. რა სურს სოციალ-დემოკრატას? სერ-ჟორჟ-იანის თარგმანი. ქუთაისი, 1906.
15043. ჩერნოვი. კლასთა ბრძოლა სოფელში. თფ., 1906.
თავფურცელზე: „თბილისში არ არის. ი. გრ.“
15044. ჩვენი მოთხოვნები. წ. 2. მეფის ხაზინის და ხალხის ჯიბე [ქ. და წ. ა.].
15045. ჩხენკელი ა. მუშათა მსოფლიო პარლამენტი ქ. შტუტგარტში. თბ., 1908.
კანზე უწინდელი მფლობელის ბეჭედი: „Иван Тимофеевич Полумордвинов“. იქვე: „არ არის ბ-ში. ი. გრ.“
- 15046–15048. წერილები ძმასთან. თარგმ. ამხანაგისა. თფ., 1906. ტექსტის ბოლოს: შენი ძმა მიხა.
კანზე: „სტალინი ხომ არ არის, ის აწერდა ამხანაგი, ამხანაგი – გიორგი ლომთათიძე, იხ. „ქართ. წიგნი“, გვ. 905, ი. გრ.“
- მეორე ცალის კანზე: „სვიდერსკი (?) (ავტორი)“ იქვე მთარგმნელის ფსევდონიმთან: „გიორგი ლომთათიძეა.“
- მესამე ცალის კანზე: „ეს წიგნი აიკრძალა. ი. გრ.“
- 15049–15051. ჭიჭინაძე ზ. მარუშიძე ია. გამოჩენილი კაცები. სენ-სიმონი. თბ., 1906.
გვ. 33. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ზ. ჭ. ი. გრ.“
- 15052–15053. ჭიჭინაძე ზ. გამოჩენილი კაცები. [სენ-სიმონი]. თფ., 1893. ტექსტის ბოლოს ავტ.: ზ. ჭ.
თავფურცელზე: „არ არის „ქართ. წიგნი“. ი. გრ.“
15054. [ჭიჭინაძე ზ.] ზ. ჭ. პაუპერიზმი და პროლეტარიატის ისტორიული მიმოხილვა აღმოსავლეთის ხალხში. თბ., 1917.
- 15055–15056. ჭიჭინაძე ზ. რობერტ ოვენი კაცის ხასიათის გადამკეთებელი. თფ., 1889.
- 15057–15058. ჭიჭინაძე ზ. უცხოეთის მწერლები. პრუდონი. თბ., 1890. ტექსტის ბოლოს ავტ.: ზ. ჭ.
- 15059–15960. [ჭიჭინაძე ზ.] მარუშიძე ია. უცხოეთის მწერლები და ისტორიკოს ეკონომისტ პუბლიცისტები. ლუი ბლანი პოლიტიკურს და ეკონომიურს ასპარესზედ. ტფ., 1906.

კანზე: „დ. ჩხოტუაზე, გვ. 89“.

გვ. 89. სქოლიოში მოხაზულია ჟურნ. „კრებულის“ 1873 წლის ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა დ. ჩხოტუას ერთ-ერთი თარგმანი, მიწერილია: „№ 10, გვ. 21. ი. გრ.“

15061. ჭიჭინაძე ზ. ფურიე და მისი ასოციაციური სწავლა. თბ., 1906.

წიგნის ბოლოს ხაზგასმულია: „ია მარუშიძე“, მიწერილია: „ზაქ. ჭ-ძის ფსევდონიმია. ი. გრ.“

15062–15063. ხაზინა და ხალხის ჯიბე (საუბარი გადასახადებზე). თარგმ. რ. რაჟდენიძისა. ქუთაისი, 1906.

კანზე: „ი. ევდომვილის ლექსით. ი. გრ.“

გვ. 39. ლექსის „ურმული“ დასასრულს მიწერილია: „დაბეჭდილი იყო „მიწაში“ – ი. გრ.“

მეორე ცალის კანზე: „ი. გრ. 1935“.

15064–15065. ხუნდაძე ს. ნ. გ. ჩერნიშევსკი. ცხოვრება. მოღვაწეობა. აზროვნება. ტფ., 1929.

თავფურცელზე წარწერა: „მაინც მეგობარ სოსოს – ავტორი 27. 1. 30.“

კანზე: „ჟურ. „ზურნაზე“, 166“.

ეკონომიური საკითხები

15066–15068. ავალიანი ს. კოოპერაცია. (პირველ-დაწყებითი სახელმძღვანელო). (პოლიტ. ეკონომიის ძირითადი დებულებების განმარტებით და კოოპერაციის შესახებ წიგნების სიის დამატებით). ტფ., 1920.

15069. ავალიანი ს. მიწისმფლობელობა საქართველოში. ქუთაისი, 1920.

15070. 1928-9 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. განმარტებანი. ტფ., 1928.

15071. ალპეროვიჩი ს. პროფკავშირთა მე-4 ყრილობა და რუსეთის პროფმოძრაობის გზები. თბ., 1921.

15072. ასათიანი ვ. ქალაქების საადგილ-მამულო პოლიტიკა. ქუთაისი, 1917.

15073. ასათიანი ლ. მცირე ცხრილები. მზა პროცენტი, გამრავლება, გაყოფა, ხელფასი, გადასახადი. გამოც. მე-7 გადასინჯული და შევსებული. თბ., 1948.

15074. ბ. ს. მრეწველობის განვითარება. შრომა და კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის ანბანი. თარგმანი ვ-ისა. ბათუმი, 1905.

15075–15077. ბ. ს. შრომა და კაპიტალი. თარგმ. ვ.-ისა. თბ., 1897. ფორზაცზე: „აქ სამი წიგნია. უნდა ცალკე დავეყო. 1. შრომა და კაპიტალი (თარგ.). 2. როგორ საზრდოობს მცენარე (თარგმანი). 3. როგორ ცხოვრობდნენ ადვამიანები ძველად (თარგმ.)“.

წიგნის ბოლო ფორზაცზე: „ი. გრ. 1941. 10/IX“.

15078–15079. ბარბიერი ლ. ოქროს წყარო. ნაწ. 1. წინდახედულობა. თარგმ. და წინასიტყ. ი. გაბილაიასი. ქუთაისი, 1918.

15080. ბარსამოვი ვ. სარგებლობა და უპირატესობა ცეცხლისაგან ქონების საურთიერთო დაზღვევისა. ტფ., 1896.

15081–15082. ბახი ა. შიმშილი. მოკლე პოლიტიკური ეკონომია. ტფ., 1905.

15083–15084. ბახი ა. შიმშილი. მოკლე პოლიტიკური ეკონომია. თარგმნილი თ. სახოკიას მიერ. ქუთაისი, 1907.

15085–15086. ბერნშტეინი ე. სამეურნეო ცხოვრების განვითარება. თარგ. გ. დაფქვიაშვილისა. თბ., 1906.

15087. ბოგდანოვი ა. მოკლე კურსი ეკონომიური მეცნიერებისა. თარგმ. ი. ცდობილისა. ა. რაჟდენიძის და შვარცის რედაქციით. ტფ., 1909.

15088–15089. ბრაგინი მ. და მინინი მ. კოოპერატივები. თარგმ. დ. ზ. თალაკვაძისა. გ. ბერეჟიანის რედ. და წინასიტყ. ბათუმი, 1908.

15090–15091. გადასახადების შესახებ. თარგმ. რუს. თფ., 1906.

15092. გალპერინი ი. საბალანსო აღრიცხვის საფუძვლები. ნაწ. 1. ტფ., 1925.

15093–15098. გედი ჟ. კოლექტივიზმი, ტფ., 1906.

მეორე ცალის კანზე: „ი. გრ. 1931. 10/V. ვიციდე ბაზარზე.“

15099. გიბნერი ნ. კოოპერაციის სისტემა. თარგმ. ი. გაბილაიასი. ქუთაისი, 1914.

15100–15103. გიგინეიშვილი კ. კომერციული არითმეტიკა. წიგნაკი 1. ქუთაისი, 1915.

15104. გლებოვი ა. კავშირი დიდებული საქმეა! სოფლის მომხმარებელი საზოგადოება. თარგმ. თ. ჟღენტისა, ქუთაისი, 1913.

15105. გორდელაძე ი. შრომა, სიმდიდრე და ფული. ტფ., 1896.

15106. გუგუშვილი პ. „აზიური“ წარმოების წესი. ტფ., 1934.

15107. გუგუშვილი პ. გუთნულის ეკონომიური ორგანიზაცია. – ამონაჭერი: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 5, № 3, 1944.

15108. გუგუშვილი პ. ეკონომიური ფორმაციებისათვის. ტფ., 1933.

15109. გუგუშვილი პ. მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. 1801–1920 წწ. თბ., 1954.

15110. გუგუშვილი პ. მევახშეობის განვითარება საქ-ში მე-19 საუკუნეში. – ამონაჭერი: თბილ. უნ-ტის შრომები, ტ. 10. 1939.

15111. გუგუშვილი პ. მევახშეობის განვითარება საქ-ში მე-19 საუკუნეში (დასასრული). – ამონაჭერი: თბილ. უნ-ტის შრომები, ტ. 14, 1940.

15112. გუგუშვილი პ. პირველი საკრედიტო ორგანიზაცია ამიერკავკასიაში. – ამონაჭერი. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XI–B. [1940].

15113–15114. გუგუშვილი პ. სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება. ქრესტომათია. ტ. 1. ტფ., 1931.

ტ. 1. ნაწ. 1.

ტ. 1. ნაწ. 2.

15115. გუგუშვილი პ. ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ა.-კავკასიაში მე-19 ს-ში. – ამონაბეჭდი: თბილ. უნ-ტის შრომები, ტ. 6, 1937.

კანზე: „პ. გუგუშვილის ლექსით, იხ. ბოლო ფურც. ი. გრ.“

15116. გუგუშვილი პ. ქართული საბაჟო ტარიფი. – ამონაჭერი.

- კანზე: „თბ. 1935. ი. გრ.“
15117. გუგუშვილი პ. შინამრეწველობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. 1801–1920 წწ. – ამონაჭერი: ეკონომიკის ინ-ტის შრომები, ტ. IV, 1950.
15118. გურულ-მეგრელი. ეყოფა თუ არა ყველას მიწა? [ქუთაისი, წ. ა.].
- 15119–15120. დეიჩერი პ. კოოპერატიული მოძრაობა ბელგიაში. თარგმ. ა. ჯ-შვილისა. ტფ., 1906.
15121. დიად სამუშაოთა გეგმა. კრებული მასალებისა მე-4 სტალინური ხუთწლედის შესახებ. თბ., 1946.
- 15122–15125. [დიკშტეინი]. ლუკმა პურის ამბავი ანუ ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან. თარგმ. კ. ნინიძისა. თფ., 1906.
- კანზე: „(დიკშტეინისა). ეს წიგნი აიკრძალა. იხ. ბოლოში განცხადება. ი. გრ.“
15126. ებერგი კ. საფინანსო მეცნიერება. თარგმ. გერმ. ს. ს. რ. კავშირის საფინანსო წყობილებისა და კანონმდებლობის დამატებით გ. გამყრელიძისა. რედაქცია ფ. გოგიჩაიშვილისა. ტფ., 1928.
- თავფურცელზე: „გულითად მეგობარს ი. გრიშაშვილს – გ. გამყრელიძისაგან. 3. XI. 28“.
15127. ერთობის ძალა. თარგმ. რუსულიდან ი. გაბილაიასი, მისივე წინასიტყვ. ქუთაისი, 1914.
15128. ერქომიშვილი ა. თვითნებითი გადასახადები. ტფ., 1925.
15129. ვ. ს. გურიის ნავთი და ბ-ნნი ზიბერტი და შმედული. ბათუმი, 1912.
15130. ვაგნერი ფ. როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი (კაციც და ქალიც) რომ შეიძინოს ბევრი ფული და გამდიდრდეს. თარგმ. ფრანგ. ნ. ი. ჟ-სა. ქუთ., 1908.
15131. ვანდერველდე ემ. თანამედროვე ქალაქი. ფრანგ. ნათარგმ. კანდელისა. ქუთაისი, 1902.
- გვ. 3. დასაწყისში: „კუკიის სახალხო იაფ-ფასიან სამკითხველოს. პ. მ. 25/II–07 წ.“ მიწერილია: „პეტრე მირიანაშვილის ხელია. ი. გრ.“
- 15132–15134. ზ-ლი. მრეწველობის საკითხები. ტფ., 1906.
- თავფურცელზე ყოფ. მფლობელის ხელწერა: „მ. კინწურაშვილი. 1906. IV/29.“
15135. ზედგენიძე გ. ამერიკელი ქალაქი. [ჩიკაგო]. – ამონაჭერი: ჟურნ. „კრებული“, 1873, № 8.
15136. ზეიდელი რ. ზომიერი სამუშაო დღე. რვა საათი. თარგმ. ლეოსი. ბათუმი, 1906.
15137. ზეკა ო. როგორ გაჩნდა ფულის ხმარება. ყვირილა, 1901.
- 15138–15140. ზეკა ო. როგორ გაჩნდა ფულის ხმარება. თარგმ. ი. ბერაძისა. თბ., 1917.
- კანზე: „იშვიათია. ი. გრ.“
15141. ზემბა ი. სად არის შველა? ეკონომიური წერილი. თარგმ. ვ. მასხულიასი. ქუთაისი, 1897.
15142. თოფურიძე დ. საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები. ტფ., 1926.
15143. კაკაბაძე ვ. შინამრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში. ტფ., 1921.
- თავფურცელზე: „ბიბლიოგრაფიისათვის“.

15144–15145. კაუცკი ვ. კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება. თარგმ. ფ. მახარაძის მიერ. ავტორის და ვ. მარქსის სურათებით, მათი მოკლე ბიოგრაფიებით, მთარგმნელის წინასიტყვ. და განმარტებებით. თფ., 1911.

15146–15148. [კაუცკი ვ.] ვ. კ-სა. მიწის მფლობელის საქმე. თარგმ. [ვ. ხ.]. ტფ., 1906.

ავტორის ინიციალებს მიწერილი აქვს: „ვ. კაუცკი [?]. – ი. გრ.“

მესამე ცალის თავფურცელზე: „თარგმ. ვ. ხ. [ვანო ხანდამაშვილი?] ი. გრ. ფასი 5 კ.“

15149. კანდელაკი ს. კოოპერაცია. თეორია, ისტორია და პრაქტიკა. თფ., 1909.

15150. კახელაძე ალ. მოკლე სახელმძღვანელო მომხმარებელ კოოპერატივის ანგარიშთა წარმოებისა. ტფ., 1918 [1919].

15151–15153. კახელაძე ა. როგორ უნდა დაარსდეს და სწარმოებდეს წვრილი კრედიტის დაწესებულება. ტფ., 1905.

15154. კოვდა ვ. კომუნიზმის დიადი მშენებლობანი და მათი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა. თბ., 1952.

15155. კოოპერატორის სახელმძღვანელო. წგ. 1. ქუთაისი, 1916.

თავფურცელზე: „არ არის „ქართულ წიგნში.“

15156. ლანდია პ. ფინანსიური გამოანგარიშების სახელმძღვანელო. ინჟ. ვ. კაკაბაძის რედ. თბ., 1925.

თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „იონა ვაკელის წიგნებიდან“. იქვე: „ვიყიდე აკადემიის წიგნის მაღაზიაში. ი. გრ. 1943. 20. – III“.

15157. ლაპიდუსი ი. და ოსტროვიტიანოვი ვ. პოლიტიკური ეკონომია [თბ....].

15158. ლაფარგი პ. კაპიტალის სარწმუნოება. თბ., 1923.

კანზე: „კურტიზანკა, გვ. 18“.

15159. ლაფარგი პ. მანქანის მნიშვნელობა. (მაშინა, როგორც ფაქტორი წარმატებისა). ნათარგმნი მ. ცხაკაიას მიერ. ქუთაისი, 1897.

15160. ლენსკი ზ. კოოპერატივები ევროპაში. (პირადი შთაბეჭდილებანი). 41 სურათით. თარგ. ჟურნ. „კოოპერაციის“ რედაქტორის ი. გაბილაიასი. ქუთაისი, 1918.

15161. ლოგინინი ვ. და იაკოვლევი ა. სასოფლო სესხებითი (ანუ ვასხებითი) ამხანაგობანი. თფ., 1874.

15162. მამისაშვილი ლ. საკოლმეურნეო ბუღალტერია. თბ., 1952.

15163–15164. მანტეგაცა. შრომა და ბედნიერება. თარგმ. მ. ნინიძისა. ბათუმი. 1901.

კანზე: „ი. გრ. – იხილე მეორე პირი“.

კანის მეორე გვერდზე წერია: „ი. გრიშაშვილმა ამოსწერა: „ბ. ბ. იასონ მეგრელიძე და დომენტი ჩხაიძე შესდგომიან თარგმნას მონტეგაცის თხზულებისას – Счастье и труд – და ითხოვენ სხვა ნულარ ინებებს ამ თხზულების ქართულზე გადმოღებას. ჩვენ სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, რომ მონტეგაცის თხზულება კიდევ გადუთარგმნია ერთს მოსკოველ სტუდენტს. იხ. „კვალი“, 1895 წ., № 31, გვ. 3“.

15165–15168. მასლოვი პ. მიწის საკითხი. მთარგმ. ვ. ნოზაძე. ქუთაისი, 1917.

15169. მასლოვი პ. როგორ უნდა მოიპოვონ გლეხებმა მიწა? ქუთაისი, 1917.

კანზე: „ი. გრ. 1931. 1/IV“.

15170. მაჭავარიანი დ. პროექტი და საშუალება (გორის მაზრის მემამულეთა სინდიკატის მომავალ მოქმედების შესახებ). ტფ., 1900.

15171. მილიონობით ამერიკელს არა აქვს სამუშაო. რა გვიჩვენა კონფერენციამ უმუშევრობის საკითხებზე ვაშინგტონში. თბ., 1956.

15172. მომხმარებელთა კოოპერატივის წესდება. [თბ., 1916].

გვ. 1. მიწერილია: „1919 წელს გამოვიდა ინსტრუქტორის ახსნა-განმარტება“.

15173. მომხმარებელი საზოგადოების წესდება. ჟურნ. „კოოპერაციის“ № 19-ის დამატება. ქუთაისი, 1912.

15174. მრეწველობის განვითარება. პოლიტ. ეკონომიის ანბანი. ბათუმი, 1905.

კანზე: „პალატის გამოცემებში ეს წიგნი უკანოდ არის აწერილი. ი. გრ.“

15175. ნაკაზი ანუ დარიგება მამულების შესყიდვაზედ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში. [ტფ., 1868].

15176. ნესტეროვი ა. როგორ უნდა მოეწყოს კომუნის მეურნეობა. გადმოქართ. ი. გაბილაიას მიერ. ტფ., 1929.

კანზე: „დემიან ბედნის ლექსი, გვ. 49. ი. გრ.“

15177. ნიკოლსონი ი. კოოპერაციის განთიადზე. ტფ., 1919.

კანზე: „ნიაზი – ჩემგან აიღო, გვ. 78“.

15178–15179. ნუცუბიძე ა. ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. თბ., 1952.

15180. ნუცუბიძე ა. კაპიტალისტური სახალხო მეურნეობის დაგეგმვის შეუძლებლობა. თბ., 1948.

15181. პავლოვიჩი. იმპერიალიზმი. გილფერდინგისა და ლენინის თეორია. თარგმ. ირ. ხანთაძის. ქუთაისი, 1926.

15182. პოკროვსკი დ. გამარტივებული ცხრილი. პროცენტების გამოანგარიშებისათვის თამასუქების, სესხის და ანბანების ოპერაციებში, სახელმწ. სარგებლიანი ქალაქების ყიდვა-გაყიდვაში. გამოც. მე-2 შესწ. და შევს., ბაქო, 1928.

15183. პოლიტიკური ეკონომია. I გაკვეთილი. ს. პარტიგულის და ვ. მაქსიმოვის რედ-ით. ტფ., 1932.

15184–15185. პოლიტიკური ეკონომია. სახელმძღვანელო. თბ., 1954 (სსრ. კავშირის მეცნ. აკად. ეკონომიკის ინს-ტი).

ფორზაცზე: „ი. გრ. 1955. 3/II“.

15186. ჟიდი შ. კოოპერაცია. ლექციები და მოხსენებანი კოოპერაციის დანიშნულებათა და მეთოდების შესახებ. თარგმ. და წინასიტყვ. ი. გაბილაიასი. ქუთაისი, 1920.

15187–15188. ჟიდი შ. პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები. თარგმანი ჟურნ. „კოოპერაციის“ რედაქტორის ი. გაბილაიასი. სამი წინასიტყვაობით ქართული გამოცემისათვის: ავტორისა, ფ. გოგიჩაიშვილისა და მთარგმნელისაგან. ქუთაისი, 1919.

15189–15190. ჟიდი შ. სამეფო მომხმარებელისა; (ვინ თამაშობს უფრო მნიშვნელოვან როლს: მწარმოებელი თუ მომხმარებელი?) თარგმ. ი. გაბილაიასი. ქუთაისი, 1917.

კანზე: „მხოლოდ საჯაროშია“.

15191–15192. რა აზარალა ბ-ნმა კალისტრატე ჩიკვაძემ ქუთაისის ბანკს და მის მსესხებლებს? ბანკის წევრისა. ტფ., 1899.

15193. რეზოლუცია მიღებული საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მეხუთე პლენუმზე, ამხანაგ ყურულაშვილის მიერ „კავშირების მორიგ ამოცანების შესახებ“ წაკითხულ მოხსენების გამო. ტფ., 1925.

14194. რა არის ხარკი და ან რისთვისა ჰკრეფენ. (ნათარგმნი რუსულიდან) ი. გ-რისა. თფ., 1898.

15195–15196. რაიხესბერგი ნ. მუშათა კითხვა უწინდელ და ახლანდელ დროში. თარგმ. ე. სოლორაშვილისა. ბათუმი, 1900.

15197–15198. რაიჰესბერგი ნ. მუშათა კითხვა წარსულში და აწმყოში. თარგმ. თ. კიკვაძისა. ბათუმი, 1900.

15199–15201. როსტომაშვილი ი. შრომა და სიმდიდრე. თბ., 1914.

15202. ს. ფ. სახელმწიფო გადასახადები. ტფ., 1906.

15203–15204. საადგილ-მამულო ბანკი და დაარსება ფონდისა ახალის საქმისათვის. თბ., 1914.

15205. სავალდებულო დადგენილებანი შესახებ ხორცისა და პურის ვაჭრობისა ტფილისის მცხოვრებთათვის. ტფ., 1892.

კანზე: „იშვიათია! ი. გრ.“

15206. საზოგადოებათმეცნიერება. შინამრეწველობა. ნარკვევები: ვ. ლენინი, მ. ტუგან-ბარანოვსკი და სხვ. შინამრეწველობა საქართველოში – ვ. კაკაბაძე. ტფ., 1926.

15207. საზოგადოებათმეცნიერება. ხელოსნობა. ნარკვევები: მ. ტუგან-ბარანოვსკი, ვ. ზომბარტი და სხვ. თანამედროვე ხელოსნობა ტფილისში. – გ. გამყრელიძე. ტფ., 1926.

კანზე: „ი. გრ. 1926. 7/VI.“

15208–15209. სამეცნიერო საუბარი. [სოციალისტ. და კაპიტ. ეკონომიური თეორიების შესახებ]. წიგნი 3. თფ., 1906.

თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „მ. კინწურაშვილი, 1906.“

15210. სიმართლე ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ისტორიიდან. ქუთაისი, 1914.

15211. სორსკი პ. გზა სოციალიზმისაკენ. თარგმ. პ. ქ-ძისა. თბ., 1906.;

15212. სორსკი პ. რა გზით მივალწევთ საზოგადო მეურნეობას. თარგმ. დ. მესხისა. [ქუთაისი, 1905].

15213–15215. სპენსერი ჰ. მიწით სარგებლობის უფლება. თავისუფ. თარგმ. ინგ. ი. ნაკაშიძისა. თბ., 1906.

კანზე: „დ. ვედრებისელს ძმურ სამახსოვროდ მთარგმნელისაგან“. იქვე: „ვიყიდე ბაზარზე. ი. გრ. 1927, 19/VI.“

15216. სტალინი ი. სიტყვა სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე. თბ., 1935.

15217. სტალინი ი. სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში. [თბ.], 1952.

- 15218–15221. ტუგან-ბარანოვსკი მ. ახალი ქვეყნის ძიება. ჩვენი დროის სოციალისტური თემები. თარგმ. და წინასიტყვ. ი. გაბილაიასი. ქუთაისი, 1920.
15222. ტფილისის მუშათა მთლიანი კოოპერატივის სამი წლის მოღვაწეობა. [თბ., 1921–1924].
15223. ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის საგანგებო კრება. თბ., 1893.
კანზე: „ბანკობიანა. ი. გრ. „კვალის“ დამატება.“
15224. [ფურცელაძე ა.]. ბანკები და მათი მნიშვნელობა. [ტფ., 1883].
- 15225–15227. ფურცელაძე ა. ბანკები, ფული და მათი მნიშვნელობა. ტფ., 1906.
თავფურცელზე: „ჩემს კარგს მეგობარს სვიმონ ქვარიანს. ავტორი“.
- ფორზაცზე: „აქ ორი წიგნია. ი. გრ. P. S. ლექსებისათვის შენიშვნები დაურთავს ს. ქვარიანს. ი. გრ. 1953. 6/III.“
15228. ქვეყანა უნდა იცნობდეს თავის გმირებს. (შრომის გმირები) ტფ., 1933.
15229. ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის წესდება. 1917 წ. ივანობისთვე, ქუთაისი, 1917.
კანზე: „არ არის თბილისში. ი. გრ.“
15230. ქუთაისის მომხმარებელი კოოპერატივის საზოგადო კრებისა და სარევიზიო კომისიის ინსტრუქცია. (პროექტი). ქუთაისი, 1915.
კანზე: „არ არის თბილისში და არსად. ი. გრ.“
15231. ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოება „კოოპერაცია.“ წესდება. ქუთაისი, [1914].
კანზე: „თბილისში არ არის. ი. გრ.“
15232. ქუთაისის – საადგილ-მამულო ბანკის კრება. (30 აპრილი – 11 მაისი). – ამონაჭერი: „ივერია“, 1881, № VII.“
15233. ღამბაშიძე დ. ჩვენი ქვეყნის ვაჭრობის მიმოხილვა (1884–1912 წლამდე). ლონდონი, 1914. – ტექსტი ლითოგრაფირებულია.
15234. ლონისძიებანი ხორცის საკითხის გადასაჭრელად. თბ., 1930.
- 15235–15236. ყიფშიძე ა. საგლეხო ბანკი და საადგილ-მამულო კამისია. ტფ., 1910.
- 15237–15238. შენგელაია ლ. რა არის მიწის სოციალიზაცია? (როგორ უნდა გადაწყდეს მიწის საკითხი). ქუთაისი, 1917.
15239. შეფორგანიზაციის ათი წელი. ტფ., 1933.
15240. შვარცი ვლ. მეურნეობა და პროლეტარიატი. ტფ., 1906.
- 15241–15242. შიპკელი მ. მუშათა პროფესიონალური კავშირები. თარგმ. კ. ნინიძისა. თბ., 1906.
15243. ჩარხიშვილი გ. რა გზით მივალწიოთ შრომის სამეფოს. თბ., 1921.
15244. ცნობარი 1926–1927 წლების უცვლელი ფასებისა. გამომშ. IV. სატყაო, საქურქე, საქეჩო, საგალანტერიო და უტილის ჯგუფი. ტფ., 1935.
15245. წესდება ამიერკავკასიის ბანკისა. ტფ., 1917.
15246. წესდება დ. ლანჩხუთის მომხმარებელი საზ-ბა „საზოგადო სარგებლობის“. ქუთაისი, 1914.
15247. წესდება თბილისის წვრილ-ვაჭართა პროფესიულ საზოგადოებისა. თფ., 1906.

15248. წესდება კოოპერატიული სარეწაო სატრანსპორტო არტელისა. ტფ., 1930.
- 15249–15250. წესდება მომხმარებელი საზოგადოებისა „შეერთება“ ქ. თბილისის მცხოვრებლებისა. ტფ., 1915.
- კანზე: „მხოლოდ ლენინგრადშია“.
15251. წესდება ტფილისის მთლიანი მუშათა კოოპერატივისა. ტფ., 1926.
15252. წესდება ქუთაისის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობისა „მეურნე“. თფ., 1909.
15253. წესები საგარანტიო დაზღვევისა. ტფ., 1927.
15254. წულუკიძე ა. ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან. თბ., 1904.
15255. წულუკიძე ა. ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან. [ფ. მახარაძის წინასიტყვ.]. თბ., 1921.
15256. ჭაია თ. პროცენტების გამოანგარიშების მოკლე კურსი. ტფ., 1934.
- 15257–15259. [ჭიჭინაძე ზ.] ია მარუშიძე. მათხოვრები ძველადგან ანუ პაუპერიზმი და პროლეტარიატი. ტფ., 1905.
15260. ხანკალამოვი ს. მიწების გაცვლა. ტფ., 1928.
- 15261–15262. ხეისინი მ. 50 წელიწადი სამომხმარებლო კოოპერაციისა რუსეთში. (ისტ. მიმოხილვა და ახლანდელი მდგომარეობა). თარგმ. ი. გ-აიასი. ქუთაისი, 1917.
15263. ხეისინი მ. რა არის მომხმარებელი კოოპერატივი.; თარგმ. გალიორკასი. ფოთი, [1916].
15264. ხელშეკრულება საზოგადოება „ჩემო“-ს წევრებსა და „ვ. ა. ჰარრიმანი და ამხ. ინკ ნიუ-იორკში“-ს შორის. მოსკოვი, 1925.
15265. [ჯორჯაძე ა.]. საბუელი ა. როგორ უნდა გადაწყდეს მიწის მფლობელობის საქმე. თფ., 1906.
- კანზე ავტორის ფსევდონიმთან მიწერილია: „ჯორჯაძე“.
- გვ. გვ.: 28–29 შორის ქაღალდის ნაჭერი, რომელზედაც წერია: „აკლია ბროშ. საბუელის ფსევდ.“
- 15266–15267. ჯუღელი გ. კოოპერატიზმი (გადმოკეთ. გარდენინის წერილებიდან). ი. გაბილაიას რედ. და წინასიტყვ. [ქუთაისი, 1915].

სამართალი და მმართველობა საბჭომდელი

- 15268–15269. ავსუა. არჩევნები და სოხუმის ოლქი. Кутаис, 1912.
- კანზე: „ი. გრ. ეს წიგნი მხოლოდ რუსეთის ერთ ბიბლიოთეკაშია, თბილისში არ არის. ი. გრ.“
- 15270–15271. ახნაზაროვი ა. თამასუქის წესდება სარჩევითა და რუსულ და სხვა უცხო – ქვეყნის სათამასუქო სიტყვების განმარტებით. თარგმ. და შედგ. ა. მ. ახნაზაროვის მიერ. ტფ., 1919.
- 15272–15273. გორგასლიძე ს. დამფუძნებელი კრება და საარჩევნო უფლება. თფ., 1906.

კანზე: „1931. 10/V. ი. გრ. ბაზარში ვიყიდე“. იქვე უწინდელი მფლობელის ხელწერა“ „ანიკო ღვინიაშვილი“.

15274–15276. დებულება საგუბერნიო და სამაზრო საერო (სათემო) დაწესებულებათათვის. ტფ., 1905.

15277. დოლიძე ი. საქართველოს ჩვეულებითი სჯული. თბ., 1960.

ფორზაცზე: „ქართული პოეზიის სინდისა და მშვენებას აკად. ი. გრიშაშვილს დიდი სიყვარულით. ავტორისაგან. 5. XI–60 წ.“.

15278. დოლიძე ი. ძველი აღმოსავლეთის სამართალი. თბ., 1960.

ფორზაცზე: „ქართული პოეზიის დამამშვენებელს ჩვენს ძვირფას სოსოს დიდი სიყვარულით ავტორისაგან. 9. IX. 60 წ.“

15279. ემუხვარი ვლ. შენიშვნები მიწის კანონის შესახებ. ქუთაისი, 1918.

15280–15282. იერინგ ფონ. ბრძოლა უფლებისათვის. გერმ. თარგმ. იაზონ ბაქრაძის მიერ. ქუთაისი, 1908.

კანზე: „არ არის „ქ. წ“-ში“.

15283–15284. კაბანოვი ნ. ოლქობრივი თვითმართველობა. ტფ., 1906.

15285–15287. [კროპოტკინი პ.] პ. კ-ი. მართლმსაჯულება. თარგმ. ა. ფ-ვასი. თფ., 1906.

კანზე ავტორის ინიციალებთან მიწერილია: „პ. კროპოტკინი. ი. გრ.“

წიგნში ქალაქის ნაჭერი, რომელზეც წერია: „კრაპოტკინი. მართლმსაჯულება. თარგმ. ა. ფ-ა. [აკაკი ფაღავა]. 1906. შ. მირიანაშვილის ცნობით“.

15288. ლასსალი ფ. რა არის კონსტიტუცია. თარგმ. რ. რაჟდენიძისა. თფ., 1907.

კანზე: მხოლოდ უნივერს.“

15289. ლომთათიძე ა. როგორ უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენლების არჩევნები? თბ., 1906.

15290. მცირე ინსტრუქცია ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორისა ქალაქის და მაზრის მილიციის მოხელეთადმი. თბ., წ. ა.

15291. ნინიძე კ. და ცისკარიძე ა. სამართლის მეცნიერება. საშვალო სასწავლებლის კურსი. თბ., 1920.

15292–15293. ჟვანია ვ. ქართველი იურისტები. ნარკვევები ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისტორიიდან. თბ., 1961.

15294–15295. [რცხილაძე გ.]. ამიერ-კავკასიის თვითმმართველობა. [თბ., 1917].

15296–15298. რცხილაძე ვ. შვეიცარიის ძირითადი კანონები. საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდამ. თფ., 1906.

15299. საარჩევნო კანონი. [ტფ.] „სახალხო გაზეთის“ გამოც., [1912].

კანზე: „თბილისში მხოლოდ საჯაროში და იმელშია“.

15300. საქალაქო დებულების პროექტი. ტფ., 1919. ჟურნ. „კავკასიის ქალაქის“ № 5–6 დამატება.

15301–15302. საქართველოს კონსტიტუციის პროექტი მიღებული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ. ტფ., 1920.

თავფურცელზე: „ილია ზურაბიშვილის გასწორებულია! ი. გრ.“

15303. საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული. 1918 წ. იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყ. გამოც. ტფ., 1919.

კანზე: „ჩემი გასწორებული. ამ განყ-ში ვმსახურობდი და გამომავდეს.“

15304–15305. სახელმწიფო დუმის საარჩევნო კანონი კავკასიაში (1907 წ. 3 ივნისი). ქუთაისი, 1912.

კანზე: „არ არის თბილისში. ი. გრ.“

15306. ტარნოვსკი ე. დანაშაულობა – დამნაშავენი და იმის წინააღმდეგ საბრძოლველი ახალი საშუალებანი. თარგმ. ის. კვიცარიძისა. თბ., 1902.

15307–15308. ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის კონსტიტუცია. პ. საყვარელიძის წინასიტყვ. ტფ., 1920.

15309–15310. ცინცაძე ი. სამართლის მეცნიერება. მოკლე სახელმძღვ. გიმნაზიებისა, რეალურ და კომერციულ სასწავლებლებისათვის. ქუთაისი, 1918.

15311. წესდება სასჯელთა ზედა, რომელთაცა გადასწყვეტენ მომრიგებელნი მსაჯულნი. თბ., 1877.

15312. ჯავახიშვილი ი. ქართულის სამართლის ისტორია. ორი ლექცია 27 და 28 მაისს 1909 წ. [თბ., 1909].

15313. ჯორჯიკია ნ. სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაცია (ავტონომია და ფედერაცია). იურიდიული მონოგრაფია. ქუთაისი, 1918.

კანზე: „ყველგანაა. ი. გრ.“

სამართალი და მმართველობა საბჭოთა პერიოდი

15314. ალხოვი ა. მიწის შრომითი იჯარა (ს. ს. ს. რ. მიწის კოდექსით). ტფ., 1927.

15315. ახნაზაროვი ა. საგნობრივი სარჩევი და ქრონოლოგიური ნუსხა საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევკომის დეკრეტებისა, დადგენილებებისა და ბრძანებებისა 1921 წლისა, ტფ., 1922.

15316. ბუაჩიძე პ. სოფლის საბჭოები. ტფ., 1926.

15317–15318. დებულება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სასამართლოსი. ტფ., 1921.

15319. დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. თბ., 1938.

15320. დებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა. თბ., 1946.

15321. დიომიდოვი ი. საბჭოთა წყობილება და კონსტიტუცია. სახელმძღვ. შრომის სკოლის მე-VIII, IX, X ჯგუფისათვის. გადმოთ. და შევს. ალ. გორგაძის მიერ. ტფ., 1929.

15322. ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი. თბ., 1930.

15323. კიკაბიძე ლ. ქორწინება და ოჯახი. ტფ., 1928.

15324. მასალები სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წ. 11 აპრილის № 94/603 დადგენილებისა... თბ., 1940.

15325. მაყაშვილი ვ. აღმოვფხვრათ ანგარება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში. თბ., 1952.

15326. ნეიძე ე. შრომა და დასვენება საბჭოთა კავშირში. თბ., 1955.

15327. როგორი უნდა იყოს ახალი ოჯახი. აგრონომ ალ. შარაშენიძის საქმე. ტფ., 1934.

15328. ს. ს. ს. რ უზენაეს სასამართლოს პლენუმის მიწის კოდექსის მუხლების ახსნა-განმარტებანი 1927 წ. ივლისი 15, ტფ., 1927.

15329. საბჭოთა არჩევნებისათვის. კრებული. პოლიტგანათლების მთავარი მმართველობის რედ-ით. [თბ.], 1929.

კანზე: „აქ პიესებია, გვ. 48. გვ. 86“.

15330–15331. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). [თბ.], 1936.

კანზე: „ი. გრ. 1936, 19/XII“.

15332–15333. სამილიციო ქრესტომათია. ნაწ. 1–2. თბ., 1930.

ნაწ. 1.

ნაწ. 2.

თავფურცელზე: „ჩემს ძვირფას სოსოს კეთილშობილ მამულიშვილს, ქართული სიტყვის მუსიკალობის უხუცესს და სქესიურ პრობლემათა მხატვრულ ამსახველს უძღვნის ორგანიზაცია, რომელიც ესეოდენ არა სიმპატიურია სოსოსათვის. 19–18 VI–31 წ“. იქვე მინაწერი: „[შ. გაჩეჩილაძე]“.

15334. სასამართლოს წყობილების დებულება. [სრულიად საქ. საბჭ. ცაკის მე-2 სესიის 1924 წ. დადგენილების რედაქციით.]. თბ., 1924.

15335. საქართველოს საბჭოთა მთავრობის კანონები მიწის შესახებ. ტფ., 1921.

15336. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1949 წლის 1 სექტემბრისათვის. გამოც. 1. თბ., 1949.

15337. საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი. ცვლილებებით 1955 წ. 1 აპრილამდე. თბ., 1955.

15338. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი. [ცვლილებით 1934 წ. ივნისის 30-მდე]. ტფ., 1934.

15339. სრულიად საქ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედების მოკლე ანგარიში (1931–1934 წ.). ტფ., 1934.

15340. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება 1952 და 1953 წლებში მთლიანად მარცვლელი კულტურების... მოსკოვი, 1952.

15341. სტალინი ი. მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ. – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია. (ძირითადი კანონი). [თბ.], 1936.

15342. სტალინი ი. სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ. [თბ.], 1936.

15343. ტატიშვილი ი. მიწის საკითხები. 1. მიწის შრომითი იჯარა. 2. სახლების გაყიდვის წესი სოფლად. 3. მიწათ სარგებლობა. ტფ., 1928.

15344. ქართველიშვილი შ. ცნობარი შრომის კანონმდებლობის საკითხებზე. ტფ., [1934].

15345. ქორქაშვილი მ. კომლის გაყრა. ტფ., 1927.

15346. ქორწინებისა, ოჯახისა და მეურვეობის კანონთა კოდექსი. ტფ., 1926.

15347. შანიძე ვ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. სხეულის დაზიანებათა ექსპერტიზა. თბ., 1956.

კანზე: „გვ. 43“.

15348. შარაშიძე მ. სისხლის სამართლის დამნაშავეთა სახეები (ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის მასალებიდან). შალვა მელაძის წინასიტყვ. და რედ-ით. წ. 1. ტფ., 1928.

15349. შარაშიძე მ. ქალაქის ზოგიერთი საიდუმლოებანი. რედ. გამომც. ს. კაკაბაძე. წ. 2. ტფ., 1930.

15350. შრომის კანონმდებლობათა კრებული № 1. ტფ., 1921.

კანზე: „იხ. გვ. 116 „პროფესიათა ნუსხა“. თარგმ. ჩემი და მ. საყვარელიძის მიერ. 1921 წ. 23 ნოემბერს – ი. გრ. 1922 წ., 1/II“.

გვ. 116. „პროფესიათა ნუსხა“-ს მიწერილი აქვს: „ნათარგმნები მიმა საყვარელიძის და ი. გრიშაშვილის მიერ. ჩავაბარეთ მაქსიმე ბერძენიშვილს 23-ს ნოემბერს, 1921 წ. მივიღეთ ჰონორარად 1.800.000 მან. ი. გრ“.

15351. ცაგარელი კ. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თავისებურებანი. – ამონაბეჭდი კრებულიდან „ჩვენი მეცნიერება“, 1924, № 2.

15352. ძირითადი დებულებანი სოფლის საბჭოების მოწყობის შესახებ საბჭოთა კავშირში. თბ., 1930.

15353. ხარაზიშვილი ბ. კრიმინალისტიკა. განსაკუთრებული ნაწილი დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდის კა. თბ., 1956.

ქალთა საკითხი

15354–15355. ამომრჩეველი ქალი. თარგმ. დ. ელიოზიშვილისა. [თბ., 1906].

15356–15357. [ბებელი ა.]. დედაკაცი. თარგ. ა. ლომთათიძის. თფ., 1906.

კანზე: „ეს წიგნი აიკრძალა. – ი. გრ.“

15358. ბებელი ა. დედაკაცი და სოციალიზმი. თარგმ. რ. რაჟდენიძისა და გ. მუმლაძისა. 50-ე გერმანულ საიუბილეო გამოცემასთან შედარებული ს. დევდარიანის მიერ. ავტორის 3 წინასიტყვ. ბათუმი, 1912.

ფორზაცზე: „დიდ სოსოს! მივიღე არა დედაკაცი, არამედ ქალი და ისიც სოციალიზმ ჩამოცლილი. გ. მუმლაძე. 31/X–22 წ.“

15359. ბისტრიანსკი. რევოლუცია და ქალი. ტფ., 1924.

15360–15362. გერსამია ს. ქართველი ქალი ძველათ და ახლად. ბორჯომი, 1923.

თავფურცელზე: „ჩემს სათაყვანებელ პოეტსა და მეგობარს ი. გრიშაშვილს. სერ. გერსამია. 7/V–25. ქ. გორი.“

- 15363–15365. დავიდ გ. ქალი და კოოპერაცია. თარგმ. ი. გაბილაიასი. [ქუთაისი, 1915].
15366. ვანდერველდე ე. ქალი და სოციალიზმი. მთ. ნ. აბესაძე. [ქუთაისი], 1917.
- 15367–15368. თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების მეხუთე უბნის განყოფილება. საზოგადოების წესდება. ტფ., 1917.
15369. იბარური დ. საბჭოთა ქალებისადმი. თბ., 1941.
15370. კანდელაკი ს. დედაკაცის სოციალური მდგომარეობა. თბ., 1906.
15371. ტატუნაშვილი ა. ქალი და მისი დანიშნულება. ტფ., 1897.
15372. ქალის დანიშნულება სასოფლო მეურნეობაში. თარგმ. ნ. პ. ქიქოძისა. ქუთაისი, 1904.
15373. შტარი. ჩვენ ქალებს. ქ-ნ შტარის წერილები. თარგმ. ივანდიდელისა. ივ. როსტომიშვილის რედ. თბ., 1897.
15374. შტრესელი. ქალის შრომა კაპიტალისტურ ქვეყნებში. [თბ.], 1929.
15375. ჩარხიშვილი გ. ქალის ზნეობრივი და გონებრივი თვისება. მისი შრომა და მოღვაწეობა. თბ., 1921.
- კანზე: „ი. გრ. 1922 25/I“.
15376. ცეტკინა კ. დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა. თარგმ. რუს. [თბ.], 1905.

ენათმეცნიერება (ზოგადი საკითხები)

15377. აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის II სამეცნიერო სესია. 1945 წლის 27 და 28 ნოემბერს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1945.
- კანზე: „ბ-ნ სოსოს“ [ხელის მოწერა გაურკვეველია]. „25. XI. 45“.
15378. აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის V სამეცნიერო სესია. მიძღვნილი აკად. ს. ჯანაშიას ხსოვნისადმი. თბ., 1948.
- 15379–15382. ახვლედიანი გ. ენათმეცნიერების შესავალი. (ლექციები). (ხელთნაწერების მაგიერ). ნაკვ. 1–3. ტფ., [1918].
- ნაკვ. 1.
- ნაკვ. 2.
- ნაკვ. 3.
15383. ახვლედიანი გ. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბ., 1949.
15384. ენათმეცნიერების ინსტიტუტის I (VII) სამეცნიერო სესია. მიძღვნილი ი. ბ. სტალინის მოძღვრებისადმი ენის შესახებ. 1950 წლის 15 და 16 დეკემბერს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1950.
15385. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესია. 1957. წ. 10–15 ივლისს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1957.
- კანზე: „პოეტ-აკადემიკოსს ი. გრიშაშვილს.“
15386. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. 3. თბ., 1952.

15387. კარბელაშვილი დ. ენის ახალი მოძღვრების (იაფექტიდოლოგიის) ძირითადი დებულებანი. ტფ., 1936.

15388–15389. მარრი ნ. ენა და აზროვნება. თარგმ. დ. კარბელაშვილის მიერ. ტფ., 1934.

15390–15392. მარრი ნ. ისტორიული პროცესის საკითხისათვის იაფექტური თეორიის გაშუქებით. თარგმ. დ. კარბელაშვილისა. ტფ., 1934.

15393. მარი ნ. რითი ცხოვრობს იაფექტური ენათმეცნიერება? პეტროგრადი, 1923. ტექსტის ნახევარი ლათინური ასოებითაა.

15394. მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის. აკადემიკოს ნიკო მარრისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ორმოცდახუთი წლის შესრულების გამო. [სარედ. კოლეგია: მიხ. ჩიქოვანი, ალ. ლლონტი, და სხვ.]. ტფ., 1934.

15395. მელიქიშვილი გ. როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები. თბ., 1961.

15396. მეშჩანინოვი. იაფექტიდოლოგია და მარქსიზმი. თარგმ. და წინასიტყვ. დ. კარბელაშვილისა. ტფ., 1931.

15397. ნეიმანი ა. სინონიმთა საკითხისათვის. ამონაბეჭდი „პუშკინის სახ. თბილ. სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომებიდან.“ ტ. VI, 1949.

კანზე: „ნეიმანის კარგი წერილი, 364, 371. ი. გრ.“

გვ. 241. წარწერა: „ჩემსა და ჩემი დაუვიწყარი ნინოს მეგობარს ძვირფას სოსოს. საშა. 1. VIII–49.“

გვ. 250. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „ჯალამა – რძის გასაწური, იხ. შ. არაგვ. „გიული“. ი. გრ.“

15398. ჟენტი ს. აკად. ნ. მარი და ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება. ტფ., 1933.

15399. სტალინი ი. ენათმეცნიერების ზოგიერთ საკითხზე. პასუხი ამხ. ე. კრაშენინიკოვას. თბ., 1950.

15400. სტალინი ი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. თბ., 1954.

15402. სტალინი ი. მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში. თბ., 1950.

15403. სტალინი ი. პასუხი ამხანაგებს. თბ., 1950.

15404–15405. ფილოლოგიური ფაკულტეტის 1937–38 სასწავლო წლის პროგრამები. თბ., 1937.

კანზე: „ჩემზე გვ. 108. ი. გრ. 1938. 19/II“.

15406–15409. შლეიხერი ა. დარვინის თეორია და ენათმეცნიერება. თარგმ. გერმ. პ. ჭარაიას მიერ. თბ., 1889.

15410. ჩიქობავა ა. ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1952.

15411–15412. ჩიქობავა ა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. წ. 1. ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაც. მიხედვით. თბ., 1948.

15413. ჩიქობავა ა. ზოგადი ენათმეცნიერება. I. პროპედევტიკული ნაწ. შევს. გამოც. მე-2. თბ., 1939.

15414. ძიძიგური შ. საენათმეცნიერო საუბრები. თბ., 1960.

15415. ძიძიგური შ. ცნება სინონიმური პარალელიზმისა. ამონაჭერი: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 7, 1941.

დასაწყისში: „პატივც. ი. გრიშაშვილს ავტორი. 6-I-42“.

15416. წერეთელი გ. არმაზის ბილინგვა. ამონაბეჭდი: აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატ. კულტურის ინ-ტის მოამბე, ტ. XIII, 1942.

15417. ჭანიშვილი პ. ანზანის ისტორია. ამობეჭდილია იმავე ავტორის წიგნიდან: „წერა-კითხვის მეთოდები“, ტფ., 1930.

15418–15419. ჯაფარიძე ტ. ენის გაჩენა. ქუთაისი, 1910.

კანზე: „ეს წიგნი არ არის აწერილი „ქართ. წიგნში“. ი. გრ., შექსპირი, გვ. 64“.

მეორე ცალის კანზე: „ივ. პოლუმორდვ. შენიშვნებით“.

15420. ჯიშკარიანი ი. ხეთების პრობლემა კავკასიური ენების საფუძველზე. ტფ., 1933.

კანზე ავტორის გვართან: „ილია მობურთალი. ი. გრ. 1938. 6/VI.“

ქართველური ენები (ზოგადი საკითხები)

15421. აბულაძე იუსტ. სახელის „სასან“-ის ეტიმოლოგიისათვის. – ამონაბეჭდი: ტფილისის სახელმწ. უნ-ტის შრომები. ტ. 5, 1936.

15422. ალავიძე მ. უცნობი დიალექტიზმები საბას ლექსიკონში. – ამონაბეჭდი: ჟურნ. „რიონი“, № 2. ქუთაისი, 1959.

კანზე: „სახსოვრად საყვარელ სოსო გრიშაშვილს. ავტორი. 6. 1. 59“.

15423. ახვლედიანი გ. შენიშვნები ქართულ თანხმოვანთა განდასებისათვის – ამონაბეჭდი: „მიმომხილველი“, ტ. 1, 1926.

15424. ახვლედიანი გ. I. ყრუ Mediae ქართულში. – II. ჰაე და სანი ქართულ ზმნებში – ცალკე ამონაბეჭდი: „განათლება“, 1920, № 4–5.

15425. ბერიძე ვუკ. დავით რექტორი – ლექსიკოგრაფიის საბა ორბელიანის გამგრძელებელი. – ამონაბეჭდი: „ტფილისის სახ. უნ-ტის შრომები“, ტ. 1, 1936.

15426. ბერიძე ვუკ. ზღუდე სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ შეზღუდული მნიშვნელობის ევოლუციისათვის. – ამონაბეჭდი: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, წ. 1. 1946.

კანზე: „ჩემს კარგ მეგობარს სოსოს. ვ. ბერიძე. 1947. 7/II“.

15427. ბერიძე ვუკ. საგან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის. – ამონაჭერი „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, ტ. 3. № 4. 1942.

15428–15430. ბერიძე შ. მეგრული (ივერიული) ენა. შესავალი და მასალები (1 წიგნი 1 ნაკვეთი). ტფ., 1920.

15431–15433. ბერიძე შ. პროფესორი იოსებ ყიფშიძე. ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა. (1882–1919). ტფ., 1920.

გვ. 1. ი. გრ-ს ხელით წერია: „ავტორისაგან. 1920“.

15434. გამრეკელი ვ. თუ როგორ ვიპატივეთ ქართული ენა სრულის გაუქმებისგან ახალციხის წმიდა მარინეს ეკკლესიაში. ახალციხე, 1905.

15435. გიგაური ნ. კახურის თავისებურებანი რაფიელ ერისთავის ნაწერებში. 161–179 გვ. – ამონაჭერი „თბილ. სახ. უნ-ტის სტ. სამეცნ. შრომები“, კრ. 5. 1950.

გვ. 161. მიწერილია: „რაფ. ერისთავისთვის, იხ. სტუდ. სამეცნ. შრომების კრებული, 1950 წ. № 5“.

გვ. 177. ხაზგასმულია: „დამალი; მახა; სამალდეები; ბუწუწები; რამწამა გვ. 179. ხაზგასმულია: „ბნედიანი“, მიწერილია: „ფეხებში რომ რამე იბლანდება. ი. გრ.“

15436. გიორგაძე ს. ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან. – ამონაჭრები ჟურნ. „მნათობი“-დან, 1925, № 1, 3, 5, 6.

15437–15442. გორგაძე ს. ქართული მართლწერა. ქუთაისი, 1916.

15443. გრენ ა. ქართველთ საერთო ენის ფილოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაზედ. (ფილოლოგიური ესკიზები) – ამონაჭერი „ივერიიდან“, 1884 წ. № 7–8.

15444–154447. გუგუშვილი პ. ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და მეცნიერული თარგმანისათვის. თბ., 1952.

თავფურცელზე: „ჩემს ძვირფას და საყვარელ პოეტსა და მეგობარს იოსებ გრიშაშვილს. პ. გუგუშვილი. 26–10–54.“

მეორე ცალის კანზე: „ ი. გრ. 1952. წ. 12/XII“.

გვ. 23. სიტყვა „водопад“-ის გასწვრივ მიწერილია: „ჩახრიალა (აკაკი)“.

გვ. 28. „თანხა“ – კაპიტალის“ გასწვრივ მიწერილია: „ძირის ფული. (აკაკი)“.

გვ. 52. სადაც ავტორი ლაპარაკობს „ხელაღებით გადმოქართულებაზე“ დასმულია კითხვის ნიშანი და მიწერილია: „პიესებში – შეიძლება“.

მესამე ცალის კანზე: „ილია, 16“.

15448. -დნენ თუ -დენ (ისინი აშენებდნენ თუ აშენებდენ?) 2. -ნენ თუ ენ? (დაიმაღნენ თუ დაიმაღენ) 3. სუბიექტის -ს ობიექტის მრავლობითის-თ-ს წინ. (მათ აქვსთ თუ აქვთ? ის თქვენ გთხოვსთ თუ გთხოვთ?) ტფ., 1935. – ტექსტი ლითოვრ.

თავფურცელზე: „31/III–35 წ. 8 საათი. გრიშაშვილი სოსო. მწერალთა კავშირი“.

15449. დოდაშვილი კ. ახალი გზა-კვალი ქართული გრამატიკის კვლევა-ძიებისა. – ამონაჭრები ჟურნალ „მოამბე“-დან, 1894 წ. 4, 5.

გვ. 130. ტექსტის ბოლოს წერია: „ამის გაგრძელება იხ. № VI, გვ. 140. ი. გრ.“

15450. დონაძე კ. წერთი მეტყველების სახეები ქართულ ენასა და ლიტ-ში. თბ., 1939.

15451. თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის ძირითადი პრინციპები. (განმარტებათა ნიმუშებით). თბ., 1945.

კანზე: „ქართულ განმარტებათა ლექსიკონის სიტყვარის რეცენზენტს ამხ. ი. გრიშაშვილს. 12. 1. 46“. იქვე მიწერილია: „ბაყალი, გვ. 9“.

გვ. 8. ხაზგასმულია: „მგზავსი“ და მიწერილია: „მზგავსის(?)“.

გვ. 9. მოხაზულია „ბაყალის“ განმარტება და მიწერილია კითხვის ნიშანი. ხაზგასმულია: „ხურმას ჰყიდდა“, მიწერილია: „ბაყლისათვის ხურმა არ არის დამახასიათებელი“.

15452. თოფურია ვ. ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში. ტფ., 1924. – ცალკე ამონაბეჭდი: „ჩვენი მეცნიერება“, № 2 1924.

15453. თოფურია ვ. სვანური ენა. ნაწ. 1. ზმნა. ტფ., 1931.

15454–15455. თოფურია ვ. და გიგინეიშვილი ი. ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 1941.

ფორზაცზე: „ი. გრ. გამყიდველ მარგო ბახიასაგან. 1942. 10/XII“.

გვ. 66. ხაზგასმულია: „ვინც უნდა იყოს“ და მიწერილია: „ვიღაცა წერდა: „ვინაც“.

გვ. 172. ხაზგასმულია: „შენც თუ შენაც?“ მიწერილია: „ასე სწერენ ეხლა შენაც [შენც]; ვინაც [ვინც]; რაიცა, ნუ მპასუხობ, ზღვაში ჩაცვივა [ჩაცვივდება].“

15456. თოფურია ვ. და გიგინეიშვილი ი. ორთოგრაფიული ლექსიკონი. მე-2 გამოც. თბ., 1946.

ყდაზე: „ი. გრ. 1947. 20/III“.

გვ. 57. ხაზგასმულია: „გყავარ (მყავხარ) და გშია“, მიწერილია: „გყევარ“ და „გშიან“.

15457–15459. ინსტრუქცია რუსულ-ქართულ ლექსიკონის შესადგენად. გამოც., ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიისა. ტფ., 1933. 37 გვ. (ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედია). ლითოგრაფირებულია.

15460. იორდანიშვილი ს. „რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ“ (პასუხად დოც. დ. კარბელაშვილს) – ცალკე ამონაბეჭდი 1933 წ. „მნათობის“ № 6–7-დან.

15461. კ. თ. ორი გერმანელი მეცნიერის [ფრიდრიხ მიულლერის და რ. აბიხის] აზრი ქართული ანბანის შესახებ. – ამონაჭერი „აკაკის კრებული“-დან, 1899, № 2.

